

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

პლ. ფანჩვიძე

უღური ენის გრამატიკული
ანალიზი



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1974

4 C (Dav)

494.612

ფ. 249

შრომა წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც განხილულია უდური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი მოვლენები (ვართაწული და ნიჭური კილოების მონაცემთა გათვალისწინებით). შრომა შედის სერიაში, რომელსაც სცემს ენათმეცნიერების ინსტიტუტი შთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესასწავლად.

7C1C5
ფ. 617 (C3) 74. 69--72

წინასიტყვაობა

ბევრ მკვლევარს ზიარნდა და დღესაც ზიარნია, რომ უღებების ხსენება ძველი დროიდან მოდის. ამის ძირითად საბუთად მოჰყავთ საისტორიო წყაროებში მოხსენებული სახელწოდება ბერძ. *αιουαι*, სომხ. *սայք* და სხვა. ფიქრობენ, რომ ამ ტერმინით აღინიშნებოდა ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელსაც დღეს უღები ეწოდება¹. რამდენადღე ამით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელიც უღური ენის შესწავლას ექცეოდა და ეტყევა დღესაც. ეს პრობლემა დღემდე გაურკვეველ რჩება და ამდენად გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც უღური ენა იწვევს.

უღური ენის სპეციალური შესწავლა შედარებით მოგვიანებით დაიწყო. მისი პირველი მეცნიერული გამოკვლევა ეკუთვნის აკად. ა. შიფნერს², რომლის მონოგრაფიას დღესაც არ დაუარაგავს თავისი ღირებულება. ა. შიფნერის შემდეგ უღურ ენას ბევრი მკვლევარი ეხებოდა, მაგრამ გარდა ა. დირისა³ ახალი მასალა არავის შეუკრებია და ახალი მთლიანი გამოკვლევა არავის წარმოუდგინა (წინამდ ბარე წიგნამდე)⁴.

უღური ენის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ორი უღური ტექსტის გამოკვლას: ერთია უღური ზღაპარი «რუსტამა»⁵ და მეორე — «უღური ოთხთავი»⁶. ეს ტექსტები

¹ ეს ცნობები სპეციალურად გაჩაბილა პროფ. ლეონ მელიქსეტიშვიტმა: Л. Меликсетбеков, К истории удин. тобол. ун-в. «შრომები», ტ. XXII, თბილისი, 1942.

² A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden. «Memoire de l'Académie Impériale des Sciences de St.-Petersbourg», VIIe Série, № 8. St. Petersburg, 1863.

³ А. Дирр, Грамматика удинского языка. Сб. МОМПК, Вып. XXXIII, Отд. IV. Тбилиси, 1904 (გვ. I—XI, I—101: არის ცალკე გამოცემა).

⁴ ჩვენს ნაშრომს წამოღვარებული ჰქონდა ნარკვევი «უღური ენის შესწავლის ისტორია» (იხ. სადოქტორო დისერტაცია, გვ. 15—139), რომელიც ამ გამოცემაში ტექნიკური მიზეზით ვერ მოხვდა.

⁵ Сб. МОМПК, Вып. VI, Тбилиси, 1888.

⁶ «Господа нашего Иисуса Христа святое евангелие от Матфея, Марка, Луки и Иоанна на русском и удинском языках», Сб. МОМПК, Вып. XXX.

შეიცავს მდიდარ ენობრივ მასალას უღური ენის სტრუქტურის გასათვალისწინებლად.

უღური ენის დამწერლობისათვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პროფ. ი. აბულაძემ აღმოაჩინა «ალბანური ანბანი», რომელსაც სპეციალური გამოკვლევა უძღვნა აკად. ა. შანიძემ¹. არქეოლოგიური გათხრების შედეგად თითქოს აღმოჩნდა «ალბანური» (resp. უღური) დამწერლობის ძველი ნიმუშები, მაგრამ ამ პრობლემის გარკვევა დღესდღეობით ბევრ სიძნელეს აწყდება და უღური მწერლობის პრობლემა ამჟამადაც ნათელი არაა². ამიტომაც ჩვენ თავს ვიკავებთ ამ საკითხზე მსჯელობისაგან.

წინამდებარე წიგნი შედგება იმ კვლევა-ძიებისა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით 1939—1947 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის (ამჟამად ენათმეცნიერების) ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გეგმით. გამოყენებულია აგრეთვე წინა ავტორთა კვლევის შედეგები და მასალა.

მონოგრაფია დამთავრდა 1948 წელს³. ცალკეული სტატიები იბეჭდებოდა სპეციალურ სამეცნიერო ორგანოებში, მს.ლიანი ნაშრომის გამოქვეყნება კი მხოლოდ ამჟამად მოხერხდა. მონოგრაფია არაერთად ქვეყნდება იმ სახით, როგორც ის თავის დროზე დაიწერა (შეტანილია მცირეოდენი რედაქციული ცვლილებები; ამოღებულია აგრეთვე უღური ენის შესწავლის ისტორია და ზოგიერთი სხვა ნაწილიც); მასში ვერ აისახა ის კვლევა-ძიება, რაც ჩატარდა 1948 წლის შემდეგ⁴. ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი ამ სახითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს უღური ენის მკვლევრებს. ვიმეორებთ, რომ შესაძლებლობა გვექნება, დავუბრუნდეთ უღური ენის ზოგიერთ საკითხს და გავითვალისწინოთ ის ლიტერატურა, რომელიც 1948 წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

¹ А. Шанидзе, Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, «ენიმკი-ს მოამბე», IV, ნაკვ. I, თბილისი, 1938.

² აბ. А. Г. Абрамян, Дешифровка надписей кавказских албан. Ереван, 1964.

³ იგი დატულა ექნა როგორც სადოქტორო დისერტაცია 30. VI. 1949 წ. იბ. В. Н. Папчивадзе, Грамматический анализ удинского языка. Автореферат... Тбилиси, 1949.

⁴ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გამოკვლევები, რომლებიც გამოაქვეყნა პროფ. ე. ჯირანაშვილმა: იბ. მისი: უღური ენა. გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971 წ. ეს ნაშრომი არაა გამოყენებული ჩვენს წიგნში, რადგანაც ეს უკანასკნელი გადაეცა გამომცემლობას 1968 წელს.

შენსავალი

§ 1. უღური ლეზგიური ჯგუფის ენა. უღური ენის გავრცელება

უღური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნის ჯგუფის ლეზგიურ წრეს. ამ წრეში ივარაუდება შემდეგი ენები¹: ლეზგიური (resp. კიურული), აღულური, წახურული, რუთული, თაბასარანული, ბუღუხური, კრიწული, ხინალული, უღური...

ამათგან უღური ნაშთის სახით ჩარჩენილა მცირე ტერიტორიაზე: მისი გავრცელების აოე სამი სოფლით შემოიფარგლება. ესენია: სოფ. ოქტომბერი—საქ. სსრ, ყვარლის რაიონში, სოფ. ვართაშენი—აზერბ. სსრ, წინ. ვართაშენის, ახლა კუტკაშენის რაიონში, სოფ. ნიჯი (resp ნიქ) აზერბ. სსრ, კუტკაშენის რაიონში, სოფ. ვართაშენი და სოფ. ნიჯი წარმოადგენენ უღების ძველი მოსახლეობის ადგილს, სოფ. ოქტომბერი კი დასახლებულია სოფ. ვართაშენიდან 1922 წლის დეკემბერში გაღმოსახლებული უღებით.

სოფ. ვართაშენი ერთ დროს სარაიონო ცენტრი იყო. იგი მდებარეობს 18—20 კმ აღმოსავლეთით ქ. ნუხიდან. იგი წარმოადგენს დიდს, კარგად მოწყობილ სოფელს. აქ მოსახლეობენ კომპაქტურად უღები, აზერბაიჯანელები, სომხები, მთის ებრაელები. თითო-ოროლა გვხვდება სხვა კავკასიურ ხალხთა წარმომადგენელიც (ლეზგები, წახურელები...).

მათი სამეურნეო საქმიანობა ისეთივეა, როგორც აზერბაიჯანელებისა. უღების ზნე-ჩვეულება და საერთო ყოფა-ცხოვრება ამჟამად აზერბაიჯანულს ემსგავსება. რა წარმოადგენს უღების საკუთრებას ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ცალკე საკვლევია.

მ. ბეჟანოვი² 1892 წელს აღწერდა უღების ზნე-ჩვეულებასა და ეთნოგრაფიული ყოფის მოვლენებს, მაგრამ ამჟამად (ზოგიერთი გამო-

¹ არნ. ჩიქობავა, ზოგ. ენათ., 1, გვ. 118: შღრ. ნ. ტრუბეცკოი, Langues, გვ. 111—114; ა. დირი, Einführ., გვ. 3.

² Сб. МОМПК, განყ. 1, გვ. 213—262.

ნაკლისის გარდა) ესენიც თითქმის აღარ დასტურდება. სარწმუნოებით ვართაწნელი უღები მართლმადიდებლები იყვნენ, ნაწილობრივ მათ შორის მოიპოვებოდნენ გრიგორიანებიც.

ვარდა მშობლიური ენისა ვართაწნელი უღები კარგად ლაპარაკობენ აზერბაიჯანულ ენაზე. აზერბაიჯანული ენა მათთვის, შეიძლება ითქვას. მეორე მშობლიური ენაა. ზოგიერთმა კარგად იცის სომხურიც.

სოფ. ნიჯიც წარმოადგენს დიდ სოფელს, რომელიც მდებარეობს სარაიონო ცენტრის—სოფ. კუტკაშენის დასავლეთით, 20 კმ დაშორებით. ძველთაგან იგი დაყოფილი ყოფილა 15 მაჰალად (ქებნად), რომელთაგანაც 13-ში უღები, ხოლო ორში—აზერბაიჯანელები მოსახლეობენ. უკანასკნელ ხანებში მათში გარეულან სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული სომხებიც.

ნიჯის მცხოვრებნიც ეწევიან ისეთსავე სამეურნეო საქმიანობას როგორც ვართაწნელები. მსგავსება გვაქვს აგრეთვე ეთნოგრაფიული ყოფის თვალსაზრისით, ოღონდ უღების დამახასიათებელი თავისებურებები აქ კიდევ უფრო მოშლილა. სარწმუნოებით ნიჯელი უღები გრიგორიანები იყვნენ.

სოფ. ნიჯშიც უღები თავისუფლად ლაპარაკობენ აზერბაიჯანულ ენაზე. ვარდა ამისა, მათ ასევე კარგად იციან სომხური ენაც (სკოლისა და ეკლესიის გავლენით). ამ მხრივ ნიჯელები შეიძლება სამენოვან ხალხად მივიჩნიოთ.

სოფელში არის საშუალო და რამდენიმე დაწყებითი სკოლა. სკოლაში სწავლა წარმოებდა სომხურ ენაზე (ასე ყოფილა ძველთაგან), ახლა კი აზერბაიჯანულ ენაზე წარმოებს³.

სოფ. ოქტომბერი მდებარეობს 18 კმ დაშორებით სარაიონო ცენტრიდან—ყვარლიდან. სოფელში მარტო უღები მოსახლეობენ (გადმოსულნი არიან ვართაწნიდან). ისინი მისდევენ ნაწილობრივ იმავე სამეურნეო საქმიანობას, რასაც სოფ. ვართაწნეში, ნაწილობრივ გავრცელებულია კახეთის მეურნეობის დარგებიც. ვართაწნელი უღები ძირითადად ინარჩუნებენ თავისი წინანდელი სოფლის ზნე-ჩვეულების ელემენტებს, თუმცა უღურ ყოფაში თანდათან იკრება ქართლ-კახური ელემენტები. სარწმუნოებით ოქტომბრის უღები მართლმადიდებლები იყვნენ.

³ სხვადასხვა ცნობით უღები ენა კუტკაშენის რაიონის სხვა სოფლებშიც უნდა ეთნოლოგიურ გავრცელებული; დღეს ამ სოფლებში აზერბაიჯანული ენაა. ამ სოფელთა ვართაწნის გარკვევა ამ თვალსაზრისით, კერძოდ მათში სათანადო არქეოლოგიური ისტორიული კვლევას ჩატარება, აღბათ, საყურადღებო ცნობებს გამოაქვლენს უღების ისტორიისათვის, აზოგადოდ კი ძველი აღზანეთის საკითხებისათვისაც.

მშობლიური ენა—უღური—სოფ. ოქტომბერში ამჟამად ყველაზე მეტადაა გამოყენებული. აზერბაიჯანული ენა, ნაწილობრივ სომხური, აქაც იციან, მაგრამ მათი გამოყენება შეზღუდულია. სამაგიეროდ თანდათან ფეხს იკადებს ქართული ენა და იგი უკვე საკმაოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით ახალ თაობაში. ამას ხელს უწყობს სკოლა: სოფელში არის საშუალო სკოლა—ქართულ ენაზე.

უღური მოსახლეობის ოდენობის შესახებ მოვეუპოვებთ სხვადასხვა ცნობა. აკად. ნ. მარი 1920 წ. უღების რიცხვს განსაზღვრავდა 9666 სულით¹. 1926 წლის საკავშირო აღწერით საქართველოში უღები და მოსახლეობა უღური ენით მოხსენებულია 238 სული², აზერბაიჯანში კი სულ 2445 სული (სოფ. ნიჯში 2038 სული, სოფ. ვართაშენში—356 სული, სხვაგან—6 სული³), ხოლო მოსახლეობა უღური ენით—2623 სული.

1934 წელს „უღური კომისიის“ თხოვნით ამიერკავკასიის სტატისტიკურმა სამმართველომ შეამოწმა უღების რიცხვი და აღმოჩნდა 8000 სულზე მეტიო, როგორც ეს აღინიშნა სათბირზე 9 ივლისს 1934 წ.⁴ ეს უკანასკნელი რიცხვი რამდენადმე ძალაში უნდა იყოს დღესაც.

§ 2. უღურის ენობრივი გარემო

ივარაუდება, რომ უღური წინათ უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ამჟამად შემორჩენილი ენობრივი მასალაც განიცდის ძლიერ გავლენას, როგორც ამაზე მიუთითებენ ა. შიფნერი, ფრ. მიულერი, ჰ. შუხარდტი, ა. დირა. საკუთარი ელემენტები უღურში შეზღუდულად არის წარმოდგენილი. პირველ რიგში ეს ითქმის ლექსიკაზე. ა. დირი, მაგალითად, მართებულად აღნიშნავდა: „...უღური ლექსიკონის შედგენა—საკმარისად საჩოთირო საქმეა. არ იცი—უნდა შემოიფარგლო მხოლოდ უღური სიტყვებით. თუ მასში უნდა შეიტანო აგრეთვე თურქული, სომხური, სპარსული სიტყვებიც. პირველ შემთხვევაში მივიღებთ ოდენობით ისეთ შემოფარგლულ ლექსიკონს, რომ სიტყვები არ გვეყოფა ყოველდღიური სავნების აღსანიშნავადაც კი. მეორე შემთხვევაში კი, თუნდაც ისეთი სიტყვებით დავემყოფილდეთ, რომელთაც უღურ-

¹ Н. Марр, Плем. состав, гл. 44.

² Вс. переи. наг. 1926 г., XIV, ЗСФСР, Огд. I, Ч. IV, Табл. VIII, гв. 25. სხვაგან მოხსენებულია უღები მხოლოდ 5 სულ, ისიც ქლაქად: ССР Грүзии, Т. VI, გვ. 16 და 18.

³ იქვე: Аз. ССР, Табл. X, გვ. 73, 74; გვ. 67, 79. შტრ. А. Лайстер и Г. Чурши, Геогр. Закавказ., გვ. 282.

⁴ Стен. отчет, გვ. 3.

ში შესატყვისი არა აქვთ, საშიშროება იბადება, შეაღვინო იგივე თურქული ან სომხური ლექსიკონები, აქა-იქ გაფანტული სხვა სიტყვებით, რომლებიც სწორედ იქნებიან უღურნი“⁸.

უღურზე გარკვეულ გავლენას ახდენს აზერბაიჯანული (ნიჯურსა და ვართაშნულზე დღემდე, ოქტომბრულზე—გადმოსახლებამდე). ძირითადი ლექსიკა უღურისა ან აზერბაიჯანულია, ანდა აზერბაიჯანულის გზით შემოსული—სპარსული, არაბული, ბოლო დროს—რუსული ლექსიკაც. აზერბაიჯანული ენის გავლენა მეტ-ნაკლებად ჩანს სიტყვაწარმოებაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში.

აღსანიშნავია აგრეთვე სომხური ენის გავლენაც. განსაკუთრებით ნიჯურზე. ეს გავლენა უმთავრესად სკოლის მეშვეობით ხორციელდებოდა, მაგრამ საკმარისად ძლიერი უნდა ყოფილიყო იგი ცოცხალი ურთიერთობის ნიადაგზედაც.

რაც შეეხება სოფ. ოქტომბრის უღურ მეტყველებას, მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს ქართული ენა (მისი კახური კილო), თუმცა ეს გავლენა ახალია და ამდენად ნაკლებ შესამჩნევი. ეს გავლენა უმთავრესად ახალგაზრდობის მეტყველებას ეტყობა.

უცხო ელემენტების გამოყოფის შემდეგ უღურში გვრჩება ისეთი ფენა, რომელიც აშკარად იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროს მიეკუთვნება. ამ ფენამ შეიძლება საყურადღებო ჩვენებები მოგვეცეს ამ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის თვალსაზრისით.

§ 3. უღური ენის დიალექტები

უღური ენა წარმოგვიდგენს ორს გარკვეულს დიალექტს: ერთია სოფ. ვართაშნისა და სოფ. ოქტომბრის მეტყველება—მას ჩვენ ვუწოდებთ ვართაშნულ კილოს, ხოლო მეორე—სოფ. ნიჯის მეტყველება—მას ვუწოდებთ ნიჯურ კილოს. უღური ენის მკვლევრები უმთავრესად ვართაშნულ კილოს აღწერდნენ, ნიჯური კილოს მონაცემებს მხოლოდ გაკვრით ეხებოდნენ. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ორივე კილოს მასალა: ენობრივი მოვლენები გათვალისწინებულია ორივე კილოს მონაცემების საფუძველზე. სრული სურათი ამ ორი კილოს ურთიერთობისა ნათელი გახდება უღური ენის სტრუქტურის მთლიანად განხილვის შემდეგ. ამჟამად კი მიზანშეწონილია, წინასწარ აღვნიშნოთ ამ კილოების ძირითადი დამახასიათებელი მოვლენები, რათა ზოგადად გასაგები გახდეს მათი ურთიერთობა⁹.

⁸ ა. ღირი, Грамм., წინასიტყვ., გვ. 2.

⁹ იხ. ჩენი: К вопр. о взаим. диалектов..., I და II.

თუ ამოსავლად მივიღებთ ვართაშნულს, მაშინ ნიჭური კილოსათვის თავისებური იქნება შემდეგი მოვლენები:

ფონეტიკაში:

1. ბგერით შედგენილობაში უფრო ხშირად გვხვდება ა და გ: ვართაშნულში შესატყვისად გვაქვს ა და უ:

ვართ. კაშა „თითი“, ნიჯ. კაშა
კოკოწუნ „ქათმისა“ კოკოწუნ.

2. ხმოვნები ო და უ, ე და ი უღურში ხშირად გადადის ერთმანეთში: ნიჭური უპირატესად ო, ე ფართო ხმოვნებს ხმარობს, ვართაშნული კი უ, ი ვიწრო ხმოვნებს:

ვართ. ჯულაბ „პასუხი“ ნიჯ. ჯოლაბ
იშყარ „ვაჟაკი“ ეშყარ.

3. ნიჭურს ეძნელება ხმოვნიანი როგორც ანლაუტი, ისე აუსლატი. ასეთ შემთხვევაში სიტყვის დასაწყისში ხმოვნის წინ დასტურდება ან ა, ხოლო სიტყვის ბოლოში ხმოვანს ერთვის ა:

ვართ. აყსუნ „აღება“, „ყიდვა“ ნიჯ. ჰაყსუნ
ემა „ამდენი“ ჰემა
ეყ „ხორცი“ მეყ
ტალა-მალა „იქით-აქეთ“ ტალა-მალა

4. მსგავსი პროცესი უნდა გვქონდეს აგრეთვე, როდესაც ორ ხმოვანს შორის ვითარდება ა:

ვართ. ნიკოლაენ „ნიკოლოზმა“ ნიჯ. ნიკოლა-ა-ენ
ხაა-ურუხ „ძაღლები“ ხაა-ა-ურხო

5. გარკვეულ შემთხვევებში ნიჭურში დასტურდება ვ უ ვართაშნულის ბ-ს შესაბამისად:

ვართ. ბაბა „მამა“ ნიჯ. ბავა
ჩუბუხ „ცოლი“ ჩუტუხ

6. ვართაშნულის ვ-ს ადგილს ზიგჯერ ნიჭურში იჭერს ჰ:

ვართ. ოსტავარ „მაგარი“, „მაგრად“ ნიჯ. ოსტაპარ
შავატ „კარგი“, „კარგად“ შაპატ.

7. უკანაენისმიერი კ, გ, ქ უმლაუტირებული ა-ს შემდგომ ნიჭურში სუსტდება და იძლევა ხ-ს:

ვართ. ქპლპ „ტყე“ ნიჯ. ქპლპა
 აგპრ „თუ“, „ც.ი.ი.“ აგპრ
 დლლპქ „დალაქი“ დლლპა

8. ზოგ შემთხვევაში ნიჯურში ჯ-ს შეესატყვისება უ || უ’:

ვართ. კოჯ „სახლი“ ნიჯ. კოე
 ჯეჯერ „ბაგეები“ უ’ეე’ერ

9. ფონეტიკურ პროცესთაგან აღსანიშნავია, რომ ნიჯურს უფრო ახასიათებს ხმოვანთა რედუქცია:

ვართ. ზუ. ქარზუხსა — „მე ვცხოვრობ“ ნიჯ. ზუ ქარგზხსა

10. ვართაშნულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასიმილაცია ნ და ლ თანხმონისა წინამავალ რ, ლ, დ, ტ, თ თანხმონებთან ნიჯურში არ დასტურდება:

ვართ. უნ ათკალ-ლუ — „შენ იტყვი“
 ვან ქარ-რან-ხსა — „თქვენ სცხოვრობთ“
 ნიჯ. პუნ ათკალ-ნუ — „შენ იტყვა“
 ვან ქარ-ნან-ხსა — „თქვენ სცხოვრობთ“.

მორფოლოგიაში:

1. ბრუნების პროცესი ორსავე კილოში ძირითადად ერთგვარია, ოღონდ თავსებულება შეინიშნება ცალკე სიტყვების ამა თუ იმ ტიპისათვის მიკუთვნების საკითხში;

2. ცალკე ბრუნვათა მიხედვით პირველ რიგში საყურადღებოა შემდეგი: ნიჯურში მიც. II-ის ფორმა (-ახ სუფიქსით) საზოგადოდ სუსტდება და იკარგება კადევაც. გარდა ნაცვალსახელებისა და ზოგიერთა სხვა შემთხვევისა ის აღარ დასტურდება: მის მაგივრად გამოყენებულია მიც. I.

ვართ. მე აშლახ (მიც. II) ატუქსა სა ხაჲენ — „ამ საქმეს ხედავს ძალი“

ნიჯ. მე აშლა (მიც. I) ანექსა ხაჲენ — „ამ საქმეს ხედავს ძალი“.

3. ნიჯურში დასტურდება მხოლოდ ერთი ფორმა (-ხუნ სუფიქსით) ვართაშნულის ორა ბრუნვის: დაშორებითისა (-ახო სუფიქსით) და თანაობითის (-ახოლ სუფიქსით) შესაბამისად:

ვართ. ზუ აჰყა ბაბახო (დაშორ.) ქპლზ — „მე მივიღე მამისაგან წერილი“

ზუ ბეზ ბაბახოლ (თან.) თაჰცი — „მე ჩემ მამასთან ერთად წავედი“

ნიჯ. ზუ პაჴყი ბავახუნ ქაღზ—„მე მივიღე მამისაგან წერილი“
ზუ ბეზ ბავახუნ თაჴცი—„მე ჩემ მამასთან ერთად წავედი“

4. მიმართულ. ბრუნვისათვის ნიჯურში დასტურდება -აჩ || -აჩ^რ
ფორმანტი შესატყვისად ვართაშნული -აჴ ფორმანტისა: ვართ. უსაჴ,
„ხარამდე“ ნიჯ. უს-აჩ.

5. ნიჯურში თავისებურ ფორმას იძლევა განკუთვნებითი. მასში
სრულად არის წარმოდგენილი -აჴნაჴ -ეჴნაჴ ფორმანტა ვართაშნული
-ენჴ/ჴ ფორმანტის შესატყვისად:

ვართ. ვ-ენჴ/ჴ „შენთვის“	ნიჯ. ვ-აჴნაჴ
იშყარ-ენჴ/ჴ „ვაჴყაცისათვის“	ეშყარ-აჴნაჴ

6. პრინციპული ხასიათის განსხვავება დასტურდება ფუძის აგებუ-
ლებს თვალსაზრისით ბრუნების პროცესში: ნიჯურში ფუძეში ზოგჯერ
ალარ გვხვდება ე. წ. ჩანართი -ნ:

ვართ. სახელ. ეჴ „კალო“	ნიჯ. რჴ
ერგ. ეჴ-ენ „კალომ“	რჴ-ენ
ნათ. ეჴ-ნ-აჴ „კალოსა“	რჴ-ინ
მიც. ეჴ-ნ-უ „კილოს“	რჴ-ა

7 სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში ნიჯური ორ თავისებურებას იჩენს: ა) ირიბ ბრუნვებში დასტურდება ფორმანტის „ხ“ და არა „ღ“:

ვართ. ღარ-მუღონ—„შვილებმა“ ნიჯ. ღარ-მუხონ—„შვილებმა“

ბ) ნიჯურში დასტურდება ტენდენცია, რომ მრავლ. რ. სახელობითი იწარმოებოდეს მ-ცემითი I-ის მსგავსად:

ვართ. სახელ. ეჴჴურუხ—„ცხენები“, მიც. I ეჴჴურლო—„ცხენებს“
ნიჯ. ბეზ ეჴჴურხო (სახელ.) ტიტუნტერი—„ჩემი ცხენები გაიჴც-
ნენ“ || ზუ ბეზ ეჴჴურხო (მიც. I) ბესგზბა—„მე ჩემი ცხენები და-
ვხოცე“.

8. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი ნიჯური გვიდასტურებს ერთ საყურად-
ღებო თავისებურებას: ჩვენებითი ნაცვალსახელის სახელობით ბრუნვა-
ში ზოგჯერ აღარა გვაჴქვს -ნე დეტერმინანტი:

ვართ. მონო მენო (*მენე-ო)—„ესე“	ნიჯ. მონ (მოო←*მე-ო)—„ესე“
შონო შენო (*შენე-ო)—„იგი“	შონ (შოო←*შე-ო)—„იგი“

9. რიცხვითი სახელები ნიჯურში—ოცდაათიდან მოყოლებული—
თავისებურად აწარმოებენ ათეულებს: გამოყენებულია აზერბაიჯანუ-
ლიდან ნასესხები სახელები:

ვართ. ვიწ	ნიჯ. ვიწ	—10
ყა	ყა	—20
საყოვიწ	ოთუზ	—30
პაყო	ყჯრხ	—40
პაყოვიწ	ვლი	—50
ხიბყო	ალთმიშ	—60
ხიბყოვიწ	ეთმიშ	—70
ბაყო	საქსან	—80
ბიპყოვიწ	დოხსან	—90
[სა]ბაჩ	[სა]ბაჩ	—100

10. ზმნაში ფონეტიკურ თავისებურებათა გარდა საყურადღებოა
3 პირის ნიშანი: ვართაშნულს -ნე და -ყუნ-ის შესატყვისად. ნიჯურშია
-ნე || -ე და -ტუნ:

ვართ. შონო ქარ-რე-ხსა (←ქარ-ნე-ხსა)—„ის ცხოვრობს“

შონორ ქარ-ყუნ-ხესა—„ისინი ცხოვრობენ“

ნიჯ. შოო ქარ-ე-ხსა—„ის ცხოვრობს“

შოროხ ქარ-ტუნ-ხსა—„ისინი ცხოვრობენ“.

11. ნიჯურში მოშლილია მიცემით-სუბიექტიანი ზმნების უღვლი-
ლების სისტემა: მის მაგივრად გავრცელებულია ერგატივ-სუბიექ-
ტიანი უღვლილების სისტემა: მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება გვხვდე-
ბა ერთ ზმნაში (ზახ-პუ←“ზახ-ბუ—„მე მაქვს“)

ვართ. ზა ყიოზაფსა— „მე მეშინია“ და ა. შ.

ვა ყიოვაფსა

შოტუ ყიოტუფსა

ჯა ყიოჯაფსა

ვაო ყიოვაოფსა

შოტრლო ყიოყოფსა

ნიჯ. ზუ ყიოზფსა

პუნ ყიონფსა

შოტინ ყიონფსა

ჯან ყიოჯანფსა

ვაან ყიონანფსა

შოტრლონ ყიოტუნფსა

12. ნათესაობით-სუბიექტიანი ზმნა ვართაშნულისა (ბუ—„ყოფნა“, „ქონება“) ნიჭურში იძლევა მიცემით-სუბიექტიანი ზმნის უღვლილებას (აქვე, § 64).

13. აწმყო-მყოფადის მიმღობისათვის ნიჭურში უფრო მეტადაა გავრცელებული -ა სუფიქსიანი ფორმები, თუმცა ასეთი ვართაშნულშიც დასტურდება:

ვართ. თ ა ლ ა ლ ა დამარ „წამსვლელი, მიმავალი ადამიანი“
ნიჯ. თ ა ლ ა ლ ა ა დამარ

14. აბსოლუტივის წარმოება -ხუნ აფიქსით ნიჭურში აღარ დასტურდება, მის მაგივრად ჩვეულებრივია -ტან სუფიქსით წარმოება (აქვე, § 81).

15. ლექსიკის მიხედვით ზოგ სიტყვას ნიჭურში ვხვდებით ფონეტიკურად სახეცვლილს, დასტურდება თავისებური ლექსიკაც. მაგალითად:

ვართ. ბაბა „მამა“	ნიჯ. ბავა
გოლო „ბერი“	გელე
ჰაგი „გვიან“	ჰაგი
ბუსუნ „სიყვარული“ [მიყვარს]	ჩურესუნ

ბუნებრივია ვაკითხოთ: რომელი კილო წარმოგვიდგენს განვითარების ძველ საფეხურს? ამ მხრივ, როგორც თავთავის ადგილას გაირკვევა, ზოგჯერ ვართაშნულში დასტურდება ძველი ვითარება, ზოგჯერ კი ნაჭურის მონაცემებია მეტი სიძველისა.

ფონეტიკა

ბგერითი შედგენილობა

§ 4. უღურ ენის ბგერითი შედგენილობა. უღურ ენაში დასტურდება იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელი ბგერითი სისტემა¹. ამასთან მას მოეპოვება ზოგი თავისებურებაც. უღურ ენას არ გააჩნია ლაბიალიზებული, ლატელარული, მეოთხე რიგის თანხმოვნები... იმავე დროს უღურში დასტურდება — უმლაუტიანი და მაგარ შემართვიანი ველარაზებული ხმოვნები, მაგარი თანხმოვნები (შიშინა სპირანტები და აფრიკატები).

ფონემატური შედგენილობის თვალსაზრისით ორივე კილო—ვართაშნული და ნიჯური—ერთგვაროვან სისტემას წარმოგვიდგენს.

უღური ენის ბგერითი შედგენილობა პირველად ჯერ კიდევ ა. შიფნერმა² გაარკვია. მან თითქმის სრულად გამოჰყო უღური ფონემები, ოღონდ ზოგიერთი ფონემა ვერ შენიშნა, ზოგიც სათანადოდ ვერ დაახასიათა, ზოგი ფონემის ბუნება კი მცდრად წარმოგვიდგანა. ა. ღირმა³ განიმეორა ა. შიფნერის მასალა, თავის მხრივ მცირე რამ დაუმატა, ზოგ შემთხვევაში კი გააღრმავა ა. შიფნერის შეცდომები. უღურის ბგერითი შედგენილობა სპეციალურად განიხილეს ნ. ტრუბეცკოიმ⁴ და კ. ბოულამ⁵, ოღონდ ბგერათა კვალიფიკაცია მათთანაც ზოგ შემთხვევაში არაა ზუსტი.

უღური ენის თანხმოვანთა სისტემა შეიძლება ზოგადად გავითვალის-

¹ იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის შესახებ საზოგადოდ იხ. გ. ახვლედიანი, *Вук. позн.*, გვ. 87 შმდ., გ. ახვლედიანი, *ზოგ. ფონეტ.*, გვ. 153 შმდ., ა. ღირი, *Einführ.*, გვ. 29 შმდ., ნ. ტრუბეცკოი, *Konsonantensyst.*, გვ. 1 შმდ.

² ა. შიფნერი, *Versuch*, § 2—5, გვ. 9—10.

³ ა. ღირი, *Грамм.*, გვ. 1.

⁴ ნ. ტრუბეცკოი, *Konsonantensystem*, გვ. 1 შმდ.

⁵ კ. ბოულა, *Beiträge*, გვ. 60 შმდ.

წინით შემდეგი ტაბულით⁶, ხმოვანთა კლასიფიკაცია კი წარმოდგენილია აქვე.

ფონემატური თვალსაზრისით ტაბულაში წარმოდგენილი ბგერები ტიპოლოგიურად იმეორებენ იბერიულ-კავკასიურ ფონემებს. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ გამოთქმის თვალსაზრისით უდური ბგერები ზოგ თავისებურებას იჩენენ. ასე მაგალითად, მკვეთრები: პ, ტ, კ, ყ სმენითი შთაბეჭდილების მიხედვით უდურში ნაკლებად მკვეთრები ა. ვიდრე, მაგალითად, ქართულ-ქართველურში⁷.

უდურში (ორსავე კალში) დასტურდება სულ 14 ძირითადი და ორიც ფაკულტატური ხმოვანი. ამას გარდა ნიჭურში თითქოს შეინიშნება ერთი თავისებური ხმოვანიც—ა (უმთავრესად ანლაუტში). ეს ხმოვნებია:

1. მარტივი ა, ე, ო, უ, ი

2. უმლაუტიანი ა, ო, უ

3. «მაგარშემართვიანი

ველარიზებულ-ფარინგალიზებულნი» აა, ეა, ოა. უა, ია

4. «ირაციონალური» ჯ

5. რთული: ოჟ, ეჟ

უდურის ხმოვანთა კლასიფიკაცია ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

	უა	უ
ჟ		
[ეა]		[ოჟ]
ე	ა	
ო		ო

[ა]

⁶ თანხმოვანთა კლასიფიკაცია ეყარება აკად. გ. ანელდიანის მიერ დადგენილ პრინციპებს (ЗВУК. ВОЗМ., გვ. 90). კვარატულ ფრჩხილებში მოთავსებულია ფაკულტატური ბგერები.

⁷ ეს გარემოება შეიძლება აიხსნებოდეს საზოგადოდ უცხო ენობრივი გავლენით (კერძოდ აზერბაიჯანულის გავლენით).

ხმოვანთა სისტემა უღურში

§ 5. მარტივი ხმოვნები. უღურში დასტურდება ხუთი ძირითადი მარტივი ხმოვანი: ა, ე, ო. უ, ი; ერთიც ა დამატებით ნიჭურისათვის. ეს ხმოვნები წარმოითქმინან ჩვეულებრივად (მაგალითად, ქართული ბგერების მსგავსად). თავისებურებას იჩენს ნიჭურში ა, რომელიც გვხვდება უმთავრესად ანლაუტში, ანდა შეესატყვისება ვართაშნულის აა-ს («მაგარშემართიან ველარინზებულ-ფარინგალიზებულს»). აქუსტიკურად იგი არის ღრმა ლარინგალური ანი (მსგავსად ინგლისური ბგერა კომპლექსში: are [a:(r)]).

მოვიყვანთ უღურ ხმოვანთა საილუსტრაციო მასალას:

- ე არ თ. ბაბა — „მამა“ ნ ი ჯ. ბავა
 ნანა — „დედა“ ნანა
 ამა || ამა — „მაგრამ“ ხა — „მატყლი“
- ე: ე არ თ. მე — „ეს“, შეტინ — „მან“, ხელ — „საპალნე“, ელელ — „ცხვარი“
 ნ ი ჯ. მე, შეტინ, ხელ, ელარინ — „სიცხე“
- ო: ე არ თ. გონ — „ფერი“, ლაშკა — „ქორწილი“. ხორაგ — „სანოვავე“,
 თოგ — „ფასი“
 ნ ი ჯ. ხოდ — „ხე“, ოღრი — „ქურდი“, შოო — „იგი“, კოყ — „სახლი“
- უ: ე არ თ. დუსუნ — „ცემა“, აბუზ — „ზედმეტი“, აახშუმ — „სიცილი“
 ნ ი ჯ. თუმ — „ძირი“, აღუ — „მწარე“, ზუ — „მე“, პუნ — „შინ“
- ი: ე არ თ. აფი — „ტყუილი“, ამწი — „ცარიელი“, აახილ — „შორეული“, „შორს“
 ნ ი ჯ. ქიკ — „ტოტი“, შრაგ — „ქერამი“, მიწიკ — „პატარა“, ვიჩი — „ძვა“

ა (ნიჭურში, ფაკულტატურად):

აპ — „ოფლი“, აპი — „მწიფე“, ამწი — „ცარიელი“, არ — „მსხალი“, არუხ — „ცეცხლი“.

შღრ. ვართ. აპ, აპი, ამწი, არ, არუხ...

ო და ე ხმოვანი რამდენადმე იჩენს თავისებურებას: მათი წარმოთქმა მერყეობს. ო ზოგჯერ იხრება უ-საკენ და ვლდებულობთ თითქოს ოუ დიფთონგისებურ ხმოვანს; ე კი იხრება ი-საკენ და აგრეთვე ვლდებულობთ ეა დიფთონგისებურ ხმოვანს.

§ 6. უმლაუტიანი ხმოვნები. უღურ ენაში დასტურდება სამი უმლაუტიანი ხმოვანი: ა, ი, უ. ეს ხმოვნები გვხვდება ყველა პოზიციისაში, ერთგვარად ვართაშნულსა და ნიჭურში. აღსანიშნავია ოლონდ: ა ნიჭურში უფრო ხშირად იხმარება (ზოგჯერ ვართაშნული ა-ს შესატყვისად), ი და უ ნიჭურში ზოგ შემთხვევაში ჰყარაგაჟს უმლაუტობას.

ა: ვართ. ქაღალცი — „ქაღალდი“, „წერილი“, ჩიგლამა — „გაცვეთილი“,
პრქაგ — „ხვადი“, გარამზინ — „სასაფლაო“, ქაგი — „გვიანი“,
„გვიან“

ბიჯ. ქაღაზ, ამაქა — „ხვალ“, აშ — „საქმე“, პრქაგ — „ხვადი“, დანა —
„მამიდა“, ქაგი — „გვიან“

გ: ვართ. რგუთ — „აღზრდა“, გრდამქ — „მოკლე“, გრდანა — „შიგნეუ-
ლი“, გრამიშ — „კამეჩი“, გრლო — „ბევრი“.

ბიჯ. რქ — „კალო“, ქრამურ — „ნახშირი“, ქრამა — „მორგვი“ (წის-
ქვილის, ურმის თვლის), რდ — „ნაღველი“, „დარი“, გრ — „ცა“

დ: ვართ. პრტუგ — „ჭერამი“, პამქუშ — ექიმი, ქარტუჩ — „აგური“, ქა-
ქულ — „ქორორი“, გუნდა — „გუნდა“, გურჯი — „ქართველი“.

ბიჯ. სუმბულ — „თავთავი“, კუვა — „ნელთბილი“, სუტურ — „ქვრი-
ვი“, უშე — „ლამით“, გურჯი — „ქართველი“.

უმლაუტიანი ხმოვნები ჩვეულებრივია ნასესხებ ლექსიკაში, საკუთარ
ლექსიკაში კი ნაკლებად გვხვდება. საკითხი ისმება: ხომ არაა უდღური-
სათვის ეს ხმოვნები მეორეული მოვლენა? საფიქრებელია, ეს ასე უნდა
იყოს. მაშინ თავისთავად ივარაუდება უცხო ენობრივი გარემოს გავ-
ლენა⁸.

უმლაუტიან ხმოვნებთან დაკავშირებით საყურადღებოა ორი გარე-
მოება: ა. უმლაუტი უდღურში არაა განსაზღვრული რაიმე ფაქტორით:
მოცემულია მზა ფონემები და ბგერათა ურთიერთმოქმედების საფუძველ-
ზე ახალი უმლაუტიანი ხმოვანი არ წარმოიქმნება (როგორც ეს დასტურ-
დება სეანურში⁹).

ბ. მეორე მხრივ საყურადღებოა უმლაუტიან ხმოვანთა გამარტი-
ვების პროცესი, რაც ზოგჯერ შეინაშნება ვართაშნულშიც, უფრო მეტად
კი ნიჯურში.

მაგალთად:

ვართ. გრლო — „ბევრი“, სუტინ — „პირველი“, პრტუგ — „ჭერამი“

ბიჯ. გელე, სიტინ, პრიგ...

§ 7. «მაგარშემართვანი ველარიზებულ-ფარინგალიზებული» ხმოვ-
ნები. «მაგარშემართვანი ველარიზებულ-ფარინგალიზებული» ხმოვნები
მეტ-ნაკლებად დასტურდება ვართაშნულშიცა და ნიჯურშიც. რამდენადაც
შესაძლებელია სმენითი დაკვირვების საფუძველზე მათი ზუსტი აღქმა,
მათი ფიზიოლოგიური და აკუსტიკური დახასიათება ამგვარად წარმოგვი-

⁸ ამ გარემოებაზე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ვ. შმიდტი.

⁹ ა. შანიძე, უმლაუტი, გვ. 171 შმდ.; ვ. თოფურია, უმლაუტისათვის,
გვ. 377 შმდ.

დგება: მარტივი ხმოვნის არტიკულაციაში ხდება ცვლილებები: ენა იწევს უკან (ხორხისკენ), პირის ღრუს წინა ნაწილი ვიწროვდება, ხახის არე ფართოვდება (თითქმის უფრო მრგვალდება), დაერთვის სახმო სიმების გაძლიერებული ვიბრაცია... ვიღებთ ერთ მთლიან ფონემას, რომელიც აკუსტიკურად მკვეთრად განირჩევა მარტივი ხმოვნებისაგან (ამ ხმოვანთა სპეციფიკის აღსანიშნავად ეხმარობთ ნიშანს ა):

მაგალითად:

- აა: ვართ. ააღაამ—„ბროწეული“, აახუმ—„სიცილა“, აამ—„მხარი“
ნიჯ. აახუნ გა—„ჭაობიანი ადგილი“, პაა—„ორი“, აახილ—
„შორი“, ააღაამ—„ბროწეული“
- ეე: ვართ. ეეჟ—„ცხენი“, ბეაღუნ—„ხედვა“. ბეაღულ—„ბარი“ (იარა-
ლი), ეეზი—„შეკერილი“
ნიჯ. ეეხტუნ—„აღება“, ეეჟ—„ცხენი“, ეეფტუნ—„კერვა“ (ეებ-
სუნ)
- ვართ. ბეაბიზ—„ხიდი“, ყეაბსუნ—„შინება“, აახილ—„შორეული“,
„შორს“, იეჟ—„თოვლი“.
- ნიჯ. ხოღინ ბეაღ—„ხის ღერო“, ბეაჰი—„მძიმე“, „ფეხმძიმე“,
იეშა—„ახლო“, იეჟ—„თოვლი“
- ოო: ვართ. ბეაჟ—„ტახი“, ოახალ—„ნადირობა“, ოაჟ—„უღელი“,
ნიჯ. ოახალ—„ნადირობა“, ოაჟ—„უღელი“, ოანეფსუნ—„ტარი-
ლი“, ოალ—„ხილის ნათალი“
- უუ: ვართ. უუაღ—„შვიდი“, უუაღ—„სხენი“, მუაღ—„რვა“
ნიჯ. უამუნ—„ყური“, უაღსუნ—„სმა“, უეშ—„შეშა“

ამ ხმოვანთა დადგენა უდურში და მათი კვალიფიკაცია ძნელი აღ-
მოჩნდა. ჯერ კიდევ ა. შიფნერმა მიუთითა (სხვათა ცნობებზე სა-
ფუძველზე), რომ მარტივ და უმლაუტიან ხმოვანთა გვერდით უდურში
გამოიყოფა რაღაც თავისებური ხმოვნები. იგი აღნიშნავდა: „გარდა უმ-
ლაუტიანის (getrübten) ა, ö, ü ხმოვანთა... მე იძულებული ვიყავი, გა-
მომეყენებინა კიდევ ნიშნები a o u იმ შემთხვევისათვის, სადაც ჩემთვის
ხელმისაწვდომი წყაროები ამ ხმოვნებას უფრო რბილ წარმოთქმას
ადასტურებენ“¹⁰.

ა. შიფნერს მოჰყავს მ. კოვალენსკის ცნობა და ამბობს:
„კოვალენსკის მიერ მოცემულ შენიშვნებში ამ უფრო რბილ ხმოვანთა
წარმოთქმის შესახებ მოიპოვება მითითება, რომ a წარმოთქმის თათქ-
მის როგორც a ფრანგულ la-ში, o როგორც eu heure სიტყვაში და u

¹⁰ ა. შიფნერი, Versuch, § 2, გვ. 9.

როგორც ა სიტყვაში *une*¹¹. აქ ორი შეცდომაა: ა. შეუძლებელია ამ ხმოვანთა რაიმე «სირბილის» შესახებ ლაპარაკი და ბ. კოვალენსკის მიერ ამ ხმოვანთა შეპირისპირება ფრანგულ ხმოვნებთან უსაფუძვლოა: მათ შორის არავითარი მსგავსება არაა. ამასთან ა. შიფნერი, როგორც ჩანს, მხოლოდ სამი ასეთი ხმოვნის არსებობას ვარაუდობდა.

ვარკვეული მოსაზრება არც ა. დირს წარმოუდგენია, პირაქით მისი მსჯელობა ერთგვარ უკან დახევასაც კი წარმოადგენს, სახელობრ, იგი ამბობს: „à, ò და ý-ს უქირავს საშუალო ადგილი—პირველს a-სა და ä-ს შორის, გორეს—o-სა და ö-ს შორის, მესამეს—y-სა და ý-ს შორის“¹². იქვე შენიშვნაში იგი უმატებს: „მე მეჩვენებოდა, რომ à, ò-სა და ý-ს (განსაკუთრებით ò-სა და ý-ს) თან სდევს ძალიან სუსტი ხორხის-მიერი ხმა“¹³. ეს უკანასკნელი მითითება სწორია, მაგრამ გამოყენებული არაა ამ ბგერათა კვალიფიკაციისათვის. ამდენად არაა ნათელი, თუ რას გულისხმობს ა. დირი „საშუალო“ a-სა და ö-ს, o-ს და ö-ს, u-სა და ü-ს შორის. ა. დირიც თითქოს იცნობს ამ ხმოვანთაგან მხოლოდ სამს. იგი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან უდურის ორ ფონემას: *oa*-სა და *ou*-ს. უკანასკნელს იგი ზოგჯერ ვარაუდობს *eo*-ს ადგილას (მაგალითად, ბგლენ—„ვენახო“, ДГр, Зг; უ. ი. ბეზლენი..).

1928 წელს გამოსულ შრომაში ა. დირი უდურის ბგერით სისტემას სპეციალურად არ განიხილავს, იქ მოცემულია კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის მხოლოდ ზოგადი დახასიათება¹⁴.

სხვა ავტორებს რომ თავი დაეანებოთ, უნდა მოვიხსენიოთ, რომ ტექსტების გამოცემასან ამ ხმოვანთაგან მარტო სამი იყო გამოვლენილი უდურ ზღაპარში («რუსტამი») ¹⁵, ხოლო „უდური ოთხთავის“¹⁶ ტექსტებში თითქოს უკვე წარმოდგენილია ხუთივე ხმოვანი (ალინიშნება წერტილით ასოს ზემოთ: à, ò, é, ý, si).

უდურ საანბანო წიგნშიც სრულადაა წარმოდგენილი ხუთივე ხმოვანი¹⁷. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში როლი ითამაშა საანბანო წიგნის ავტორთა პრაქტიკულმა ალლომ: ეს ავტორები განათლებული უდები არიან და მათთვის ადვილი იყო ამ ფონემების დადგენა და გამოყოფა დედა-ენაში.

¹¹ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 9.

¹² ა. დირი, Грамм., გვ. 1.

¹³ იქვე, გვ. 1 წმ.

¹⁴ ა. დირი, Einführ., გვ. 29 შმდ.

¹⁵ СГ. МОМПК, VI. 1888, გვ. 5.

¹⁶ იქვე, Вуп. XXX, 1900. თარგმანი ს. ბეჟანოვისა, გვ. 1.

¹⁷ Samçi das, 1934, გვ. 48—49.

სრულიად თავისებურ მოსაზრებას წარმოგვიდგენენ ნ. ტრუბეცკოი და კ. ბოულა ამ ხმოვანთა ბუნების გარკვევისას. სახელდობრ. პირველად ნ. ტრუბეცკოიმ წამოაყენა დებულება, რომ ამ შემთხვევაში საქმე შეეხება არა ხმოვანთა, არამედ თანხმოვანთა სპეციფიკას. ნ. ტრუბეცკოი (მის მიერ შემუშავებულ ფონოლოგიურ პრინციპთა საფუძველზე) ადგენს თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა კორელაციურ დაპირისპირებას, სხვათა შორის, „დამახასიათებელი ტონის“ მიხედვითაც და გამოჰყოფს «ემფატიკურად შერბილებულსა» და «შეურბილებელ» თანხმოვნებს. განსახილველ ხმოვანთა თავისებურება გამოწვეულია ამ «ემფატიკურად შერბილებული» თანხმოვნების გავლენითო. იგი ამბობს: „რაც შეეხება პირის ღრუს რეზონანსის დამოკიდებულებას, იგი ხდება აღმოსავლურ-კავკასიურ ენებში აქტიური ნათელი დამახასიათებელი ტონის თვალაზრისით არა ჩვეულებრივი პალატალიზაციით, ე. ი. ენის წინ გადაწევით, როგორც მსოფლიოს ბევრ ენაშია, არამედ ხორხის გადაწევით ზემოთ...“ ამ დროს წარმოქმნილი თანხმოვნები იღებენ არა მარტო უფრო ნათელ დამახასიათებელ ტონს (რადგანაც რეზონანსი დამოკლდა), არამედ აგრეთვე სპეციფიკურს უხეშსა და ხრინწოვან (heiser) ბგერას... ჩვენ აღვნიშნაეთ თანხმოვნითი „სინათლის“ ამ სახეობას, როგორც ემფატიკურ დარბილებას («emphatische Moullierung»). კერძოდ უდურის შესახებ კი იგი აღნიშნავს: „წინასწარ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ეჭვი გამოვთქვათ, რომ უდურმაც... იცის დამახასიათებელი ტონის დაპირისპირება (Eigentongegensatz) ემფატიკურად-დარბილებულსა და არადარბილებულს თანხმოვნებს შორის: დამწერლობანი, როგორცაა უდ. ორი—*pa* ა. ღირთან, უნდა *pa*-ს წარმოგვიდგენდნენ და ა. შიფნერის მიერ მოხსენებული „დარბილებული“ («*getrübte*»)»¹⁸ ხმოვნები, რომელნიც არ ეთანაბრებიან არც *a*, *o*, *u*-და არც *ä*, *ö*, *ü*-ს, უნდა წარმოგვიდგენდნენ თანხმოვანთა დარბილებისაგან წარმომობილ მეორეულ ხმოვანთა ნიუანსებს, რაც ლაკურშიც დასტურდება»¹⁹.

უდურის მიმართ ეს თვალსაზრისი უფრო დაბეჭითებით წარმოადგინა კ. ბოულამ. იგი ამბობს: „ახალი «საანბანო წიგნი» აღნიშნავს ემფატიკურად დარბილებულ თანხმოვნებს, როგორც ეს ახლა ჩინურსა და ინგუშურ ტექსტებში ხდება, ლარინგალურობის ნიშნით, რასაც ჩვენ უნიშნით გადმოვცემთ. აბსოლუტურ ანლაუტში უ არ გვხვდება... ემფატიკურად დარბილებული თანხმოვნები გვხვდება ყველა ხმოვნის წინ, გარ-

¹⁸ უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ტრუბეცკოის სწორად არ ესმის ა. შიფნერის ეს ტერმინი (*getrübte*). ა. შიფნერი ამ ტერმინით აღნიშნავს უმლაუტიან *ä*, *ö*, *ü* ხმოვნებს და არა «მაგარშეპართვიანს»: იხ. აქვე, გვ. 19.

¹⁹ ნ. ტრუბეცკოი. Konsonantsystem, გვ. 50.

და ი-სა და ჯ(y)-სა, რითაც ამ ნიშნით ტრანსკრიბირებული რუსული ხმოვანი იგულისხმება²⁰.

ჩვენ არ ვეხებით ემფატიკური დარბილების საკითხს კავკასიურ ენებში, უღურის მიმართ კი წარმოდგენილი შეხედულება არ შეეფერება სინამდვილეს. სახელდობრ ვფიქრობთ, რომ თანხმოვანთა დაპირისპირება წარმოდგენილი პრინციპის მიხედვით («emphatisch-mcuillierte» და «nicht-mouillierte») უღურში არ დასტურდება. თავისებური აკუსტიკური ეფექტის მიზეზია «მაგარშემართვიანი ველარიზებული-ფარინგალიზებული» ხმოვნები. ამასთან დაკავშირებით უნდა გასწორდეს კერძო შეცდომებიც. კ. ბოუდა საანბანო წიგნის II ნიშანს შეცდომით მიაწერს თანხმოვანს, ნამდვილად იგი ხმოვნის კუთვნილებაა. არაა მართალი, ვითომც ეს მაგარშემართვიანი ხმოვნები ანლაუტში არ გვხვდებოდეს: ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ამის ნიმუშები საკმაოდ დასტურდება (იხ. აქვე, გვ. 19). სინამდვილეს არ გამოხატავს აგრეთვე დებულება, რომ «ემფატიკურად დარბილებული თანხმოვნები» (ავტორის თვალსაზრისით) არ გვხვდება ი-ს წინ. საქმე ისაა, რომ კ. ბოუდა, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან ვერ არჩევს უღურში სამ ხმოვანს ი-ს, ჯ-ს და ია-ს. უკანასკნელი (ია) არის მაგარშემართვიანი ხმოვანი მარტივი ი-ს შესაბამისად (ია-სა და სხვათა ტიპისა) და «ემფატიკურად დარბილებული» თანხმოვანი, ცხადია, ი-სთანაც იქნებობა, საზოგადოდ რომ სწორი იყოს ეს მოსაზრება.

§ 8. ჯ ხმოვანი. ჯ ხმოვანი დასტურდება უღურის ორსავე კილოში. იგი ჩვეულებრივ გვხვდება ნასესხებ სიტყვებში (აზერბაიჯანულიდან და სხვა ენათაგან), თუმცა საკუთარ მასალაშიც დასტურდება (კერძოდ მორფოლოგიურ ელემენტებშიც).

მაგალითად:

ვართ. ყზღლ—„ოქრო“, ყგრყწუნ—„წებოვანი“, ყვწ—„ქსოვილი“, ჰაყლ—„ქქუა“, „გონება“, ქაღზ—„ქალაღი“;

ნიჯ. აჯზ—„უვარგისი“ (კაცი), ავზ—„ზედმეტი“; ყარაყლჩღ—„ყვითელი“. სგრღ—„ნაკერი“. კგრწალ—„ჩხიკვი“.

აღსანიშნავია, რომ ჯ ხმოვანი უფრო გავრცელებულია ნიჯურში, ვიდრე ვართაშნულში. ხშირად ნიჯურის ჯ ხმოვანი შეესატყვისება ვართაშნულის სრულ ხმოვანს (ჟ, ი-ს და სხვას). ჯ ნიჯურში ასეთ შემთხვევაში მიღებული უნდა იყოს რედუქციის ნიადაგზე.

მაგალითად:

ვართ. ალუნ—„ზემო“, კოკოწუნ—„ქათმისა“, ეზბესუნ—„ხენა“.

ნიჯ. ალჯ, კოკოწჯ, ეზბესუნ...

²⁰ კ. ბოუდა, Beiträge, გვ. 61.

რაც შეეხება გ-ს ბუნებას, იგი წარმოადგენს ჩვეულებრივს ირაციონალურ ანუ ნეიტრალურ ბგერას, მისი ფონეტიკური დახასიათება საერთოდ ცნობილია²¹.

§ 9. რთული (დიფტონგისებრი) ხმოვნები. უღურში დასტურდება ორი თითქოს რთული შედგენილობის ხმოვანი, ესენია: „ოუ“ და „ეჲ“. „ოუ“ წარმოადგენს საშუალ ბგერას ო-სა და უ-ს შორის, ხოლო „ეჲ“ ასეთსავე ბგერას ე-სა და ი-ს შუა: „ოუ“-ს წარმოთქმისას დასაწყისში გვექმის ო, ხოლო დასასრულში უ, „ეჲ“-ს წარმოთქმისას კი შესაბამისად ე და ი.

ამ ფონემებს თანამედროვე უღურში თითქოს აღარ აქვთ მკვიდრი საარტიკულაციო ბაზისი, უფრო უნდა წარმოადგენდნენ ძველი ვითარების ნაშთს. საფიქრებელია, რომ ოდესღაც უღურს არ უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელი ო და ე ფონემა. წარმოდგენილი რთული ხმოვნები ამ პერიოდისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ორი გარემოება:

ა. თანამედროვე უღურში არის შემთხვევები ო და უ და ე და ი ხმოვნის მონაცვლეობისა ერთისა და იმავე კლოს ფარგლებში (აქვე, გვ. 24).

ბ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კილოებს შორის ამ ხმოვნების განაწილება ზოგ შემთხვევაში: ნიჭურს ახასიათებს უფრო ფართო ო, ე ხმოვნები, ვართაშულს კი—ვიწრო: უ, ი.²²

მაგალითად:

ვართ. ჯულაბ—„პასუხი“, კუა (მიც. I)—„სახლს“, ილარუხ—„სიცხე“, იშყარ—„ვაჟაკი“.

ნიჯ. ჯოლაბ—„პასუხი“, კოჲა, ელარუხ, ეშყარ...

ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელი იქნება, თუ დავუშვებთ, რომ საქმე გვაქვს ოუ და ეჲ რთული ხმოვნების დიფერენციაციასთან უღურის კილოების მიხედვით... ანალოგიური ფონემები და პროცესიც დასტურდება სხვა ენებშიც²³.

²¹ გ. ახვლედიანი, ზოგ. ფონ.. გვ. 158—9: „შეცდომით ზოგნი მას ნახევარხმოვანს ეძახიან. ნამდვილად გ ხმოვანი სისრულით კი არ განსხვავდება სხვა ხმოვნებისაგან. არამედ არტიკულაციის სისუსტით, ენისა და ტუჩების არააქტიური მოქმედებით: მისი წარმოთქმის დროს ენა არც წინ იწვეს და არც უკან, აგრეთვე ტუჩები ღია, ინდიფერენტულ მდგომარეობაშია. პირის ღრუსა და ტუჩების მოყვანილობით მისი არტიკულაცია დამოკიდებულია მეზობელ ბგერათაგან. ამიტომ მართებულია, რომ მას ირაციონალურ ანუ გაურკვეველ ხმოვანს ეძახიან“.

²² თუმცა ეს წესი ზოგჯერ ირღვევა.

²³ მაგალითად, ჩაჩნურში: პ. უ ს ლ ა რ ი, Чечен. яз., გვ. 4.

რაც შეეხება ამ ბგერათა გამოყენებას, მათ შევხვდებით ფაკულტატურად სიტყვებში იქ, სადაც ჩვეულებრივ გვაქვს ერთი მხრივ ო ან უ და მეორე მხრივ ე ან ი. ნათლად შეინიშნებოდა რთული ბგერების არსებობა ზოგიერთი მთქმელის მეტყველებაში. ტექსტებში გვხვდება პარალელური ფორმები.

მაგალითად:

ვართ. ალახო || ალახოუ || ალახუ — „ზემოთგან“, ჩო = ჩოუ || ჩუ — „მხარე“, „სახე“, ბანეჟო || ბანეჟოუ || ბანეჟუ — „იქნება“, „შეიძლება“²⁴.

ტექსტში ვარჩიეთ მარტივად გადმოგვეცა ისინი: სახელდობრ, იმ ბგერას ვაძლევთ უპირატესობას, რომელიც უფრო გარკვევით ისმოდა ტექსტების ჩაწერისას (ამის გამო ზოგჯერ გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის ორგვარი დაწერილობა).

§ 10. გრძელ ხმოვანთა საკითხისათვის. პირველადი გრძელი ხმოვნები უდურ ენას არ ახასიათებს. ოღონდ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ხმოვნის სიგრძე მივიღოთ პოზიციურად ორი ხმოვნის შერწყმით. ეს პროცესი თანაბრად არის წარმოდგენილი ორსავე კილოში.

მაგალითად:

ვართ. სა+ო→სოო→სო—„ერთი“, ქალა+ო→ქალო-ო→ქალო—„დიდი“, მა+ა→მა?—„სად?“, სა+ალ→სალ—„ერთი“.

ნიჯ. შე+ო→შო—„იგი“, მა+ა→მა?—„სად?“.

ჩვეულებრივ კი ორი ხმოვნის ერთად თავის მოყრისას ან ეს ხმოვნები დამოუკიდებელი არტიკულაციით წარმოითქმის, ან ხმოვანი იკვეცება, ანდა მათ შორის ვითარდება ა ხმოვანთა გასაყარი.

§ 11. დიფტონგი. უდურნი ჩვეულებრივად დასტურდება შემდეგი სახის აღმავალი და დამავალი დიფტონგები: ა. აა, აბ, აე, აო, აუ, აი...ჟა... ბ. აბ, აბ, ებ, ობ, უბ, იბ.

აღმავალი დიფტონგები: აა, აე, აო, აუ ხშირია უფრო ნასესხებ სიტყვებში, თუმცა საკუთარ ლექსიკაშიც გვხვდება.

მაგალითად:

ვართ. ნიჯ. აან—„ჩვენ“, ააყ—„გზა“, აეთიმ—„ობოლი“, აოლ-დაშ—„ამხანაგი“, აუმბურუხ—„მუჭი“.

დამავალი დიფტონგები: აბ, ებ, ობ, უბ უმთავრესად ვითარდება მორფოლოგიურ ელემენტებთან დაკავშირებით: სახელდობრ, თუ ფორ-

²⁴ ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. ამ ბგერათა სრული კვალიფიკაცია მოითხოვს დამატებითს კვლევას.

მანტის • მიერთების ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეს, იგი სუსტდება და ქმნის დიფტონგს.

მაგალითად:

ნათეს. *უს-ნ-აი→უსნ-აჲ— „ხარისა“, *ხენ-ეი→ხენ-ეჲ— „წყლისა“, მრავლ. *ლარმულოი→ლარმულ-ოჲ— „შვილებისა“...

ნატერ.-პირ. II. *ცამკალწუ-ი→ცამკალწუჲ— „დავწერდი“, *ცამკალწუ-ი→ცამკალლუჲ— „დასწერდი“, *ცამკალწე-ი→ცამკალლუჲ— „დაწერდა“ და ა. შ.

რასაკვირველია, დამავალი დიფტონგი გვხვდება სხვა შემთხვევაშიც.

მაგალითად:

ვართ. ჯაჲ— „ლია“, ლაჲსუნ— „ასვლა“, თაჲსუნ— „წასვლა“, ეუჲ— „ცხრა“, ბუჲ— „სავეს“...

ნიჯ. ლაჲსუნ— „ასვლა“, ნჲჲნიჲ— „გუშინ“, ჲათ— „სიტყვა“, გჲრჲჲ— „უნდა“, ყეჲრი— „სხვა“, ბაჲქიჲწუჲ— „ეიყავ“ და ა. შ.

დიფტონგიზაციის განსაკუთრებული პროცესი დასტურდება ნიჯურში: აქ ხმოვანთან ვითარდება ჯ როგორც სიტყვის დასაწყისში, ისე ბოლოში, აგრეთვე ორ ხმოვანს შორისაც (ამ თვისებით ის კილოურად უპირისპირდება ვართაშნულს: აქვე, გვ. 8 შმდ.).

მაგალითად:

ვართ. ეყ— „ხორცი“, ტლა-მალა— „იქით-აქეთ“, ხაჲ-ენ (ერგ.)— „ძალმა“.

ნიჯ. ჲეყ, ტლაჲ-მალაჲ, ხაჲ-ჲ-ენ...

საყურადღებოა აგრეთვე იმ დიფტონგი, რომელიც უმთავრესად გვხვდება ნიჯურში.

მაგალითად:

ნიჯ. პირ.-ნატერ. II: ცამკალჲანიჲ— „დავწერდი“...

რაც შეეხება ჭ-ბგერით შედგენილ დიფტონგს, ის უპირატესად გვხვდება ორი ხმოვნის შეხვედრისას, როდესაც მათ შორის ჩაისმის ხმოვანთგასაყარი.

მაგალითად:

ვართ. შონოჲალ— „ისიც“, მიც. I. კუჲა— „სახლს“.

ნიჯ. სოლოჲალ— „ერთიც“, ყაო-ჲ-ალ— „ოცივე“...

§ 12. ჩვეულებრივ თანხმოვანთა სისტემა. უღურში, როგორც ზე-
ვითაც აღვნიშნეთ, არაა ლატერალები, ლაბიალიზებული თან-
ხმოვნები, ამასთან უკანაენისმიერი და ხორხისმიერი თან-
ხმოვნები შედარებით მცირე ვარიანტებს წარმოგიდგენენ.

ზემოთ მოყვანილ ტაბულაში (აქვე, გვ. 16) წარმოდგენილ თან-
ხმოვანთაგან უმრავლესობა არსებითად იმავე რიგისაა, როგორც იბერი-
ულ-კავკასიური თანხმოვნებია: მათი თვისებებები ცნობილია²⁵. მო-
ვიყვანთ საილუსტრაციო მასალას.

I. ხ შ უ ლ მ ს კ დ ო მ ნ ი:

1. ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი:

- ბ. ვართ. ბაბა—„მამა“, ბეზღ—„მზე“, ბულ—„თავი“.
ნიჯ. ბავა—„მამა“, ბეზღ—„მზე“, ბულ—„თავი“.
- პ. ვართ. პი—„სისხლი“, ტუზბ—„ბოლოკი“, ტაპან—„გობი“.
ნიჯ. პაზ—„ორი“, პურუმ—„კვლავ“.
- ფ. ვართ. ფაქქალ/ხ—„მეფე“, ფაქ—„ბალი“.
ნიჯ. ფაჟ—„წილი“, ფაყლა—„ლობიო“.
- მ. ვართ. მაწი—„თეთრი“, მანდაკ/ქ—„დაღლილი“, მარხალ—
„ზევი“, „მეწყერი“.
ნიჯ. მიხჭბ—„პალო“, მიხ—„ნამგალი“, მარხალ—„ზევი“,
„მეწყერი“...

2. წ ი ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი:

- ღ. ვართ. ღბღბ—„მამიდა“, ღბს—„გაკვეთილი“, ღბჟ—„ნელი“.
ნიჯ. ღმირჩი—„მჭედელი“, ღბღბ—„მამიდა“, ღიზიკ—„გვე-
ლი“.
- ტ. ვართ. ტატ—„ბუზი“, ტამარ—„ძარღვი“, ტე—„ის“.
ნიჯ. ტისტუნ—„გაქცევა“, ტური—„ძაფი“, ტულ—„ყურძენი“.
- თ. ვართ. თამამ—„სრული“, თაგ—„შტო“, თამიზ—„წმინდა“,
„სუფთა“.
ნიჯ. თანგბ—„ფული“, თაქ—„ცალი“, თოჟ—„ფასი“.

²⁵ გ. ახვლედიანი, ზოგად. ფონეტ., გვ. 153 შმდ.; გ. ახვლედიანი, Звук. возм., გვ. 87 შმდ.; ნ. ტრუბეცკოი, Konsonantsystem, გვ. 4. შმდ. ა. დირი, Einführ., გვ. 29 შმდ.

- ნ: ვართ. ნეჯ—„ბზე“, ნეთ—„წარბი“, ნეპ—„ძილი“.
 ნიჯ. ნეპ—„ძილი“, ინ—„რწყილი“, „მერან“—„ეშვი“.
- რ: ვართ. ზორ—„ძალა“, ტამარ—„ძარღვი“ (სისხლისა), ზერევე-
 კესუნ—„მორთვა“, „გალამაზება“.
 ნიჯ. თორ—„ბადე“, ღარბ—„ველი“, ამდარ—„ადამიანი“.
- ლ: ვართ. ლაფ—„სრულად“, „სრული“, ლარი—„მსგავსი“, ლალ—
 „მუნჯი“.
 ნიჯ. ლახსუნ—„დადება“, ლასტუნ—„წასმა“, ლაზმ—„სა-
 ჭირო“.

3. უკანაენისმიერი თანხმოვნები:

- კ: ვართ. კაჭა—„ძნა“, კატ—„წვეთი“, კიწი—„ცოტა“.
 ნიჯ. კოყ—„სახლი“, კულ—„მიწა“, ბოკუნ—„ხანძარი“.
- გ: ვართ. გონ—„ფერი“, გოგინ—„მწვანე“ || „ლურჯი“, გირბე-
 სუნ—„შეგროვება“.
 ნიჯ. გარღნ—„კისერი“, „ხარის ქელი“, რგვ—„სერელი“,
 გუმან—„იმელი“.
- ქ: ვართ. ქიზ—„ნაბადი“, „ქეჩა“, ქა || ქანო—„ეგე“, ქარხესუნ—
 „ცხოვრება“.
 ნიჯ. ქაშფსუნ—„კბენა“, ყაანაქო—„სიდედრი“, შრქნა—„მამა-
 ლი“ (ცხენი).

4. ფარინგალური თანხმოვნები:

- ყ: ვართ. ყათირ—„ჯორი“, ყარი—„ხმელი“, „მშრალი“, ყა || ყო—
 „ოცი“.
 ნიჯ. ყოყ—„ყელი“, ბალანყოფ—„მაყვალი“, უყყენ—„ძვალი“.
- ჭ: ვართ. ჭი || ჭიო—„ნახევარი“, ჭოჭლა—„კვერცხი“, ჭოშ—
 „უკან“, ჭო—„ხუთი“.
 ნიჯ. ჭაფ—„ღია“, ჭი—„ნახევარი“, ჭოშ—„უკან“, მეჭ—„ჭია-
 ყელა“.

5. აფრიკატები:

- წ: ვართ. წაბულ—„წაბლი“, წავდესუნ—„ბრწყინვა“, წი—„სა-
 ხელი“.
 ნიჯ. ამწი—„ცარიელი“, წილ—„ნაკვერჩხალი“, წალსტუნ—
 „ბრწყინვა“.
- ძ: ვართ. ღანძლ—(მცენარეა), ძეტ—„ზეთი“

- ც: ვართ. ცაც—„ეკალი“, ციციკ—„ყვავილი“, ცილ—„თესლი“.
ნიჯ. სარეცი—„დამტერეული“, ცამფი—„დახატული“, „ფერად-
ფერადი“, ციციკ—„ყვავილი“.
- ქ: ვართ. ჰა—„თოკი“, ჰაკ—„ელვა“, „მეხი“, ჰაპ—„ვაზი“: ჰაპ-
ლულ—„ვენახი“.
ნიჯ. ყაქ—„ვიწრო“, ექ—„კალო“, შაქპ—„ხვალ“, „დილით“.
- ჩ: ვართ. ჭუფსუნ—„ხტომა“, ჭეჭერ—„ბაგე“, ჭინ—„ავი სული“.
ნიჯ. ჭანავარ—„მგელი“.
- ჩი: ვართ. ჩახ—„ცივი“, ჩალი—„თევზი“, ჩოვალ—„ბელურა“.
ნიჯ. ჩარკსუნ—„გათავება“, ჩოვალ—„ბელურა“, ჩრლ—„მინ-
დორი“, „სახნავი“.

II. სპირანტები:

1. ბაგისმიერი:

- ვ: ვართ. ველ—„თხა“, ვუალ—„შვიდი“, ვიჩი—„ძმა“.
ნიჯ. ვი—„შენი“, ვიწ—„ათი“, ვიჩი—„ძმა“.
- ძ: ვართ. ძიქირ—„ფიქრი“, ფითფესუნ—„სტენა“, ფი—„ლვინო“.
ნიჯ. ფაოლდესუნ—„ფრიალი“, „ქნევა“, ფი—„ლვინო“, ფუფ-
სუნ—„სულის შებერვა“.
- ჭ: ვართ. შონო-ჭ-ალ—„ისიც“.
ნიჯ. ყაო-ჭ-ალ—„ოცივე“.

2. წინაენისმიერი:

- ს: ვართ. სა || სო—„ერთი“, სპს—„ხმა“, სერი—„ნამდვილი“.
ნიჯ. სუუქ—„მსუბუქი“, სა || სო—„ერთი“, საამი—„ტაბიკი“.
- ზ: ვართ. ზიზამ—„ფიქვი“, ზინდამ—„გრდემლი“, ზოყალ—
„შინდი“.
ნიჯ. ზუ—„მე“, ყაზ—„ბატი“, ყუზი—„ბატკანი“.
- შ: ვართ. ხაშ—„ნათელი“, „მთვარე“, „თვე“, შაპარ—„ქალაქი“,
შონო—„ის“.
ნიჯ. ბაშყსუნ—„მოპარვა“, შო || შოო—„იგი“, ანშუმ—„სი-
ცილი“.
- ჟ: ვართ. ფიჟ—„ნემსი“ (?), ჟალდესუნ—„ადუღება“.
ნიჯ. კოქ—„სახლი“, ჟეყ—„ნაცარი“.

3. შუაენისმიერი:

- გ: ვართ. გაყ—„გზა“, გემიშ—„ნესვი“, გალ—„ჯაგარი“, „ფა-
ფარი“.
ნიჯ. გუმბურულ/ხ—„მუშტი“, გაყ—„გზა“, გან—„ჩვენ“.

4. უკანაენისმიერნი:

- ბ: ვართ. ხაზ — „ძალი“, ხა — „მატყლი“, ხე — „წყალი“.
ნიჯ. ახერ — „ბოლო“, „დასასრული“, ხორაზ — „ხორავი“, ხამფსუნ — „გაპარსვა“.
- ღ: ვართ. ღი — „ღღე“, ღუფ — „მსხვილი“, ღუსმე/ი — „ყველი“.
ნიჯ. ეღელ — „ცხვარი“, ოღრი — „ქურდი“, უღ — „სხვენი“.

5. ხორხისმიერი:

- ჰ: ვართ. ჰაყ — „მემოსავალი“, ჰეფან — „ცხოველი“, ჰასო — „ღრუბელი“.
ნიჯ. ჰუნ — „ზენი“, ჰაესტუნ — „ადგომა“, ჰაყსუნ — „აღება“, „უიღვა“.

[γ]: ნიჯ. ბეყენ — „ენახოთ“: შღრ. ვართ. ბეღენ...

§ 13. «მაგარი» თანხმოვნები. უღურის თანხმოვანთა სისტემაში დასტურდება ე. წ. «მაგარი» თანხმოვნები. სახელდობრ, ჩვეულებრივ შიშინა აფრიკატებსა და შიშინა წინაენისმიერ სპირანტებს მოეპოვება ვარიანტები: კ, ჯ, ჩ, შ, ჟ. უღურში ერთმანეთს უპირისპირდება საშუალო ტიპისა და «მაგარი» თანხმოვნები (არა გვაქვს რბილი²⁶). საშუალო თანხმოვანთა წარმოების დახასიათება საერთოდ ცნობილია²⁷. რაც შეეხება «მაგარ» თანხმოვნებს, ჩვენი დაკვირვებით მათ ახასიათებს შემდეგი: ნუნასთან ხშვას ან ნაპრალს ჰქმნის არა ენის წვერი, არამედ ენის წვერი და შუა ენის ნაწილი, თანაც არტიკულაცია ფართოვდება უკან მაგარ სასაზეც (ენა დაკეცილია, წვერი დაწეული — ზურგი აწეული). ამასთან, როგორც შენიშნავს აკად. გ. ახვლედიანი: „უნდა ხაზი გაესვას ორგანოთა ძლიერ დაძაბულობას «მაგარ» (თანხმოვანთა) წარმოებისას“²⁸.

«მაგარი» თანხმოვნებზე თანაბრად ახასიათებს უღურის ორივე კილოს. აღსანიშნავია ოღონდ გამარტივების საერთო ტენდენცია: «მაგარი» თანხმოვანი ხშირად გვაძლევს «საშუაღს» (ე. ი. ჩვეულებრივ აფრიკატს ან შიშინა სპირანტს). «მაგარი» თანხმოვნები დასტურდება სიტყვებში:

ჰ: ვართ. ოჰი — „ტალახი“, ჰოჰა — „წითელი“, უჰ — „თაფლი“.

ნიჯ. ოჰი — „ტალახი“, უჰ — „თაფლი“, ჰოჰა — „წითელი“.
ჯ: ვართ. ოჯილ — „კული“, ყოჯა — „მოხუცი“,

²⁶ გ. ახვლედიანი, *ზვუკ. ვოკალ.*, გვ. 87.

²⁷ გ. ახვლედიანი, *ფონეტ.*, გვ. 50 და შგლ.

²⁸ გ. ახვლედიანი, *ზვუკ. ვოკალ.*, გვ. 88.

ჩ: ვართ. ოჩალ—„მიწა“, ჩო—„სახე“, „მხარე“, ლაჩ-ფესუნ—
„შეკერა“.

ნიჯ. ოჩალ—„მიწა“, აჩესბესუნ—„დაკარგვა“, ჩო—„სახე“,
„მხარე“.

შ: ვართ. იშა—„ახლოს“, შუჟე—„დათვი“, შულ—„მელა“.

ნიჯ. იშა—„ახლოს“, ქაშფსუნ—„ამოთხრა“, „ჩაფელა“, გაშ-
ფსუნ—„კბენა“.

ქ: ვართ. ქე—„ქვა“, ქოლულ.—„ზაფხული“, ქუქი—„თითის-
ტარი“.

ნიჯ. ყოქა (ვართ. ყოჯა)—„მოხუცი“, ოქილ—„კუდი“, ქო-
ლულ—„ზაფხული“.

თავისებური ვითარება გვაქვს ჯ-ს შემთხვევაში. ჯ ფონემა უდურ-
ში გვხვდება საერთოდ ნასესხებ ლექსიკაში. მისი ვარიანტი ჯ ვართა-
შნულში დასტურდება, ნიჯურში კი ჯ || ჯ'-ს ენაცვლება შ || ქ'. იშ-
ვითად ნიჯურშიც შეიძლება შეგვხვდეს ჯ, ჯ' კი არა.

§ 14. ნახევრად-აბრუპტივთა («მეოთხე რიგის» ხშულთა) საკითხი-
სათვის უდურში. როგორც ცნობილია, მთელ რიგ იბერ.-კავკასიურ ენაში
(მაგალითად, ლეზგიურში) დადასტურებულია ხშულთა ოთხეულბრივი
სისტემა. ამ სისტემას ჰქმნის მეოთხე რიგის ხშული თანხმოვნები, რო-
მელთაც გარკვეული ფონემატური ღირებულება აქვთ აღნიშნულ ენებ-
ში²⁹. იმავე დროს ზოგ იბერ.-კავკასიურ ენაში (მაგალითად, ჩაჩნურში...) მეოთხე რიგის ხშული თანხმოვნები არ დასტურდება. საყურადღე-
ბოა საკითხი: პირველადია ეს მეოთხე რიგის ხშული თანხმოვნები და
მერმე დაიკარგა, თუ ძველად არ გვექონდა და მერმე განვითარებულა? ამ-
დენად საყურადღებოა და მიზანშეწონილი უდური ენაც იყოს განხილუ-
ლი. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ უდური არახელსაყრელ პირობებშია
ამ მხრივ: იგი მოქცეულია სხვა ენათა ინტენსიური გავლენის სფეროში
და საკუთარი ლექსიკა, რომლის ჩვენებასაც ამ შემთხვევაში უნდა და-
ვემყაროთ, მას მცირედ შერჩენია. ამდენად აქ შეიძლება წარმოვადგინოთ
მხოლოდ ზოგი შენიშვნა წინასწარი ხასიათისა.

მეოთხე რიგის ხშული თანხმოვნები—როგორც დამოუკიდებელი
ფონემები—უდურ ენაში არ დასტურდება. მაგრამ ფონეტიკურ გარემოში,
ბგერათა გარკვეული კომბინაციით, რამდენადაც ამის აღქმა შეიძლება
შეუიძარაღებელი სმენით, შეიძლება ამგვარი ბგერები გამოვყოთ. პირველ
რიგში საყურადღებოა ამ მხრით ყ და ჯ-ს ურთიერთობა უდურში. ჩვე-
ნი სმენითი აღქმით—გარკვეულ შემთხვევებში უდურში გვაქვს ყ-ს გვერ-

²⁹ რ. შორი, О «геминатах», გვ. 135 შმდ.

დით თავისებური ყ რ ბგერაც, რომელიც საშუალებას წარმოადგენს ყ-ს და ჯ-ს შორის. ყ-ს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ ჯ და ყ ენაცვლება ერთმანეთს გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, გვხვდება პარალელური ფორმები (დადასტურებული ლიტერატურაში და ცოცხალ გამოთქმაშიც). მაგალითად:

ფაყლა || ფაჯლა || ფაყლა — „ლობო“,
ბურარეჟსა || ბურარეჟსა || ბურარეჟსა — „იწყებს“...

მაგრამ შეინიშნება, რომ ასეთ კონტექსტში უფრო უნდა გვეჩვენდეს საშუალებები ბგერა ყ, რომლის აღქმა შესაძლებელი ხდება მასზე ყურადღების გამახვილების შემდეგ. უფრო ნათლად ჩანს ეს ბგერა (ყ) ნიჭურ კილოში, სადაც იგი ხმოვნის წინაე შეიძლება ისმოდეს (განსაკუთრებით ანლაუტში).

ეს ყ ბგერა უნდა წარმოადგენდეს მეოთხე რიგის ხშულთა ტიპის ბგერას (თუ პირდაპირ მეოთხე რიგის ხშულს არა, ამას სჭირდება ექსპერიმენტული დადასტურება). იგი უნდა ჰქონდეს მხედველობაში ა. დირს, როცა ამბობს (იგი უპირისპირებს ერთმანეთს ყ-ს [q] და ყ-ს [k]):

„q არის უკანაველარული ხშულმსკდომი ხორხის ხშვით (არაბ. ق),
k უკანაველარული ხშულმსკდომი უნაპირაციოდ და ხორხის ხშვის გარეშე ნაქის ვიბრაციით (Zäpfechenzittern)“³⁰.

საყურადღებოა აგრეთვე ხშულთა ბედი აბსოლუტურ აუსლაუტში. ამ შემთხვევაში დასტურდება მონაცვლეობა ზოგჯერ მკვეთრსა და ფშვინვიერს შორის, ზოგჯერ კი მქედერსა, მკვეთრსა და ფშვინვიერს შორის: პ || ბ || ფ; ტ || თ; კ || გ || ქ. მაგალითად,

შვატ/თ — „ლამაზი“, გვრგ/ქ — „უნდა“, ბახტინქ || ბახტინქ — „თვის“ (თანდ.), აქსუნ || აქსუნ — „ხედა“...

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ჩვენ გვესმის საშუალებები ბგერა ტ და თ-ს ან ტ და დ-ს, პ და ფ-ს ან პ და ბ-ს, კ და ქ-ს ან კ და გ-ს შორის. ეს თავისებური საშუალებები ბგერა აგრეთვე უნდა წარმოადგენდეს მეოთხე რიგის ტიპის ხშულს.

ამ მცირე მასალის საფუძველზე თითქოს შეინიშნება ტენდენცია, რომ უდურში განვითარდეს მეოთხე რიგის თანხმოვნები. ცხადია, ამ ბგერებს ჯერ არ მიუღიათ ფონემატური ღირებულება.

§ 15. რბილ თანხმოვანთა საკითხისათვის. 1888 წ. გამოცემული უდური ზღაპრის ტექსტში³¹ თითქოს იგრძნობოდა ზოგიერთი რბილი თანხმოვნის არსებობა უდურ ენაში. სახელდობრ, იქ ნათქვამია: „j (ჟ)

³⁰ ა. დირი, Einführung, გვ. 31.

³¹ Сб. МОМПК, вып. VI, 1888. Приложение, გვ. 6.

[წარმოითქმის] როგორც $\dot{\text{ჩ}}$ ხმოვნის შემდეგ და როგორც ხ თანხმოვნის შემდეგ“: მაგალითად: შელა (R 7₁₇), ტოლოლა, ჰაღაღა (R 10₁₈), ჟეჯრა (R 6₁).

უნდა ვიფიქროთ. ხ ნიშანი (რუსულის მსგავსად) ამ შემთხვევაში გამოხატავს თანხმოვნის სირბილეს.

ა. დირი რბილი თანხმოვნების შესახებ აღნიშნავდა: „ ლ რბილ ხმოვანთა, ე. ი. $\dot{\text{ა}}$, $\dot{\text{ე}}$ -ს შემდეგ ხშირად წარმოითქმის, როგორც ფრანგული /³². ამასთან ერთად ა. დირი ზოგიერთი სიტყვის დაწერილობაში იძლევა ხ თანხმოვნის ვარიანტს. თუმცა არ განმარტავს, რას გულისხმობს ეს ვარიანტი: გვხვდება, მაგალითად: ბეიღლ—„დღეობა“, ბეიღყ—„სიბნელე“³³... აქაც თითქოს ივარაუდება ამ თანხმოვნის სირბილე.

როგორია საქმის ვითარება? ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ რბილი თანხმოვნები—როგორც ფონემები, უღურში სავარაუდებელი არაა. აღნიშნულ ბგერათა თავისებური გამოთქმა გამოწვეულია გარკვეული ბგერითი კომპლექსებით. სახელდობრ, ხ თავისებურად („რბილად“) გამოითქმის უკანანისმიერთა წინ: $\text{ნგ} \rightarrow \text{ჟგ}$, $\text{ნკ} \rightarrow \text{ჟკ}$, $\text{ნქ} \rightarrow \text{ჟქ}$...

ეს ვითარება აიხსნება ამ ბგერათა წარმოების ზოგადი ფიზიოლოგიური პირობებით.

ღი საერთოდ საშუალო სირბილისაა უღურში (განსხვავდება რუსული მაგარი $\dot{\text{ჩ}}$ -საგან). «მაგარშემართვიან ველარიზებულ-ფარინგალიზებულ» ხმოვანთა კომპლექსში კი ლ თავისებურ გამოთქმას გვაძლევს: იგი თითქოს მართლაც რბილდება: ტოლოლა—„გვერდით“, ყაღა—ამ—„ფრთა“... ამგვარი წარმოთქმა, ცხადია, აქაც აიხსნება ამ ბგერათა წარმოების ფიზიოლოგიური პირობებით (მაგარშემართვიან ველარიზებულ-ფარინგალიზებულ» ხმოვანთა წარმოებისას ენა გადაიწევის უკან, რაც ლ -ს არტიკულაციასაც უკან სწევს). რბილი ლ , როგორც ფონემა, უღურში არ დასტურდება.

რაც შეეხება რ -ს, მისი თავისებური გამოთქმა რაც შეიძლებოდა სირბილედ მიგვეჩნია, ჩვენ ვერ დავადასტურეთ. ასეთი თავისებური რ გვხვდება უღური ოთხთავის ტექსტში.

რბილ თანხმოვანთა საკიანთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ ნ. ტრუბეცკოისა³⁴ და კ. ბოუდას³⁵ მიერ გამოყოფილი ორი რიგი თანხმოვნების: «ემფატიკურად დარბილებული» და «დაურბილებელი»

³² ა. დირი, Грамм., გვ. 2.

³³ იქვე, გვ. 1.

³⁴ ნ. ტრუბეცკოი, Konsonantensystem, გვ. 11, 50.

³⁵ კ. ბოუდა, Beitrage, გვ. 61.

(«emphatisch-mouillierte», «nicht-mouillierte»). ეს საკითხი ჩვენ განვიხილეთ «მაგარშეპართიან ველარიზებულ-ფარინგალიზებულ» ხმოვნებთან დაკავშირებით.

§ 16. თანამოვანთა კომპლექსებისათვის. უღური ენის ძირები უმთავრესად შედგება ერთი, იშვიათად ორი მარცვლისაგან (სამ და მეტმარცვლიანი სიტყვა ნასესხებია სხვა ენებიდან, ანდა შეიცავს აფიქსებს).

მაგალითად:

ვართ. ნაყ—„ლო“, ჯაყ—„გზა“, იეგ—„მტკაველი“, გონ—„ფერი“, შონო (*შე-ნე-ო)—„იგი“, მე, ქა—„ეს“, „ეგ“.

ნიჯ. ილ—„ბალახ-ბულახი“, ოჯ—„მდინარე“, ხუპ—„ფლავი“, გა—„ადგილი“, მონო (*მე-ნე-ო) || მო—„ეს“, მე, ქა—„ეს“, „ეგ“.

ამასთანავე უღური ენა გაურბის თანხმოვანთა თავმოყრას ერთი მარცვლის ფარგლებში. უღურში ერთად შეიძლება მოხვდეს მხოლოდ ორი თანხმოვანი, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ერთი მათგანი ხურავს წინა მარცვალს, ხოლო მეორე—იწყებს მომდევნო მარცვალს. ამგვარი ვითარება თავისებურ წესს უქმნის რედუქციის პროცესს: რედუქცია ხდება, თუ თანხმოვანთა თავმოყრა ასატანია, წინააღმდეგ შემთხვევაში რედუქცია არ ხდება.

მაგალითად:

მანჯუხტა←მანჯუდ'სა←მანჯუდესა—„ერჩები“, ქარჯუხსა←ქარჯუხესა—„ეცხოვრობ“. მაგრამ: მასდ. მანდესუნ—„დარჩენა“, ქარხესუნ—„ცხოვრება“: „მანდესუნ“ ან „ქარხესუნ“ არ გვხვდება.

ეს ვითარება საერთოა ორივე კილოსათვის, ოღონდ ნიჯურში რედუქცია უფრო არის გავრცელებული: შესაძლებელია ერთდროულად ორი ხმოვნის ამოღება, მაგრამ თანხმოვანთა ბუნებრივი კომპლექსების წესის დასაცავად ვითარდება თანხმოვანთგასაყარი -გ-, რომელიც დამოუკიდებელ მარცვალს ჰქმნის.

მაგალითად:

ნიჯ. ქარჯხსა←ქარ-ჯუ-ხეს-ა—„ეცხოვრობ“...

ქარჯნსა←ქარ-ნუ-ხეს-ა—„სცხოვრობ“...

შდრ. ვართ.: ქარჯუსა←ქარჯუხესა

ქარრუსა←ქარნუხესა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ უღური ვერ ურიგდება თანხმოვანთა ზოგიერთ თანამიმდევრობას:

ა. წინაენისმიერი ხშული (დ, ტ, თ, ჩ, ჯ, ქ) + წინაენისმიერი ყრუ სპირანტი (ს, შ): ხდება მათი გადასმა: ტს→სტ, დს→სდ→სტ...

*მანჯუდესა→მანჯუდსა→მანჯუსდა→მანჯუსტა...

ეს წესი თანაბრადაა გავრცელებული ორსავე კილოში.

ბ. წინაენისმიერი ხშული (დ, თ, ტ) + სონორი (ნ, რ, ლ) ვართაშ-
ნულ კილოში ვერ სძლებს ერთად, ხდება სრული ასიმილაცია:

დ + ნ || რ || ლ → დდ; ტ + ნ || რ || ლ → ტტ; რ + ნ || ლ → რრ...;

ლ + რ || ნ → ლლ...

ნიჭურში ეს მოვლენა გარკვეულ შემთხვევებში არ ხდება.

მაგალითად:

ვართ. ქარრუხსა ← ქარ-ნუ-ხსა — „სცხოვრობ“

ცამკალლუ ← ცამკალნუ — „დასწერ“

ნიჯ. ქარნუხსა — „სცხოვრობ“

ცამკალნუ — „დასწერ“...

თანხმოვანთა კომპლექსების ცვლის სხვა მოვლენები განხილული
იქნება ფონეტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

ძირითადი ფონეტიკური პროცესები

§ 17. ხმოვანთა ასიმილაცია და ხმოვანთა ჰარმონიის საკითხისათვის.
ფონეტიკური მოვლენებით უღერი ენა მდიდარი არაა. ხმოვანთა ასი-
მილაცია იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირია ბაგისმიერი ხმოვნების
(ო, უ) გავლენა ა და ე ხმოვანზე. ჩვეულებრივ: 1. დასტურდება რეგ-
რესიული ასიმილაცია: ე + ო → ოო → ო; ა + ო → ოო → ო...

მაგალითად:

ა) ქალაო → ქალოო → ქალო — „დიდი“; საო → საოო → საო — „ერთი“

ბ) მენო → მონო — „ეს“; შენო → შონო — „ის“;

2. ნიჭურში გავრცელებულია ე-ს ასიმილაცია მომდევნო ე-სთან,
როდესაც უარყოფითობის თე მოხვდება ან პირის ნიშნის მეზობლო-
ბაში.

მაგალითად:

თე-ჟან-ჰაყო → თი-ჟან-ჰაყო — „არ ვიყიდი“,

თე-ჟან-ბე → თი-ჟან-ბე — „არ ვქმენი“.

2. პროგრესიული ასიმილაცია გვხვდება მრავლობითი რიცხ-
ვის წარმოებისას:

უ + ა → უო. ზოგ შემთხვევაში წინამავალი უ შეიძლება ამოლე-
ბულიც იყოს.

მაგალითად:

სახელ. ღარ-მუხ — „შვილები“; ადამარ-უხ — „ადამიანები“

მიც. I ღარმულო ← *ღარმუხ-ა... ადამარლო ← *ადამარუხ-ა...

3. ხმოვანთა პროგრესიული ასიმილაცია განსაკუთრებით მკლავ-
ნდება ა-ს გავლენისას მომდევნო ა-ზე.

მაგალითად:

სახელ. ხინზრ — „ქალიშვილი“, შდრ. ღარ — „ვაჟი“

მიც. I ხინზრ-ა || ხინზრ-ა, ღარ-ა.

ხმოვანთა ჰარმონია, როგორც ცნობილია, გავრცელებულია აზერბაიჯანულ ენაში, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს უღურზე. ამ გავლენის შედეგად უნდა გვეფიქრა, რომ უღურშიც დადასტურდებოდა ხმოვანთა ჰარმონია. ეს გავლენა მართლაც შეინიშნება, მაგრამ ჰარმონია უღურში გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი. სახელდობრ, ის უფრო მოგვაგონებს სრულ პროგრესიულ ასიმილაციას და ჩვეულებრივ შეეხება უმლაუტიანი ა-ხმოვნის გავლენას მომდევნო ხმოვანზე.

მაგალითად:

ვართ. სახელ. ხინზრ — „ქალიშვილი“

მიც. I ვართ. ხინზრ-ა || ხინზრ-ა, ნიჯ. ხინზრ-ა.

სახელ. დრე — „დევი“, მრავლ. დრეურ ← დრე-ურ...

§ 18. ხმოვანთა რედუქცია და შეკვეცა. როგორც რედუქცია, ისე შეკვეცა უღურში დაკავშირებულია აგრეთვე მორფოლოგიურ პროცესებთან.

1. რედუქცია ხდება მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენით, თუ ამის პირობას ქმნის მარცვლის შედგენის წესი უღურში. ეს წესი ვარაუდობს, რომ რ ხმოვანს შორის შეიძლება მხოლოდ ორი თანხმოვანი: ერთი უნდა ხურავდეს წინა მარცვალს, მეორე იწყებდეს მომდევნოს წინააღმდეგ შემთხვევაში ხმოვანი არ ამოიღება. ნიჭურში ასეთ პირობებში ხმოვანი შეიძლება ამოვარდეს, მაგრამ განვითარდება თანხმოვანთგასაყარი გ.

a. ე-ს რედუქცია სისტემატურად გვხვდება ზმნის ფორმებში.

მაგალითად:

აყესუნ → აყ'სუნ — „აღება“, „ყიდვა“

აკესუნ → აკსუნ — „ხედვა“

*ბეაღესანე → ბეაღსანე → ბეაღსანე — „ხედავს“...

მანნედესა → მანნედ'სა → მენნესტა — „ჩიება“...

შდრ. ნიჭური: მულააით-ზუ-ბაქსა → მულააით-გუ-ბაქსა — „უველი“.

b. უ-ს რედუქცია დასტურდება სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში: ირიბ ბრუნვებში ამოიღება -უხ სუფიქსის უ:

მაგალითად:

სახელ. ადამარ-უხ — „ადამიანები“
ერგატ. ადამარ'ლონ ← *ადამარუხ-ენ
მიც. I. ადამარ'ლო ← *ადამარ-უხ-ა

უ ამოილება სხვა შემთხვევებშიც.

მაგალითად:

სახელ. ყოშუნ „ჯარი“
ნათეს. ყოშ'ნ-უნ (ნიჯ.).

ნიჭურში გავრცელებულია უ-ს ნაწილობრივი რედუქცია; ნაშთად რჩება გ.

მაგალითად:

ნათეს. კოოწუნ ← კოოწუნ — „ქათმისა“: შდრ. ვართ. კოკო-წუნ... აშლუნ ← აშლუნ — „საქმისა“.

c. ო-ს რედუქცია დასტურდება ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვებში.

მაგალითად:

მიც. I. შოტოლო || შოტ'ლო — „მათ“
მოტოლო || მოტ'ლო — „ამათ“ და ა. შ.

ზოგჯერ გვაქვს ო-ს ნაწილობრივი რედუქცია: ნაშთად რჩება გ.

მაგალითად:

მრ. სახელ. მონორ || მენორ — „ესენი“
შონორ || შენორ — „ისინი“

d. იშვიათად დასტურდება გ-ს რედუქციაც (უმთავრესად ნასესხებ სიტყვებში).

მაგალითად:

სახელ. ჰაყელ — „ჭკუა“
ერგატ. ჰაყ'ლ - ე ნ ...

e. რედუქციის ცალკე სახეს წარმოადგენს ხმოვანთა ნაწილობრივი შესუსტება. სახელდობრ ო და უ გარკვეულ პირობებში სუსტდება და გვაძლევს ო, უ მეთად მოკლე ხმოვნებს:

მაგალითად:

ერგატ. შოტოლონ → შოტ'ლონ → შოტ'ლონ — „მათ“
მოტოლონ → მოტ'ლონ → მოტ'ლონ — „ამათ“

2. ხმოვანთა შეკვეცაც უმთავრესად ხდება მორფოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებით. როდესაც ერთმანეთს შეხვდება ორი ხმოვანი —

ფუძისა და ფორმანტისა — ვართაშნულში ჩვეულებრივ ერთი ამოიღება: ზოგჯერ ფუძისა, ზოგჯერ კი ფორმანტისა.

მაგალითად:

სახელ. თარნა — „თონე“, ნათეს. თარნ'-ინ, მრავლ. თარნ-აუხ — „თონები“

ჯარგა — „კვალი“ (ბოსტნისა), ნათეს. ჯარგ-აუხ...

ღარვაზა — „ალაყაფის კარი“, ნათეს. ღარვაზ'-ინ

ბოლო ხმოვნის შეკვეცა გვხვდება აგრეთვე კომპოზიტების წარმოებისას.

მაგალითად:

ქალა-ბაბა → ქალბაბა — „ბაპა“, ქალა-ნანა → ქალნანა — „დიდედა“.

ერთმარცვლოვანი სიტყვების ფუძეში ხმოვანი ჩვეულებრივ არ იკვეცება. ნიჭურში ჩნდება ხმოვანთგასაყარი **ა**.

მაგალითად:

ვართ. სახელ. ხაა — „ძალი“, ნიჯ. ხაა

ერგატ. ხაა-ენ ხაა-ა-ენ

მრავლ. ხაა-ურუხ ხაა-ა-ოხ

ნიჭურში შეინიშნება ის თავისებურება, რომ, ჯერ ერთი, ხმოვანი არ იკვეცება, რადგანაც ხმოვანთა შორის ვითარდება **ა**. შეკვეცის შემთხვევაში კი სუსტდება ფორმატის ხმოვანი (არა ფუძისა).

მაგალითად:

ნიჯ. ზა-ანაკ — „ჩემთვის“, შლრ. ვართ. ზენქ ← *ზა-ინქ...

ვა-ანაკ — „შენთვის“, ვენქ ← *ვა-ინქ...

ღარე-ანაკ ← ღარ-ა-ანაკ — „ძისათვის“ ღარ-ენქ.

რედუქციის პროცესთან ნიჭურში დაკავშირებულია საყურადღებო მოვლენა: თუ ხმოვნის ამოღების გამო ორ ხმოვანს შორის თავს იყრის ორზე მეტი თანხმოვანი, მაშინ ჩნდება **გ** თანხმოვანთგასაყარი.

მაგალითად:

*მულაფით-ზუ-ბაქსა → მულაფით-ზ-ბაქსა → მულაფით-გზ-ბაქსა — „ვეფელი“.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ეს **გ** ნიჭურში კვლავ იშლება სრულ ხმოვნად: უ-ღ:

მაგალითად:

ზომ-უზ-ბაქსა ← ზომ-გზ-ბაქსა ← ზომ-ზუ-ბაქსა — „ესწავლობ“

ზომ-უნ-ბაქსა ← ზომ-გნ-ბაქსა ← ზომ-ნუ-ბაქსა — „სწავლობ“ და ა. შ.

§ 19. ხმოვანთა შერწყმა. უღერში თითქოს შეინიშნება ხმოვანთა შერწყმის ერთი სპეციფიკური მოვლენა. სახელდობრ, ა+ი || ი+ა ზოგ შემთხვევაში იძლევა -ე-ს. ეს პროცესი დასტურდება სისტემატურად ბრუნებაში.

მაგალითად:

ვართ. ნათ. ვიჩი-აჲ→ვიჩეჲ — „ძმისა“.

მიც. I. ვიჩი-ა→ვიჩე — „ძმას“

მიც. II. ვიჩი-ახ→ვიჩეხ — „ძმას“

ამგვარადვე განკუთვნიან. ბრუნვის წარმოების გათვალისწინება ვართაშნულსა და ნიჭურში ასეთ სურათს შლის:

ნიჯ. ვა-ანაკ←*ვინაკ, ვართ. ვენქ/კ←*ვინქ/კ.

ვართაშნულის ფორმების ე მიღებული უნდა იყოს ა+ი ხმოვნების შერწყმით: *ვა-ინქ/კ→ვენქ/კ...

§ 20. ხმოვანთა შენაცვლება (დავიწროება-გათართობა): ო/უ...ე/ი.

საყურადღებო მოვლენა დასტურდება ხმოვანთა ორი წყვილის ო/უ და ე/ი—ურთიერთმიმართებაში. სახელდობრ, ეს ხმოვნები ერთსა და იმავე სიტყვაში მთქმელთა მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება.

მაგალითად:

ალახო || ალახუ — „ზემოდან“, შოტო || შოტუ — „მას“.

მა ჩ'ო? || მა ჩ'უ? — „რა მხარეს?“, ეშყარ || იშყარ — „მამაკაცი“, „ვაჟკაცი“.

ამ ხმოვანთა მიხედვით ზოგჯერ გარკვეული მიმართება მყარდება უღერის კილოებს შორის: ნიჭურს ახასიათებს ფართო (ო, ე), ხოლო ვართაშნულს ვიწრო (უ, ი) ხმოვნები.

მაგალითად:

ვართ. ჭულაბ — „პასუხი“	ნიჯ. ჭოლაბ
ხაურუხ — „ძაღლები“	ხაჲ-ოხ
კუა — „სახლს“	კოჲა
იშყარ — „მამაკაცი“	ეშყარ
ილარუხ — „სიციხე“	ელარუხ

§ 21. ხმოვანთა ელიზია. დიფთონგიზაცია. ეს ფონეტიკური პროცესი განსაკუთრებით ახასიათებს ნიჭურ კილოს: სადაც ვართაშნულში შეიძლება ორი ხმოვანი დაუბრკოლებლად წარმოითქვას, ნიჭურში მათ შორის ა ვითარდება.

მაგალითად:

ნიჯ. ნიკალაჲენ— „ნიკალამ“, ვართ. ნიკალაენ
წი-ჲ-ალ— „სახელიც“, წი-ალ
კო-ჲ-ა— „სახლს“, კუ-ა

ანალოგიური პროცესი გვაქვს აგრეთვე უ || ო და ა ხმოვნების შეხვედრისას ორივე კილოში: ასეთ პირობებში ვითარდება ტ.

ვართ. ზუ-ტ-ალ || ზუ-ვ-ალ— „მეც“, ნიჯ. ზუ-ტ-ალ— „მეც“
შონო-ტ-ალ— „ისიც“, სოლო-ტ-ალ— „ერთიც“
კუ-ტ-ა || კუ-ვ-ა— „სახლს“, ყაო-ტ-ალ— „ოცივე“

მეორე მხრივ ორი ხმოვნის შეხვედრისას დასტურდება დიფთონგიზაციის პროცესი, რაც გავრელებულია ბრუნებაში და უღელილება-შიც. სახელდობრ, როდესაც ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის მორფოლოგიური ელემენტის ხმოვანი, უკანასკნელი სუსტდება და იქცევა ნახევარხმოვნად. ასეთ ხმოვანს უპირატესად წარმოადგენს ი, რომელიც იძლევა ჲ-ს.

მაგალითად:

სახელ. შონო— „იგი“, ხოდ— „ხე“
ნათეს. შეტაჲ←შეტაი, ხოდლაჲ←ხოდნა-ი
მასდ. ქარხესუნ— „ცხოვრება“,
ნამყო უწყვეტ. ქარჴესსაჲ←ქარჴესსა-ი— „ეცხოვრობდი“.

§ 22. ხმოვანთა შემართვის საკითხისათვის. ხმოვანთა შემართვის მიხედვით უღური ენის კილოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. როგორც წესი, ვართაშნულში ხმოვნებს აბსოლუტურ ანლაუტში ახასიათებს მაგარი შემართვა. მაგალითად გამოითქმის: ჯამა— „მაგრამ“, ჯაჲელ— „ბავშვი“, ჯაჲიზ— „სოფელი“, ჯემა?— „რამდენი“, ჯუფა!— „უთხარი“ და ა. შ.

ნიჯურში ამ მხრივ განსხვავებული ვითარება დასტურდება. ჩვეულებრივ აქაც გვხვდება მაგარი შემართვა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ანლაუტში ჩნდება ჰ და ჯ (ასეთი ჰ და ჯ ზოგჯერ სხვა ვითარებაშიც გვხვდება).

მაგალითად:

ვართ. აყსუნ ნიჯ. ჰაყსუნ— „აღება“, „ყიღვა“
აჲხესუნ ჰაჲსტუნ— „აღგომა“
ემა? ჰემა?— „რამდენი“
ეჴ ჲეჴ— „ხორცი“
ისუს ჰისუს— „იესო“ და ა. შ.

§ 23. თანხმოვანთა ასიმილაცია. **ა.** ყველაზე გავრცელებულია ასიმილაცია **ნ** და **ლ** ბგერებთან. თუ ვართაშნულში **ნ** მოხვდება **რ**, **ლ**, **თ** || **ტ**, **დ**-ს შემდეგ უშუალო მეზობლობაში, ის ემსგავსება მათ. ეს პროცესი ჩვეულებრივია პირის ნიშნებში, ბრუნვის ფორმანტსა და სიტყვაწარმოებაში.

მაგალითად:

- აწმყო, 3 პ. ქარ-ნე-ხსა→ქარ-რე-ხსა—„ცხოვრობს“
მყოფ. II, 3 პ. ქარხალ-ნე→ქარხალ-ლე—„იცხოვრებს“
აწმყო, 3 პ. ად-ნე-სა→ად-დე-სა—„სუნია“
აწმყო, 3 პ. ადთ-ნე-ხა→ადთ-ტე-ხა—„ლაპარაკობს“
ნათეს. ხოდ-ნად→ხოდ-დად—„ხისა“
მიც. I. ქურ-ნუ→ქურ-რუ—„ორმაც“.

ნიჭურში ეს ფონეტიკური პროცესი (**ნ**-ს დამსგავსება **რ**, **ლ**, **თ** || **ტ**, **დ**-სთან) არ დასტურდება.

ფორმანტისეული **ლ** აგრეთვე ემსგავსება **რ**, **დ**, **ნ**, **თ** || **ტ**-ს.

მაგალითად:

- აზარ-ლუ→აზარრუ—„ავადმყოფი“
დოვლათ-ლუ→დოვლათტუ—„ქონებიანი“, „მდიდარი“

ლ-ს ასიმილაცია მომდევნო წინაენისმიერ ხშულებთან ნიჭურშიც დასტურდება ნაწილობრივ.

ბ. მეორე გავრცელებული ასიმილაციური პროცესია მქლერთა დაყრუვება ყრუს უშუალო მეზობლობაში.

- ბეანესა→ზეანესა—„ხედავს“
მანნესდა→მანნესტა—„რჩება“
ცამფეს-დესუნ→ცამფეს-ტესუნ—„დაწერიება“
ეჴქსა→ესქსა (|| ესქესა)—„მიჭირავს“, „ვინახავ“
აშნეხსა→აშნეფსა—„მუშაობს“...

ნიჭურში მქლერი **ბ** სისტემატურად ყრუვდება და გვაძლევს **პ**-ს **ხ**-ს მეზობლობაში ბუ—მეშეველი ზმნის უღვლილებაში.

მაგალითად:

- ზახ-ბუ→ზახ-პუ—„მაქვს“, „მყავს“
ვახ-ბუ→ვახ-პუ—„გაქვს“, „გყავს“ და ა. შ.

ც. თანხმოვანი **ნ** მომდევნო **ბ**-ს მეზობლობაში ზოგჯერ განიცდის ნაწილობრივ ასიმილაციას.

მაგალითად:

აშ-ჯან-ბესა→აშ-ჯამ-ბესა — „ემუშაობთ“
თე-ნან-ბესა→თე-ნამ-ბესა — „არ აკეთებთ“
თე-ტუნ-ბაქო→თე-ტუმ-ბაქო — „არ შეუძლიათ“ (ნიჯ.)

d. ნიჭურში ერთ აზერბაიჯანულიდან ნასესხებ მორფოლოგიურ წარმოებაში დასტურდება მ-ს დამსგავსება მომდევნო შ-სთან წარმოების ადგილის მიხედვით.

მაგალითად:

აზარამიშ - ბაქსუნ → აზარაიმშ - ბაქსუნ → აზარაქშ-ბაქსუნ — „ავადგახლომა“.
ხარჯლამიშ-ბაქსუნ→ხარჯლაიმშ-ბაქსუნ→ხარჯლამშ-ბაქსუნ — „იხარჯება“.
მუყაალამიშსუნ → მუყაალაიმშსუნ→მუყაალაქშსუნ — „რქენა“ („ირქინება“).

e. ს თანხმოვანი ჩვეულებრივ ემსგავსება შიშინა ბგერებს.

მაგალითად:

თაშესუნ→თაშსუნ→თაშშუნ — „წაღება“.
თანეშესა→თანეშსა→თანეშშა — „მიაქვს“.
ეჩ-ესუნ→ეჩსუნ→ეჩშუნ — „მოტანა“.

§ 24. თანხმოვანთა გადასმა. თანხმოვანთა გადასმა დასტურდება იშვიათ შემთხვევაში. სახელდობრ, უდური ვერ იგუებს კომპლექსს, რომელშიც წინაენისმიერ ხშულს მოსდევს ს, ჩ, შ თანხმოვნები: ღს || ტს || ღშ || ტშ...→სღ || სტ || შღ || შტ... ჩს→სჩ→სჭ || ჭჭ... ეს პროცესი ჩვეულებრივ თან სდევს რედუქციას.

მაგალითად:

მან-ჭუ-ღ-ეს-ა→მან-ჭუ-ღს-ა→მან-ჭუ-სღა→მან-ჭუ-სტა — „ვრჩები“
ენეჩ-ეს-ა→ე-ნე-ჩს-ა→ე-ნე-სჩ-ა→ე-ნე-სჭ-ა→ე-ნე-ჭჭ-ა — „მოაქვს“,

§ 25 თანხმოვანთა შენაცვლება. a. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ფარინგალური ხშულების შენაცვლება გარკვეულ კომპლექსში: ჳს→ჳს || ყს, ტლ→ყლ, ყს→კს...

მაგალითად:

ორსავე კილოში პარალელურად იხმარება: ბურრეჳსა || ბურრეყსა — „იწყებს“, ფაჳლა || ფაყლა — „ლობი“...

b. ჳ ხშულს შეიძლება აგრეთვე შეენაცვლოს ხ ნაპრალოვანი იმავე ჳს ან ტლ კომპლექსში.

მაგალითად:

ბურრეკსა || ბურრეხსა— „იწყებს“, ფაქლა || ფახლა— „ლობია“...

ვართაშნულის საპირისპიროდ ნიჭურში ადგილი აქვს მთელი რიგი თანხმონების შენაცვლებას. სახელდობრ:

c. უკანაენისმიერი კ, ზ, ქ უმლაუტიანი ხმოვნების შემდეგ სუსტდება და მათ ენაცვლება ჰ.

მაგალითად:

ვართ. ვგაზ	ნიჯ. ვაპრ— „თუ“
გგინ	გგინ— „ცისფერი“, „მწვანე“
ქალაქ	ქალაქ— „ტყე“
დლაქ	დლაქ— „დალაქი“...

d. ვართ. ზ-ს გარკვეულ შემთხვევებში ნიჭურში ენაცვლება ვ || უ.

მაგალითად:

ვართ. ბაბა	ნიჯ. ბაბა— „მამა“
ჩუბუხ	ჩუბუხ— „ცოლი“, „ქალი“
აბუხ	აბუხ— „ზედმეტი“
ბეზ-ბახტინ	ბეზ-ვახტინ— „ჩემთვის“
თე-ზ-აბა	თე-ზ-აბა— „არ ვიცი“

e. ვართ. ვ-ს ადგილას ნიჭურში ზოგჯერ გვხვდება ჰ.

მაგალითად:

ვართ. ოსტავარ	ნიჯ. ოსტაპარ— „მაგარი“
შავატ/თ	შაპათ— „ლამაზი“, „კარგი“
*ე-უნ→უნ (ნათეს. ვ-ი)	ჰუნ— „შენ“

f. ვართაშნულის ჯ-ს ზოგჯერ ნიჭურში ენაცვლება თ || უ

მაგალითად:

ვართ. კოჯ	ნიჯ. კოე— „სახლი“
ყოჯა	ყოეა— „მოხუცი“
ჭეჭერ	ჟეეერ— „ბაგეები“

გ. ნიჭურში ტ ენაცვლება ერთ შემთხვევაში ვართ. კ-ს.

მაგალითად:

ვართ. კილინ კაშა ნიჯ. ტილინ კაშა— „ნეკი“

h. ნიჭურში ერთ სიტყვაში გვხვდება უ-ს შენაცვლება ფ თანხმონებით და ამ პროცესს მორფოლოგიური ფუნქცია ენიჭება.

მხოლ. რ. სახელ. ჩუბუხ— „ცოლი“, „ქალი“

მრავლ. რ. „ ჩუფუხ || ჩუფხო— „ქალები“

1. ნიჭურშივე ს-ს ენაცვლება ტ თანხმოვანი სს || შს კომპლექსში.
მაგალითად:

თაშ-ესუნ→თაშსუნ→თაშტუნ—„წალება“, „წაყვანა“...

ჰაჰესუნ: აწმყო: ჰაჰნესა→ჰაჰნესა→ჰაჰნესტა—„ღგება“.

§ 26. თანხმოვანთა დაკარგვა და ჩართვა (resp. დართვა). ა. თანხმოვანის დაკარგვა უდღურში დასტურდება სპორადულად, ისიც ჩვეულებრივ სიტყვის ბოლოს. მაგალითად, როგორც ვართაშნულში, ისე ნიჭურში გვხვდება:

თ/ტ → ∅:

ტე ვახტ/თ→ტე ვახ—„იმ დროს“.

ღირის (ბაქა)←ღირისტ—„ჯანსაღი“...

ჭ → ∅:

ბეზ-ბახტინქ/კ→ბეზ-ბახტინ—„ჩემთვის“, ნიჯ. ბეზ-ვახტინ.

ეტინქ?→ეტინ?—„რით?“

ნიჭურში სისტემატურად სუსტდება ხმოვნებს შორის და იკარგება სპირანტი ღ. მაგალითად:

სილიკლარი→სილიკლარი—„სილიკაშვილი“

ბეჲლენ→ბეჲენ|—„ვნახოთ!“

დორინე→დორი-ნე—„სწორია“, „მართალი“...

ბ. თანხმოვანთა ჩართვა უდღურში არ გვხვდება, გარდა იმისა, როცა ჩნდება მარცვალთა ან ხმოვანთა გასაყარი, რაც უკვე განხილულია.

ვარდა ამისა ნიჭურში ხმოვნით დაწყებული სიტყვების თავში ვითარდება ა ან ჰ, ხოლო ხმოვნით დასრულებულ სიტყვის ბოლოში ა, რითაც ნიჭური კილოურად უპირისპირდება ვართაშნულს.

მაგალითად:

ვართ. ეყ ნიჯ. აეყ—„ხორცი“

აყსუნ ჰაყსუნ—„აღება“, „ყიდვა“

აჰესუნ ჰაჰესუნ—„ადგომა“

ტალა-მალა ტალაჰ-მალაჰ—„იქით-აქეთ“...

§ 27. თანხმოვანთა აფრიკატიზაცია და ღწაფრიკატიზაცია. ეს ორი პროცესი პარალელურად გვხვდება. ს-ს გააფრიკატება დასტურდება უპირატესად ნიჭურში შემდეგ შემთხვევაში: ს→ც.

მაგალითად:

თე-ჲან-ბუჲლათსა→თი-ჲან-ბუჲლათცა—„ჩვენ არ ვცქებთ“

ჲაყა-ნე-ბსა→ჲაყა-ნე-ფსა→ჲაყა-ნე-ბცა—„ის გზავნის“

ჲაყ-ნე-ჯოკბაქსა→ჲაყ-ნე-ჯოკბაქცა—„სხვა გზას ადგება“

ფორთფსუნ→ფორთფცუნ—„მოთმენა“ („ვითმენ“).

დეზაფრიკატიზაცია გვხვდება შემდეგ შემთხვევაში:

a. ჯ→ჟ || ჟ || შ

ვართ. კოჯ	ნიჯ. კოჟ— „სახლი“
ყოჯა	ყოჟა— „მოხუცი“
ბორჯ— „ვალი“	ბორშლუ— „ვალიანი“

b. ჩ→შ:

ვართ. იჩ ნიჯ. იშ— „თვით[ონ]“

c. ც→ტ:

არცესუნ— „ჯღომა“:

ნიჯ. არტუნცესა → არტუნცსა → არტუნცსა-ა → არტუნცსა — „სხდებიან“

როგორც ცნობილია, დეზაფრიკატიზაცია ზოგადი პროცესია დაღესტნის ჯგუფის ენებში (მაგალითად, ხუნძურს³⁶ არ აქვს ძ და ჯ აფრიკატები). ამ პროცესის საფუძველზე უღურში აღარ შემორჩენილა აფრიკატი ძ. იგი ისმის მხოლოდ ორ სიტყვაში: ძე ტ (resp. წე ტ) — „ზეთი“, ღანძღლ — „ღანძილი“ (მცენ.).

§ 28. თანხმოვანთა დაყრუება და გამჟღერება. მქლერი თანხმოვანი უღურში სიტყვის ბოლოში ვერ ძღებს და იგი ყრუვდება. სამაგიეროდ, როდესაც იგი მოხვდება სიტყვის შიგნით, ხმოვნებს შორის, ისევ გამჟღერდება (ერთი ხმოვანი ზოგჯერ ამოღებულია). ეს პროცესი ახასიათებს როგორც ცალკეულ ფუძეებს, ისე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფორმანტებში—კერძოდ -ლულ სიტყვაწარმოებისა და -უხ მრავლობითის ნიშანში.

მაგალითად:

მუ ა ჯ ლ უ ხ — „სიხარული“, ა ბ ა ლ უ ხ — „ცოდნა“, მაგრამ ერგატ. მუ ა ჯ ლ უ ღ ე ნ, ა ბ ა ლ უ ღ ე ნ.

მრავლ. რ. ღ ა რ მ უ ხ — „შვილები“, ხ ო ღ უ რ უ ხ — „ხეები“.

ერგატ. ღ არ მ უ ღ ო ნ ხ ო ღ უ რ ღ ო ნ

მიც. I. ღ არ მ უ ღ ო ხ ო ღ უ რ ღ ო

ნიჯურში მრავლობითის წარმოებისას -უხ ფორმანტის ხ, როგორც წესი, არ მქლერდება.

მაგალითად:

ვართ. სახელ. ე ა ჟ უ რ უ ხ ნიჯ. ე ა ჟ უ რ უ ხ — „ცხენები“

ერგ. ე ა ჟ უ რ ღ ო ნ ე ა ჟ უ რ ხ ო ნ

მიც. I. ე ა ჟ უ რ ღ ო ე ა ჟ უ რ ხ ო ღ ა . შ.

³⁶ არნ. ჩიქობავა, ინფინ. დიალექტ. ვარ. ხუნძ., გვ. 93.

§ 29. გემინანტთა გამარტივება. უღურ ენას, როგორც ირკვევა, არ ახასიათებს გემინანტი თანხმოვნები. ამიტომ ორი ერთგვარი თანხმოვნის ერთმანეთთან მოხვედრისას კომპლექსი მარტივდება, რჩება ერთი თანხმოვანი (ზოგჯერ ორივეც შეიძლება დადასტურეს).

ეს პროცესი კერძოდ თვალსაჩინოა ზმნის პირის ფორმებში და სიტყვაწარმოებაში.

მაგალითად:

ქარხეს — „ცხოვრება“

აწყმო 2 პ. ქარ-ნუ-ხსა → ქარ-რუ-ხსა → ქარუხსა — „ცხოვრობ“

„ 3 პ. ქარ-ნე-ხსა → ქარ-რე-ხსა → ქარეხსა — „ცხოვრობს“

მყოფ. II. 2 პ. ქარხალ-ნუ → ქარხალ-ლუ → ქარხალუ — „იცხოვრებ“

„ 3 პ. ქარხალ-ნე → ქარხალ-ლე → ქარხალე — „იცხოვრებს“
საწწე — საწე — „თერმეტი“, პაწწე → პაწე — „თორმეტი“.

ასეთი პროცესი დასტურდება ნასესხებ სიტყვებშიც.

მაგალითად:

ამმა → ამა — „მაგრამ“, დლლჳქ → დლჳქ — „დალაქი“,

*ზორ-ლუ → ზორრუ → ზორუ — „ძლიერი“, „ღონიერი“ და ა. შ.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

ს ა ხ ე ლ ი

არსებითი სახელი

§ 30. სახელის ბრუნების სისტემა ზოგადად. უღური ენის სახელე-
ბი თავისი მორფოლოგიით ერთობლივს სისტემას ჰქმნიან: ბ რ უ ნ ე ს ა
და რ ი ც ხ ე ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა ერთგვარად არის წარმოდგენილი ყველა სა-
ხელში¹. ამ ერთგვარობას ვერ არღვევს ის მცირეოდენი გადახვევა,
რომელიც ზოგი სახელის მორფოლოგიაში შეინიშნება. სახელთა მორ-
ფოლოგიური სისტემის ერთგვარობას კიდევ უფრო ამკვიდრებს ის, რომ
გრამატიკული კლასები და სქესის გრამატიკული კატეგორია თანამედ-
როვე უღურში არაა.

უღური ბრუნების სისტემის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი
ძირითადი პრინციპები:

1. უღურ ენაში დასტურდება ერთი ბ რ უ ნ ე ბ ა; ბ რ უ ნ ე ს ნ ი-
შანთა ნაირსახეობა, რომელიც შეინიშნება უღურ ბრუნებაში, შედეგია
ფონეტიკური პროცესებისა და ნიშანთა სხვადასხვა ვარიანტი დაიყვანება
ერთ სახეობა მდე.

2. უღურში გამოიყოფა ძ ი რ ი თ ა დ ი (უთანდებულო) და მეორეუ-
ლი (თანდებულიანი) ბრუნვები: მეორეულ ბრუნვებში ეს თანდებულები
იმგვარადაა შერწყმული ბრუნვის ფორმასთან, რომ მათი (თანდებულთა)
გამოყოფა საძნელო ხდება, ზოგჯერ შეუძლებელიც.

3. მრავლობითი რიცხვი უღურშიც იწარმოება ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ-
რად: მრავლობითში მთლიანად დასტურდება იგივე ბრუნვის ნიშნები,
რაც მხოლოდობითშიც გამოიყოფა: ისინი დაერთვიან მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი
რ ი ც ხ ე ს ფ ო რ მ ა ნ ტ ი თ გ ა რ თ უ ლ ე ბ უ ლ ს სახელობითის ფუძეს.

¹ უღური ბრუნების პრინციპების გარკვევა ჩვენ ვცადეთ ნარკვევში „სახელთა
ბრუნებისათვის უღურ ენაში“ (ენიშკის მოამბე, ტ. I, 1937) არსებული მასალის
მიხედვით. შემდგომმა კვლევამ, მართალია, დადასტურა ძირითადი დებულებები, მაგ-
რამ მაინც საჭირო შეიქმნა ზოგი არსებითი ხასიათის დამატება. ეს დამატებანი ნაწი-
ლობრივ აისახა წერალებში: „აქუზატივის გენეზისისათვის უღურ ენაში“ (ენიშკის
მოამბე, ტ. V—VI, 1940) და „К вопросу о взаимоотношении диалектов удинско-
го языка“ (საქ. მეცნ. აკად. ფილ. მოამბე, ტ. I, № 9 და „საქ. მეცნ. აკად. მო-
ამბე“, ტ. II, № 2).

4. ბრუნების სისტემა ძირითადად ერთგვარადაა წარმოდგენილი უღერის ორსავე კილოში, თუმცა დასტურდება განსხვავებანიც, ზოგჯერ საყურადღებო უღერი ენის განვითარების თვალსაზრისით.

უღერი ენის ბრუნების სისტემა (ბრუნებები და მათი ნიშნები) ზოგადად შეიძლება წარმოვიდგინოთ ტაბულებით:

მხოლოდითი რიცხვი

		ბრუნებები	ბრუნების ნიშნები	
			ვართაშენული	ნიჭური
ძირითადი	I	1. სახელ.	⊙	⊙
		2. ერგატ.	-ენ -ინ -ონ -ენ	იგივე (რაც ვართ.)
		3. ნათეს.	I: -ი, II: -ინ, -ინინ III: ა-ა- *ა-ი, -ეი, -ოა, -ნ-აი, -ნ-ეი, -ნ-უა IV: -უნ, -ენ, -ნ-უნ, -ნ-ენ	იგივე იგივე იგივე
		4. მიცემ. I	-ა, -ე, -უ, -ო, -ნ-ე, -ნ-უ, -ი	იგივე
		5. მიცემ. II	-ახ, -ეხ, -უხ, -ოხ, -ნ-ახ, -ნ-ეხ, -ნ-უხ, -იხ	იმეორებს მიცემით I-ს, იგივე
მეორეული (თანდებულობანი)	II	6. ზეღაობ.	-ალ, -ელ, -ულ, -ოლ, -ნ-ალ, -ნ-ელ, -ნ-ულ	იგივე
		7. მიმართ.	-აჲ (ვარიანტებით)	-აჩ -აჩ'
	III	8. თანამყოფ.	-ახტა	იგივე
		9. დაშორებ.	-ახო	-ახუნ
	IV	10. თანაობ.	-ახოლ	-ახუნ
11. განკუთვ.		-ენჲ/ჲ -ენკენა (ვარიანტებით)	-ანანაჲ -ენანაჲ	

მრავლობითი რიცხვი

		ბრუნებები	რიცხვისა და ბრუნების ნიშნები	
			ვართაშენული	ნიჭური
ძირითადი	I	1. სახელ.	-ურ, -უხ, -ურუხ, -ნუხ, -ურინუხ, -ორ	-ურ, -უხ -ხო, -ურუხ -ურ-ხო, -მუხ, -ურმუხ.
		2. ერგატ.	-ლ -ოლ, -ურულ -ურლ, -მულ, -ურმულ+ბრუნვის -ონ--*ენ	-ლ -ხ, -ოხ, -ურუხ -ურხ, -მუხ, -ურმუხ+ ბრუნვის -ონ.
		3. ნათეს.	იგივე - -ოი	იგივე + -ოი
		4. მიცემ. I	იგივე + -ო	იგივე + -ო
		5. მიცემ. II	იგივე + -ოხ	იგივე + -ო -ოხ
მეორეული (თანდებულობანი)	II	6. ზეღაობ.	იგივე + -ოლ	იგივე + -ოლ
		7. მიმართ.	იგივე + -ოჲ	იგივე + -ოჩ -ოჩ'
	III	8. თანამყოფ.	იგივე + -ოხტა	იგივე + -ოხტა
		9. დაშორებ.	იგივე + -ოხო	იგივე + -ოხუნ
	IV	10. თანაობ.	იგივე + -ოხოლ	იგივე + -ოხუნ
11. განკუთვ.		იგივე + -ონჲ/ჲ	იგივე + -ონანაჲ	

§ 31. სახელობითი ბრუნვა. სახელობითს უდურში ფორმანტი არ აქვს, იგი გაუფორმებელია. სახელი შეიძლება დაბოლოვდეს ყველა ხმოვანსა და თანხმოვანზე; მაგალითად: ა დ ა მ ა რ — „ადამიანი“, ხ ო ლ — „ხე“, ბ ა ბ ა — „მამა“, ვ ი ჩ ი — „ძმა“, ხ ა ო — „ძალი“, მ ე — დანა. თავისებური ვითარება გვაქვს ზოგ სახელში: ნაცვალსახელებში, ზედსართავსა და რიცხვით სახელში, რომლებსაც გარკვეულ შემთხვევაში დაერთვის მასუბსტანტივებელი დეტერმინანტი -ო (§ 42).

ა. დირი ბრუნების პარადიგმებში სახელებს ჰყოფს 5 ჯგუფად; ესენია: 1. ერთმარცვლოვანი, თანხმოვნით დაბოლოებული. 2. ერთმარცვლოვანი, ხმოვნით დაბოლოებული, 3. ორ და სამმარცვლოვანი — თანხმოვნით დაბოლოებული. 4. ორმარცვლოვანი — ხმოვნით დაბოლოებული, 5. დაბოლოებული -უხ მარცვალზე². ამ ზაყოფის საფუძველზე ა. დირი ცდილობს ჩამოაყალიბოს ბრუნების ტიპები უდურში.

ამჯერა დაყოფას მორფოლოგიური საფუძველი არ გააჩნია: ერთმარცვლიანობა თუ ორმარცვლიანობა არ განსაზღვრავს ბრუნების პროცესს, ბრუნების ტიპთა გამოყოფას. მხოლოდ -უხ ბოლომარცვლოვან სიტყვებში გვაქვს მორფოლოგიურად თავისებური ვითარება, მაგრამ ეს -უხ უნდა წარმოადგენდეს მრავლობითის გაქვევებულ ფორმანტს. ამით აიხსნება მათი თავისებური ბრუნება (იხ. ქვემოთ, § 35).

საყურადღებო თავისებურება შეინიშნება აგრეთვე მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს სა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი, განსაკუთრებით ნიჭურში.

§ 32. ერგატივი. ამ ბრუნვის ფორმანტად უდური ენის მკვლევარნი სხვადასხვა სუფიქსს გამოყოფდნენ. ა. შიფნერი მას უწოდებდა ინსტრუქტივის და ამბობდა: „ინსტრუქტივის ნიშანი არის ნ ა ნ ე ნ, რომელი დაბოლოვებაც უმთავრესად სიტყვის ფუძეს დაერთვის“³. ა. შიფნერი ან ბრუნვის ფუნქციას ვერ ითვალისწინებს სათანადო ზედმიწევნით.

ფრ. მიულერიც ამ ბრუნვას უწოდებდა ინსტრუქტივის და მის ნიშნად გამოყოფდა ნ სუფიქსს⁴. რ. ერკერტი კი მას ახალი სახელით აღნიშნავს და შემდეგს ამბობს: „ინსტრუმენტალს აქვს სუფიქსი ნ“⁵.

უფრო სრულად განიხილა ან ბრუნვის ნიშნები ა. დირმა. იგი ამბობს: „ნ, ენ, ონ [არის] მოქმედებითი ბრუნვის (ინსტრუმენტალისი, ა. შიფნერით ინსტრუქტივი) სუფიქსები“⁶, ხოლო უკანასკნელ ხანს გამო-

² ა. დირი, Грамм., გვ. 22—27.

³ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 18 და 92.

⁴ ფრ. მიულერი, Grundriss, გვ. 140.

⁵ რ. ერკერტი, Die Sprachen, გვ. 67.

⁶ ა. დირი, Грамм., გვ. 18.

სულ შრომაში იგი გვაძლევს ასეთ დასკვნას: „ერგატივ-ინსტრუმენტალისი ბოლოვდება ნ (ონ, ენ, ინ)-ზე“⁷, ე. ი. ძირითად ფორმანტად აქაც მიჩნეულია -ნ.

ამრიგად, მკვლევართა უმრავლესობა ამ ბრუნვის ფორმანტად მიიჩნევდა -ნ თანხმოვანს, ხმოვნით ელემენტს კი ზოგი სრულებით არ იღებდა მხედველობაში, ზოგი კი აუხსნელად სტოვებდა მათს მონაცვლეობას.

ერგატივის ძირითადი ნიშანი უდურში ამჟამად არის -ენ || -ინ, სხვა ნიშნები კი აიხსნება ფონეტიკური პროცესების საფუძველზე. ყველაზე გავრცელებულია -ენ ფორმანტი.

სახელ. ღარ.—„ძე“, „შვილი“, ადამარ—„ადამიანი“

ერგატ. ღარ-ენ—„შვილმა“, ადამარ-ენ—„ადამიანმა“

თუ სახელი ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ გვრჩება მხოლოდ „ნ“.

სახელ. ბაბა—„მამა“ ნანა—„დედა“

ერგატ. ბაბა-ნ (*ბაბა-ენ) ნანა-ნ (*ნანა-ენ)

აღნიშნული წესი არ ვრცელდება ერთმარცხოვან სახელებზე: აქ ორივე ხმოვანი რჩება; ნიჭურში ამ შემთხვევაში ხმოვნებს შორის ჩაერთვის გასაყარი ძ.

ვართ. სახელ. ხაბ—„ძალი“

ნიჯ. ხაბ

ერგატ. ხაბ-ენ

ხაბ-ძ-ენ

რაც შეეხება -ონ ნიშანს, რომელსაც დამოუკიდებელ ფორმანტად გამოჰყოფს ა. ღირი, იგი განეკუთვნება მრავლობით რიცხვს და მიღებულია -ენ ნიშნისაგან: -ენ-→-ონ (ქვემოთ, გვ. 64 წმდ.).

უდურის მკვლევრები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ერგატივის -ინ სუფიქსს. ეს ფორმანტი გვხვდება ძირითადად ნაცვალხაზელებში, აგრეთვე ნაზმნარი სახელის ფორმებში:

სახელ. მენო || მონო—„ესე“

შენო || შონო—„იგი“

ერგატ. მეტ-ინ

შეტ-ინ

სახელ. ცამფეს—„წერა“

ქარხეს—„ცხოვრება“

ერგატ. ცამფეს-ინ

ქარხეს-ინ

მაგალითად:

მ ე ტ ი ნ ბონეხსა ხუპახ, ხორაგახ. R 10—„ეს [ამან] ხარშავს ფლავს, საკმელს“

შ ე ტ ი ნ ჰაუეთარ წილინეხა: „ბოჭკი“. R 11₁₁—„იგი [იმან] იმგვარადვე ჰყვირის: დავიწვი“.

⁷ ა. ღირი, Einführ., გვ. 334.

სახელის ეს ფორმა მოქმედებით ბრუნვასაც გადმოგვცემს.

მაგალითად:

თე მე აქლავინ ბულ ტუნკური ფსინ თაცინე, სა ქურრუ ბითი. R11₂— „რომ ამ დევის თავი ტრიალით წავიდა, ერთ ორმოს[ში] ჩავარდა“.

ამგვარად, უღურში დასტურდება ერგატივის ორი ძირითადი ნიშანი: -ინ და -ენ. რა მიმართებაა ამ ორ ფორმანტს შორის. რომელია პირველადი ფორმანტი? ნიჭური კილოს მონაცემები თითქოს საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

ერგატივ-მოქმედებითი ნიჭურში წარმოდგენილია ვართაშნულის მსგავსად. თავისებურება გვაქვს ერთადერთ თანდებულიან ბრუნვაში, რომლის საფუძვლად თითქოს უნდა ვივარაუდოთ ერგატივ-მოქმედებითი. ესაა განკუთვნიებითი ბრუნვა (causativus, § 36). ვართაშნულში ამ ბრუნვის ფორმანტად გვევლინება -ენკ [ენა] || ენქ/კ (ქართული თვის თანდებულის შინაარსით).

ერთ. სახელ. ადამარ— „ადამიანი“	შენო შონო— „იგი“
ერგატ. ადამარ-ენ	შეტ-ინ
განკუთვნ. ადამარ-ენკ [ენა]— „ადა-მიანისათვის“	შეტ-ენკ— „მისთვის“

ნიჭურში კი ამ ბრუნვის ნიშნად დასტურდება -აჲნაკ || -ეჲნაკ.

ნიჯ. სახელ. ეშყარ— „მამაკაცი“	შოო შონო— „იგი“
ერგატ. ეშყარ-ენ	შო-ტ-ინ
განკუთვნ. ეშყარ-ეჲნაკ	შო-ტ-აჲნაკ

მაგალითად:

ზ ა ა ნ ა კ სა ლი ბელინა თაჲსუნახუნ სა პაზარ მეტერ ოჩალ ქაშ-პსუნ მუჭანე— „ჩემთვის ერთი დღით საქონელში წასვლაზე ათასი მეტრი მიწის მოთხრა უფრო ტკილია“.

ნიკალაენ ყა ალისკანენ ბეშ აპტეკეჲნაკ პაჲ შუშჲ ჯოდ-ტუნ-ეჩერიო. Sd 6²4— „ნიკალამ და ალექსიმ ჩვენი აფთიაქისათვის ორი შუშა იოდი მოიტანეს“.

ერთ. -ენკ [ენა]-ს შესატყვისი ფორმანტები ნიჭურში უნდა დაიშალოს შემდგენიარად: -აჲნაკ←*ა-ინ-აკ[ენა], -ეჲნაკ←ე-ინ-აკ←*ა-ინ-აკ[ენა], სადაკ -ა უნდა წარმოადგენდეს I მიცემითის ნიშანს (§ 33), -ინ მოთხრობით-მოქმედებითის ფორმანტს, ხოლო -აკ←*აკენა— თანდებულს (მნიშვნელობით „თვის“). ამრიგად სავარაუდო ხდება, რომ ერგატივის პირველადი აფიქსი უნდა იყოს -ინ, რომელიც დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.

ვართაშნულში და ნიჭურშიც გავრცელებული -ენ ფორმანტი უნდა აიხსნას ფონეტიკურ ნიადაგზე: იგი მიღებული უნდა იყოს ხმოვანთა შერწყმით: -ენ ← *ა-ინ, სადაც -ა იქნება მიცემითის ნიშანი, ხოლო -ინ მოთხრობით-მოქმედებითისა. -ინ ფორმანტი ფუძეზე დართვისას გვაძლევდა ერგატივს, ხოლო მიცემითის ფორმაზე დაყრდნობით კი — ინსტრუმენტალისს. ეს უკანასკნელი კი დაირთავდა თანდებულს და ვილებდით განკუთვნიებითის ფორმას. ანალოგიური წარმოებით -ენ (*-ა+ინ) შემდგომში გადავიდა ერგატივში, ძველი ვითარება კი შემოგერჩა ნაშთის სახით ნიჭურის განკუთვნიებითის წარმოებაში.

საყურადღებო მოვლენა დასტურდება სიტყვათა ერთ ჯგუფში: სახელდობრ, ხმოვნით დაბოლოებულ სახელებში -ენ ბრუნვის ფორმანტს წინ ჩაერთვის -ინ მარცვალი (მარტოოდენ მხოლოობით რიცხვში).

ვართ. სახელ. კაშა—„თითი“, ნიჯ. კაშა—
ერგატ. კაშ-ინ-ენ (←*კაშა-ინ-ენ) კაშ-ინ-ენ?

ანალოგიური მოვლენა გვხვდება სხვა ბრუნვებშიც: ჩაერთვის -ნ ელემენტი (იხ. ქვემოთ).

§ 33. მიცემითი I. უღურ ენაში უნდა გამოიყოს ორი მიცემითი ბრუნვა: პირველ მათგანს ყველა მკვლევარი მიიჩნევდა მიცემითად. მისი ფუნქცია ნათელი იყო და ამდენად ამ ბრუნვის კვალიფიკაციაც ექვს არ იწვევდა. მას ვუწოდებთ მიცემით პირველს. მაგრამ უღურში დასტურდება ბრუნვის ფორმა, რომელიც ზოგმა მკვლევარმა აკუზატივად მიიჩნია. ნამდვილად იგი გენეტურად და ფუნქციითაც მიცემითს უნდა უკავშირდებოდეს: ამ ბრუნვას ჩვენ ვუწოდებთ მიცემით მეორეს. მას განვიხილავთ ქვემოთ.

ა. დირი გამოპყოფს I მიცემითისათვისაც რამდენსამე ნიშანს: „ა, ე, უ, ნა, ნუ—суффиксы дательного падежа“⁸—ამბობს იგი. ერგატივისა და ნათესაობითის მსგავსად I მიცემითშიც შეიძლება ერთი ძირითადი ფორმანტის დადგენა. ირკვევა, რომ I მიცემითს აწარმოებს მხოლოდ ერთი ძირითადი ნიშანი, სუფიქსი -ა.

მიცემითი I-ის ფორმანტებია: a. -ა: -ე, -უ, -ო, -ი; b. -ნ-ა: -ნ-ე, ნ-უ.

მაგალითად:

სახელ. ადამარ—„ადამიანი“ დაყ—„გზა“
მიცემ. I. ადამარ-ა დაყ-ა...

თუ ეს ნიშანი დაერთვის ისეთ ფუძეს, რომლის უკანასკნელი მარცვალი შეიცავს „ე“ ან „ი“-ს, -ა ემსგავსება მათ და გადადის ე-ში.

⁸ ა. დირი, Грамм., გვ. 15.

მაგალითად:

სახელ. ვიჩი—„ძმა“ ხუნჩი—„ღა“
მიცემ. I. ვიჩ-ე (←*ვიჩი-ა) ხუნჩე (←*ხუნჩი-ა)

-ნ-ა და -ნ-ე წარმოადგენენ იმავე ძირითად ფორმანტს, გართულებულს -ნ-ს ჩართვით.

მაგალითად:

სახელ. აშ—„საქმეს“ ხე—„წყალი“
მიცემ. I. აშ-ნ-ა ხე-ნ-ე

-ო გვხვდება მხოლოდ მრავლობით რიცხვში ფონეტიკური ცვლილების შედეგად.

რაც შეეხება -უ ფორმანტს, რომელსაც ა. დირიცი გამოჰყოფს ცალკე, იგი გვხვდება საყოველთაოდ ნაცვალსახელებში, ზედსართავებსა და რიცხვით სახელებში -ტ-უ ფორმანტის შემადგენელ ნაწილად (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა -უ გვხვდება არსებით სახელთა ერთ ჯგუფში, მუდამ ჩანართ -ნ-სთან ერთად.

მაგალითად:

ვართ. სახელ. ხ ა შ — „მთვარე, თვე“, ეჭ — „კალო“ შდრ. ნიჯ. ო ჭ
მიცემ. I. ხ ა შ -ნ-უ. ეჭ-ნ-უ ო ჭ-ა

ნიჭური შორდება ამ შემთხვევაში ვართაშნულს და გამოავლენს პირველად -ა ფორმანტს, -ნ-ს გარეშე.

სავარაუდოა, რომ -უ ფორმანტიც უკავშირდება ძირითად -ა ნიშანს. ნათელი არაა ოღონდ მისი გამოვლენის ფონეტიკური საფუძველი. -უ ფორმანტის გენეზისი გაირკვევა -ტ-უ და ჩანართი -ნ-ს ბუნების გარკვევასთან ერთად.

დასასრულ: -ი ფორმანტი გვხვდება რამდენსამე სიტყვაში.

მაგალითად:

სახელ. ფ ა ქ — „ბალი“ ჭალზგ — „ტყე“
მიც. I. ფ ა ქ -ი ჭალზგ-ი

უნდა ვცვარაუდოთ, რომ -ი- იღებს მიცემ. I-ის ფუნქციას მეტა-ანალიზის შედეგად. ი ხმოვანი უნდა იყოს ფუძისეული. სახელობითში იგი იკარგება, ხოლო სხვა ბრუნვებში აღდგება და თავის მხრივ ჰკარგავს ფორმანტის ხმოვანს: მიც. I. *ფაქი-ა→ფაქი... (შდრ. გვ. 53).

§ 34. მიცემითი II. ამ ბრუნვის ფორმა ზოგმა მკვლევარმა ფუნქციით გაუთანაბრა ინდოევროპულ ენათა აკუსატივის. როგორც გამოირკვა, ის არაა აკუსატივი, არამედ წარმოადგენს მიცემითი ბრუნვის ფორმას. მას ვუწოდებთ მიცემით მეორეს.

ა. შიფნერი ამ ბრუნვას უწოდებდა Affectiv-ს⁹.

ა. ღირმა კი მისთვის გააბატონა „ბ რ ა ლ დ ე ბ ი თ ი“ ტერმინი. იგი მის ფორმანტად გამოაყოფს აგრეთვე რამდენსამე ნიშანს: „ახ, ოხ, ეხ (იხ)—суффиксы винительного падежа, который часто принимает -н“,—ამბობს ის¹⁰. ამ ბრუნვის ძირითადი მაჩვენებელი უნდა იყოს -ახ. საერთოდ კი დასტურდება შემდეგი ფორმანტები: a. -ახ, -ეხ, -ხ, -უხ, -ოხ, -იხ; b. -ნ-ახ, -ნ-ეხ, -ნ-უხ...

მაგალითად:

სახელ. ადამარ რუსტამ—„როსტომი“

მიცემ. II. ადამარ-ახ რუსტამ-ახ

დანარჩენ ფორმანტებს ვიღებთ ისეთსავე პირობებში, როგორც ერ-გატივისა, I მიცემითისა და ნათესაობითის დროს.

a. სახელ. ვიჩი—„ძმა“ ხუნჩი—„და“
მიცემ. II. ვიჩ-ეხ←*ვიჩი-ახ ხუნჩ-ეხ←*ხუნჩი-ახ

b. სახელ. ნანა—„დედა“ ბაბა—„მამა“
მიცემ. II. ნანა-ხ←*ნანა-ახ ბაბა-ხ←*ბაბა-ახ

c. სახელ. ექ—„კალო“ ხაშ—„სინათლე“
მიცემ. II. ექ-ნ-უხ ხაშ-ნ-უხ

ამგვარად ვიღებთ ასიმილაციის გზით მრავლობით რიცხვში -ოხ ფორმანტსაც (იხ. ქვემოთ).

სახელ. ვიჩიმუხ — „ძმები“

მიცემ. II. ვიჩიმლ-ოხ (←*ვიჩი-მუხ-ახ)

-იხ ფორმანტი გვხვდება (მიცემითი I-ის მსგავსად) სახელთა ერთ რგულში.

მაგალითად:

სახელ. ფაქ—„ბალი“ ქალაგ—„ტყე“

მიცემ. I. ფაქ-ი ქალაგი

მიცემ. II. ფაქ-იხ←*ფაქი-ახ ქალაგ-იხ←*ქალაგი-ახ

ა. შიფნერიც და ა. ღირიც ამ ფორმებს უკავშირებენ ლოკატივს.

ნიჭურ კილოში მიც. II-ს ახასიათებს საყურადღებო თავისებურება, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს უღურის განვითარების

⁹ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 17.

¹⁰ ა. ღირი, Грамм., გვ. 16.

თვალსაზრისით. სახელდობრ, ეს ბრუნვა იჩენს ტენდენციას, დაემთხვეს ფორმით მიც. I-ს; -ახ ფორმანტი ჰკარგავს თანხმოვნითს ელემენტს: -ახ→-ა. ნიჯურში ეს ბრუნვა -ახ ნიშნით დასტურდება სპორადულად, უმთავრესად ნაცვალსახელებში (იხ. ქვემოთ, § 41 შმდ.).

§ 35. ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობითი ბრუნვის მორფოლოგიური რაობა რთულია. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად გამოიყოფა საში თუ ოთხი ძირითადი, მორფოლოგიურად დამოუკიდებელი ფორმანტი.

ა. ღირი ა. შიფნერის მონაცემთა საფუძველზე ამ ბრუნვისათვისაც გამოჰყოფს რამდენსამე ნიშანს. იგი ამბობს: „ნაი, ნეი, ეი, ი, უნ (ჟუნ), -ინ, -ნ- суффиксы родительного падежа“¹¹. ამ ბრუნვის ნიშნების სიმრავლე გაგებულია იმეკარად, თითქოს უდურს გააჩნდეს რამდენიმე ბრუნება. ამგვარადვე ესმოდა ნიშანთა ეს სიმრავლე ა. შიფნერსაც¹². მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ბრუნვის ვითარება აქ სრულად არ არის წარმოდგენილი: არაა გათვალისწინებული ყველა ფორმანტი. ამასთან ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქაც დასტურდება ერთი ბრუნება და ნიშანთა მრავალსახეობა უნდა აეხსნათ ნაწილობრივ ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე, ნაწილობრივ კი სხვა გარემოებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. შიფნერის მსგავსად ა. ღირიც არ გვაწვდის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკურ დაწერილობას. სახელდობრ, ნიშნები -ნაი, -ნეი, -ეი აღდგენილია, ნამდვილად უნდა გადმოიციეს: -ნაჲ, -ნეჲ, -ეჲ-ს სახით. დიფტონგის სუსტი წევრი ზოგჯერ იკარგება და გვრჩება ერთი ხმოვანი: *ნაი || *ნეი→ნაჲ || ნეჲ→ნა || ნე... დასტურდება შემდეგი ფორმანტები (ვართაშნულსა და ნიჯურში პრინციპულად ერთგვარი ვითარებაა):

I. -ი; II. ა. -ინ; ბ. -ნ-ინ; III. ა. -აჲ←*-ა-ი: -ეჲ, -ოჲ; ბ. -ნ-აჲ || -ნეჲ; IV. ა. -უნ: -უნჲ, -ჟუნ, -უნ; ბ. -ნ-უნ: -ნ-ჟუნ, -ნ-უნ.

I. სახელ. ღარ—„ძე“	ჩობან—„მწყემსი“
ნათეს. ღარ-ი	ჩობან-ი
II. სახელ. კოჯ—„სახლი“	ფაჩნა—„კვახი“
ნათეს. კოჯ-ინ	ფაჩნ-ინ←*ფაჩნა-ინ
III. სახელ. უს—„ხარი“	კულ—„მიწა“
ნათეს. უს-ნ-აჲ←*უს-ნ-აი	კულ-ლ-აჲ←*კულ-ნ-აი
IV. სახელ. კოკოწ—„ქათამი“	პასო—„ლრუბელი“
ნათეს. კოკოწ-უნ	პასო-ნ-უნ.

¹¹ ა. ღირი, Грамм., გვ. 14—15.

¹² ა. შიფნერი, Versuch, §§ 46—50.

ამ ფორმანტთა განაწილების გარკვეული (მორფოლოგიური თუ სხვა ხასიათისა) პრინციპი ამჟამად არა ჩანს, ზოგადად კი ისინი ასეთ ვითარებაში გამოვლინდებიან.

I. პირველი, ძირითადი ფორმანტი -ი ყველაზე მარტივია: ამ -ი-ს კავშირი უნდა ჰქონდეს -ინ და -აჰ←*ა+ი ფორმანტებთან:

სახელ. ლარ—„ძე“, „შვილი“

ნათეს. ლარ-ი

II. ნიშანი -ინ ჩვეულებრივ გვხვდება სიტყვებში, რომლებიც ხმოვანზე ბოლოვდება (თუმცა დასტურდება სხვა პირობებშიც):

სახელ. არაბა—„ურემი“ კოჯ—„სახლი“

ნათეს. არაბ-ინ კოჯ-ინ.

III. მესამე ძირითადი აჰ←*-აი ხასიათდება ერთი თავისებურებით: სიტყვათა გარკვეულ ჯგუფში ფორმატს ჩაერთვას წინ -ნ¹³ (resp.ინ). ეს ჩანართი შემდეგ მხოლოდობითის ყველა ბრუნვაში გასდევს. ეს ჩანართი ელემენტი სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

*-აი || *-ნ-აი ფორმანტი სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოში დასტურდება შემდეგი სახეობით: -აჰ || -ნ-აჰ— დიფტონგიზაციით და -ეჰ←*-ეი || -ნ-ეჰ←ასიმილაციით. -ეჰ || -ნ-ეჰ მაშინაა, როცა სახელის ფუძის ბოლო მარცვალი შეიცავს ე-ს ან ი-ს: მომდევნო სუფიქსის -ა ემსგავსება წინა ე-ს ან ი-ს და ვილებთ ე-ს. გარკვეულ შემთხვევაში შეინიშნება ტენდენცია, რომ -ეჰ || -ნ-ეჰ იქაც გაჩნდეს, სადაც ფონეტიკური ვითარების მიხედვით მოსალოდნელი არაა.

a. სახელ. ხაშ—„მთვარე“

ხოდ—„ხე“

ნათეს. ხაშ-ნ-აჰ

ხოდ-დ-აჰ←*ხოდ-ნ-აი

b. სახელ. ეჰქ—„ცხენი“

ნათეს. ეჰქ-ეჰ←*ეჰქ-აი

c. სახელ. ვიჩი—„ძმა“

ნათეს. ვიჩი-ეჰ←*ვიჩი-აი

d. სახელ. ლი—„დღე“

ნათეს. ლი-ნ-ეჰ←*ლი-ნ-აი.

რაც შეეხება -ოჰ←*-აი ფორმანტს, იგი გვხვდება უპირატესად მრავლობით რიცხვში და მიღებულია აგრეთვე ფონეტიკურ ნიადაგზე.

მაგალითად:

სახელ. ლარ-მუხ—„ძენი“,

აღამარ-უხ—„აღამიანები“

ნათეს.: ლარ-მულ-ოჰ←*ლარ-მუხ-აი, აღამარლ-ოჰ←*აღამარუხ-აი

¹³ -ნ ასიმილაციის ნიადაგზე გვაძლევს დ, რ, ლ, ტ-ს (იხ. § 23).

საყურადღებოა, რომ *-აი→-ოჲ ერთადერთი ფორმანტია მრავლობითი რიცხვისათვის.

IV. მეოთხე ნიშანი -უნ || -ნ-უნ ასიმილაციის ნიადაგზე დასტურდება -უნან || -უნან სახით, როცა ფუძის უკანასკნელ მარცვალში გვაქვს სათანადო ხმოვანი:

სახელ. ხან — „ძალი“ შდრ. ჯან (შფნ., § 47)

ნათეს. ხან-უნან ჯან-ეი.

სახელ. ჰასო — „ღრუბელი“

ნათეს. ჰასო-ნ-უნან

-გან ფორმანტი განსაკუთრებით გავრცელებულია ნიჭურში, თუმცა ვართაშნულშიც დასტურდება და მიღებული უნდა იყოს -უნ ფორმანტისაგან რელუქციის საფუძველზე:

ვართ. სახელ. კალხოზ — „კოლმეურნეობა“ ნიჯ. კალხოზ, კოოწ — „ქათამი“

ნათ. კალხოზ-უნან

კალხოზ-გან, კოოწ-გან

აქ წარმოდგენილია ძირითადად ვართაშნული კილოს მასალა. ნიჭურში შეინიშნება თავისებურება; თუ ვართაშნულში რომელიმე ფუძესთან ერთი ფორმანტია, ნიჭურში ამ ფუძესთან შეიძლება სხვა ფორმანტი დასტურდებოდეს (იხ. ქვემოთ).

ამრიგად ნათესაობითში დასტურდება ოთხი ძირითადი ფორმანტი. ხომ არ ირღვევა ამით ღებულება, რომ უღურში ერთი ბრუნებაა? რა მიმართება არსებობს -ი და -ინ და -ი და -ა-ჲ←-აი ფორმანტებს შორის? ცალკე გასარკვევია -უნ ფორმანტის ვითარება.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მრავლობითის ჩვენება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავლობითში გვხვდება მარტო ერთი ფორმანტი -ოჲ, რომელიც ფონეტიკური პროცესების (რელუქციისა და ასიმილაციის) შედეგად მიღებულია *-აჲ || *-აი ფორმანტისაგან.

სახელ. აღამარ-უხ — „აღამიანები“

ნათეს. აღამარ-ლ-ოჲ←*აღამარ-უხ-აი

ეს ფაქტი გვაგარაულებინებს, რომ -აჲ || ←*-აი ნიშანი ძველი ფორმაციისა უნდა იყოს.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს ნაცვალსახელების ვითარებაც. აქ ჩვენ მხოლოდობით რიცხვშიც გვაქვს ერთი ფორმანტი და ეს ფორმანტია -აჲ←*-ა-ი (§ 42).

სახელ. მონო — „ეს“,

შონო — „ის“

ნათეს. მე-ტ-აჲ

შე-ტ-აჲ

ასეთივე ვითარება დასტურდება ზედსართავისა და რიცხვითი სახელის ბრუნებისას.

საკითხავია: -აჰ←*-აი მარტივი ფორმანტია თუ არა? მისი შეპირისპირება -ი || -ინ ფორმანტებთან და უღური ბრუნების ერთი საყურადღებო თვისების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ -აჰ || *-აი იშლება ორ ელემენტად: -ა + ი, სადაც -ი უნდა წარმოადგენდეს ნათესაობითის ნამდვილს ნიშანს: იგი დადასტურებულია -ი || -ინ ფორმანტებშიც.

რომ -ი არის ნათესაობითის პირველადი ფორმანტი, ამას უნდა ადასტურებდეს 1 და 2 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელთა წარმოებაც (§ 41).

მხოლ. რიცხვი

სახელ. ზუ—„მე“ უნ || ნიჯ. ჰუნ—„შენ“
ნათეს. ბე-ზ-ი—„ჩემი“ ვ-ი—„შენი“

მრავლ. რ.

სახელ. ღან—„ჩვენ“ ვაჰ—„თქვენ“
ნათეს. ბე-შ-ი—„ჩვენი“ ეაჰ-ი—„თქვენი“

რაც შეეხება წინამაველ -ა ელემენტს, მის გასარკვევად უნდა მოვიგონოთ უღური ბრუნების ერთი თვისება: უღური ენის როგორც ძირითადი, ისე თანდებულებიანი ბრუნვები ემყარებიან მიცემით I და მიცემით II ბრუნვას. ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა მიც. I, რომლის ძირითადი ნიშანი არის -ა (§ 33).

მაგალითად:

მხოლ. რიცხვი

I. სახელ. კოჯ — „სახლი“, ერგატ. კოჯ-ენ ნათეს. კოჯ-ინ მიცემ. I. კუ-ა მიცემ. II. კუ-ახ	ხაშ — „მთვარე“, ხაშ-ენ ხაშ-ნ-აჰ ხაშ-ნ-უ ხაშ-ნ-უხ	შონო—„იგი“. შე-ტ-ინ შე-ტ-აჰ შე-ტ-უ შე-ტ-უხ
II. ზედაობ. კუ-ა-ლ მიმართ. კუ-ა-ჰ თანამყ. კუ-ა-სტა	ხაშ-ნ-ულ ხაშ-ნ-უჰ ხაშ-ნ-უსტა	შე-ტ-ულ შე-ტ-უჰ შე-ტ-უსტა
III. დაშორ. კუ-ა-ხო თანაობ. კუ-ა-ხოლ	ხაშ-ნ-უხო ხაშ-ნ-უხოლ	შე-ტ-უხო შე-ტ-უხოლ

ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა მოთხრობით-მოქმედებითი და ნათესაობითი. მოთხრობით-მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტის ანალიზი მოცემულია ზემოთ (§ 32). ამჟამად ნათესაობითი ბრუნვის

ერთი სახეობაც ამგვარი აღნაგობისა აღმოჩნდება: მიცემითი ბრუნვის ფორმა ნათესაობითისათვის გამოყენებულია ფუძედ. ზოგადად ამგვარი წესი ბრუნების პროცესისა (ორფუძიანობა), როგორც ცნობილია, დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიურ ენათათვის¹⁴. თავისებურებას უდურში ქმნის ის, რომ სხვა ბრუნვათა საწარმოებლად გამოდის მიცემითი ბრუნვა.

ცალკე გარკვევას მოახსოვს, რას წარმოადგენს ეს -ა გენეტური თვალსაზრისით: არის ის ნამდვილად მიცემითის ნიშანი, თუ სხვა ბრუნვისა?.

რაპდენადაც -აჲ || *-აი ფორმანტში ნათესაობითის აფიქსად გამოვლინდება -ი, ამდენად მისი დაკავშირება და დამთხვევა ბუნებრივია -ი || -ინ ფორმანტთან. სირთულეს ქმნის ორი გარემოება: ა. ჭერ ერთი, ეს უკანასკნელი ფორმანტები დაერთვის უშუალოდ ფუძეს და ხ. მეორე: -ინ ფორმანტში გვაქვს თანხმოვანი -ნ ელემენტიც.

ამ ვითარების ახსნა შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს:

1. ნათესაობითის ფორმანტის უშუალოდ ფუძეზე დართვა უდურში უნდა იყოს მეორეული მოვლენა; ასეთი ვითარება უნდა შექმნილიყო მაშინ, როცა -ა მიცემითის ფორმანტმა დაჰკარგა ძველი ფუნქცია და უდური ენის ბრუნების პირვანდელი სისტემა შეირყა. ამ შემთხვევაში გამოირიქხული არაა სხვა ენის, მაგალითად აზერბაიჯანულის, გავლენაც. ასეთი გარდაქმნა ყველაზე ადვილი იყო სწორედ ნათესაობით ბრუნვაში, რადგანაც ნათესაობით ბრუნვას ყველაზე მეტი კავშირი აქვს სიტყვაწარმოებასთან. ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში ყველაზე ძლიერია სემანტიკური მომენტის გავლენა და წარმოჩენა.

2. რაც შეეხება -ინ ფორმანტის თანხმოვნით ელემენტს, აქ ნაკლები დაბრკოლება გვხვდება. სახელდობრ, როგორც ქართველურს, ისე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც თანხმოვნითი ელემენტი არ მიიჩნევა ნათესაობითის კუთვნილებად¹⁵. უდურის ეს ფორმანტიც ამრიგად წარმოგვიდგება -ი-ნ სახით, სადაც ნათესაობითის ძირითად ელემენტად აგრეთვე -ი ხმოვანი უნდა მივიჩნიოთ.

ამისდა მიხედვით ფორმანტები: -აჲ ← *-ა-ი, ი-ნ- ადასტურებენ ერთსა და იმავე ნათესაობითის ნიშანს -ი-ს, რომელიც სხვადასხვა წესით არის გამოყენებული:

¹⁴ არნ. ჩიქობავა, ზუნძ. ერგატ. ისტორია, გვ. 11—15.

¹⁵ არნ. ჩიქობავა, ვრამატ. კლასკატ. და ბრუნვის ნიშ. გენეზისი ქართვ. ენ., გვ. 66 შმდ.; ვ. თოფურიია, ბრუნების სისტ. სვანურში, გვ. 340 შმდ.

a. იგი დაერთვის მიცემით I-ის ფორმას და გვაქვს -აჲ || *-ა-ი: ნათ. ხაშნ-აჲ←*ხაშ-ნ-ა-ი—„მთვარისა“.

b. მარტივი სახით უშუალოდ დაერთვის ფუძეს: ნათ. ღარ-ი—„ძისა“.

c. ერთვის პირდაპირ ფუძესვე, ოღონდ გართულებულია -ნ ელემენტი: ნათ. კოჯ-ინ—„სახლისა“.

რომ -ი ნაოესაობითის ძირითადი ნიშანია უდურში, ამას მხარს უჭერს სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემები, პირველ რიგში ქართველური ენებისა: საამისო ფაქტები ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში.

დასასრულ, გასარკვევია -უნ || -უნ ფორმანტის ვითარება. ეს ფორმანტი ყველაზე გავრცელებულია თანამედროვე უდურში. იგი ერთადერთია ნათესაობითის საწარმოებლად ახლად შესულ უცხოურ სიტყვებში, მაგალითად: ნათ. კალხოზ-უნ—„კოლმეურნეობისა“, ჯოღდაშ-უნ—„ამხანაგისა“. ეს ფაქტი იმას უნდა მიუთითებდეს, რომ იგი ყველაზე ახალია ამ ფორმანტთა შორის.

რა მიმართებაშია -უნ||-უნ ნიშნეზი პირველად -ი||-ი-ნ ფორმანტთან? ბუნებრივი იქნებოდა, რომ -უნ||-უნ დაგვეკავშირებინა -ინ ფორმანტისათვის და მისი წარმოქმნა აგვეხსნა აგრეთვე ფონეტიკურ ნიადაგზე. ახსნას მოითხოვს სახელდობრ ლაბიალი -უ ხმოვნის გამოვლენა. მაგრამ უდური ენის თანამედროვე ვითარება არ გვაძლევს საბუთს, რომ -უნ უშუალოდ გამოვიყვანოთ -ინ ფორმანტიდან: -უნ ფორმანტის ხმარება არაა განსაზღვრული ფონეტიკური პირობებით, რასაც ჩვენ სხვა ვარიანტების ანალიზისას ვადასტურებთ. ამდენად, -უნ-ის წარმოჩენის ასახსნელად სხვა მიზეზები უნდა მოიძებნოს. სხვათა შორის, შესაძლებელია დაგვეშვა მისი ნასესხობა: სახელდობრ, -უნ||-უნ ან მთლიანად ნასესხებია აზერბაიჯანული ენიდან, ანდა იგი უნდა წარმოადგენდეს -ინ-ის გარდასახეებას იმავე აზერბაიჯანული ენის ფორმანტის ანალოგიით.

როგორც ცნობილია, თურქულში და, კერძოდ, აზერბაიჯანულში შემდეგი ვითარებაა: ნათესაობითის ნიშნებია: თურქულში: in, in, un, ün, აზერბაიჯანულში: -უნ, -ინ, -უნ, -უნ.

ამ ნიშანთა განაწილება, როგორც ცნობილია, დამოკიდებულია ფუძის ხმოვანზე (აზერბაიჯანულში დასტურდება ხმოვანთა ჰარმონია). საყურადღებოა ოღონდ, რომ აკად. ს. ჯიქიას ცნობით აზერბაიჯანულის კილოებში -უნ ვარიანტის მაგივრად გავრცელებულია -უნ. ეს ფორმანტი, როგორც ჩანს, მეტს გამოყენებას პოულობს და ამდენად პირველ ყოვლისა მისი გადასვლა სხვა ენაში ბუნებრივი იქნებოდა.

ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა -უნ || -უნ ფორმანტის ახსნას თვით უღურის საფუძველზე. ამრიგად, თუ გაძოვრიცხავთ -უნ ფორმანტს, ნათესაობით ბრუნვაში პრინციპულად დაგვრჩება ერთი *-ი ფორმანტი.

§ 36. მეორეული resp. თანდებულიანი ბრუნვები. უღურშიც დასტურდება ბრუნვად მიჩნეული ისეთი ოდენობანი, რომელიც ისტორიულად თანდებულიან ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. ამ თანდებულთა გამოყოფა დღევანდელ უღურში რთული საქმეა: ამჟამად ისინი ისევე უკავშირდებიან ფუძეს, როგორც ბრუნვის ფორმანტები.

ა. შიფნერი და ა. დირი გამოჰყოფდნენ ამ რიგის შემდეგ ბრუნვებს (ისინი ამ ბრუნვებს არ მიიჩნევდნენ თანდებულიან ბრუნვებად).

ა. შიფნერი ¹⁶	ა. დირი ¹⁷	ჩვენი ტერმინოლოგიით ¹⁸
1. Ablativ 2. Comitativ 3. Terminativ 4. Allativ 5. Adessiv 6. Causativ	Отделяющий Союзный Terminativ Предельный «Нахождения» Dativus commodi	დაშორებითი თანაობითი ზედაობითი მიმართულებითი თანამყოფობითი განკუთვნებითი

მეორეულ ბრუნვათა საწარმოებლად გამოყენებულია მიცემითი ბრუნვის ფორმა¹⁹, ერთ შემთხვევაში კი — ერგატივ-მოქმედებითი ბრუნვა. ეს ბრუნვები სხვადასხვაგვარად უკავშირდებიან ერთმანეთს და ჰქმნიან ერთგვარ სისტემას:

- I. მიცემ. I. ღარ-ა: ა. ზედაობითი: ღარ-ა-ლ — „შვილზე“
 ბ. მიმართულებ.: ღარ-ა-ჰ — „შვილამდე“
 გ. თანამყოფობ.: ღარ-ა-სტა — „შვილთან“
- II. მიცემ. II. ღარ-აბ: დ. დაშორებითი: ღარ-აბ-ო — „შვილისაგან“
 ე. თანაობითი: ღარ-აბ-ოლ — „შვილთან ერთად“.
- III. ერგატ. ღარ-ენ: ვ. განკუთვნებითი: ღარ-ენ-კ[ენა] — „შვილისთვის“

¹⁶ ა. შიფნერი, Versuch, § 53 შმდ.

¹⁷ ა. დირი, Грамм., გვ. 18—20.

¹⁸ წარმოდგენილა ქართული ტერმინები მიახლოებულ მითითებას იძლევა ამ ბრუნვათა შინაარსზე. ამ ბრუნვათა ფუნქციები იხ. ქვემოთ, § 40.

¹⁹ ცალკე საკითხია, რას წარმოადგენს ეს მიცემითი ისტორიულად.

თუ დავუშვებთ, რომ მიც. I და მიც. II გენეტურად დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაშინ მეორეულ ბრუნვათა საფუძველი აღმოჩნდება ზოგადად მიცე მითი და ერგატავ-მოქმედებითი.

რაც შეეხება ამ ბრუნვათა საწარმოებელ ელემენტებს, აქ დასტურდება ჩვეულებრივი წესით ბრუნვის ძირითადი ფორმანტის ვარიანტები. ნიჯურ კილოში დასტურდება ზოგი თავისებურება (-ნ ჩართული ვარიანტები არ მოგვყავა):

- I. ვართ. მიცემ. I: -ა, -ე, -უ, ო, -ი:
 ა. ზედლობითი: -ა-ლ, ე-ლ, -უ-ლ, -ო-ლ, -ი-ლ;
 ბ. მიმართულებითი: -ა-ჭ, ე-ჭ, -უ-ჭ (-ნ-უჭ, -ო-ჭ;
 გ. თანამყოფობითი: -ა-სტა, ე-სტა, -უ-სტა, -ი-სტა;

ნიჯ. მიცემ. I: -ა და ვარიანტები:

- ზედლობ. -ა-ლ
 მიმართ. -ა-ჩ
 თანამყ. -ა-სტა

II. ვართ. მიცემ. II: -ახ, -ეხ, -უხ, -ოხ, -იხ:

- დ. დაშორებითი: ახ-ო, ეხ-ო, -უხ-ო, -ო-ხო, -იხ-ო;
 ე. თანაობითი: -ახ-ოლ, ეხ-ოლ, -უხ-ოლ, -ოხ-ოლ, იხ-ოლ;

ნიჯ. მიცემ. II: -ახ || -ა და ვარიანტები:

- დაშორ. -ახუნ
 თანაობ. -ახუნ

III. ვართ. ერგატ. -ენ ნიჯ. -ენ

ვ. განკუთვნ.: -*ენკ[ენა] -აჲნაკ || *-აჲნაკ(ენა)

ასეთი ვითარების საილუსტრაციოდ ვაბ.:უნოთ სახელები: ღარ— „შვილი“, კოჯ— „სახლი“, შონო— „ის“.

ვართ.

ძირითადი ბრუნვები:

- I. 1. სახელ. ღარ— „შვილი“, კოჯ— „სახლი“, შონო²⁰— „ის“
 2. ერგატ. ღარ-ენ კოჯ-ენ შე-ტ-ენ
 3. ნაოეს. ღარ-ი კოჯ-ინ შე-ტ-აჲ
 4. მიც. I. ღარ-ა კუ-ა შე-ტ-უ/შო-ტ-უ
 5. მიც. II. ღარ-ახ კუ-ახ შე-ტ-უხ(შო-ტ-უხ)

²⁰ ნაცვალსახელთა ბრუნვა იხ. § 41 შმდ.

მეორეული ბრუნვები:

II.	6.	ზედაობ.	ლარ-ალ,	კუ-ალ	შე-ტ-ულ
	7.	მიმართ.	ლარ-აჟ	კუ-აჟ	შე-ტ-უჟ
	8.	თანამყოფ.	ლარ-ასტა	კუ-ასტა	შე-ტ-უსტა.
III.	9.	დაშორ.	ლარ-ახო	კუ-ახო	შე-ტ-უსო
	10.	თანაობ.	ლარ-ახოლ	კუ-ახოლ	შე-ტ-უხოლ
IV.	11.	განკუთვნ.	ლარ-ენკ	კოჯ-ენკ	შე-ტ-ენკ

ამრიგად, მეორეული ბრუნვების საფუძვლად დასტურდება უმთავრესად მიცემითი ბრუნვა²¹, ერთ შემთხვევაში კი ერგატივ-მოქმედებითი.²²

მეორეულ ბრუნვათათვის გამოყენებული ელემენტები უნდა წარმოადგენდნენ თანდებულებს, რომელნიც დღეს გაქვავებული სახითაა შემორჩენილი. ერთი ასეთი თანდებულის გამოყოფა შესაძლებელია რეალურად. სახელდობრ, ზედაობითის ფორმანტი „-ალ“ უნდა უკავშირდებოდეს დღევანდელ „ალა“ ზმნისზედას, რაც ნიშნავს „ზემოთ, ჴევით“. ამგვარსავე მნიშვნელობას იძლევა ეს ბრუნვაც.

ამგვარია მეორეულ ბრუნვათა წარმოება და მათი მიმართება ძირითად ბრუნვებთან თანამედროვე ვათარების თვალსაზრისით. ისტორიულად შეიძლება ვეყარაუდოთ უფრო რთული ვათარება: შესაძლებელია, თვით ძირითადი ბრუნვების ფორმანტთა ურთაერთობა სხვაგვარად წარმოვიდგინოთ. კერძოდ, გარკვეული ურთიერთობა არსებობს მიცემით I-სა და მიცემით II-ს შორის: სახელდობრ, ისინი საერთო გენეზისისა უნდა იყვნენ. ამას მიხედვით აღმოჩნდება, რომ მეორეული ბრუნვების საფუძველი საზოგადოდ იქნება მიცემითი, ოღონდ სხვადასხვა საფეხურის გაფორმებით²³...

ამასთან საკითხი ისმის, თვათონ თანამედროვე განკუთვნებითიც ხომ არ ემყარება მიცემითს. გასარკვევა აგრეთვე დაშორებითისა და თანაობითის ვართ. -ხო და -ხოლ, ნიჟ. -ხუნ ფორმანტთა ურთიერ-

²¹ ამ გარკვევას ა. შიფნერიც აღნიშნავს: „Von dem Dativcharakter ist die Bildung der übrigen Beuffälle mit Ausnahme des Instructivs abhängig“: გვ. 17, § 52. ოღონდ იგი არ არკვევს, რაგორა ხასიათისაა ეს დამოკიდებულება და ბრუნვების სისტემის განხალვისას ამ მოვლენას ურადლებას არ აქცევს.

²² ერთ შემთხვევაში ნათესაობათის ფუქეც თითქოს მიცემითის ფორმას ემყარება.

²³ მეორეულ ბრუნვათა ფორმანტების გენეზისის ესაჭიროება ცალკე განიხილვა. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ მიცემითს ბრუნვას უდურში ამჟამად არ მოითხოვს არც ერთი თავისთავადი თანდებელი, რაც თითქოს მიუთითებს იმაზე, რომ მიცემითს ღარტული თანდებულები შემონახულია მეორეულ ბრუნვებში.

თოზა და ერგატივე-მოქმედებითისა და ნათესაობითის ფორმანტების გენეზისის საკითხი.

§ 37. მრავლობითი რიცხვის წარმოება. ა. დირი ემყარება ა. შიფნერს და მართებულად გამოჰყოფს მრავლობითი რიცხვის შემდეგ ნიშნებს: „ურ, -უხ, -მუხ, -ურუხ, -ურმუხ—Суффиксы множ. числа“²¹. ეს ფორმანტები უდურში ნამდვილად დასტურდება. მაგალითად: მხოლ. რ. ადამარ—„ადამაანი“, ხოდ—„ხე“, ღარ—„ძე“, კოჯ—„სახლი“: მრავლ. რ. ადამარ-უხ, ხოდ-ურ-უხ, ღარ-მუხ, კოჯ-ურ...

მაგრამ მათი მიკუთვნება სახელთა ცალკეული ჯგუფებისათვის რაიმე მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით, როგორც ეს ჯერ ა. შიფნერმა და შემდეგ ა. დირმაც მოიმოქმედა, არ შეიძლება.

ამ ხუთი მაჩვენებლიდან ორი უკანასკნელი „-ურ-უხ“, და „-ურ-მუხ“ წარმოადგენენ მრჩობლ მრავლობითს, ორმაგი მაწარმოებლის დართვით. შესაძლებელია აგრეთვე პარალელური ხმარება, როგორც ცალკე -ურ, ისე -ურ-უხ—ნიშნისა ერთსა და იმავე სახელთან²⁵, თუმცა თავს იჩენს ტენდენცია, რომ ყველგან (ნაცვალსახელების გამოკლებით) მრჩობლი, ორმაგი მრავლობითი იხმარებოდეს.

რაც შეეხება -მუხ ფორმანტს, ა. შიფნერი მას ასე ახასიათებს: „... დასტურდება დაბოლოება „მუხ“ კოლექტიურობის მნიშვნელობით“. ა. დირი არას ამბობს ამ შესხედულების შესახებ, თუმცა იხსენიებს მას.²⁶ ამჟამად არაა ნათელი „მუხ“ ფორმანტი იშლება შემადგენელ ნაწილებად და გამოიყოფა „-მ“ და „-უხ“ ელემენტები თუ არა. შესაძლებელია, რომ „-უხ“ მრავლობითის ძირითადი ფორმანტია, ხოლო „მ“ მსგავსი ფუნქციის მქონე იყოს.

საყურადღებოა პრინციპი, რომლის მიხედვითაც იწარმოება ბრუნება მრავლობით რიცხვში. ა. შიფნერი ამგვარად წარმოიდგენს ამ პრინციპს: „მრავლობითში ყველა ირიბ ბრუნვას საერთო აქვს „ლო“ ნიშანი, და მას ერთვია ცალკე დაბოლოებანი; მარტივად იგი ჩნდება მიცემითში“-ო²⁷.

ა. დირი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ა. შიფნერის დებულებას: „მრავლობითი რიცხვის ირიბი ბრუნვები დაერთვიან ლო სუფიქსს (მიცემითი ბრუნვას სუფიქსა მრავლობით რიცხვში), რომელიც ემატება „ურ“-ზე დაბოლოებულ სიტყვებს...; ყველა დანარჩენი სიტყვა მარტი-

²¹ ა. დირი, Грамм., გვ. 21 შნდ.

²⁵ ა. დირი, Грамм., გვ. 21 შნდ.

²⁶ ა. დირი, Грамм., გვ. 22.

²⁷ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 18, § 62.

ვად ცვლის „უხ“-ს „ლო“ დაბოლოებით, თანაც „ღ“-ს წინ „უ“ ხშირად იკვეთება...“²⁸

ა. შიფნერისა და ა. ღირის ეს დებულება არაა ზუსტი. ა. ღირი ვარაუდობს, რომ ყველა ბრუნვა მრავლობითში იწარმოება მიცემითისაგან და ამ ბრუნვისათვის იგი გამოკყოფს ახალ „-ლო“ ფორმანტს. ამით ა. ღირი თითქოს პრინციპულად ასხვავებს ბრუნებას მხოლოობითსა და მრავლობითში. ნამდვილად უდურში დასტურდება ერთი ბრუნება, ბრუნვათა ერთი და იგივე ნიშნები მხოლოობითსა და მრავლობითში. საჭიროა მხოლოდ გავითვალისწინოთ უდურის სამი ფონეტიკური მოვლენა: 1. ხმოვანთა რედუქცია, 2. ყრუ ბგერის გამკლერება ორ ხმოვანს შორის, 3. ასიმილაცია—ხმოვნის რედუქციის შედეგად. ნათელი ხდება, რომ უდურში გვაქვს აგლუტინაციური წარმოება მრავლობითი რიცხვისა. მრავლობითი რიცხვის წარმოება უდურში ამგვარად უნდა წარმოვადგინოთ:

1. ადამარ—„ადამიანი“

- სახელ. ადამარ-უხ — „ადამიანები“
 ერგატ. ადამარ-ღ-ონ ← *ადამარ-უხ-ენ
 ნათეს. ადამარ-ღ-ოჲ ← *ადამარ-უხ-აჲ(აი)
 მიც. I. ადამარ-ღ-ო ← *ადამარ-უხ-ა
 მიც. II. ადამარ-ღ-ონ ← *ადამარ-უხ-ახ

2. დეს—„გაკვეთილი“

- სახელ. დეს-ურ-უხ — „გაკვეთილები“
 ერგატ. დეს-ურ-ღ-ონ ← *დეს-ურ-უხ-ენ
 ნათეს. დეს-ურ-ღ-ოჲ ← *დეს-ურ-უხ-აჲ(აი)
 მიცემ. I. დეს-ურ-ღ-ო ← *დეს-ურ-უხ-ა
 მიცემ. II. დეს-ურ-ღ-ონ ← *დეს-ურ-უხ-ახ

3. ღარ—„ძე“, „შვილი“

- სახელ. ღარ-მ-უხ — „ძენი“, „შვილები“
 ერგატ. ღარ-მ-ულ-ონ ← *ღარ-მ-უხ-ენ
 ნათეს. ღარ-მ-ულ-ოჲ ← *ღარ-მ-უხ-აჲ(აი)
 მიცემ. I. ღარ-მ-ულ-ო ← *ღარ-მ-უხ-ა
 მიცემ. II. ღარ-მ-ულ-ონ ← *ღარ-მ-უხ-ახ

ამრიგად, მრავლობითის წარმოებისას შეინიშნება შემდეგი ვითარება: მრავლობითის „-უხ“ (resp. „-მ-უხ“) ნიშანი დაერთვას ან პირდაპირ მხოლოობითის ფუძეს, ან „-ურ“ ფორმანტით გართულებულს სახელობითს.

²⁸ ა. ღირი, Грамм., გვ. 22.

მაგალითად:

მხ. რ. ადამარ — „ადამიანი“, დსს — „გაკვეთილი“, ლარ — „ძე“

მრ. რ. ადამარ-უხ, დსს-ურ-უხ, ლარ-მუხ

სხვა ბრუნვებში სახელობითის ფუძე (მრავლობითის ნიშნითურთ) მთლიანად გადაჰყვება სახელს და მას ერთვის შესატყვისი ბრუნვის ნიშანი ისევე, როგორც მხოლოობითში:

მაგალითად:

ერგატ. *ადამარ-უხ-ენ მიცემ. I. *ადამარ-უხ-ა

*დსს-ურ-უხ-ენ *დსს-ურ-უხ-ა

*ლარ-მ-უხ-ენ *ლარ-მ-უხ-ა

აქ თავს იჩენს უღუროსათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები: ბრუნვის ფორმანტის ხმოვანი „ა“ ან „ე“ ემსგავსება წინამავალ მრავლობითის ფორმანტს „უ“-ს და გვაძლევს „-ო“-ს. ზოგჯერ ფუძე იკუმშება და „უ“ ხმოვანი ამოვარდება, ხოლო თანხმოვანი „ხ“ მქდერდება: ხ→ღ. მთელი პროცესი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ერგატ. *ადამარ-უხ-ენ → *ადამარ-ულ-ონ → ადამარ-ლ-ონ...

*დსს-ურ-უხ-ენ → *დსს-ურ-ულ-ონ → დსს-ურ-ლ-ონ

*ლარ-მ-უხ-ენ → ლარ-მ-ულ-ონ

მსგავსი მოვლენა შეინიშნება მხოლოობით რიცხვშიც სახელთა ერთ კატეგორიაში; სახელდობრ, ისეთ სიტყვებში, რომელნიც ბოლოვდებიან „-უხ“-ზე. ასეთებია: ულუხ — „კბილი“, ელმუხ — „სული“, ჩუბუხ — „ცოლი“ და სხვა²⁰.

სახელ. ელმუხ — „სული“

ელუხ — „კბილი“

ერგატ. ელმულონ ← *ელმუხ-ენ

ულონ ← *ულუხ-ენ

ნათეს. ელმულო ← *ელმუხ-აი

ულლო ← ულუხ-აი

მიცემ. I. ელმულო ← *ელმუხ-ა

ულლო → ულუხ-ა

მიცემ. II. ელმულოხ ← *ელმუხ-ახ

ულლოხ ← ულუხ-ახ

ამ სიტყვებში უნდა დასტურდებოდეს გაქვავებული მრავლობითი რიცხვი: „-უხ“ მრავლობითის ნიშანს უნდა წარმოადგენდეს.

უღურში დასტურდება ისეთი სიტყვაც, რომელიც ბრუნების დროს ნაწილობრივ ზემოთ მოყვანილის მსგავს პროცესებს გეაჩვენებს და გვიდასტურებს ზემომოყვანულ მოსაზრებებს:

²⁰ შტრ. ა. შიფერი, Versuch, § 64: იგი ამბობს: — „Nach Analogie des Plurals wie den diejenigen Nomina declinirt, welche auf „უხ“ ausgehen“.

მაგალითად:

სახელ.	ფასქახ ³⁰	ფაშჩახ (ДГр 84 ₃)— „მეფე“
ერგატ.	ფასქალ-ენ	ფაშჩალ-ენ (ДГр 84 ₁₃)
ნათეს.	ფასქალ-უნ	ფაშჩალ-უნ (ДГр 86 ₉)
მიცემ. I.	ფასქალ-ა	ფაშჩალ-ა (ДГр 86 ₅)

მოყვანილი სახელის ბრუნება გვიდასტურებს შემდეგს: 1. უღურისათვის ჩვეულებრივია აუსლატის ყრუ თანხმონის გამჟღერება ხმოვნებს შორის, 2. ბრუნვის ნიშნის „ა“ და „ე“ ხმოვანი რომ „ო“-ს გვაძლევს, ეს დამოკიდებულია მრავლობითის ფორმანტის „უ“ ხმოვანზე, რადგანაც იქ, სადაც ასეთი პირობა არ მოიპოვება, ბრუნვის ნიშნის ხმოვანი უცვლელი რჩება.

ამრიგად დასტურდება, რომ სახელები მრავლობით რიცხვში ფორმებს აწარმოებენ აგლუტინაციურად. უღური ბრუნების მექანიზმი მხოლოდითსა და მრავლობითს რიცხვში ერთგვარია. ამასთანავე მრავლობითი რიცხვს გათვალისწინება გვიდასტურებს იმასაც, რომ უღურში წარმოდგენილია სახელთა ერთი ბრუნება: მრავლობითში სრულებით არ გვხვდება ბრუნვის ნიშნთა სხვადასხვაობა.

არსებითად ამგვარივეა მრავლობითის წარმოების პრინციპი ნიჯურ კილოშიც, ოღონდ დასტურდება ზოგი თავისებურება... -ურ, -უხ, -ურ-უხ, -მ-უხ ფორმანტები ნიჯურშიც სრულადაა დაცული. თავისებურია მათი გამოყენება ცალკე სიტყვების მიხედვით: მაგალითად, იქ სადაც ვართა-შნულში არის -ურ-უხ, ნიჯურში ზოგჯერ მარტო -უხ გვხვდება; ანდა -მუხ ფორმანტის მაგივრად შეიძლება -ურ-უხ ან -უხ გვეწოდეს... ამასთან -უხ ჩვეულებრივად წარმოდგენილია ნიჯურში -ოხ ფორმანტის სახით.

ნიჯურის არსებითი თავისებურება ის არის, რომ მრავლობითის სახელობითი უთანაბრდება მრავლობითის მიცემით I-ს: ამ ორი ბრუნვის ფორმა ერთმანეთს ემთხვევა ზოგ შემთხვევაში.

ვართ. სახელ. ეაქურუხ — „ცხენები“: ნიჯ. ბეზ ეაქურხო (სახ.) ტიტუნტერი — „ჩემი ცხენები ვაიქენენ“.

მიცემ. I. ეაქურლო — „ცხენებს“: ზუ ბეზ ეაქურხო (მიც. I) ბესუზი — „მე ჩემი ცხენები დავხოცე“.

ეს ფაქტი საყურადღებოა ერთი მხრივ აკუზატივისა და სახელობითის ურთიერთობის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი სახე-

³⁰ ფორმა მოყვანილია უღური ოთხთავის მიხედვით.

ლობითისა და მიცემითის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით²¹.

ერთი ფონეტიკური ხასიათის თავისებურებაც უნდა აღინიშნოს: -უხ ფორმანტის თანხმოვანი ნიჭურში გაურბის გამჟღერებას.

ვართ. სახელ. ადამარუხ — „ადამიანები“ ნიჯ. ადამარუხ || ადამარხო

ლარმუხ — „შვილები“ ლარმუხ || ლარმუხო

მიცემ. I. ადამარლო ადამარხო

ლარმულო ლარმუხო

ამრიგად მრავლობითის წარმოება ნიჭურში შემდეგ სურათს იძლევა:

I. 1. სახ.გლ. ეაქურუხ || ეაქურხო — „ცხენები“

2. ერგატ. ეაქურხოხ

3. ნათეს. ეაქურ.ხოჲ

4. მიცემ. I. ეაქურხო

5. მიცემ. II. ეაქურხოხ || ეაქურხო

II. ზედლობითი: ეაქურხოლ

მიმართულ. ეაქურხოჩ

თანამყოფ. ეაქურხოხტა

III. დაშორებ. ეაქურხოხუნ

თანაობ. ეაქურხოხუნ

IV. განკუთვენ. ეაქურხოხნაკ

§ 38. თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. ნაცვალსახელები, ზედსართავი და რიცხვითი სახელები უდურენაშიც გვიჩვენებენ მეტნაკლებად თავისებურ ბრუნებას; რაც შეეხება საკუთრივ არსებით სახელებს, მათში გამოიყოფა სამი ჯგუფი, რომელთაც თავისებურებანი ახასიათებთ.

ა. პირველ ჯგუფში შედის სახელები: კოჯ — „სახლი“, ბულ — „თავი“, ქულ — „ხელი“, ფულ — „თვალი“. ესენი მხოლოლობითში იცვლიან ფუძეს ზოგი ნათესაობითიდან, ზოგი კი მიცემით I-იდან მოყოლებული. მრავლობითში კი ჩვეულებრივი წესით იბრუნვიან.

მხოლ. რიცხვი

I.	სახელ.	კოჯ	ბულ	ქულ	ფულ
	ერგატ.	კოჯ-ენ	ბულენ	ქულენ	ფულენ
	ნათეს.	კოჯ-ინ	ბ-ინ	ქ-ინ	ფ-ინ
	მიცემ. I.	კუ-ა	ბეხ ბე	ქეხ ქე	ფეხ ფე
	მიცემ. II.	კუ-ახ	ბეხ	ქეხ	ფეხ

²¹ არნ. ჩიქობავა, ერგატივ. კონსტრ.: ზენიმიკი-ს მოამბე, ტ. XII, გვ. 223 შმდ.

II. ზედაობ.	კუ-ა-ლ	ბელ	და ა. შმდ.
მიმართ.	კუ-ა-ჭ	ბექ	
თანამყოფ.	კუ-ა-სტა	ბესტა	
III. დაშორ.	კუ-ა-ხო	ბეხო	
თანაობ.	კუ-ა-ხოლ	ბეხოლ	
IV. განკუთვენ.	კოჯ-ენ-ქ/კ	ბულენქ/კ	

b. მეორე ჯგუფში შედის რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ბოლოვდებიან -უხ-ზე (resp. -მ-უხ-ზე). ეს -უხ || -მ-უხ უნდა წარმოადგენდეს მხოლოობითში გადასულ მრავლობითის ფორმანტს და თვით არსებითი სახელები pluralia tantum-ს. ამ სახელთა ბრუნება მხოლოობით რიცხვში ემსგავსება მრავლობითის ბრუნებას. ეს სახელებია: ჩუბუხ — „მეუღლე“, „ქალი“, ულუხ — „კბილი“, იმუხ — „ყური“, ბურუხ — „მთა“, არუხ — „ცეცხლი“, ელმუხ — „სული“...

საყურადღებოა მათი მრავლობითი, სადაც ფუძეში ხ გამოვლინდება ღ-ს ნაცვლად. მაგალითად: ერგატ. *ულუხ-უხ-ენ ← *ულუხ-ხ-ონ → ულხონ... მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს ჩვეულებრივი წარმოებაც: *ულუხ-უხ-ენ → *ულუხ-ოხ-ონ → ულხოლონ...

ვართ.	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
I. სახელ.	ულუხ — „კბილი“	ულხო
ერგატ.	ულლონ	ულხოონ ულხოლონ
ნათეს.	ულლოჲ	ულხოჲ
მიცემ. I.	ულლო	ულხო
მიცემ. II.	ულლოხ	ულხოხ
II. ზედაობ.	ულლოლ	ულხოლ
მიმართ.	ულლოჭ	ულხოჭ
თანამყოფ.	ულლოსტა	ულხოსტა ულხოლოსტა
III. დაშორ.	ულლოხო	ულხოხო
თანაობ.	ულლოხოლ	ულხოხოლ
IV. განკუთვენ.	ულლონქ/კ	ულხონქ ულხოლონქ/კ

c. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი რიგი არსებითი სახელები, რომლებიც ახმონით ბოლოვდებიან სახელობითში: მაგალითად: ფაჩნა || ფაშნა — „გოგრა“, კაშა || კაშა — „თითი“... მათ ფუძესა და ფორმანტს წორის ნხოლოობ. რიცხვში ჩაერთვის მარცვალი -ინ, მრავლობითში ფუძეს ერთვის ხმოვანი -ი.

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
I. სახელ.	ფაშნა — „გოგრა“	ფაშნიჲუხ
ერგატ.	ფაშნ-ინ-ენ	ფაშნიჲულონ

ნათეს.	ფაშნ-ინ (←*ფაშნ-ინ-ინ)	ფაშნიჯულოჲ
მიცემ. I.	ფაშნ-ინ-ა	ფაშნიჯულო
მიცემ. II.	ფაშნ-ინ-ახ	ფაშნიჯულონ
II. ზედლობ.	ფაშნ-ინ-ალ	ფაშნიჯულოლ
მიმართ.	ფაშნ-ინ-აკ	ფაშნიჯულოკ
თანამყოფ.	ფაშნ-ინ-ასტა	ფაშნიჯულოსტა
III. დაშორებ.	ფაშნ-ინ-ახო	ფაშნიჯულოხო
თანაობ.	ფაშნ-ინ-ახოლ	ფაშნიჯულოხოლ
IV. განკუთვნ.	ფაშნ-ინ-ენკ/ქ	ფაშნიჯულონკ/ქ

ბრუნვათა ფუნქციები უფროში

§ 39. ძირითად ბრუნვათა ფუნქციები. უღური ენის ორივე კილო ერთგვარად წარმოგვიდგენს ბრუნვათა ძირითად ფუნქციებს.

1. სახელობითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციებია:

ა. სახელობითი პირველ ყოვლისა იხმარებ. სუბიექტად გარდაუვალ ზმნასთან.

მაგალითად:

ენზე, თე ქულან ქალაგი ხიზ დ რე-ნე-ქარხესა. R7₁₁—„ეუბნება, რომ ამა და ამ ტყეში სამი დევი ცხოვრობს“.

ფასკალუნ-ტოალოლ გოლრ ახრზა ჩიუხ-ნე-ესაჲ. R7₁₄—„მეფესთან ბევრი მომჩივანი [მომჩივნები] მოდიოდა“.

შუ-თე იჩ ჩუბლოხოლ ჯოკენებაქსა ყაბბლულუნ გუნჰახო-ჯოკ, შეტინ თანესტა შეტუ დაყ ყაბბლულა. მთ. 5,32 — „ვინც თავის ცოლს ეყრება სიძვის ცოდვს გარეშე, ის მას აყენებს სიძვის გზაზე“.

ლარი ბეხო ყ ზ გ ლ-ლ ე-ბარო, ხინარი ბეხო—გ ტ მ ტ შ. ДГр 90₁₀ — „ვაჟის თავიდან ოქრო გადმოსცევა, ქალის თავიდან—ვერცხლი“.

ამმა უსინ გ რ გ ყ ა-ნ ო ჩ ა ლ ფასნებაქო, ზაკონახო სა ხაზ აჩ-ამა. ლკ. 16, 17—„მაგრამ უფრო ადრე ცა და მიწა დაირღვევა კანონის ერთი წესის [ბწყარის] დაკარგვამდე“.

ბეჰლსანე: იჩ აქა ჩო ბეჰლ-ნე-არცი, სოლოხა ჩო—ხაშ. — „ხედავს: მის მარჯვენა მხარეს მზე ზის, მარცხენა მხარეს—მთვარე“.

ჩო ბ ა ნ ონეფსინ ენესა კუა—„მწყემსი ტირილათ მოლაშ შინ“

ბ. სახელობითი ბრუნვა ჩვეულებრივია პირდაპირ ობიექტად როგორც გარდამავალ ზმნასთან, ისე მიცემით-სუბიექტიან ზმნასთანაც (§ 63). ამ მხრივ დასტურდება თავისებური საყურადღებო ვითარება, რამდენადაც პირდაპირი ობიექტი შეიძლება გადმოსცეს მიცემითმა I-მა და მიცემითმა II-მაც (§ 74). უღურის დღევანდელი ვითარების მიხედვით ნათელი არაა წესი, რომელიც განსაზღვრავს, რა შემთხვევაში რომელი ბრუნვით უნდა გადმოიცეს პირდაპირი ობიექტი.

ა. სახელობითი პირდაპირ ობიექტად გარდამავალ ზმნასთან (ქართულ თარგმანში სახელობითს ზოგჯერ შეესატყვისება მიცემითი):

რუსტამენ ეხაე: შელ! ჰაზირბანან ვუღ ყათირ, სა თაეარ, სა კირო, ჰარო პაწწე ფუთ. R 7₁₇ — „რუსტამი ეუბნება: კარგი! მოამზადეთ შვიდი სახეღარი, ერთი ცული, ერთი კირო (?), თითო თორმეტი ფუთი“.

ზუ სა ხალ ჩა-ზ-სერბო, ვი ყოშინ ბუთუნ იჩ-ლახო არრეყო. ДГр 90₈ — „მე ხალიჩას დავამზადებ, შენი ჯარი მთლიანად მასზე დაეტევა [დაჯდება]“.

ზუ სა გოვლინ-ბოშ ხუფ-ზუ-ბოხო. ДГр 90₈ — „მე [ერთ] კვერცხში ფლავს მოვხარშავ“.

თაცი, სა გალახო პაჰ ეშ-ნე-ეჩერი. ДГр 88₁₀ — „წავიდა, საიდგანლაც [ერთი ადგილიდან] ორი ვაშლი მოიტანა“.

ელახუნ კიწყე ჯოლდაშენ თანედე ხიბ თოგიხლუ ეე — „წასვლისას პატარა ამხანაგმა მისცა სამი ძვირფასი ქვა“.

პოჰ, ეხნე ფაჰქალენ, — ელეშენ მოზი-ნე-ბიხო?! — „რაო, — ეუბნება მეფე, — ვირი მოზვერს მოიგებს?!“

ბ. სახელობითი პირდაპირ ობიექტად მიცემით-სუბიექტიან ზმნასთან:

წოტლო გოლ რ-გო-აბაბაქოჰ, სგანამ შოტლოჰ ბაგი-ნ-ქეჰ ვბდ — „მათ ბეერი ეცოდინებათ, თუ რომ დრო ჰქონოდათ“.

ზა (|| ზუ) აჯაკსა შელ ლზზთტუ ფაჰ — „მე ვხედავ კარგ ლამაზ ბალს“.

ზუ ვაზო ხაბარ-ზუ-აყსა, შეტაბახტინ-თე ეკალ თე-ზ-აბა. ДГр 63₁₃ — „მე შენგან გამოვიკითხავ, რადგანაც არაფერი ვიცი“.

გ. სახელობითი პირდაპირ ობიექტად ნათესაობით-სუბიექტიან ზმნასთან:

კუა ნანაჰ ბოხეცი დაღალ-ტა-ბაქსა. R 8₁₄ — „სახლში დედას მოხარშული მამალი აქვს“.

მე ჩობანი ბატაქეჰ სა ჩუბუხ, სა ღარ, იჩ წი რუსტამ. R 7₂ — „ამ მწყემსს ჰყავდა ერთი ცოლი, ერთი შვილი [ვაჟი], მისი სახელი — რუსტამ“.

შელ ზე თე-ბეშ-ბუ, ბეშ ორეინა სა დიზიკ-ნე-ბუ. R 13₁₇ — „კარგი წყალი არა გვაქვს, ჩვენ წყაროს[ზე] ერთი გველია“.

ხინჩრენ ეხნე: „ბეზი პაჰ ხუნჩი-ბეზ-ბუ“. R 90₁₋₂ — „ქალიშვილი ეუბნება: მე ორი და მყავს“.

წარმოდგენილ მავალითებში სახელობითი უნდა მივიჩნიოთ რეალურ პირდაპირ ობიექტად, გრამატიკულად აქ დასტურდება სამი ისტორიულად სხვადასხვა საფეხურის კონსტრუქცია და ამის შესაბამისად სახელობითი ბრუნვის როლიც სხვადასხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ.

ც. სახელობითი ბრუნვა გამოყენებულია აგრეთვე ზმნისართად.

მაგალითად:

პარლინოვადენ სო მანნედესა კუა ხორაგ ბოხსან, მანდჟორ-კენა თაყუნსა ოახაალა. R 10₄—„ყოველ დღე რიგით ერთი რჩება შინ საქმლის მოსახარშავად, დანარჩენნი კი მიდიან სანადიროდ“.

მე ქარვანო სა ფარა ვახტ ქარრეხსა, ოშუნ ჩუბლოხოლ დოსტ-ტე-ბაქსა. R 17₁₀—„ეს დედაპერი რამდენსამე ხანს ცხოვრობს, მეორე ცოლს უმეგობრდება“.

2. ერგატივი. ერგატივი გამოყენებულია ორი ბრუნვის—მოთხრობითისა და მოქმედებითის ფუნქციით.

ა. პირველ რიგში იგი ასრულებს რეალური და გრამატიკული სუბიექტის როლს გარდამავალ ზმნასთან. იგი თანაბრად იხმარება ყველა დრო-კილოს ფორმასთან (ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება ხან მოთხრობითი, ხან კი—სახელობითი).

მაგალითად:

შეტინ ანეყე იჩ ოზანელ გუნაპლო ვაა თანეშერე აზარლობ. მთ. 8,17—„მან იკისრა ცოდვანი და წარიღო სნებანი“.

ვაა ფინე ისუსენ ბაჩნა ქალატუ. მთ. 8,13—„და უფხრა იესომ ასეულის უფროსს [ასისტავს]“.

შეტაბახტინ-თე პარ სა ბესალტინ ანეყსა. მთ. 7,8—„რადგანაც ყოველი მოთხოველი [მი]იღებს“.

ბუთუნ ვი ყოშინენ უნექო. ДГр 90₄—„მთელი შენი ჯარი [შე]-კამს“.

ერგატივი ზოგჯერ გვხვდება სუბიექტად მიცემით-სუბიექტიან ზმნებთანაც, სადაც ისტორიულად იგი არ იყო და არც შეესაბამება ამ ზმნების კონსტრუქციას (§ 63). ეს მოვლენა მეორეულია; მიცემითით გადმოცემული სუბიექტის ადგილს იჭერს ერგატივი. ეს პროცესი დამთავრებული არაა: ფაქულტატურად გვხვდება ორივე, ოღონდ ტენდენცია მიუთითებს ერგატივის გაბატონებაზე.

მაგალითად:

ჩუბლონ თე იტუბაქსა, ეხნე იშეხ—„ცოლს რომ ესმის, ეუბნება ქმარს“.

ბალიქ/გ შეტინ თეტუბუყსა ჟან ესუნა.— „ეგების მას არ უნდა ჩვენი მისვლა“.

ბ. ერგატივი გადმოსცემს უღურში აგრეთვე მოქმედებითი ბრუნვის (ინსტრუმენტალისის) ფუნქციასაც.

მაგალითად:

აკნეცი იოან ბეჟვან განუ ხაშტესინ ვაჟ ქაროზთასტინ.
მრკ. 1,4—„ვამოხნდა იოჰანე უღაბურ ადგილას ნათლისცემით და
ქადაგებით“.

ზუ ხაჩუღღე ეჭაახ ხენენ. მრკ. 1,8 —„მე მოგნათლე თქვენ
წყლით“.

ვაჟ შეტინ-ალ ჰევენევი ჯინურლოხ აჲთენ. მთ. 8,16—„და მანაც
განდევნა სულნი სიტყვით“.

ჰარ ხოლახ აბაბაქეს ბანექსა იჩ ბუჰპარენ. ლკ. 6, 44—„ყოველი
ხე იცნობება თავისი ნაყოფით“.

ბუტუყი, ჰპჰკინ ბარკანეჲ შოტუხ. მთ. 1,19—„უნდოდა,
და ფარვით [მალულად] გაეშვა იგი“.

თე მე აქლაჰინ ბულ ტუ ნკური ფსინ თაცინე, სა ქურრუ ბი-
თი. R 11₂—„რომ ამ ავი სულის თავი ტრიალ-ბზრიალით წავიდა,
ერთ ორმოში ჩავარდა“.

ერგატისა და მოქმედებითის დამთხვევა მეორეული მოვლენა
უნდა იყოს. ამ დამთხვევის მიზეზად უნდა ვივარაუდოთ, ერთი მხრივ,
ერგატის ძველი ვითარების მოშლა, ხოლო მეორე
მხრივ გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები, რომელთაც ეს
ორი ბრუნვა მორფოლოგიურადაც დაამსგავსეს ერთმანეთს (§ 32).

c. ერგატივ-მოქმედებითი გამოყენებულია სიტყვაწარმოება-
ში: სახელდობრ, იგი აწარმოებს ზედსართავ სახელს და შეესატყვისება
ქართულ -იან, -ოსან აფიქსებს (§ 58).

მაგალითად:

იყ—„ნაცარი“: იყენ—„ნაცრით“→„ნაცრითი“ || „ნაცრიანი“

იქ—„თოვლი“: იქენ—„თოვლით“→„თოვლითი“ || „თოვლი-
ანი“, ე. ი. „ზამთარი“.

d. დასასრულ, აღსანიშნავია ერგატის გამოყენება ფიცის
(resp. წყევლის) გაქვავებულ ფორმულაში.

მაგალითად:

ერგატ. ბუხაჯლონი—„ღმერთმანი“: ბუხაჯუხ—„ღმერთი“...

გერგელონი—„ეკლესიების მადლმა!“: გერგეც—„ეკ-
ლესია“...

3. ნათესაობითობა ბრუნვა. a. უპირველეს ყოვლისა უნდა
აღინიშნოს, რომ „ყოლა || ქონება“ ზმნასთან ნათესაობითი ბრუნვა
გადმოსცემს რეალურ სუბიექტს. თვითონ ზმნაც ამ შემთხვევაში თავი-
სებურად იუღვლება (§ 64).

მაგალითად:

კუა ნანაჲ ბოხეცი დადალ-ტა-ბაქსა. R 8₁₄— „სახლში დედას მოხარული მამალი აქეს“.

მე ჩობანი ზატაქეჲ სა ჩუბუხ. R 7₂— „ამ მწყემსს ჰყავდა ერთი ცოლი“

ხინარენ ეხნე: ბეზი პაჲ ხუნჩი-ბეზ-ბუ. ДГр 90₁₋₂— „ქალიშვილი ეუბნება: მე ორი და მყავს“.

b. ნათესაობითი ბრუნვა გამოყენებულია აგრეთვე სიტყვაწარმოებაში: იწარმოება ნანათესაობითარი მსაზღვრელი: აიზ— „სოფელი“: ნათეს. აჲ ზუნ— „სოფლისა“; აჲ ზუნ იხთილჲთ— „სოფლის ამბავი“.

მაგალითად:

შეტაბახტინ-თე უნ თე-ვა-აბაჲ ვადინახ ვი ესუნუნ. ლკ. 19,44— „რადგანაც შენ არ იცოდი დრო შენი მოსვლისა“.

შოტლონ წილიყუნუნი: ეკა ვაჲალ-ცირიკ ისუს, ლარ დავიდი მთ. 8,29— „მათ იყვირეს: შენ რა გესაქმება ჩვენამდე იესო, ძეო დავითისაო!“.

c. ნათესაობითი ბრუნვა გამოყენებულია დროის ზმნისართის (დროის გარემოების) საწარმოებლად: ბიასუნ— „სალამოს“, იშოუნ— „ლამით“:

მაგალითად:

ლენახუნ შეტინ ზომნებესაჲ ნამაზუნ კუა; იშოუნ-გენა კერი. ლკ. 21,37. — „დღისით ის ასწავლიდა სალოცავ სახლში; ღამით კი გადიოდა...“

d. ნათესაობით ბრუნვას მართავს მოქმედ თანდებულთა უმრავლესობა.

აღსანიშნავია, რომ -აჲ || -ეჲ ნათესაობ. ფორმანტში -ჲ←-ი ელემენტი ბრუნვის ნიშნისა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ იკარგება ვართაშნულში, ნიჭურში კი ზოგჯერ დაცულია.

მაგალითად:

ვაჲნუტ ბარკალყუნ ვი-ბოშ უენახ უენე-ლახო. ლკ. 19,44— „და არ დასტოვებენ შენში ქვას ქვასა ზედა“.

ამჲა თე-ტუ-ბაქი ხალხნა-გოშტან. ლკ. 19,3— „მაგრამ არ შეეძლო ხალხის უკან“...

ზორარყუნებესაჲ შოტხო ჯულაბუხ გოლ რტა-ბახტინ. ლკ. 11,53— „ძალით ითხოვდნენ მისგან პასუხს ბევრის გამო“.

შონო ბაჲნეცი გუნჲჰქვარ ადამარი-ტოლოლო. ლკ. 19,7— „იგი შევიდა ცოდვილი კაცის სახლში [კაცთან]“.

4. მიცემითი I და II. რამდენადაც მიცემითი I და II გენეტურად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, მათი ფუნქციებიც ზოგადად ერთმანეთს ემთხვევა.

ა. უპირველეს ყოვლისა მიცემითი ბრუნვა გამოყენებულია როგორც პირდაპირ, ისე ირიბ დამატებად.

ა. მიცემითი I პირდაპირ დამატებად (ქართულ თარგმანში დასტურდება მიცემითი და სახელობითი).

მაგალითად:

ვახ შოტლონ, ხალხნუ ბურახშიშბი, აყუნყი შოტუხ იჩლოხოლ. მრკ. 4,36—„და მათ, ხალხი გაუშვეს რა, წაიყვანეს იგი თავისთან“. მიგილა, ზუ დაყაზბესა ბეზ ჭპარი შტინა ვი-ბეშ. მრკ. 1,2—„ამ წამს მე ვგზავნი ჩემ ანგელოზს შენ წინაშე!“.

ავანა შუ-თე ბუტუყსა ელანე ბეზ ჯომტან, ქულ-ყა-ნ-აყი იჩხო ვახ აყანყი იჩ ხაჩნუ ვახ არი-ყა-ნ ბეზ ჯომტან. მთ. 16, 24—„თუ ვისმე ჰსურს, იაროს ჩემს უკან, ხელი აილოს თავისგან და აილოს თავისი ჯვარი და იაროს [მოვიდეს] ჩემს უკან“.

ბ. მიცემითი I ირიბ დამატებად:

ვახ შოტლონ-ალ ყეჲრიორ, მატლონ-თე ფიყუნ აპოსტოლოლო... ლკ. 24, 10—„და მათგანაც სხვანი, რომელთაც უთხრეს მოციქულეებს“.

ვახ თანედი იჩლოხოლ ბუტლო-ალ. მრკ. 2, 26—„და მისცა მათთან მყოფთაც“.

ომტე-ნ-თადე ბეზ ააღულო, ზუ ვა თადი, ჟერხოხ?!—„რატომ არ მიეც ჩემ შვილებს, მე რომ შენ მოვეცი, [ის] ქეები?“.

თოგიხლუ ჟერხოხ აყი, თანესტა კიწკე აოლდაშა—„ძვირფასი ქეები აილო, მიუტანა უმცროს ძმას“.

ჩოზანლონ არზყუნბესა ტე ჩოზანა—„მწყემსები საჩივარს მიართმევენ იმ მწყემსს“.

გ. მიცემითი II პირდაპირ დამატებად:

ომტე-ნ-თადე ბეზ ააღულო, ზუ ვა თადი, ჟერხოხ—„რატომ არ მიეც ჩემ ბავშვებს, მე რომ შენ მოვეცი, [ის] ქეები?“

ვახ შეტა შაგირდლონ დაყ თალალ განუ ბურყუნჯი ჩუქსახ სუმ-ბულოხ. მრკ. 2, 23—„და მისმა მოწაფეებმა გზად სავლელ ადგილას დაიწყეს მოწყვეტა თავთავთა“.

ეყუნჩერი შეტა-ტოლოლ ბუთუნ აზარულოხ ვაჰინბატლოხ. მრკ. 1, 32 — „მოიყვანეს მასთან ყველა ავადმყოფი და ავისულით შეპყრობილი“.

ჰაზირბანან დაყ ბიხოლოენკ, ღუზ სერბანან შეტა დაყახ. მრკ. 1, 3 — „განმზადეთ გზა ღეთისათვის, სწორი ქმენით: მისი გზა“.

მატინ-თე ჰაზირბალლე ვი დაყახ ვი-ბეშ. მრკ. 1, 2 — „რომელიც შეამზადებს შენს გზას შენ წინ“.

აყნესა მე ხინარ, ბურრეყსა წარწარფესუნახ — „გაკვირდება ეს ქალი, იწყებს ყვირილს“.

ზუ თასსა ჭურუფსან ბეჲლნუხ ყახაშნუხ... — „მე მივდივარ საძებნელად მზისა და მთვარისა“.

ჩობანენ-გენა ბურრეყსა ფაქჰალლულ ბესუნახ. — „მწყემსი კი იწყებს მეფობას [მეფობის ქმნას]“.

შახენ ქენება იჩ ფეხ; ტე ქალა ჯოლდაშახ ტუსაღნებსა. — „მეფემ ამოთხარა თავისი თვალი; იმ უფროს ამხანაგს ატუსაღებს“.

ფასჰალ ლაფ ბეზარრებაქე; თე-ტუ-აბა; ეთარ-ყა-ნ მეტუხ ბათევი. კი. R 7₁₂ — „მეფე მთლად გაბეზრდა; არ იცის, როგორ დაღუპოს იგი“.

დ. მიცემითი II ირიბ დამატებად:

ვაჰაშნეს-ტა ბუთუნ კოჩინტლოხ! მთ. 5, 15 — „და უნათებს ყველა სახლეული“ (კოჩინ-ო — „სახლეული“).

მეტა-ბახტინ ეხზუ ეჰაახ. მთ. 6, 25 — „ამისათვის გეუბნები თქვენ“.

ოაშა სა ჩობანენ იჩ ქალოტუხ ეხნე — „შემდეგ ერთი მწყემსი თავის უფროსს ეუბნება“.

ბიასუნ, ლაშეო ფასბაჰალ ვაღინა ეხყუნ ჩობანახ — „საღამოს, ქორწილის დაშლის დროს ეუბნებიან მწყემსს“.

თაქენან, უფანან იოანახ, ეკა-ვაჰა-იბაქსა ვაჰაკსა... მთ. 11, 4 — „წადით, უთხარით იოანეს, რაც თქვენ გესმით და ზედავთ“.

ვაჰ ფინე ზახარინენ ჭაროშტინახ: ეტინ-ჰა-აბაბაქო მოტუხ? ლკ. 1, 18 — „და უთხრა ზაქარია მანგელოხს: რით ვიცნობ მე მას?“.

ბ. მიცემით-სუბიექტიან ზმნებთან მიცემითი I და II გამოყენებულია რეალურ სუბიექტად. ეს ზმნები პირის ნიშნებსაც აფორმებენ თავისებურად (§ 63), ზოგ შემთხვევაში მიცემითს სცვლის ერთგატივი, მაგრამ ეს ახალი მოვლენა ჩანს.

მაგალითად:

მიცემ. I ლოგიკურ სუბიექტად:

ყუშნუ ატუჟი, გოლოღ ღარ ფის-ნე-არი. — „ფრინველმა დაინახა, რომ ყმაწვილი ძალიან შეწუხდა“.

ლარახ თე ატუკსა ხინწრა, ეხნე, — „ვაქს რომ ხედავს ქალი, ეუბნება“.

ყ უ შ ნ უ აბატუბაქსა, ეტე-თე აღამარი ეყ მუქა-ნე-ბაქსა. R 15₁₀ — „ფრინველი [შე]იტყობს, რადგანაც კაცის ხორცი ტბილია“.

ტე ვახტა ისუსა ანდახტუბი იჩენ იჩ-ბოშ, თე ქერინე იჩხო ზორ. მრკ. 5,30 — „მაშინ იესომ იგრძნო თავის თავში, რომ გამოვიდა მისგან ძალა“.

რაც შეეხება მიცემით II-ს, მისი გამოყენება რეალურ სუბიექტად თანამედროვე უღღრში იშვიათად დასტურდება: მას სცვლის მიცემ. I ან ერგატივი.

მაგალითად:

ს რ ვ დ ე ქ წ რ ლ ო ხ შეტუხობს თე აყოქსა, აყყუნესა. ДГр 63₂ — „ვაქრები იმათ რომ ხედავენ, უკვირთ“.

ე. მიცემითი I და II თანაბრად გამოყენებულია ლოკატიური მნიშვნელობით (ადგილის გარემოებად), მიუგებს კითხვაზე: სად?, საით? აგრეთვე დროის ზმნისარებად.

ა. მიცემითი I ლოკატივად:

ეხნე, თე ძულან ქვლგვი ხიბ დრე-ნე-ქარხესა. R 7₁₄ — „ეუბნება, რომ ამაღამ ტყე ს[შ ი] სამი დევი ცხოვრობს“.

დრე ხიბ ადულ ოაჩაილ-ნე-ბაისა. R₉₁ — „დევი სამი ადლით მიწას[შ ი] ჩადის“.

ვაა შეტა შეგირდლონ ძაყ თალალ განუ ბურყუნეჩი ჩუქსახ სუმ-ბულოხ. მრკ. 2,23 — „და მისმა მოწაფეებმა გზად სავალ ადგილას დაიწყეს მოწყვეტა თავთავთა“.

მე აქლაჰინ ბულ ტუნკურიფსინ თაცინე, სა ქურრუ ბითი. R 11₂ — „ამ ავი სულის თავი ტრიალ-ბზრიალით წავიდა, ერთ ორ მოს[შ ი] ჩავარდა“.

ბართიყუნ მოტუხ მე ქურრუ. — „დასტოვეს იგი ამ ორ მოს[შ ი]“.

ბეჲლა, ეკა-ყუნ-შოტლონ-ბესა შამატ დენა? მრკ. 2,24 — „შეხედე, რას შვრებიან შაბათ დღეს“.

ბეჲლსანე, ფასქალუნ კუა ლაშკო-ნე-ბუ — „ხედავს, მეფის სახლს[შ ი] ქორწილია“.

ბ. მიცემითი II ლოკატივად:

ბანეჰსა ქურრა ოშეხ. R 11₁₅ — „ვარდება ორმოს შიგნით [ძირას]“.

უნ არენ მიხ ვნდჰსუზ, ძან ინჯიმიშბესუნა. მთ. 8,29. — „შენ მოხვედი აქ უღროოდ, გვაწამო ჩვენ“.

თაქსანე ღარ ხოდინ თუ მეხ — „მიდის ყმაწვილი ხის ძირას“.

შეტა ქალა ღარ გენა ბუნეჲ დუ ზიხ. ლკ. 15,25 — „მისი უფროსი შვილი კი იყო მინდორსში“.

გრლრ ღარ მანდაკ-ნე-ბაქე, მე ხოდინ თუ მეხ გვარბასკი — „ვაეი ძალიან დაიღალა, ამ ხის ძირას დაიძინა“.

ბეღსანე, მია სა შავატ ხინარ არცინე, დრვ-ალ ნეპახ-ნე — „ხე-დავს აქ ერთი მშვენიერი ქალი ზის, დევსაც სძინავს [ძილს-ში არის]“.

გ. მიცემითი I და II გამოყენებულია ზმნისართების საწარმოებლად: ადვილისა, დროისა და სხვა (§ 82).

მაგალითად:

ტე-ვახტა შეტა შავირღუხ იშა არი შეტა-ტოღოღოლ. მთ. 8,25 — „მაშინ [იმ დროს] მისი მოწათეები ახლოს მივიდნენ მასთან“.

ღირუხ-ჟუ-ეჟა შამატის პაჟ-ქარან. ლკ. 18, 12 — „ემარხულობ კვირასში ორჯერ“.

გვარგ ღენნახ სუნტინ ფეშქაშ თაშანე, თე ხე თაღანე. R 13₁₈ — „უნდა უოველ დღე ურად თითომ ძღვენი მიუტანოს, რომ წყალი მისცეს“.

ახრახ თაცა, ბეღსანე, სა ოსტავარ დავრაზინ-ბოშ არცინე ნუთ-აკეცი შავატ ხინარ. R 12, — „ბოლოს წაეიდა, ხედავს, ერთი მაგარი ალაყაფის კარის შიგნით დამჯდარა [კაცის მიერ] უნახავი ლამაზი ქალი“.

§ 40. მეორეულ (resq. თანდებულიან) ბრუნვათა ფუნქციები. მეორეულ ბრუნვათა ფუნქციები და სემანტიკა ძირითადად განისაზღვრება შეატყვისის თანდებულების შინაარსით. ზოგჯერ მათ აქვთ დამატებითი ფუნქციაც. თუ შესადარებლად გამოვიყენებთ ქართული თანდებულების სემანტიკას, მეორეული ბრუნვებისათვის უღურ ენაში შესაძლებელია გამოვეყნოთ შემდეგი მნიშვნელობანი:

1. ზედაბიძი (Terminativ-ი) გამოხატავს შინაარსს ქართული ზე თანდებულის მსგავსად: იგი მიუთითებს მოქარაობას ობიექტის ზემოთ, მის სიბრტყეზე, შერდევ კი მდებარეობასაც ობიექტის ზედაპირზე.

მაგალითად:

დაეე ქიტელ ბიტეციო ბუნე შონორ. მრკ. 4, 15 — „გზის კიდეზე [ნაპირზე] დათესილი არის ისინი“.

იოანენ გენა ლანეხან... თოხყალ ტოღლუხო ბაქანელ. მრკ. 1,6 — „იოვანე კი ატარებდა... ქამარს ტყავისაგან წელზე“.

ლაჩაყტა ვი თურელ — „ჩაიციე შენ ფეხზე“.

ბურღოღ ვა გვარან ზუღოღ ჰარაღნებსა შეტინ... მრკ. 5,5 — „მთაზე და საფლავებზე ხმაურობს იგი“.

სა იშენ იჩ თურმულოლ ლავეკენე პაე ჟომოჟენახ. R 9₁₂—„[ერ-
თმა] კაცმა თავის ფეხებზე ჩამოიცვა ორი წისქვილის ქვა“.

შონო ლარი-ნე ააღლუალო, მანორ-თე არციყუნ დაყალ. მთ. 11,16
—„იგი ემსგავსება ბავშვებს, რომლებიც სხედან გზაზე“.

გარდა ამისა ამ ბრუნვას მართავს ცირიკ—„მდე“ თანდებული.

მაგალითად:

შოტლონ წილიყუნუი: ეკა ვა დალ-ცირიკ ისუს, ლარ დავიდი!
მთ. 8, 29—„მათ იყვირეს: შენ რა გესაქმება ჩვენამდე იესო, ძეო
დავითისაო!“.

ქაორო გენა ბუყუნი ბიპ ჰაზარალ-ცირიკ. მრკ. 8,9—„მჭამელნი
კი იყვნენ ოთხათასამდე“.

2. მიმართულებითი (Allativ-ი) გამოხატავს მოძრაობას ობიექტი-
საკენ, გარკვეული პუნქტის მიღწევას. ამ ბრუნვით ერთდროულად გად-
მოცემულია ქართული კენ და მდე თანდებულის შინაარსი.

მაგალითად:

ვახ თანეცი შაპარლონ ვახ ააზურლონ, ზომბესინ ვახ დაყ აკესტე-
სინ ერუსალიმაქ. ლკ. 13,22—„და წავიდა ქალაქებით და სოფ-
ლებით, სწავლებით და გზის ჩვენებით იერუსალიმისაკენ“.

შონო ლარი-ნე ააღლუალო, მანორ-თე არციყუნ დაყალ ვახ თარაფი
იჩლო ჯოლ დაშმულოქ. მთ. 11,16—„იგი ემსგავსება ბავშვებს, რომ-
მელნიც სხედან გზაზე და მიბრუნდებიან თავისი ამხანაგებისაკენ“.

3. თანამყოფობითი (Adessiv-ი) გამოხატავს მოძრაობას ობიექტი-
საკენ, გარკვეული პუნქტის მახლობლად მიღწევას, აგრეთვე მყოფობას
ობიექტთან. იგი გადმოგვცემს ქართული თან თანდებულის შინაარსს
იმის მსგავსად, როგორცაა ფრაზაში: „ხესთან მივიდა“, ანდა „ხეს-
თან დგას“...

მაგალითად:

ვახ ბინეთი ჩო ოყა შეტა თურმულოსტა. ლკ. 17,16—„და
დავარდა პირით ქვე მის ფეხებთან“.

ეთარ ეჭაესტა თე-ნე-ბუ ვაბაქსუნ? მრკ. 4,40—„როგორ არაა
თქვენთან რწმენა?“.

ეთარ-თე ცამნე ფეხამბარლოსტა. მრკ. 1,2—„როგორც წე-
რია მოციქულებთან“.

ეტაბახტინ-ნან ვან ჭიჭირბესა ფის აშ ეჭ უკესტა. მთ. 9,4—
„რისთვის ფიჭრობთ თქვენ ცუდ საქმეს თქვენს გულში [გულთან]“.

4. დაშორებითი (Ablativ-ი) გამოხატავს მოძრაობას რაიმე პუნქტი-
დან ანდა ობიექტიდან მეორე ობიექტისაკენ და პუნქტისაკენ: შეესატყვი-
ლება დაწყებით ბრუნვას.

მაგალითად:

პაყო ღინახო ოაშა რუსტამ გრლრ ჰალიხო ბინესტა. R 8₁₂— „ორმოცი დღის[გან] შემდეგ რუსტამი ძალისაგან ძალიან ეცემა [სუსტდება]“.

ყოყეხო ბოშ თე-ნე-თაჲსა. R 8₁₇—„ყელიდან შიგნით არ ჩადის“.

შეტაბახტინ-თე უკინ ა ჰ უ ზ ლ უ ღ ა ხ ო აფთება ჟრომონ იჩი. ლკ. 6,45—„რადგანაც გულის სისავსისაგან ლაპარაკობს ბაგე მისი“.

ამა ჩოზანენ ხაბარეაყსა იშეხო.—„მაგრამ მწყემსი გამოიკითხავს კაცისაგან“.

თე უნ ჭაპნუბე მეტუხ აბატუღოხო ვაჰ პაყულლუტუღოხო. მთ. 11,25—„რომ შენ დამალე ეს ბრძენთაგან [მცოდნეთაგან] და გონიერთაგან“.

შელ ადამარენ შელ დრვლუტუ უკეხო იჩი ჩინეშჰა შელო. ლკ. 6,45—„კარგი ადამიანი კეთილი გულიდან თვით [გამო]იღებს კეთილს“.

ამ ბრუნვის საშუალებით ვაღმოიციემა აგრეთვე შედარებითი ხარისხი (§ 58).

მაგალითად:

მეხოდტე ხოდახო ქალა-ნე—„ეს ხე იმ ხეზე [ხისაგან] დიდია“ დაშორებითს მოითხოვს აგრეთვე რამდენიმე თანდებული (§ 83).

მაგალითად:

ვაჰ შუკალ-ა თე-ტუ-აბა ღარახ ბაბახო-ჯოკ. მთ. 11,27—„და არავინ იცის ძე მამის გარდა“.

პაყო ღინახო ოაშა რუსტამ გრლრ ჰალიხო ბინესტა. R 8₁₂— „ორმოცი დღის შემდეგ რუსტამი ძალისაგან ძალიან ეცემა [სუსტდება]“.

5. თანობითი (Comitativ-ი) გამოხატავს საგნის მყოფობას პირთან ან საგანთან, ანდა პირის resp. საგნის მოძრაობას სხვა პირთან ან საგანთან ერთად: იგი უღრის ქართულ თან-თანდებულს ისეთ ფრაზაში, როგორცაა: „ხესთან დგას“... „ძმასთან ერთად მიდის“.

მაგალითად:

ვაჰ შოტლონ-ალ იჩლო ბაბახ ზავედეიას ბართი კიწკე გჰმინ-ბოშ ნ რ ქ ჳ რ ღ ო ხ ო ლ. მრკ. 1,20—„და მათაც თავისი მამა ზებედე დასტოვებს პატარა ნავში მსახურებთან [ერთად]“.

თანესა იჩ ნანახოლ «დჷრჷსლულონ» ფესან“. R 8₁₄—„მიდის თავის დედასთან «მწიფლობით» სათქმელად“.

არიყუნ სიმონი ყან ანდრეი კუა იოანახოლ ვაჰ იაკოვახოლ.
მრკ. 1,29—„მოვიდნენ სიმონისა და ანდრიას სახლში იოჰანესთან
და იაკობთან [ერთად]“.

6. განკუთვნიებითი (Causativ-ი) გამოხატავს რისამე განკუთვნილ-
ბას პირისათვის ან საგნისათვის; იგი ზედმიწევნით გადმოგვცემს ქართუ-
ლი თვის თანდებულის სემანტიკას.

მაგალითად:

ქულან ქვლავი უნ გვარგ უშენკ თალან. R 7₁₈—„ამაღამ ტყეში
შენ უნდა შეშისათვის წახვიდე“.

მატინ-თე იჩ ქებ უყნახოდახ ბიყი, ეხბალლონკ ხოჯინებსა.
R 9₇—„რომელსაც [თავის] ხელში კაკლის ხე უჭირავს, მხენელეზისა-
თვის აჩრდილებს“.

ბიხაჯული ქაფთა ენკენა [*ანკენა] ლკ. 13,25—„უფალო! განა-
ლე ჩვენთვის“.

ფინე შოტუ: პურან სოალ ქამ-ნე ვენკენა. ლკ. 18,22—„უთხრა
მას: კვლავ ერთიც გაკლია შენ[თვის]“.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

§ 41. პირთა ნაცვალსახელი. პირთა ნაცვალსახელი უღერში დასტურდება პირველსა და მეორე პირში:

მხოლ. რ. ვართ. ზუ—„მე“, უნ—„შენ“

ნიჯ. ზუ — ჰუნ—

მრავლ. რ. ვართ. დან—„ჩვენ“, ვაინ—„თქვენ“

ნიჯ. დან— ვაინ

მესამე პირისათვის გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელი (ჩვენებითი ნაცვალსახელი იხ. § 42). პირთა ნაცვალსახელი უღერშიც თავისებურ ბრუნებას წარმოგვიდგენს:

პ ი რ თ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

მხოლოდებითი რიცხვი		მრავლ-ობითი რიცხვი			
I.	1. სახ.	ზუ—„მე“	უნ ႁჰუნ— „შენ“	დან—„ჩვენ“	ვაინ—„თქვენ“
	2. ერგატ.	ზუ	უნ N ჰუნ	დან	ვაინ
	3. ნათეს.	ბე-ზ-ი	ვ-ი	ბე-შ-ი	ვებ-ი N ეჭი
	4. მიცემ. I	ხ-ა	ვ-ა	მ-ა	ვაშ
	5. მიცემ. II	ზ-ახ	ვ-ახ	მ-ახ	ვაშხ N ეშახ
II.	6. ზღაობ.	ზ-ალ	ვ ლ	მ-ალ	ვაშლ
	7. მიმართ.	ბ-აქ N ზ-აჩ	ვაქ N ვაჩ	მ-აქ N მაჩ	ვაშქ N ვაშჩ
	8. თანაძვ.	ზ-ასტა	ვ-ასტა	მ-ასტა	ვაშტა
III.	9. ღაშ რებ.	ზახო N ზა-ხუნ	ვახო N ვაჰუნ	მახო N მახუნ	ვაშხო N ვაშხუნ
	10. თანაობ.	ზახ-ოლ N ზა-ხუნ	ვახოლ N ვაჰუნ	მახოლ N მახუნ	ვაშხოლ N ვაშ-ხუნ
IV.	11. განკუთუნ.	ზენჯ N ზა-ნაჯ	ვენჯ N ვაინაჯ	მენჯ N მაინაჯ	ვაშენჯ N ვაშ-ნაჯ N ვაშა-ნაჯ

მაგალითად:

შენ-თე ანეყსა ზახ, ანეყსა ზახ დაყაბიტუ. მთ. 10, 40—„ვინც მიმიღებს მე, მიიღებს ჩემ გამომგზავნს“.

აღდგება პირველადი ძირი ვ || ჟ: სახელობითი ამ შემთხვევაში მიღებული იქნება *ვ-უნ→უნ (ნიჯ. ჰუნ), სადაც ვ იკარგება უ-ნის წინ. მრავლობითის ნათესაობითში ფუძე, მართალია, განსხვავდება სახელობითის ფუძისაგან, მაგრამ მათ კავშირი უნდა ჰქონდეს როგორც ერთმანეთთან, ისე მხოლოდობითის ფუძესთანაც.

მხოლ. რ.

მრავლ. რ.

სახელ. უნ (*ვ-უნ)—„შენ“

ვაან—„თქვენ“

ნათეს. ვ-ი—„შენი“

ვაძ-ი (←*ვა-ვი)—„თქვენი“

თუ პირის ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელადაა გამოყენებული, მაშინ საერთო წესის მიხედვით ნათეს. ფორმანტი -ი იკარგება.

ძ. პირთა ნაცვალსახელის სახელობითი და ერგატიული ბრუნვა მორფოლოგიურად დიფერენცირებული არაა: სახელობითი გამოყენებულია ერგატივის ფუნქციითაც.

მაგალითად:

ზუ (სახელ.) თაზსა ააზე—„მე მივდივარ სოფელში“

ზუ (ერგატ.) ცამზუფი ქაღზ—„მე დაეწერე წერილი“

უნ (სახელ.) ზახო ოაშა ბაქალლუ ფაჩშალ.—„შენ ჩემს შემდგომ იქნები მეფე“

უნ (ერგატ.) ზა თანგა-ნუ-თადი—„შენ მე ფული მომეცი“.

§ 42. ჩვენებითი ნაცვალსახელი. ქართულ-ქართველურ ენათა მსგავსად უღურ ენაში წარმოდგენილია ჩვენებითი ნაცვალსახელის სამი სახეობა იმისდა მიხედვით, თუ რომელ პირს შეეხება მითითება. პირველ პირთან გვაქვს მე || შენო (მონო)—„ესე“, მეორე პირთან—ქა || ქანო—„ეგე“, მესამე პირთან—ტე || შენო (|| შონო)—„იგი“.

უღურის მკვლევარნი სამგვარ მითითებას არ იცნობდნენ. მაგალითად, ა. დ ი რ ი ამ ჩვენებითს ნაცვალსახელებს საწინააღმდეგო მნიშვნელობას აკუთვნებს: „ქა—этот, отдельно: ქანო—это, этот; მე—этот, отдельно мონო, мენო“...³² მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელს იგი მიაკუთვნებს პირის ნაცვალსახელს.

საქმის ვითარებას ნათლად წარმოგვიდგენს მაგალითები:

მე ჩობანი ბატაქეა სა ჩუბუხ. R 7₂—„ამ მწყემსს ჰყავდა [ერთი] ცოლი“.

რუსტამენ ესნე: „ბართა ქა ფეშაგახ, ექე, ახლოლ თაღენი“ R 9₁₅—„რუსტამი ეუბნება: „მიატოვე ეგ საქმე, წამო, ჩვენთან წავიდეთ!“.

³² ა. დ ი რ ი, Грамм., გვ. 34.

ფასკალენ ტე ჩობანი ჩუბლოხ თანეშა იჩ კუა. R 7₅—„მეფეს იმ მწყემსის ცოლი მიჰყავს თავის სახლში“.

ჩვენებითი ნაცვალსახელი იბრუნვის, თუ იგი არაა მსაზღვრელი (იხმარება დამოუკიდებლად არსებითი სახელის ფუნქციით). მსაზღვრელად ნახმარი ჩვენებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მარტივი ფუძის სახით და ბრუნვის პროცესში არ იცვლება.

მესამე პირთან მსაზღვრელად გამოყენებულია ახალი ტე ფუძე, გამონაკლისის სახით კი ეგების შეგვხვდეს შონო-ც (იხ. მაგალითი, გვ. 86): მე აღამარ—„ეს კაცი“; ჭა ღარ—„ეგ შვილი“; ტე კოჯ—„ის სახლი“...

თუ ჩვენებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია არსებითი სახელის ფუნქციით, მაშინ იგი იხმარება სრული სახით (შედგენილი ფუძით) და იბრუნვის.

სახელობით ბრუნვაში მარტივ ფუძეს დაერთვის ორი ელემენტი: -ნე დეტერმინანტი და შემდგომ -ო მასუბსტანტივებელი ნაწილაკი:

*მე-ნე-ო→მენო→მონო—„ესე“; *ჭა-ნე-ო→ჭანო—„ეგე“;

*შე-ნე-ო→შენო→შონო—„იგი“...

სხვა ბრუნვებში მარტივ ფუძეს დაერთვის ჩვეულებრივი ბრუნვის ფორმანტები, ოღონდ ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ჩაერთვის -ტ- ელემენტი. ა. დირი ამ ელემენტს თითქოს მიიჩნევდა ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ნაწილად: „Все эти элементы, которые мы только что изучили на предшествующих страницах, находятся также во всех других склоняемых словах: именах прилагательных, числительных, причастиях и др. Но в них родит. п. оканчивается на -ტაი, а не на -ნაი, дательный на -ტუ и это -ტ- остается во всех падежах“³³.

ა. დირის ამ მჯელობას ესაჭიროება დაზუსტება. სახელობრ, უნდა ითქვას ის, რომ -ტ- არ არის ბრუნვის ნიშნის ელემენტი. ანალოგიურ ვთარებაა მრავლობით რიცხვშიც.

ამ ნაცვალსახელთა ბრუნვის სისტემის გათვალისწინება ნათლად გეჩვენებს, რომ ეს -ტ- ბრუნვის ნიშნის კუთვნილებას არ წარმოადგენს, მას დამოუკიდებელი ფუნქცია და გენეზისი უნდა ჰქონდეს.

ნიჭურში დასტურდება ერთი თავისებულება, რამელსაც მნიშვნელობა აქვს ამ ელემენტთა ისტორიისათვის; სახელობით ბრუნვაში დაწ-

³³ ა. დირი, Грамм., გვ. 28. ა. დირი უენიშნავს: ** „За исключением местимений, о которых будет говорить отдельно“ (შედველობაში აქვს პირთა ნაცვალსახელი).

ყებუღია გამარტივება: -ნე- ეღემენტი ზოგჯერ აღარ დაერთვის ფუძეს: სხვა ბრუნვებში ვათარება უცვლეღია: -ტ- ეღემენტი რჩება.

მხოღ. რ. შრ || შოო←*შე-ო მრავღ. რ. შო რ ო ხ ←*შე-ურ-უხ
 მრ || მოო←*შე-ო მ ო რ ო ხ ←*შე-ურ-უხ.

ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება ზოგადად ამგვარად წარმოგვიღება:

ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება³⁴
 ვართაშნული კიღ

		ჩვენებითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად			ჩვენებითი მსაზღვრეღად
მხოლოდებითი რიცხვი	1. სახ.	მონო—„ეესე“	ქანო—„ეეგე“	შონო—„იიგ“	შე, ქა, ტე ღარ— „ეს, ეგ, ის შვიღი.“
	2. ერგატ.	შე-ტ-ინ	ქა-ტ-ინ	შე-ტ-ინ	შე. ქა, ტე ღარ-ენ
	3. ნათეს.	შე-ტ-აჲ	ქა-ტ-აჲ	შე-ტ-აჲ	შე, ქა, ტე ღარ-ი
	4. მიღ. I	შე-ტ-უ	ქა-ტ-უ	შე-ტ-უ	შე, ქა, ტე ღარ-ა
	5. მიღ. II	შე-ტ-უხ	ქა-ტ-უხ	შე-ტ-უხ	შე, ქა, ტე ღარ-ახ
მრავლდებითი რიცხვი	1. სახ.	მონორ (*შენეურ)	ქანორ	შონორ	შე, ქა, ტე ღარმუხ
	2. ერგატ.	მოტოღონ (*შე-ტ-უხ-ენ)	ქატოღონ (*ქა-ტ-უხ-ენ)	შოტოღონ (*შე-ტ-უხ-ენ)	შე, ქა, ტე ღარმუ- ღონ
	3. ნათეს.	მოტოღოჲ (*შე-ტ-უხ-აი)	ქატოღოჲ (*ქა-ტ-უხ-აი)	შოტოღოჲ (*შე-ტ-უხ-აი)	შე, ქა, ტე ღარ- მუღოჲ
	4. მიღ. I	მოტოღო	ქატოღო	შოტოღო	შე, ქა, ტე ღარმუღო
	5. მიღ. II	მოტოღოხ	ქატოღოხ	შოტოღოხ	შე, ქა, ტე ღარმუ- ღოხ

მაგალითად:

ვაჲ ე ნიშან-ა, ევახ-თე მონო გჳრჳგ ბაქანე. ღკ. 21,7— „და რა ნიშანია, როღესაც ეხ უნდა იქნეს [მონღეს]“.

მოტუხ იბაქი, ბჳთოტუნტღონ მეჩითუნ-ბოშ ბუღარ აჯუღონ-ყოჲ-ბიღი. ღკ. 4,28— „ეს გაიგონეს რა, ყვეღა საღოცავში მყოფი გაბრაზღა“.

³⁴ წარმოდგენიღია ვართაშნული, ნიჯურში ზოგი თავისებურება დასტურღება არა არსებებითი ხასიათისა.

მოტხო-ო-ოშა ისუს ქერი, ვა ატუკი მიტარახ. ლკ. 5,27— „ამის შემდეგ ისო გამოვიდა და დაინახა მეზვერე“.

მე ვახტა ფინე შოტლო მსპლა. ლკ. 5,36— „ამ დროს უთხრა მათ იგავი“.

ამმა ისუსენ ფინე: ბართანან ქატუხ: ეკანან ქატუხ ოტბესტესა? ქატინ ირაჰმლუ (?) აშნებე ბეზ-ბახტინ. მრკ. 14,6— „მაგრამ ისომ უთხრა: დაეხსენით მაგას; რას არცხვენთ მაგას? მაგან კეთილი საქმე ქმნა ჩემთვის“.

პილატენ ფინე შოტლო: ე ფისლულა ბე ქატინ. მრკ. 15,14— „პილატემ უთხრა მათ: რა სიავე ქმნა მაგან?“

შოტლონ პურან ჰარაფუნბი: ჩზრჩზრზზზა ქატუხ. მრკ. 15,13— „მათ კვლავ იყვირეს: ჯვარს აცვი ეგე“.

ვა ევახ-თე შონო ბუნეჲ პაწწე უსენუნ. ლკ. 2,42— „და როდესაც ის იყო თორმეტი წლისა“.

მეთბრ პურიორ ააზახუნ ვულოტაჲ მატაჲ ბაქალ-ა შონო ჩუბუხ? მთ. 22,28— „ამრიგად მკვდრეთით აღდგომისას შვიდთა [გან] რომლისა იქნება ის ქალი?“.

ფასკალენ ტე ჩობანი ჩუბლოხ თანეშსა იჩ კუა. R 7₅— „მეფეს იმ მწყემსის ცოლი მიჰყავს თავის სახლში“.

შეტინ ბოხოწედი ვაჲ შეტა ქულ შელღებაქი. მრკ. 3,5— „მან გაუწოდა [ხელი] და მისი ხელი მორჩა“.

შოტხოლ ჩზრჩზრზზ-ყუნ-ბი პაჲ აბაზაკლოხ, სუნტუხ აჩა ამეღ, ტე სუნტუხ-ალ სოლოხა ამეღ შეტაჲ. მრკ. 15,27— „მასთან [ერთად] ჯვარს აცვეს ორი ყაჩალი: ერთი მარჯვენა მხარეს, ის მეორე— მარცხენა მხარეს. მისა“.

ჩზრჩზრზზბიორ-ალ ფის შათურუხ-ყუნ-ეხაჲ შოტუხ. მრკ. 15,32— „ჯვარცმულნიც ლანძღავდნენ [ცუდ სიტყვებს ეუბნებოდნენ] მას“.

შოტლონ პურან ჰარაფუნბი. მრკ. 15,13— „მათ ისევ იყვირეს“.

პირის ნაცვალსახელის საპირისპიროდ ჩვენებითი ნაცვალსახელი მორფოლოგიურად განარჩევს სახელობითსა და ერგატისს.

მაგალითად:

ისა შენო (სახელ.) ჰელალ, უქალღე. R 14₄₋₅— „ახლა იგი გამოვა, შეგქამს“.

ჯაბუნახ აკესხოლან შონორ (სახელ.) მუჰყუნბაქი. მთ. 2,10— „ჯვარსკვლავის დანახვისთანავე ისინი გამხიარულდნენ“.

შეტაბახტინ-თე შეტინ (ერგატ.) ჩხარკესტალღე ადამარლოხ. მთ. 1,21— „იმისთვის, რომ ის [მან] განათავისუფლებს ადამიანებს“.

შოტლონ (ერგატ.) ფასჩალა იმუხლახი, თაყუნცი. მთ. 2,9— „მათ მეფეს მოუსმინეს, წავიდნენ“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი გარჩევა მეორეულია და უფრო ძველია პირის ნაცვალსახელის ვითარება, როგორც ეს სხვა ენების შემთხვევაშიც დასტურდება.

საყურადღებოა, რომ პირის ნიშანი ერთი და იგივეა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვით გადმოცემული სუბიექტისათვის, ხოლო როდესაც რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, მაშინ მისი პირი აღინიშნება განსხვავებულად (§ 63).

ჩვენებითი ნაცვალსახელისებური ბრუნების სისტემას გვიჩვენებს უღურში ზედსართავი (resp. მიმღობა) და რიცხვითი სახელი, აგრეთვე ზოგი სხვა ნაცვალსახელიც, როდესაც ეს მეტყველების ნაწილები არსებითი სახელების ფუნქციით იხმარებიან. ამ შემთხვევაში ეს სახელები ყველგან დაირთავენ სახელობით ბრუნვაში მასუბსტანტივებელ -ო ფორმანტს, სხვა ბრუნვებში კი ბრუნვის ნიშნის წინ ჩაირთავენ იმავე -ტ- ელემენტს.

მხლ. რიცხვ

სახელ.	უკალ-ო— „მტკმელი“	ხიბო— „სამი“
ერგატ.	უკალ-ტ-ინ	ხიბ-ტ-ინ *ხიბ-ო-ტ-ინ
ნათეს.	უკალ-ტ-აჲ	ხიბ-ტ-აჲ *ხიბოტაი
მიც. I.	უკალ-ტ-უ	ხიბ-ტ-უ *ხიბოტუ
მიც. II.	უკალ-ტ-უხ	ხაბ-ტ-უხ *ხიბოტუხ.

ასეთია საზოგადოდ უღური ჩვენებითი ნაცვალსახელის მორფოლოგია. ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით გასარკვევია საკითხი: რას წარმოადგენენ -ნე-და -ტ- ელემენტები?

ორივე ეს ელემენტი ნაცვალსახელური წარმოშობისა უნდა იყოს: როგორც -ნე- ისე -ტ- (|| *ტე) უნდა წარმოადგენდნენ მესამე პირის პირველადს ნაცვალსახელებს, რომლებიც დამოუკიდებლად აღარ დასტურდება, ნაშთის სახით კი ისინი შემორჩენილი გვაქვს ზმნის უღელილებაში. მაგალითად: შეტინ აშ-ნე-ბსა— „იგი მუშაობს“, შოტუ ა-ტუ-ქსა— „იგი ხედავს“ (§§ 62, 63).

რა ფუნქციის მატარებლად შეიძლება ვივარაუდოთ ეს ელემენტები ნაცვალსახელთა, ზედსართავთა და რიცხვით სახელთა ბრუნვაში? მათი ფუნქცია რამდენადმე ნათელი ხდება სხვა კავკასიური ენების მასალების გათვალისწინებით. პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ უღურის მონათესავე ლეზგიური ენა (პ. უსლარი—კიურული). ლეზგიური ბრუნების სისტემაში დასტურდება ამ თვალსაზრისით საყურადღებო მოვლენები.

როგორც სხვა კავკასიურ ენაში, ლეზგიურშიც გამოვლინდება სახელთა ორ ფუძიანობა ბრუნების პრაქტისში. ლეზგიურში ერგატი-

ვის ფორმა გამოყენებულია სხვა ბრუნვათა საწარმოებლად. ამ ვითარებას ნათლად გვიჩვენებს ბრუნების პროცესი ლეზგიურში, რაც წარმოდგენილია შემდეგნაირად.

ბ რ უ ნ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ლ ე ზ გ ი უ რ ე ნ ა შ ი

	ჩვენებითი ნაცვალსახელი			არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი
მხოლოდითი რიცხვი	სახ. ი-მე—„ესე“	ა-მა—„ევე“	ატა-მა—„ეგი“	ბაბა—„მამა“	ჯისენ-ლი— „ქარგი“
	ერგატ. ი-ლა	ა-ლა	ატა-ლა	ბაბა-ლი	ჯასენ-ლა
	ნათეს. ი-ლა-ნ	ა-ლ-ან	ატა-ლა-ნ	ბაბა-ლი-ნ	ჯისენ-ლა-ნ
	მიცემ. ი-ლა-ზ	ა-ლა-ზ	ატა-ლა-ზ	ბაბა-ლი-ზ	ჯისენ-ლა-ზ
მრავლობითი რიცხვი	სახ. ი-ბურ	ა-ბურ	ატა-ბურ	ბაბა-ი-არ	ჯისენ-ბ-ურ
	ერგატ. ი-ბურ-უ	ა-ბურ-უ	ატა-ბურ-უ	ბაბა-ი-არ- უ -ი	ჯისენ-ბ-ურ-უ -ი
	ნათეს. ი-ბურ-უ-ნ	ა-ბურ-უ-ნ	ატა-ბურ-უ-ნ	ბაბა-ი-არ- უ-ნ ი-ნ	ჯისენ-ბ-ურ- უ-ნ -ინ
	მიცემ. ი-ბურ-უ-ზ	ა-ბურ-უ-ზ	ატა-ბურ-უ-ზ	ბაბა-ი-არ- უ-ზ ი-ზ	ჯისენ-ბ-ურ-უ-ზ

ერგატივის ნიშნად ლეზგიურში დადასტურებულია რამდენიმე ფორმანტი: მათ შორის გვხვდება -დ-ი, -დ-ა მხოლოდობითში და -უ || -ი მრავლობითში³⁵. ორი გარემოება განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას:

1. ერგატავი საფუძვლად უდევს სხვა ბრუნვების ფორმებს და მისი ფორმანტი -დ-ი || -დ-ა (resp. სხვა ფორმანტებიც) ყველა ბრუნვაში მეორდება;

2. იგივე -დ-ი || -დ-ა მეორდება ზედსართავის ბრუნვაში უკვე სახელობითიდან მოყოლებული.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ლეზგიური ჩვენებითი ნაცვალსახელიც ორფუძიანობას გვიჩვენებს (მისი ანალოგონია უღურის ნაცვალსახელები): სახელობითში ფუძეს ერთის -მა || -ში, რომლებიც შესაძლებელია გენეტურადაც დაუკავშირდეს უღურის -ნე- დეტერმინანტს (მ || ნ შენაცვლება ამ ენათა ფონეტიკით დასაშვებია), ხოლო ირიბ ბრუნვებში ამ -მა || -ში ელემენტის ადგილს იჭერს ერგატივის ნიშანი -და.

³⁵ პ. უსლარი, Кюр. яз., 1896, გვ. 5. შმლ. წარმოდგენილია ძირითადი ტაბები; სხვა ტაბები გამოვლენენ სხვა ფორმანტებსაც, მაგრამ ბრუნვებს პრინციპი ერთა ყველა ტიპისათვის.

ლეზგიურში წარმოდგენილი ვითარება გვევარაუდებინებს, რომ უღურ ნაცვალსახელში, ზედსართავსა და რიცხვით სახელში ბრუნების პროცესში გამოვლენილი -ტ- («-ტე) უნდა წარმოადგენდეს ერგატივისეულ ფორმანტს გაქვევებული სახით (წარმოშობით ნაცვალსახელურ ფუძეს). იგი გენეტურადაც უნდა უკავშირდებოდეს -ღ-ი || -ღ-ა ფორმანტებს ლეზგიურში (წარმოადგენს მათს გამკვეთრებულ სახეობას—თანხმოვნითს ნაწილში, ხმოვნითი ელემენტი ცალკე უნდა გაირკვეს).

როგორც ჩანს, პირველადი, ერგატივის ფუნქციით ეს ფორმანტი უღურში გამოვიდა ხმარებიდან და შემოგვრჩა მეორეული ფუნქციით—ფუძის დეტერმინანტად. ცხადია, გასარკვევია: რა ურთიერთობა არსებობდა და არსებობს -ტ- || -ტე ფორმანტსა და დღევანდელ ერგატივ-მოქმედებითი ბრუნვის -ინ || -ენ ფორმანტს შორის (§ 32).

რომ -ტ- || -ტე ერგატივისეული ფორმანტია, ამ ვარაუდს მეტი საფუძველი ეძლევა, თუ მოვიგონებთ, რომ არნ. ჩიქობავას ერგატივის ზოგად ფორმანტად იბერიულ-კავკასიურ ენათათვის მიაჩნია -ღ (-ნ ფონეტიკური ვარიანტით)³⁶.

თუ ზემოაღნიშნული ვარაუდი გამართლდება, მაშინ ანალოგიური ვითარება შეიძლება დაეშვათ ჩვენებით ნაცვალსახელთა სახელობითს ბრუნვაში გამოვლენილი -ნე ელემენტის მიმართაც (რამდენადაც პრინციპულად და ფაქტობრივადაც დადასტურებულია, კერძოდ, ქართველურ ენებში, მოთხრობითის ფორმანტის გამოყენება სახელობითშიც³⁷). ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განხილვას მოითხოვს ბრუნების ერთი ტიპი, რომელშიც ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ჩაერთვის -ნ- ელემენტი (§ 32). გენეტურად იგი შეიძლება წარმოადგენდეს აგრეთვე ერგატივისეულ ფორმანტს.

§ 43. კითხვითი ნაცვალსახელი. უღურში დადასტურებულია შემდეგი კითხვითი ნაცვალსახელები ანდა ამ ფუნქციით გამოყენებული სხვა სიტყვები: ვართ. შუ? — „ვინ“, ეკა? — „რა?“, მანო? — „რომელი?“, ემა || ემო? — „რამდენი?“, ეყყარა — „რამდენი?“, ეჭურან || ეჭურანო || ეჭურო? — „როგორი?“, ევახტუნო (*ე-ვახტ-უნ-ო) — „როდინდელი?“ და სხვ.

ამ ნაცვალსახელთა ბრუნება ჩვეულებრივ ემყარება საერთო ნაცვალსახელურ ბრუნებას (§ 42). განზე დგას მხოლოდ შუ? — „ვინ?“ რომლის ბრუნება თავისებურაა. ბრუნების პროცესში ყველა ამ ნაცვალსახელთათვისაც (გამონაკლისია შუ? — „ვინ?“) დამახასიათებელია საერთოდ მხოლ. რიცხვის სახელობითში მასუბსტანტივებელი -ო და ბრუნების

³⁶ არნ. ჩიქობავა, ხუნძ. ერგატ. ისტორ., გვ. 13 შმდ.

³⁷ არნ. ჩიქობავა, მოთხრ. ბრ. გენეზ., გვ. 174—175.

პროცესსაც ეს განსაზღვრავს. კითხვითი ნაცვალსახელიც იბრუნვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დამოუკიდებლად იხმარება.

კითხვითი ნაცვალსახელები იბრუნვიან შემდეგნაირად:

შუ — „ვინ“

მხოლ. რ. ვართ. I.	1. სახელ.	შუ
	2. ერგატ.	შინ
	3. ნათეს.	ში
	4. მიცემ. I.	შუ
	5. მიცემ. II	შუხ
II.	6. ზედაობ.	შულ (?)
	7. მიმართ.	შუჰ
	8. თანამყოფ.	შუსტა
III.	9. დაშორ.	შუხხო
	10. თანაობ.	შუხხოლ
IV.	11. განკუთვნ.	შინქ/კ

მაგალითად:

ვახ ეხყუნი სუნსუნა-ბოშ: შინ თარადალ-ა ენკენა ეენახ გარამშინ ჩომოხო. მრკ. 16,3 — „და უბნობდნენ ერთმანეთში: ვინ გადაგვიგორებს ჩვენ ქვას საფლავის კარზე“.

ვგანვ ვაან თე-ნან-ბაქე ყეფრიტულო დოდრი, შინ-ა თადო ექაჲ ეჭიტუხ? დკ. 16,12 — „თუ თქვენ არ უზამთ სხვას სიმართლეს, ვინ მოგცემს თქვენ თქვენსას?“

ამმა უჯკო ექაჲ, შუხო-ყა-ვაჲ-ყიჲბი. დკ. 12,5 — „მაგრამ გეტყვი თქვენ, ვისგან გეშინოდეთ.“

შენიშვნები: 1. ძირად ამ კითხვით ნაცვალსახელში თითქოს გამოიყოფა შ- (ხმოვნითი ელემენტი გასარკვევია) და მისგან წესიერად არის ნაწარმოები ბრუნვები: ერგატივში ძირითადი -ინ სუფიქსით (§ 32), ნათესაობითში ძირითადი -ი სუფიქსით (§ 35), მიცემ. I-ში გვაქვს -უ, რომელიც აიხსნება საერთო წესის მიხედვით (§ 33).

2. მრავლობითში ეს ნაცვალსახელი თითქოს არ იხმარება.

3. როგორც სხვა შემთხვევაშიც, ეს ნაცვალსახელი ჩვეულებრივ დაირთავს კითხვით -ა ნაწილას.

4. ნიჯურში ეს ნაცვალსახელი თავისებურებას არ გვაძლევს.

ეკაჲ — „რა?“

ვართ. 1. სახელ.	ე-კა — „რა“	ნიჯ. ჰი-კჲ
2. ერგატ.	ე-ტ-ინ	ჰე-ტ-ინ
3. ნათეს.	ეტაჲ	ჰეტაჲ

	4. მიცემ. I.	ეტუ	ჰეტუ
	5. მიცემ. II.	ეტუხ	ჰეტუ ჰეტუხ
II.	6. ზედაობ.	ეტულ	ჰეტულ
	7. მიმართ.	ეტუჰ	ჰეტუჰ
	8. თანამყოფ.	ეტუსტა	ჰეტუსტა
III.	9. დაშორებ.	ეტუხნო	ჰეტუხუნ
	10. თანაობ.	ეტუხნოლ	ჰეტუხუნ
IV.	11. განკუთვნ.	ეტენქ/კ	ჰეტაჲნაქ/ქ

მაგალითად:

ფინე შოტუ:—ეკა-ზა-იბაქსა ზა ვი-ლახო? ლკ. 16, 2—„უთხრა მას: რა მესმის შენზე?“

განა ელენ არესბაინ იჩ ზორარუხ, ეტინ-ა ბაქო სერბეს შოტუხ? ლკ. 14, 34—„თუ მარილი დაჰკარგავს თავის ძალას, რით შეიძლება გამოვაცეთოთ ის?“

შეტინ-ალ ფინე:—ეტუ ლარი-ა ბიხლო ფასქაღლულ ვაჲ ეტულ-ზუ-ლარიბო შოტუხ? ლკ. 13, 18—„მანაც უთხრა: რას ემსგავსება ღვთის მეუფება და რას დავამსგავსებ მას?“

შენიშვნები: 1. ამ ნაცვალსახელის ფუძე შედგენილია ორ ნაწილი-საგან: სახელობითში ე?—„რა?“ და -კა—„ერთი“, „ცალი“. დანარჩენ ბრუნვებში გამოვლინდება ჩვენებით ნაცვალსახელში დადასტურებული -ტ- დეტერმინანტი (§ 42). სახელობითში მოსალოდნელი იყო -ო მასუბ-სტანტივებული ელემენტი, მაგრამ იგი თითქოს არ დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ გვაქვს თავისებური ფორმა თანხმოვნის გემინაციით: ეკკა:

მაგალითად:

...ვაჲ ხარჯნუ ესაბალ-თე-ნე: ბუტაჲ შეტაჲ, ეკკა ლაზუმ-ა მე აშ-ლახ თამბესუნუნ-ბახტინ. ლკ. 14,28—„და ხარჯს არ იანგარიშებს: აქვს მას [იმდენი], რაც საჭიროა ამ საქმის შესასრულებლად?“

თუ ეს ნაცვალსახელი მსაზღვრელად არის გამოყენებული, მაშინ გვაქვს მარტივი ძირი ე: მაგალითად:

რუსტამენ ეხნე მეტუხ:—ქანო ე ჰუნარ-რუ-ბესა? R 9₁₃—„რუსტამი ეუბნება ამას, ეგ რა საქმეს ჰშევი?“

ვაჲ ე ნიშან-ა, ევახ-თე მონო გვარჲ ბაქანე? ლკ. 21, 7—„და რა ნიშანია, როდესაც ესე უნდა იქმნეს?“

2. ნიჯურში ფუძეს თავში ერთვის ჰ საერთო ფონეტიკური წესის მიხედვით და სახელობითში ე→ი.

3. მრავლობითი რიცხვი ამ ნაცვალსახელისათვის არ დასტურდება.

მანო? — „რომელი?“

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ვართ. I.	1. სახელ. მა-ნ-ო	მანორ
	2. ერგატ. მა-ტ-ინ	მატლონ ← *მა-ტ-უხ-ენ
	3. ნათეს. მატაჲ	მატლოჲ
	4. მიცემ. I. მატუ	მატლო
	5. მიცემ. II. მატუხ	მატლოხ
II.	6. ზედაობ. მატულ	მატლოლ
	7. მიმართ. მატუჱ	მატლოჱ
	8. თანამყოფ.. მატუსტა	მატლოსტა
III.	9. დაშორებ. მატუხო	მატლოხო
	10. თანაობ. მატუხოლ	მატლოხოლ
IV.	11. განკუთვენ. მატენჱ	მატლონჱ/ჱ ← *მატლოენჱ/ჱ

მაგალითად:

მეთვრ პერიორ აჲზახუნ შოტლოჲ მატაჲ ბაჱალ-ა შონო ჩუბუხ?
 ლკ. 20, 33. — „ამგვარად, მკედრეთით აღდგომისას მათგან რომლისა იქნება იგი ცოლად?“

...აოხსამ ჭიჭირანბესა, თე ტე მულეწწე ადამარ, მატლო-ლახო-თე ბინეთე სილოამუნ მინარჲ. ლკ. 13, 4 — „თუ ჰფიქრობთ, რომ ის თვრამეტი კაცო, რომელთა ზედაც დაეცა სილოამის გოდოლი“.

შენი შენებები: 1. ეს ნაცვალსახელი ამგვარი. შედგენილობისაჲ: *მა-ნ-ო, სადაც ფუძე უნდა იყოს მა-. იგი იბრუნვის ნაცვალსახელური ბრუნებით (§ 42).

2. დამოუკიდებლად ეს ნაცვალსახელი იშვიათად გვხვდება, ჩვეულებრივ მას დაერთვის თე — „რომ“: მანო-თე — „რომელიც“ — გვევლინება როგორც მიმართებითი ნაცვალსახელი (§ 46).

ემა? — „რამდენი?“

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ვართ. I.	1. სახელ. ე-მა ემრ ემო — „რამდენი?“	ემორ ემორ
	2. ერგატ. ე-მა-ტ-ინ ემრტინ [ემოტინ	ემოტლონ
	3. ნათეს. ემატაჲ ემოტაჲ	ემოტლოჲ
	4. მიცემ. I. ემატუ ემოტუ	ემოტლო
	5. მიცემ. II. ემატუხ ემოტუხ	ემოტლოხ და ა. შ.

მაგალითად:

ბუნაჱუხ, ემა-ჱარან ზუ ბალიშლამიშბ ა ვიჩე, ბეზ-ბეშ გუნაჱჱარ-ბალტინ? მთ. 18, 21 — „უფალო, რამდენჯერ მივეუტევეო ძმას, ჩემს წინაშე შემცოდეს“

ემოტინა-სერბე მე კუახ? — „რამდენმა ააშენა ეს სახლი?“.

ემო-ემორ-ყუნ-არე? — „რამდენ-რამდენი მოვიდა?“.

ემო-ემოტლოხ (მიც. II) ზუ ჭებაქესტე? — „რამდენ-რამდენი ვავრევე მე“.

შენიშვნები:

1. ეს ნაცვალსახელიც შედგენილ ფუძეს წარმოადგენს: *ე-მა-ო: ე — „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელია, მა უნდა აღნიშნავდეს ოდენ-ს, -ო მასუბსტანტივეზელი სუფიქსია.

ფონეტიკური პროცესების საფუძველზე მას სხვადასხვა სახე შეიძლება ჰქონდეს: ემა-ს დართული არა აქვს -ო სუფიქსი; ემრ ← *ემარ მიღებულია ასიმილაციით, ხოლო ემო — გრძელი ხმოვნის გამარტივებით.

3. ნიჭურში აქაც განვითარებულია თავკიდური ჰ: ჰემა || ჰემო, მორფოლოგიაში თავისებურება არ დასტურდება.

ეყყარა? — „რამდენი?“

მხოლ. რიცხვი

მრავლ. რიცხვი

ვართ. I.	1. სახელ. ეყყარა ეყარა ეყარო	ეყყარო:
	2. ერგატ. ეყყაროტინ	ეყყაროტლონ
	3. ნათეს. ეყყაროტაჲ	ეყყაროტლოჲ
	4. მიც. I. ეყყაროტუ	ეყყაროტლო
	5. მიც. II. ეყყაროტუხ	ეყყაროტლოხ... და ა. შ.

მაგალითად:

იჩენ იჩ-ბოშ ჰაყლა არი, ფინე: ეყყარა ნრქარლონ ბეზ ბაბაჲ შუმახ ხარაბყუნბესა. ლკ. 15, 17 — „თვითონ გონზე მოსულმა თქვა: რამდენი მოჯამაგირე მამაჩემის პუ ეთ ძღება?“.

ფინე სუჭტუნტუ: — ეყყარა უნ თადალ-ა-ნუ ბეზ ალა? ლკ. 16, 5 — „უთხრა პირველს: რამდენი გაქვს მისაკემი ჩენი ზატონისთვის?“

ავაკსა, ეყყარა გუნაჰქარ-ყუნ ბესა? მრკ. 15, 4 — „ჰხედავ, რამდენს ბრალს გდებენ შენ?“

შენიშვნები:

1. ეყყარა? — აგრეთვე შედგენილი ფუძეა, ე-კა-ყარა, სადაც ე? — „რა?“, კა — „ერთი“, ყარა — „ოდენ“; ყარა ნასეახები უნდა იყოს. ბრუნება საერთო წესს მისდევს.

2. ნიჭურში განვითარებულია თავკიდური ჰ: ჰეყყარა?, მორფოლოგიური თავისებურება არ დასტურდება.

ეჭურბ? — „როგორი?“

მხოლ. რიცხვი

- ვართ. I. 1. სახელ. ეჭურბ || ეჭურბო || ეჭურბო
 2. ერგატ. ეჭურბ-ტ-ინ || ეჭურბოტინ
 3. ნათეს. ეჭურბტაჲ || ეჭურბოტაჲ
 4. მიც. I. ეჭურბტუ || ეჭურბოტუ
 5, მიც. II. ეჭურბტუხ || ეჭურბოტუხ

მრავლ. რიცხვი

- ეჭურბორ || ეჭურბორ
 ეჭურბოტლონ || ეჭურბოტლონ
 ეჭურბოტლოჲ || ეჭურბოტლოჲ
 ეჭურბოტლო || ეჭურბოტლო
 ეჭურბოტლოხ || ეჭურბოტლოხ... და ა. შ.

მაგალითად:

მონო ეჭურბ აშ-ა? — „ეს როგორი საქმეა?“

ეჭუროტინ-ა თაზი მე აშ? — „როგორმა [კაცმა] შეასრულა ეს საქმე?“

შენიშვნები:

1. ფუძე შედგენილია კითხვითი ე? — „რა?“ ნაცვალსახელისა და ცალკე სიტყვის: ჯურბ — „გვარი“ (რაგვარი || როგორი) შეერთებით. ფონეტიკურ საფუძველზე დასტურდება სხვადასხვა სახეობა.

2. ნიჯურში განვითარებულია თავკიდური ჰ: ჰეჭურბ?, ბრუნება კი ჩვეულებრივია.

ევახტუნ? — „როდინდელი?“ [რა დროისა?]

მხოლ. რიცხვი

მრავლ. რიცხვი

- ვართ. I. 1. სახელ. ე-ვახტ-უნ || ევახტუნ-ო ევახტუნორ
 2. ერგატ. ევახტუნ-ტ-ინ ევახტუნტლონ
 3. ნათეს. ევახტუნტაჲ ევახტუნტლოჲ
 4. მიცემ. I. ევახტუნტუ ევახტუნტლო
 5. მიცემ. II. ევახტუნტუხ... ევახტუნტლოხ... და ა. შ.

მაგალითად:

ევახტუნო-ალ ბაქაჲინ, ბაყანქი — „როდინდელიც იქნება, იყოს!“

ევახტუნტუ-ა პურე მე ადამარ? — „როდინდელს [დღეს] მოკვდა ეს კაცი?“

შენიშვნები:

1. ფუძე შედგენილია კითხვითი ე? — „რა?“ ნაცვალსახელისა და ნასესხები-ვახტ — „დრო“ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის (ვახ-

ტ უ ნ — „დროისა“) შეერთებით: ე-ვ ა ხ ტ უ ნ? — „რა + დროისა?“, „როდინ-დელი?“ . ბრუნება ნაცვალსახელური ტიპისაა.

2. ნიჯურში განვითარებულია თავკიდური ზ: ჰ ე ვ ა ხ ტ უ ნ-ო? მორ-ფოლოგია ჩვეულებრივია.

§ 44. კუთვნილებითი ნაცვალსახელი. კუთვნილებითი ნაცვალ-სახელი უდურშიც იწარმოება ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მეშვეობით: აღებულია პირის (resp. ჩვენებით) ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნ-ვა მთლიანად (§ 41, 42), მას დაერთვის მასუბსტანტაეებელი -ო (ზოგჯერ იგი არაა): ბ ე ზ ი || ბ ე ზ ი ო — „ჩემი“, ვ ი || ვ ი ო — „შენი“, შე ე ტ ა ე || შე-ტ ა ე ო — „მისი“, ბ ე შ ი || ბ ე შ ი ო — „ჩვენი“; ე ა ჭ ი || ე ა ჭ ი ო — „თქვე-ნი“, შ ო ტ ო ლ ო ა || შ ო ტ ო ლ ო ა ო — „მათი“. კუთვნილებით ნაცვალ-სახელად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე იჩ — „თვითონ“, cam, selbst უკუ-ქცევითი ნაცვალსახელიდან ნაწარმოები: ი ჩ ი || ი ჩ ი ო — „თვისი“, ი ჩ უ-ღ ო ა || ი ჩ უ ღ ო ა ო — „თავიანი“ — ნაცვალსახელები.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი მისდევს ნაცვალსახელურ ბრუნებას (§ 42). საერთო წესის მიხედვით მსაზღვრელის ფუნქციით ნათესაობი-თის ნიშანი იკარგება, ხოლო რჩება, როცა კუთვნილებითი ნაცვალ-სახელი დამოუკიდებლადაა, ანდა მოსდევს საზღვრულს.

მაგალითად;

რუსტამენ ეხნე, თე: აჩა, ბ ე ზ ბ ე ხ ო ი რ ი ა დ ბ ა ქ ა ! R 10₁₀ — „რუსტა-მი ეუბნება, რომ: დაიკარგე, ჩემი თავიდან განმეშორე!“

ეხნე: „ტე ხიბ ხინაზ ბ ე ზ ხიბ ი ო ლ დ ა შ უ ნ , მ ო ნ ო - კ ე ნ ა — ბ ე ზ ი . R 21₁₁ — „ამბობს: ის სამი ქალი ჩემი სამი ამხანაგისა, ეს კი — ჩემი“.

ვაა ფინე შოტლო: „ცამნე: კოჯ ბ ე ზ ი ა ჭ რ ე ნ უ ნ კ ო ჯ - ნ ე - კ ა ლ ე ხ ა “. მთ. 21, 13 — „და უთხრა მათ: „წერილ არს: სახლი ჩემი სალოცავ სახლად იწოდების“.

რუსტამენ მეტუხ ეხნე, თე: ბართა ვ ი ფ ე შ ა გ ა ხ ! R 10₁ — „რუსტამი მას ეუბნება, რომ: მიატოვე შენი საქმე [ხელობა]!“

აყა ვ ი ტ უ ხ ვ აა თ ა ქ ე ! მთ. 20, 14 — „აიღე შენი [გასამრჯელო] და წადი“.

ვაა ხაშნედი შე ტ ა ჩ ო ნ ე ბ ე ლ - კ ე ნ ა , შე ტ ა ფ ა რ თ ა ლ - ა ლ ბ ა ნ ე ქ ი მ ა წ ი ე თ ა რ - თ ე ხ ა შ . მთ. 17, 2 — „და გამაანათა მისმა სახემ მზესავით, მისი ტანსაცმელიც შეიქმნა თეთრი როგორც მთვარე“.

ქარვანონ ეხნე: „შელ ხე თე-ბეშ-ბუ, ბ ე შ ო რ ე მ ა ს ა დ ი ზ ი კ - ნ ე - ბ უ “. R 13₁₇ — „ღედაბერი ეუბნება: „ქარგი წყალი არ გვაქვს, ჩე ე ნ ს წყაროზე ერთი გველია“.

ისუსენ ფინე შოტლო: ე ჭ ნ უ ტ ვ ა ბ ა ქ ს უ ნ ა - გ ო რ ო ბ . . . მთ. 17, 20 — „იესომ უთხრა მათ: თქვენნი ურწმუნოებისა გამო“.

ეკა ბესანე, ი ჩ უ ღ ო ა ტ ი ნ - ნ ე - ბ ე ს ა . — რ ა ს ა ც შ ვ რ ე ბ ა [ა კ ე თ ე ბ ს] , მ ა თ ი ვ ე ა კ ე თ ე ბ ს “ .

კართ. კუთვნილებითი ნაკვალსახელის ბრუნება

კართ. 1. სახელ.	ბეზი ბეზიო—„ჩეზი	ვი ვიო—„შენი“	შეტა შეტაო—„მისი“
2. ერგატ.	ბეზიტ-ინ ბეზიო-ტ-ინ	ვი-ტ-ინ ვიო-ტ-ინ	შეტა-ტ-ინ შეტაო-ტ-ინ
3. ნათეს.	ბეზიტა ბეზიოტა	ვიტა ვიოტა	შეტატა შეტაოტა
4. მიცემ. I.	ბეზიტუ ბეზიოტუ	ვიტუ ვიოტუ	შეტატუ შეტაოტუ
5. მიცემ. II.	ბეზიტუბ ბეზიოტუბ	ვიტუბ ვიოტუბ...	შეტატუბ შეტაოტუბ
1. სახელ.	ბეში ბეშიო—„ჩენი“	ეფი ეფიო—„თქვენი“	შოტოლო შოტოლოო—„მათი“
2. ერგატ.	ბეში-ტ-ინ ბეშიო-ტ-ინ	ეფიტ-ინ ეფიო-ტ-ინ	შოტოლო-ტ-ინ შოტოლოო-ტ-ინ
3. ნათეს.	ბეშიტა ბეშიოტა	ეფიტა ეფიოტა	შოტოლოტა შოტოლოოტა
4. მიცემ. I.	ბეშიტუ ბეშიოტუ	ეფიტუ ეფიოტუ	შოტოლოტუ შოტოლოოტუ
5. მიცემ. II.	ბეშიტუბ ბეშიოტუბ	ეფიტუბ ეფიოტუბ	შოტოლოტუბ შოტოლოოტუბ
1. სახელ.	ინი ინიო—„მისი“, „თავისი“	ინიორ—„მისნი“	ინელა—„თავიანი“
2. ერგატ.	ინიტ-ინ ინიო-ტ-ინ	ინიორ-ტ-ლნი	ინელა-ტ-ინ ინელაო-ტ-ინ
3. ნათეს.	ინიტა ინიოტა	ინიორტლო	ინელატა ინელაოტა
4. მიცემ. I.	ინიტუ ინიოტუ	ინიორტლუ	ინელატუ ინელაოტუ
5. მიცემ. II.	ინიტუბ ინიოტუბ	ინიორტლუბ	ინელატუბ ინელაოტუბ

§ 45. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან (§ 43). ამ შემთხვევაშიც მას დაერთვის მასუბსტანტივებელი -ო, თუმცა ამ ნაცვალსახელებში იგი ხშირად უჩინარდება: შიხ || შიხო? — „ვისი?“, ეტაჲ || ეტაჲო? — „რისი?“, მატაჲ || მატაჲო — „რომლისა?“ და სხვა.

ამ ნაცვალსახელთა ბრუნება ამგვარია:

ვართაშნული

მხოლ. რიცხვი

- | | | |
|--------------|-------------------------------|---------------------|
| I. 1. სახელ. | შიხ შიხო? — „ვისი?“ | ეტაჲ? — „რისა?“ |
| 2. ერგატ. | შიხოტინ შიხოტინ | ეტაჲტინ ეტაჲოტინ |
| 3. ნათეს. | შიხოტაჲ შიხოტაჲ | ეტაჲტაჲ ეტაჲოტაჲ |
| 4. მიც. I. | შიხოტუ შიხოტუ | ეტაჲტუ ეტაჲოტუ |
| 5. მიც. II. | შიხოტუხ შიხოტუხ | ეტაჲტუხ ეტაჲოტუხ |
| I. 1. სახელ. | მატაჲ მატაჲო? — „რომლისა?“ | |
| 2. ერგატ. | მატაჲტინ მატაჲოტინ | |
| 3. ნათეს. | მატაჲტაჲ მატაჲოტაჲ | |
| 4. მიც. I. | მატაჲტუ მატაჲოტუ | |
| 5. მიც. II. | მატაჲტუხ მატაჲოტუხ | |

მაგალითად:

ვაჲ ფინე შოტლო: „მონო ში სუჲათ-ა ვაჲ ში ცამ-ა?“ მთ. 22, 20 — „და უთხრა მათ: „ეს ვისი სურათია და ვისი წარწერა?“.

აგანან შიი-თე ბაქაინ სა ბაჩრ ელეღ ვაჲ შეტლოხო სო აჩაინ... მთ. 18, 12 — „თუ ვისი ც იყოს ასა ცხვარი და ერთი დაიკარგოს...“

შიხო ჩუბლონ-ა ეჩერი შუმან? — „ვისმა ცოლმა მოიტანა პური?“

შიხოტინ-ა თაშერე? — „ვისმა გაიტანა? [ე. ი. ვინ გაიმარჯვა დავის დროს]“

მე შეერუხ შიხორა-ა? — „ეს ნივთები ვისია [ვისებია]?“

ვი ფე ეტა[ჲ] ჰიკ-ა ლაჲტე? — „თვალში რის ტოტი მოგხვდა?“

მეთარ პურიორ ააზახუნ ვულოტაჲ მატაჲ ბაქალ-ა შონო ჩუბუხ? მთ. 22, 28 — „ამრივად მკედრეთით აღდგომისას შვიდთაგან რომლისა იქნება იგი ცოლად?“.

§ 46. მიმართებითი ნაცვალსახელი. მიმართებითი ნაცვალსახელი უღუჲში იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელისაგან ორი საშუალებით: მას ერთვის ან კავშირი თე — „რომ“, ანდა -ა ლ — „ცა“ ნაწილაკი. ორივე შემთხვევაში ფუჲედ გამოყენებულია კითხვითი ნაცვალ-

სახელის შესატყვისი ბრუნვა: შუ-თე || შუ-ალ — „ვინც“, ეკა-თე || ეკა-ალ → ეკალ — „რაც“, მანო-თე || მანო-ალ — „რომელიც“ და ა. შ.

ბრუნების დროს განმეორებულია მთლიანად კითხვითი ნაცვალ-სახელის ფორმები (§ 43).

ვართ. I. სახელ.	შუ-თე — „ვინც“, ეკალ ← *ეკა-ალ — „რაც“, მანო-აე
ერგატ.	შინ-თე ეტინ-ალ მატინ-თე
ნათეს.	ში-თე ეტაჲ-ალ მატაჲ-თე
მიც. I.	შუ-თე ეტუ-ალ მატუ-თე
მიც. II.	შუხ-თე ეტუხ-ალ მატუხ-თე

მაგალითად:

ამმა აგანა შუ-თე პური განუხო თალან შოტლო-ტოალოლ, ააყა-ყუნელო. ლკ. 16, 30 — „მაგრამ თუ ვინც მკვდრეთით მივიდეს მათთან, მოინანიონ“.

ში-თე ბუტაჲ იმუხ იბაქსუნუნ-ბახტინ, იმუხ-ყა-ნ-ლახი. ლკ. 14, 35 — „ვისაც აქვს ყური სმენისათვის, ისმინოს.“

ვაჲ შინ-თე თე-ნე-თასშა ირ ხაჩნუ. ლკ. 14, 27 — „და ვინც არ ზიდავს თავის ჯვარს“.

მეთარ პარო ეფაახო, მატინ-თე ნანი-ნ-ქულ-აყო ზუთუნტხო, ეკა-თე ბუტაჲ, თე-ტუ-ბაქო ბაქეს ბეზ შაგირდ. ლკ. 14, 33 — „ასე ყოველი თქვენგანი, რომელმაც არა ხელი აიღოს ყველაფერზე, რაც აქვს, ვერ შესძლებს ჩემი მოწაფე იყოს“.

მე ავრაამი ხინარახ-გენა, მატუხ-თე ლარ-ნეფე შეეთანენ, მიგილა მულეწუჲ უსენ-ნე. ლკ. 13, 16 — „აბრაამის ეს ასული კი, რომელიც შეიპყრო ეშმაკმა [ავმა სულმა], უკვე თვარამეტი წელია“.

ტეთარ-ალ ფინე საემოტლო, მანო-რ-თე ვაყუნი იჩლო-ბახტინ. ლკ. 18, 9 — „ამგვარადვე უთხრა ზოგთ, რომელნიც ერწმუნებოდნენ თავის თავს“.

ვაჲ ვან-ალ ბაქალლან ლარი ადამარლოლ, მატლოჲ-თე ბუყოჲ უმუდ იჩლო ალა ჯაიბაქსუნა. ლკ. 12, 36 — „და თქვენც იქნებით მსგავსი იმ ადამიანთა, რომელთაც აქვთ იმედი თავისი ბატონის დაბრუნებისა“.

§ 47. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. განსაზღვრებით ნაცვალსახელად გამოყენებულია ცალკე ფუძეები სხვადასხვა წარმოშობისა. ესენია: პარო — „ყოველი“, პარსა || პარსო — „ყოველი“, ბუთუნ || ბუთუნო — „ყველა“. ამათგან პარსა შედგენილია: პარ — „ყოველი“, სა — „ერთი“. ამ ნაცვალსახელთა ბრუნება ჩვეულებრივია.

მხოლ. რიცხვი

ვართ.

- | | | |
|--------------------------------|----------------|-----------------|
| I. 1. სახელ. პარო | პარსო პარსა | ბუთუნ ბუთუნო |
| 2. ერგატ. პარტინ პაროტინ, | პარსოტინ | ბუთუნტინ |
| | პარსატინ, | |
| 3. ნათეს. პარტაჲ პაროტაჲ, | პარსოტაჲ | ბუთუნტაჲ |
| | პარსატაჲ, | |
| 4. მიც. I. პარტუ პაროტუ, | პარსოტუ | ბუთუნტუ |
| | პარსატუ, | |
| 5. მიც. II. პარტუხ პაროტუხ, | პარსოტუხ | ბუთუნტუხ |
| | პარსატუხ, | |

მაგალითად:

ხელწიგსა პარ დოვნუხ სა ყათირუნ-ლახო. R 8₄— „აჰკიდა ყოველი დევი თითო სახედარზე“.

ესჲუ ეჭაახ: პარტუხ, შინ-თე ზახ ხოსტამაზბაინ ხალხნა-ბეშ. ლკ. 12, 8 — „გეუბნები თქვენ: ყოველს, ვინც მე მიწამებს ხალხის წინაშე“.

ამმა გჳნნ ნნი-ნან-აყაელო, ბუთუნ-ალტეთჳ ბათკალღან. ლკ. 13, 3 — „მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველა იმგვარადვე დაიღუპებით“.

ბიხაჳული ქა მსწლინა აან-ეხა, აოხსამ ბუთუნტლო? ლკ. 12, 41 — „უფალო! მაგ იგავს ჩვენ გვეუბნები, თუ ყველას?“

ბუთუნტუხო „დურჳსტლუღონი“ — ფი, ბულ აყი, თანესა, R 9₅. — „ყველა ს[გან] გამოემშვიდობა, თავი აიღო, მიდის“.

განსაზღვრებით ნაცვალსახელს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე იჩ — „თვით“, „თვითონ“ — ნაცვალსახელი, რომელიც უპირატესად დაერთვის სხვა სახელს, თუმცა დამოუკიდებლადაც იხმარება. ზოგ შემთხვევაში მას შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობაც. აღსანიშნავია, რომ ამ ფუნქციით იგი არ მისდევს ნაცვალსახელურ ბრუნებას, როცა მისგან ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელი იჩი „თავისი“ საზოგადო ნაცვალსახელური ბრუნების ტიპს იძლევა (§ 42).

მხოლ. რიცხვი

მრავლ. რიცხვი

- | | |
|---------------------|-----------|
| ვართ. 1. სახელ. იჩ- | იჩ-უხ |
| 2. ერგატ. იჩ-ენ | იჩუღონ |
| 3. ნათეს. იჩ-აჲ | იჩუღოჲ |
| 4. მიც. I. იჩ-უ | იჩუღო |
| 5. მიც. II. იჩ-უხ | იჩუღოხ... |

მაგალითად:

შეტაბახტინ-თე პარტინ, ალაბალტინ იჩენ იჩუხ, ბაქალღე ოყალუ, ოყალუბალტინ გენა იჩუხ ალალუ ბაქალღე. ლკ. 18, 14 —

„რადგანაც, ყოველი, [ვინც] თვითონ თავს იმალებს, დამდაბლდება, ვინც კი თავს იმაბლებს, ამაღლდება“.

იჩენ-გენა ბუთუნ ხორავას უქსანე, თაძსა. R 10₁₀—„თვითონ კი მთელ საკმელს ჰამს, მიღის“.

სა ფარა ვახტ მანნესტა, ბენელსა, თე იჩუხ მე კუა თე-ყო-ბუყსა. R 9₄—„ცოტა ხანს რჩება, ხედავს რომ იგი [თვითონ] ამ სახლში არ უყვართ“.

ტე ვახტა გუდმიშბალენ ფინე იჩ-ბოშ. ლკ. 16, 3—„მაშინ მმართველმა თქვა თავის [გულ]ში [თვითონ]“.

ჭარისეა ჩურფი, აჭრენეხა იჩენ იჩ-ბოშ მეთარ... ლკ. 18, 11—„ფარისეველი დადვა, ლოცულობს თვითონ თავის [გულ]ში ამგვარად..“.

§ 48. განუაზღვრელობითი ნაცვალსახელი. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით ძირითადად გამოყენებულია რიცხვითი სახელი სა—„ერთი“, „ერთი ვინმე“, „ერთი რამე“, „ვილაკა“, „რალაცა“—მნიშვნელობით. გვაქვს ნაცვალსახელები: სა || სრ ←საო—„ვინმე“ resp. „ვილაკ“, „რამე“ resp. „რალაც“, სუნ ←*სა-უნ—„ვინმე“ resp. „ვილაკ“, საემო—„რომელიმე“, „რომელილაც“, „ზოგი“, ტე სუნ—„სხვა“ [ვინმე, resp. ვილაკ].

ეს ნაცვალსახელებიც იბრუნვიან საერთო წესით.

- ვართ. 1. სახელ. სრ←სა-ო სუნ || სუნო საემო
2. ერვატ. სრ-ტ-ინ სუნ-ტ-ინ სა-ემო-ტ-ინ
3. ნათეს. სრტაჲ სუნ-ტ-აჲ საემოტაჲ
4. მიც. I. სრტუ სუნ-ტ-უ საემოტუ
5. მიც. II. სრტუხ სუნ-ტ-უხ საემოტუხ...

მაგილითად:

სა ადამარი ბუნეჲ პაჲ ლარ. ლკ. 15, 11—„ერთ კაცს [ვინმეს] ჰყავდა ორი ძე“.

მეტა-ლახო ზაკონაბატლო სუნ ტინ ფინე შოტუ. ლკ. 11, 45—„ამაზე კანონმდებელთაგან ერთმა [ვინმემ] უთხრა მას“.

ვაჲ შოტლოხო სუნ ტუხ ბესბალყუნ, ტე სუნ ტლოხ-გენა შაპე-ლალყუნ. ლკ. 11, 49—„და მათგან ერთს მოკლავენ, სხვებს [მეორეთ] კი განაგდებენ“.

ვაჲ ხაბარეაყი შოტხო ქალატლოხო სუნ ტინ. ლკ. 18, 18—„და გამოიკითხა მისგან ერთმა [ვინმემ] უფროსთაგან“.

სუნ ტაჲ ბუ ტაჲ იჩ ჰაპლულუნ-ბოშ ბოშ-ეცი თოხახანინ ხოდ. ლკ. 13, 6—„ვისლაც ჰქონდა თავის ვენახში დარგული ლყღვის ხე“.

ტე ლა არაყუნ საემო ჭარისეღოხო ვაჲ ფიყუნ შოტუ. ლკ. 13, 31—„იმ დღეს მივიღენ ზოგი ფარისეველთაგანი და უთხრეს მას“.

მე ვახტა არიყუნ საემოორ ვაჲ ნალყუნბი. ლკ. 13, 1— „ამ დროს მოვიდნენ ზოგნი და უამბეს“.

ტეთარ-ალ ფინე საემოტლო, მანორ-თე ვაყუნნი იჩლო-ბახტინ. ლკ. 18, 9— „ამგვარადვე უთხრა ზოგს [ზოგიერთებს], რომელნიც ერ-წმუნებოდნენ თავის თავს“.

§ 49. უარყოფითი ნაცვალსახელი. ძირითადად უარყოფითი ნაცვალ-სახელი იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელისაგან: კითხვით ნაცვალ-სახელს ემატება— „კალ“ ელემენტი და ვლებულობთ: შუკალ— „არავინ“, ეკკალ (*ეკა-კალ) || ეკალ— „არაფერი“, მანოკალ— „არც რომელი“, ემაკალ— „არც რამდენი“... თანაც წინადადებაში აუცილებელია თე— „არა“— უარყოფის ნაწილაკი (resp. ნუთ— „არა“). ფუქეკალ უნდა წარმოადგენდეს ფესუნ— „თქმა“, „ლაპარაკი“— ზმნის აწყო-მყოფადის მიმყოფას (§ 80) და ნიშნავს „სათქმელი“. ამ ვარაუდს სჭირდება შემდგომი დაზუსტება.

მასუბსტანტივებელი -ოამ ნაცვალსახელს ხან დაერთვის, ხან კი— არა. ამის მიხედვით იგი იძლევა ბრუნების ორ ტიპს: ჩვეულებრივს სახელურს და ნაცვალსახელურს.

ვართ.

მხოლ. რიცხვი

- | | |
|---|--------------------|
| 1. სახელ. შუკალ შუკალო— „არავინ“, ეკალ ეკალო— „არაფერი“ | |
| 2. ერგატ. შუკალენ შუკალტინ | ეკალენ ეკალტინ |
| 3. ნათეს. შუკალი შუკალტაჲ | ეკალუნ ეკალტაჲ |
| 4. მიც. I. შუკალა შუკალტუ | ეკალა ეკალტუ |
| 5. მიც. II. შუკალახ შუკალტუხ | ეკალახ ეკალტუხ. |

მაგალითად:

მატლოხ-თე უყუნქესაჲ ბოყუჲროლონ, ამმა შუკალენ თენეთასტაჲ შოტუ. ლკ. 15, 16— „რომელთაც სკამდნენ ღორები, მაგრამ არავინ არ აძლევდა მას“.

შეტაბახტინ-თე ეხჲუ ექახ, შუკალენ ტეკალფიტლოხო ნუთ უქალღე ბეჲ ბიასუნუნ შუმახო. ლკ. 14, 24— „რადგანაც გეუბნები თქვენ, ვერავინ იმ მოწვეულთაგან ვერ ჰამოს ჩემი საღამოს პურისაგან [ვახშმისაგან]“.

შეტაბახტინ-თე თე-ნ-ბეჲლსა შუკალი ჩოელ. ზთ. 22, 16— „რადგანაც არ უყურებს არავის სახეს“.

შუკალ ირჲჰმლუ თე-ნე, თჲქსჲ სა ბიხაყულ. ლკ. 18, 19— „არავინ უცოდველი (სახიერი) არაა, მხოლოდ ერთი— ღმერთი“.

ამმა შონორ ეკალ მოტლო თე-ყუნ-ყამიშბაქი. ლკ. 18, 34— „მაგრამ მათ ვერაფერი ამისაგან ვერ გაიგეს“.

ქერ გოლზ ბუღალე-ნე, ეკალ თე-ნე-აქესა. R117—„ორმო ძალიან ღრმა. არაფერი არ იხედება [ჩანს]“.

§ 50. საურთიერთო ნაცვალსახელი. უღურში დასტურდება ერთი რთული შედგენილობის ფუძე, რომელიც საურთიერთო ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს. ძირად თითქოს აღებულია რიცხვითი სახელი სა, რომელიც ნათესაობითშია დასმული: *სა-უნ←სუნ; იგი შემდეგ გაორკეცებულია: ვიღებთ სუნ-სუნ-ო—„ერთმანეთი“. იბრუნვის საერთო წესით, ოღონდ ყველა ბრუნვა აღარ დასტურდება საყოველთაოდ.

მხოლ. რიცხვი

- ვართ. I. 1. სახელ. სუნსუნ || სუნსუნო — „ერთმანეთი“
2. ერგატ. სუნსუნ-ენ — „ერთმანეთმა“
3. ნათეს. სუნსუნ-აჲ — „ერთმანეთისა“
4. მიც. I. სუნსუნ-ა — „ერთმანეთს“
5. მიც. II. სუნსუნ-ახ — „ერთმანეთს“

და ა. შ.

მაგალითად:

სუნსუნახ შეთპრ ბიყუნყესა, შეთპრ პეტყუნძესა. R 818—„ერთმანეთს ისე სტაცებენ [ხელს], ისე უჭერენ“.

ვაჲ ბჷთჷნტლონ ბურყუნჯი, უკან-თე სუნსუნა ჰათ-ყუნ-თაღე. ლკ. 14, 18.—„და ყველამ დაიწყო, თითქოს ერთმანეთს პირობა მისცეს [სიტყვა მისცეს]“.

საემოტლოჲ აჯღლონ-ყოჲ-ბიყი ვაჲ ფიყუნ სუნსუნა-ყათი. მრკ. 14, 4—„ზოგნი გაბრაზდნენ და თქვეს ერთმანეთს შორის“.

ზედსართავი სახელი

§ 51. ზედსართავი სახელი ზოგადად. ზედსართავ სახელს არ მოეპოვება გრამატიკული კლასკატეგორია და არც სქესის კატეგორია. რეალური სქესი უღურში აღანიშნება ცალკე სიტყვით: მამრობითობის აღსანიშნავად გამოყენებულია: იშუ—„მამაკაცი“, ქრფგ—„მამალი“, ვრქგ—„მამალი“, დადალ—„მამალი“; დედრობითის აღსანიშნავად: ჩუბუხ—„ქალი“, ყანჯილ—„დედალი“, ხუნი—„დედალი“, მადიან—„დედალი“, შუმაკ—„დედალი“. ზოგ შემთხვევაში კი დაპირისპირება გამოიხატება საკუთარი ფუძეებით.

მამრობითი სქესისა:

იშე ვსილ—„მამაკაცი“,

ირაჰათ—„გლეხი“,

იშყარ—„მამაკაცი“, „ქმარი“,
უს—„ხარი“,
არაკ—„მოზვერი“,
ზრქვგ ეჟ—„მამალი ცხენი“,
ზრქვგ ელე—„მამალი ცხვარი“
ქრფვგ—„ხვადი ძალი“,
ქრფვგ ჯანავარ—„ხვადი მგელი“,
ზრქვგ ასლან—„ხვადი ლომი“,
დადალ—„მამალი“ (ქათამი),
ყაზნა დადალ—„მამალი ბატი“,
პინტა დადალ—„მამალი ინდაური“,
ბაქრანინ დადალ—„მამალი მერცხალი“,

დედრობითი სქესისა:

ჩუბლო ვსილ—„დედაკაცი“
ირაპათუნ ჩუბუხ—„გლეხის ქალი“
ჩუბუხ—„დედაკაცი“, „ცოლი“
ჩურ—„ძროხა“
ოჯას—„დეკეული“
მადჯან ეჟ—„ფაშატი ცხენი“
ხუნი ელე—„დედალი ცხვარი“
ყანჯილ—„ძუ ძალი“
ყანჯილ ჯანავარ—„ძუ მგელი“
ხუნი ასლან—„ძუ ლომი“
კოკოწ—„დედალი“ (ქათამი)
ყაზნა შუმაკ—„დედალი ბატი“
პინტა შუმაკ—„დედალი ინდაური“
ბაქრანინ შუმაკ—„დედალი მერცხალი“.

მეორე მხრივ, ზედსართავისათვისაც გვხვდება მცირე სიტყვა-წარმოებითი ელემენტები. რაც შეეხება მიმლეობას, მის საწარმოებლად მხოლოდ ორი ფორმანტი დასტურდება (§ 80).

ზედსართავი სახელიც მსაზღვრელის ფუნქციით არ იბრუნვის. სუბსტანტივის ფუნქციით იგი იცვლება და მისდევს ნაცვალსახელურ ბრუნებას (§ 42).

ორივე კილო უღური ენისა ზედსართავ სახელს პრინციპულად ერთგვარი ვითარებით წარმოგვიდგენს. საყურადღებოა ოლონდ, რომ ნიჭურში ზედსართავის ფუძეს სახელობითში ზოგჯერ დაერთვის -ჯა ელემენტი, რომელიც გვხვდება რიცხვით სახელებშიც (§ 54 შმდ.).

§ 52. ზედსართავი სახელი მსაზღვრელად. ზედსართავი სახელი მსაზღვრელის ფუნქციით ჩვეულებრივ დაისმის საზღვრულის წინ, იშვიათ შემთხვევაში კი გვხვდება საზღვრულის შემდეგაც (იხ. მაგალითები, აქვე). ბრუნების პროცესში მსაზღვრელი ზედსართავი არ იცვლება, არ იცვლება იგი აგრეთვე რიცხვის მიხედვითაც. ნაგენტივარ სახელში, როცა ფორმანტია -აჰ || -ი, ვართაშულში ეს ა- || -ი იკარგება, ნიჭურში კი შენარჩუნებულია (გვ. 105).

მსაზღვრელი ზედსართავის ბრუნება:

მხოლ. რიცხვი

კართ. I.	1. სახ.	მაწი ხოდ— „თეთრი ხე“	კოკოწუნ ³⁸ კოჯ— „საქათმე“ [ქათმის სახლი“
	2. ერგატ.	მაწი ხოდენ	კოკოწუნ კოჯენ
	3. ნათეს.	მაწი ხოდდა←*ხოდნაი	კოკოწუნ კოჯინ
	4. მიც. I.	მაწი ხოდდა	კოკოწუნ კუა
	5. მიც. II.	მაწი ხოდდახ	კოკოწუნ კუახ
II.	6. ზედობ.	მაწი ხოდღალ	კოკოწუნ კუალ
	7. მიმართ.	მაწი ხოდღაკ	კოკოწუნ კუაკ
	8. თანამყ.	მაწი ხოდღასტა	კოკოწუნ კუასტა
III.	9. დაშორ.	მაწი ხოდღახო	კოკოწუნ კუახო
	10. თანაობ.	მაწი ხოდღახოლ	კოკოწუნ კუახოლ
IV.	11. განკუთვნ.	მაწი ხოდენქ/კ	კოკოწუნ კოჯენქ/კ

მრავლ. რიცხვი

I.	1. სახელ.	მაწი ხოდურუხ— „თეთრი ხეები“
	2. ერგატ.	მაწი ხოდურლონ
	3. ნათეს.	მაწი ხოდურლოჲ
	4. მიც. I.	მაწი ხოდურლო
	5. მიც. II.	მაწი ხოდურლოხ
II.	6. ზედობ.	მაწი ხოდურლოლ
	7. მიმართ.	მაწი ხოდურლოქ
	8. თანამყოფ.	მაწი ხოდურლოსტა
III.	9. დაშორ.	მაწი ხოდურლოხო
	10. თანაობ.	მაწი ხოდურლოხოლ
IV.	11. განკუთვნ.	მაწი ხოდურლონქ/კ

³⁸ კოკოწუნ ნათ. ბრუნება: „ქათმისა“, სახ. კოკოწ.

მაგალითად:

ენზე, თე ჭულან განუ მაწი დრვ-ნე-ქარხესა. R 8₉— „ეუზნება, რომ ამა და ამ ადვილას თეთრი დევი ცხოვრობს“.

ფასქალენ იაყანებსა მე ღარახ ტე მაწი დრვნა-ტოალოაღ. R 8₉— „მეფე გზავნის ამ ვაჟს იმ თეთრ დევთან“.

ბარც ა ვი სოლოხა ქე მა-ყა-ტუ-აბაბაქი, ეკა-ბსა აჩრატინ. მთ. 6, 3— „დაე, შენმა მარცხენა ხელმა ნუ იცის, რას შვრება მარჯვენა“. ენესა ბეზ-გოშტან ზახო ზორრუო, მატაჲ-თე ლაღლ-თე-ზ, ზუ კოწ-ზაქი, შადბაზ შეტა ლაფჩინუნ ყაიშა. მრკ. 1, 7— „მოდის ჩემს უკან ჩენზე ძლიერი, რომლისაც ღირსი არა ვარ, მე დავიხარო, შეევსნამისი ფეხსაცმლის თასმა“.

პურან თანესშა შოტუ გრლრ ალალუ ბურლოღ. მთ. 4, 8— „კვლავ მიპყავს იგი ძალიან მაღალ მთაზე“.

მიაუნ ფასქალუნ ფულ, გრლრ ვახტე, ტე დრვნა ჩუბლო-ლახო-ნეჲ. R 17₇— „აქაური [აქისა] მეფის თვალი დიდი ხანია იმ დევის ცოლზე იყო“.

ქეყყადარ-ალ ოქრილა აჭქი-ნე-ბაქო. N— „მაგვარი კუდი-ანი ტყუილი იქნება“.

ბატიჯა იქ-ე-ბუჲ ოჩრლენ ჩროჲელ. N— „დაბალი (თხელი) თოვლი იყო მიწის პირზე“.

ოშა ტაღაჲჯა სუნტინ ფინე. N— „შემდეგ იქაურმა ერთმა თქვა“.

მე ხე კატკალა გალა ბინეყი ჯამახ. N— „ამ წყლის საწყვეთ ადგილზე შეუღვა ჯამი“.

ზოგჯერ მსაზღვრელი ზედსართავი მოსდევს საზღვრულს. მსაზღვრელი ასეთ ვითარებაში წარმოადგენს ან ნაგენეტივარ სახელს, ანდა კუთვნილებით ნაცვალსახელს. აღსანიშნავია:

1. ნათესაობითი ნიშანი -ი || -ჲ ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია და 2. თითქოს არის ტენდენცია, რომ მსაზღვრელი შეეთანხმოს საზღვრულს რიცხვსა და ბრუნვაში.

მაგალითად:

შუმ ბეშილაზუმლა თაღა ჯაღე! მთ. 6, 11— „პური ჩვენის საჭირო მოგვეც ჩვენ დღეს!“.

მონო ბუნე ბეზ ღარ ბუყალ, მატა-ბოშ-თე ბეზ იხტიარ-რე. მთ. 3, 17— „ეს არის ჩემი ძე საყვარელი, რომელშიც ჩემი ნება არის“.

ვაა წიახ-ალ შეტაჲ ლაყუნხო: ემმანუილ. მთ. 1, 23— „და სახელსაც მისსა დასდებენ: ემანუელ“.

შეტაბახტინ-თე იშა-ნე-ბაქე ფასჩალლულ გოგნჷ. მთ. 4, 17—„რადგანაც მოახლოვდა მეუფე ბა ცისა“.

ვან ბუნან ელ კულლჷ. მთ. 5, 13—„თქვენ ხართ მარილი მიწისა“.

ადამარუხ არციორ ბეიიანყუნა აყოკე ქალა ხაშ. მთ. 4, 16— „ადამიანებმა დამსხდართა ბნელში იხილეს დიდი ნათელი“.

შეტაბახტინ-თე მე ლარ ბეზი პურინეჷ ვა ანეზერე. ლკ. 15, 24— „რადგანაც ეს ვაჟი ჩემი მკვდარი იყო და აღდგა“.

ბაჰან ხაბარ-რე-აყე იჩოლოხო: მაჷ-ა კიწყე ვიჩი ეჭი. 58— „მამამ გამოიკითხა მისგან:—სადაა პატარა ძმა თქვენი“.

§ 53. ზედსართავი სახელი სუბსტანტივის ფუნქციით. სუბსტანტივის ფუნქციით წარმოდგენილი ზედსართავი მისდევს ნაცვალსახელურ ბრუნებას (§ 42).

ზედსართავის ბრუნება (აგრეთვე რიცხვითი სახელისაც) უდური ენის მკვლევართ არ ჰქონდათ გათვალისწინებული მართებულად. მაგალითად. ა. დირი ამბობდა:

„ყველა ეს ელემენტები, რომლებიც ჩვენ ეს-ეს არის შევისწავლეთ წინა გვერდებზე, გვხვდება აგრეთვე ყველა სხვა ბრუნებად სიტყვებში: ზედსართავში, რიცხვითში, მიმღობაში და სხვა. მაგრამ ნათესაობითი ბრ. მათში ბოლოვდება ტაი-ზე და არა ნაი-ზე, მიცემითი ტუ-ზე, ხოლო ეს ტუ რჩება ყველა ბრუნებაში“³⁹. ფაქტი ზოგადად სწორად არის მითითებული, ოღონდ დასაზუსტებელია შემდეგი: 1. ა. დირს გათვალისწინებული არ აქვს სახელობითი ბრუნვის ვითარება; 2. გარკვეული არაა ამ ტ ელემენტის რაობა. ა. დირიც მას მიიჩნევს ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ნაწილად. თვით ნაი და მსგავსი ფორმანტების რაობაც ა. დირისათვის არაა ნათელი. ეს -ტ ელემენტი არაა ბრუნვის ნიშნის შემადგენელი ნაწილი, იგი ფუძის დეტერმინანტია და სხვა ფუნქციის მატარებელიც.

ზედსართავი (მიმღობა) სუბსტანტივის ფუნქციით:

მხოლ. რიცხვი.

ვართ. I.	1. სახ.	ქალა-ო ქალოო— „დიდი“	უკალ-ო— „მთქმელი“
	2. ერგატ.	ქალა-ტ-ინ ქალო-ტ-ინ	უკალ-ტ-ინ
	3. ნათეს.	ქალა-ტ-აჷ ქალო-ტ-აჷ	უკალ-ტ-აჷ
	4. მიც. I.	ქალა-ტ-უ ქალო-ტ-უ	უკალ-ტ-უ
	5. მიც. II.	ქალა-ტ-უხ ქალო-ტ-უხ	უკალ-ტ-უხ

³⁹ ა. დირი, Грамм., გვ. 28.

- | | | | | | | |
|------|-----|-----------|-------------|--|--------------|--------------|
| II. | 6. | ზედაობ. | ქალა-ტ-ულ | | ქალო-ტ-ულ | უკალ-ტ-ულ |
| | 7. | მიმართ. | ქალა-ტ-უქ | | ქალო-ტ-უქ | უკალ-ტ-უქ |
| | 8. | თანამყოფ. | ქალა-ტ-უსტა | | ქალო-ტ-უსტა | უკალ-ტ-უსტა |
| III. | 9. | დაშორ. | ქალა-ტ-უხო | | ქალო-ტ-უხო | უკალ-ტ-უხო |
| | 10. | თანაობ. | ქალა-ტ-უხოლ | | ქალო-ტ-უხოლ | უკალ-ტ-უხოლ |
| IV. | 11. | განკუთენ. | ქალა-ტ-ენქ | | ქალო-ტ-ენქ/კ | უკალ-ტ-ენქ/კ |

მ რ ა ვ ლ . რ ი ც ხ ე ი

- | | | | | | |
|------|-----|-----------|-----------------|--|-----------------------|
| I. | 1. | სახელ. | ქალოორ←*ქალა-ორ | | მანდი-ორ---დარჩენილნი |
| | 2. | ერგატ. | ქალოტლონ | | მანდიოტლონ |
| | 3. | ნათეს. | ქალოტლოფ | | მანდიოტლოფ |
| | 4. | მიც. I. | ქალოტლო | | მანდიოტლო |
| | 5. | მიც. II. | ქალოტლოხ | | მანდიოტლოხ |
| II. | 6. | ზედაობ. | ქალოტლოლ | | მანდიოტლოლ |
| | 7. | მიმართ. | ქალოტლოქ | | მანდიოტლოქ |
| | 8. | თანამყოფ. | ქალოტლოსტა | | მანდიოტლოსტა |
| III. | 9. | დაშორ. | ქალოტლოხო | | მანდიოტლოხო |
| | 10. | თანაობ. | ქალოტლოხოლ | | მანდიოტლოხოლ |
| IV. | 11. | განკუთენ. | ქალოტლონქ/კ | | მანდიოტლონქ/კ |

მაგალითად:

ენესა ბეზ კოშტან ზახო ზორარუო, მატაჲ-თე ლაჲლ-თე-ჴ, ზუ კოწბაქი შადბაჴ შეტა ლაფჩინუნ ყაიშა. მრკ. 1,7—„მოდის ჩემ შემდგომ ჩემზე ძლიერი, რომლისაც ღირსი არა ვარ, თავდახრილმა გავხსნა მისი ფეხსამოსის თასმა“.

მოტხო აბუ ზო გენა, შონო შემთანახო-ნე. მთ. 5,37 — „[რაც] ამაზე მეტი კი, ის ეშმაკისაგანაა“.

შორ ბეჲლანე, თე იჩ თულურღოხ კაწკალო მონო-ნე. R 15₄— „ისე ეგონა, რომ მისი მართეების გამწყვეტი ეს არის“.

ბახტავეარარუ-ყუნ ბუსსაოარ ვაახენეზაოარ დოღრილულუნ-ბახტინ. მთ. 5,6—„ბედნიერი არიან მშიერნი და მწყურვალნი სამართლისათვის“.

ვაევახ-თე აჭრენეხა, მა ბაქა ეთპრ-თე პაჲჩოლაოარ. მთ. 6, 5 — „და როდესაც ლოცულობ, ნუ იზამ ვითარცა ორპირნი“.

შეტაბახტინ-თე შეტინ ბჷრმიშ-ნე-ბესა იჩ ბეჲლნუ, ქელანე ფისტლო ვაა შელტლთ-ლახო. მთ. 5,45—„რადგანაც იგი უბრძანებს თავის მზეს, ამოვიდეს ცუდთა და კარგთა ზედა“.

მონო შელ-ლე, კიწკეტუხ მია ბარკაჲ, ქალატუხ ჩიჩაჲ, ოაშა ელაჲ, კიწკეტუხ ჩიჩაჲ — „ის კარგია, პატარას აქ დაეტოვებდე, დიდს ავიყვანდე, შემდეგ მოვიდოდე, პატარას ავიყვანდე“. ბუ-ყა-ვა-ყი ვი იშატუხ. მთ. 5, 43 — „გიყვარდეს შენი მახლობელი“.

ტეთარ-ალ მან ბალიშლამიშ-მან-ბობორულუტულოხ. მთ. 6, 12 — „იმგვარადვე ჩვენც მიუტუტეებთ მოვალეებს“.

შოტინ მე მამან დიზაკა დოჭედი, ტე ჭოჭატუ ლაჭედი. N — „მან ეს შავი გველი მოკლა, ის წითელი გაუშვა“.

დე, ქოტოლო ეჩანან სავახტან ბეჲ ბარაბარ: ბირინზ თოჯდოტუხ, ჯეყ თოჯდოტუხ, ბეჲ ნანახ-ალ. N — „დაე, ეგენი მომგვარეთ ხვალ ჩემ წინაშე: ბრინჯის გამყიდველი, ხორცის გამყიდველი, დედაჩემიც“.

შეტაბახტინ-თე გოლგოუნორ ელაღყუნ ბეჲ წიენ, ფი, თე მონო ზუ-ჲ. ლკ. 21, 8 — „რადგანაც ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით, მთქმელი, რომ ეს მე ვარ“.

შეტაბახტინ-თე დამნუნო იჩენ ჯაჭაზაპკალლე იჩ-ბახტინ. მთ. 6, 34 — „რადგანაც ხვალინდელი [ხვალისა] თვითონ იზრუნებს თავისთვის“.

ვახ ხაშნესტა ბუთუჲ კოჯინტლოხ. მთ. 5, 15 — „და უნაუბს ყველა სახლეულს [სახლისანთ]“.

პურიტაჲ ვიჩი ლანესა მინარილან. N — „მკვდრისა ძმა აღის მინარეთჲ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ ზედსართავის ბრუნების სისტემა იშლება, ასეთი მოშლა უფრო ახასიათებს მიმლეობას. ამას ნათელს ხდის შემდეგი მაგალითები:

ხე ყუჲქკალენ-ალ ჰაშეთარ-რე-ბესა. R 11₁₁ — „წყლის მსმელიც სწორედ ასე შერება“ [უ. ი. ხე ყუჲქკალტინ].

ხენა თადაჲ ოცაპკალა, ოცაპკალენ ზაო-ყა-ნ-თადი. — „წყალს მიცემ მთიბავს, მთიბავი მე თივას მომცემს“ [უ. ი. ოცაპკალტუ, ოცაპკალტინ].

ეჲ ტაპკალენ თანესტა კაჲ. — „მოკალოვე აძლევს საკენკს [ნარკვს]“ [უ. ი. ეჲ ტაპკალტინ].

პურინ ვიჩი ნეხე. N — „მკვდრის ძმა ეუბნება“ [უ. ი. პურიტაჲ].

უფრო მყარია -ტ ელემენტის ფუნქციის შეგრძნობა ვართაშნულში, მაგრამ ზოგჯერ აქაც გვაქვს ნორმის დარღვევა: ეს ტ იკარგება.

სახელობითის მასუბსტანტივებელი -ო ზოგჯერ აღარაა გაგებული მორფოლოგიური ფუნქციით, იგი ფუძეს ერწყმის და გადაჰყვება სხვა

ბრუნვებშიც - ტ ელემენტის წინ. ამგვარადვე იგი მრავლობით რიცხვშიც იჩენს თავს. მაგალითად: სახ. ქალოო←*ქალა-ო, ერგატ. ქალოო-ტ-ინ←*ქალა-ო-ტინ, ნათეს. ქალოოტაჲ და ა. შ.

ნიჯურ კილოში ზედსართავის მორფოლოგია წარმოდგენილია იმგვარადვე, როგორც ვართაშნულში, შეინიშნება ოღონდ ჩვეულებრივი ფონეტიკური თავისებურებანი.

რიცხვითი სახელი

§ 54. ოდენობითი რიცხვითი სახელი. უღურშიც დასტურდება ოცობითი თვის სისტემა, რაც მკვიდრად დაცულია ვართაშნულ კილოში, ნიჯურში სისტემა რამდენადმე დარღვეულია: ოცდაათიდან მიყოლებული ოთხმოცდაათამდე ნასესხებია აზერბაიჯანული რიცხვითი სახელები (ათეულებრივი სისტემისა), ზოგჯერ კი საკუთარი ფუძეებიდანაც აწარმოებენ რიცხვით სახელს ათეულებრივი სისტემით.

რიცხვითი სახელი არ იცვლება, როცა მსაზღვრულია და იბრუნვის ნაცვალსახელური ბრუნვებით, როცა იგი გამოყენებულია სუბსტანტივის ფუნქციით.

ოდენობითი რიცხვითი სახელები:

რიცხვი	ვართაშნული	ნიჯური
1	სა სრ — სა-ო სუნ	სა სრ საჯა სოლო
2	პაჲ პოჲო ← პაჲ-ო	პაჲ პოჲ პაჲჯა პოჲლო
3	ხიბ ხიბო	ხიბ ხიბო
4	ბიპ ბიპო	ბიპ ბიპო
5	ჭო ტრ — ტო-ო	ჭო ტრ
6	უჲ უჲო	უჲ უჲჯ უჲო
7	ეუჲლ ეუჲლო	ეუჲლ ეუჲლო
8	მუჲლ მუჲლო	მუჲლ მუჲლო
9	ეუჲ ეუჲო	ეუჲ ეუჲო
10	ვიწ ვიწო	ვიწ ვიწო
11	საწწე საწწეო ს.წე საწსე	საწწე საწე
12	პაჲწწე პაჲწე პაჲწე პაჲწწეო	პაჲწწე პაჲწე
13	ხიჲწწე	ხიჲწწე
14	ბიჲწწე	ბიჲწწე
15	ჭოწწე	ჭოწწე
16	უჲწწე	უჲწწე
17	ეუჲლწწე	ეუჲლწწე
18	მუჲლწწე	მუჲლწწე
19	ეუჲწწე	ეუჲწწე
20	ყა ყაო ყო	ყა ყაო
21	საჲოსა	
22	საჲოპაჲ	
23	საჲოხ:ბ და ა. შ.	
30	საჲოერწ	ოთუზ ხიბეიწ
31	საჲოს.წწე	
32	საჲოპაჲწწე და ა. შ.	

რიცხვი	ვართაშნული	ნიჭური
40	პაჲყო	ყერხ პაჲყო
41	პაჲყოსა და ა. შ.	
50	პაჲყოვიწ	წალი გოვიწ
51	პაჲყოსაწწე და ა. შ.	
60	ხიბყო	ალთმიშ უმწვი წ
61	ხიბყოსა და ა. შ.	
70	ხიბყოვიწ	მეთმიშ ვეჲღვიწ
71	ხიბყოსაწწე და ა. შ.	
80	ბიპყო	საქსან მუჲღვიწ
81	ბიპყოსა და ა. შ.	
90	ბიპყოვიწ	ღოხსან ვუჲვიწ
91	ბაპყოსაწწე და ა. შ.	
100	სა ბაჩ	საბაჩ ვიწაოვიწ
101	საბაჩსა და ა. შ.	საბაჩსა და ა. შ.
110	საბაჩვიწ	საბაჩვიწ
111	საბაჩსაწწე და ა. შ.	საბაჩსაწწე და ა. შ.
200	პაჲბაჩ	პაჲბაჩ
300	ხიბბაჩ და ა. შ.	ხიბბაჩ და ა. შ.
1000	სა ჰაზარ	სა ჰაზარ
1001	სა ჰაზარსა და ა. შ.	სა ჰაზარსა და ა. შ.
10.000	ვიწ ჰაზარ	ვიწ ჰაზარ
100.000	ბაჩ ჰაზარ და ა. შ.	ბაჩ ჰაზარ და ა. შ.

მაგალითად:

რიცხვითი სახელი მსაზღვრელად:

ბანეჲე სა ჩობან; მე ჩობანი ბატაჲეჲე სა ჩუბუხ. R 7₂—„იყო ერთი მწყემსი: ამ მწყემსს ჰყავდა ერთი ცოლი“.

რუსტამენ ანეყესა შავატ ხინარახ, ჯოლდაშმუღონ-ალ ჰარტინ სო ტე ხიბ ხინარახო. R 16₁₈—„რუსტამი იყვანს მშვენიერ ქალიშვილს, ამხანაგებიც ყოველი ეწ, თს [თითოს] იმ სამი ქალიშვილისგან“.

ბიპ ჯოლდაშენ-ალ სუნსუნა თაყუნდესა ჰარტინ სა ბაბოჲალ. R 16₁₉—„ოთხი ამხანაგიც ერთმანეთს აძლევეს ყოველი ერთ [თითო] ბეჲედს“.

ვეჲღ ღი, ვეჲღ შუ აყა-ნე-თაჲსა.—„რვა ღღე, რვა ღამე გზას მიღის“.

რუსტამენ ჩინესჩა პაჲწწე-ფუტთა თავარახ. R 8₃—„რუსტამი იძრობს თორმეტ-ფუთიან ცულს“.

მეთარ ბუთუნ რვლად ავრაამახო დავიდალ-ცირიკ ბიპეწწე. მთ. 1, 17—„ამრიგად მთელი მოდგმა [შთამომავლობა] აბრაამიდან დავითამდე თოთხმეტი“.

ღრვენ ეხნე, თე:—გზარგ პაჲყო ღი წუმ-ეჲაჲან. R 8₁₁—„ღვეი ეუბნება, რომ:—უნდა ორმოცი ღღე ვიმარხულოთ“.

პააყო ღი შეთარ მანდაჲჲ, ბიოჲ. R 18₈—„ორმოცი დღე თუ ისე დავრჩები, მოვეკვდები“.

ჯო აელ-ტუხ-ბაქიო, ჯოალგნ ღარ. N—„ხუთი ბავშვი ჰყავდათ, ხუთივე ვაჟი“.

ტე ჯობაშ² მანგთა მე საჰად ვახუნ ჩურესსა. N—„ის ხუთასი მანეთი ამ საათში შენგან მინდა“.

რიცხვითი სახელი სუბსტანტივად:

გარპ ღენნახ სუნტინ ფეშქაშ თაშანე. R 13₁₈—„უნდა ყოველ დღე ერთმა ძღვენი მიუტანოს“.

ხაბარ-აყაჲ ზუ-ალ ექაახო სუნტა-ბახტინ. ლკ. 20, 3—„გამოვიკითხავ მეც თქვენგან ერთისათვის“.

მატუხ-თე ეხყუნი ისკარიოტ, პაწეტხო [უ. ი. პაწეტხო] სუნტუხ. ლკ. 22, 3—„რომელსაც უწოდებდნენ ისკარიოტს, თორმეტი საგან ერთს“.

ოშა ტალაჯა სუნტინ ფინე. N—„შემდეგ იქაურმა ერთმა თქვა“.

a. როგორც ჩანს, ერთეული რიცხვითი სახელები, შემდეგ ათი, ოცი, ასი, ათასი წარმოგვიდგენენ დამოუკიდებელ ფუძეებს როგორც ვართაშნულში, ისე ნიჭურში. როცა რიცხვითი სახელი იხმარება სუბსტანტივად, მას სახელობითში დაერთვის მასუბსტანტივებელი -ო ელე-მენტი: სა || საო—„ერთი“ და ა. შ. პარალელურად ამ ფორმისა ერთისათვის გავრცელებულია აგრეთვე სუნ←*სა-უნ.

ნიჭურში ამ მხრივ გვაქვს თავისებურება: სახელობითში ფუძეს ზოგჯერ დაერთვის -ჯა || -ლო, რაც სემანტიკურად უნდა უდრიდეს „ცალს“ (resp. „ერთეულს“): სა-ჯა || სო-ლო←სა-ლო და ა. შ.

მაგალითად:

ეხტილშთინ შაჰატა ვაღინჲ ყონახხო სოლო ჳრშ-ე-ჰეჲსა. N—„საუბრის დროს სტუმართაგან ერთი გარეთ გადის“.

ზუ ყვარხ ბეჰზიჲო, ამა ყვარხსოლო-ე-ალ ბალჲუ. N—„ორმოცი ვქენი, მაგრამ ორმოცდაერთსაც ვიზამ“.

ბეშ კოჲა პააჯა თანენა[კ] განოვ. N—„ჩვენ სახლში ორი სულისათვის არის ადგილი [საწოლი]“.

b. თერთმეტიდან მოყოლებული ცხრამეტამდე ჩათვლით რიცხვითი სახელი თითქოს იწარმოება ამგვარად: ვიწ—„ათი“ სახელს წინ ერთის ერთეულების სახელები, ხოლო ბოლოში კვლავ -სა || -სე ელემენტი, შემდეგ კი ხდება ფონეტიკური ცვლილებები:

*სა-ვიწ-სა→სა-წ-სე→საწწე→საწე—„თერთმეტი“

*პაჲ-ვიწ-სა→პაჲ-წ-სე→პაჲწწე—„თორმეტი“

*ხიბ-ვიწ-სა→ხიბ-ეწ-სე→ხიბეწწე→ხიბეწე— „ცამეტი“

*მუღ-ვიწ-სა→მუღ-ეწ-სე→მუღეწწე→მუღეწე— „თვრამეტი“

საყურადღებოა, რომ ა. დირს დადასტურებული აქვს ფორმები: საწსე, პაწსე, ხიბეწსე, ბიპეწსე...⁴⁰

სემანტიკურად ამ წარმოების გააზრება შეიძლებოდა ამგვარად: „თორმეტი“—*პაე-ვიწ-სა—„ორ-ათი—ერთად“...

ც. ოცეულების წარმოება ვანსხვავდება კილოების მიხედვით: ვართამწულში კომპოზიტის შედგენილობაში პირდაპირ შედის სათანადო ერთეული და ყა || ყო—„ოცი“ სიტყვა: პაა ყო←*პაა-ყა-ო—„ორმოცი“, ხიბ ყო—„სამოცი“ და ა. შ. ნიჭურში უღურის ბუნებრივი სისტემა დარღვეულია: აზერბაიჯანულიდანაა ნასესხები ზოგ შემთხვევაში რიცხვითი სახელები: ოთუზ, ყგრხ და ა. შ., ზოგ შემთხვევაში კი დასტურდება თვის ათეულებრივი სისტემა: ხიბვიწ—„სამათი“=30, კოვიწ—„ხუთათი“=50 და ა. შ.

დ. ასეულებისა და შემდგომი რიცხვითი სახელების წარმოება ჩვეულებრივია და ერთგვარია ორივე კილოში.

ც. რიცხვითი სახელი სახელს არ შეითანხმებს რიცხვში: საღარ—„ერთი ძე“, კოხოღ—„ხუთი ხე“, პაბაჩ კოჯ—„ორასი სახლი“ და ა. შ. (სხვა მაგალითები იხ. ზემოთ, გვ. 110 შმდ.).

აღსანიშნავია, რომ ეს წესი იშვიათ შემთხვევაში ირღვევა. მაგალითად:

ტელან ტეჩოთაცი, ატუკი შოტუ ყეჯრი პაევიჩიმუღოხ. შთ. 4, 21—„იქიდან იქით მხარეს წავიდა რა, დაინახა მან სხვა ორი ძმები“ [ე. ი. ორი ძმა].

§ 55. რიგითი რიცხვითი სახელი. რიგითი რიცხვითი სახელის საწარმოებელი საყოველთაო ფორმანტია ვართამწულში: -უმჯი || -უნჯი, ნიჭურში: -უმჯი || -იმჯი... ეს ფორმანტი ა. შიფნერს და ა. დირსაც მიაჩნიათ აზერბაიჯანულიდან ნასესხებად⁴¹. მაგრამ ასეთი მარტივი ახსნა ამ ფორმებისა არ უნდა იყოს მართებული ქვემოთ წარმოდგენილი მოსაზრების გამო.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ა. შიფნერი მიუთითებდა: „თავდაპირველად, როგორც ჩანს, რიგითი რიცხვითი სახელის ცნება არ მოიპოვებოდა; იხ. § 151; ახლა მას გამოხატავენ ნათესაობითი ბრუნვის -უნ სუფიქსის დართვით...“⁴².

⁴⁰ ა. დირი, Грамм., გვ. 29.

⁴¹ ა. შიფნერი, Versuch, § 69; ა. დირი, Грамм., გვ. 30; შდრ.

А. Кононов, Грамм., გვ. 90.

⁴² ა. შიფნერი, Versuch, § 69. გვ. 20.

ა. ღირი იხსენიებს ა. შიფერის მოსაზრებას მხოლოდ „დამატებასა და შეცდომებში“, — ძირითად ტექსტში კი ამბობს: „Числительные порядковые образуются через прибавление суффикса, который не что иное, как татарский суффикс -мѣи, предшествуемый гл. ъ для бѣгозвучия“⁴³.

ა. ღირის აზრი ზოგადად მართებულია, ოღონდ არაა ნათელი, როდესაც ა. ღირი -მѣი-ს წინ უ ხმოვანს თითქოს ვარაუდობს კეთილ-ხმოვნებისათვის ჩართულად უღურ ნიადაგზე. ამ სუფიქსს ხმოვნითი ელემენტი უძღვის წინ თურქულშიც: თანხმოვანფუძიან რიცხვითთან სუფიქსად გამოიყოფა: *инса, инса, инса, инса*⁴⁴.

საყურადღებოა, რომ ა. შიფერის მიერ მითითებული წარმოება -უნ ფორმანტით დღესაც თითქოს ცოცხალია. გვხვდება პარალელური ფორმები: — პაა-უმჯი || პაა-უნ — „მეორე“, ხიბ-უმჯი || ხიბ-უნ — „მესამე“. სახელ-ლოზრ ცოცხალ მეტყველებაში დასტურდება გამოთქმები:

ს უ ჭ ტ ე უ ნ ღარ მონო-ნე — „პირველი [უფროსი] შეილი ესაა“.

კოუნ (|| კოუმჯი) ადამარ არენე — „მეხუთე კაცი მოვიდა“.

ბეზ პააუნ (|| პაა-უმჯი) ღარ უნ-ნუ — „ჩემი მეორე შველი შენ ხარ“.

აღსანიშნავია, რომ სუბსტანტივს ფუნქციით ხმარებული რიგითი რიცხვითი სახელი უპირატესობას აძლევს სწორედ -უნ ფორმანტიან წარმოებას: -უმჯი || -უნჯი წარმოება ამ შემთხვევაში უფრო იშვიათია.

მაგალითად:

კოუნო არენე, ამა უჭუნო თანეცე — „მეხუთე მოვიდა, მაგრამ მეექვსე წავიდა“.

რომ -უნ სუფიქსს გარკვეულად ჰქონდა ამგვარი ფუნქცია, ამას ეგების ისიც ადასტურებდეს, რომ იგი გვხვდება ზმნისართისეულ (§ 82) სიტყვებშიც — რიგის აღსანიშნავად: ბეშუნო — „წინა“ (ბეშ — „წინ“), ახრუნ || ახრუნო — „უკანასკნელი“ (ახგრ — „ბოლო“, „ზოლოს“), ბიხლუნ || ბიხლუნო — „შუა“, „შუათანა“ (ბიხლ — „შუა“).

მაგალითად:

ბეშუნლი მანნესტა კუა უყნახოლბიყალო. R10₅ — „პირველ [წინა] დღეს [და]რჩება შინ ნიგვზის ხის მკერი“.

⁴³ ა. ღირი, Грамм., გვ. 30: «დამატებაში» იგი ამბობს: „Щифер говорит, что имена числительные порядковые тождественны с родительным пад. числительных количественных, но теперь употребляются только формы на -мѣи“ (გვ. XVII).

⁴⁴ А. Кононов, Грамм., გვ. 90.

ო შუ ნ ლი ქომოხ-ბერხალო-ნე-მანდესა. R 10₁₅ — „მეო რ ე [შემდგომ] დღეს მეწისქვილე რჩება“.

ო მ შ უ ნ ჩუბლო ქეჭილ თე-ნე-ესა. R 17₁₈ — „მეო რ ე [შემდგომ] ცოლს არ მოსწონს“.

სამაგივროდ -უ მ ჯ ი-ც გვხვდება მსგავსი ფუნქციით.

მაგალითად:

ვაა თე-ტუ-აბაჲ შეტუხ, ეთარ ახრახ შეტინ ბინენი იჩ ბე შ უ მ ჯ ი ლარახ. მთ. 1, 25 — „და არ იცოდა იგი, როგორ შვა მან თავისი წინა [პირველი] ვაჟი“.

დასტურდება ამ ფორმების პარალელური ხმარებაც.

მაგალითად:

გოლრუნ ბე შ უ მ ჯ ი ო რ ბაქალყუნ ახ რ უ ნ ო რ, ა ხ რ უ მ ჯ ი ო რ-ალ ბაქალყუნ ბე შ უ მ ჯ ი. მთ. 19, 30 — „ბევრნი წინანი იქნებიან ბოლონი, ბოლონი კი იქნებიან წინანი“.

კაღვა ქაპლილო ვაჲ თადა შოტლო აჰჲ ახ რ უ ნ ტ ხ ო ბურჯი ბე შ უ ნ ტ უ ლ-ცირიკ. მთ. 20, 8 — „მოუწოდე მუშებს და მიეც მათ გასამრჩელო ბოლოთგან დაწყებული [დაწყებით] პირველამდე“.

ნიკურში რიგითი რიცხვითი სახელისათვის დასტურდება იგივე ფორმანტი, ოღონდ ჩვეულებრივად გვხვდება ოდნავ სახეცვლილი: -ი მ-ჯ ი-ს სახით.

ამრიგად დასტურდება რიგითი რიცხვითი სახელების შემდეგი ფორმები:

ვართაშნელი	ნიკურა	მნიშვნელობა
სუტტან-უნ-ო სუტტან-უჯი [უნჯი] პაჲუნ-ო პაჲუნჯა პაჲუქი ხაბუნ-ო ხაბუნჯა ხაბუქი ბაჲუნ-ო ბაჲუნჯა ბაჲუქი ვოუნ-ო ვოუნჯი ვოუქი ვიწუნ-ო ვიწუნჯი ვიწუქი და ა. შ.	სუტტან საჲუქი საჲიქი პაჲიქი ხაბიქი ბიპაჲი ვოჲიქი ვოჲიქი ვიწიქი და ა. შ.	„პირველი“ „მეორე“ „მესამე“ „მეოთხე“ „მეხუთე“ „მეათე“

რიგითი რიცხვითი სახელიც ორგვარად იხმარება: მსაზღვრელად და სუბსტანტივის ფუნქციით. ამის მიხედვით გვაქვს მორფოლოგიური გასჩევა: მსაზღვრელი რიცხვითი სახელი არ იცვლება ბრუნების პროცესში, სუბსტანტივის ფუნქციით კი იგი იბრუნვის ნაცვალსახელური ბრუნებით.

რიცხვითი სახელი მსაზღვრელად
მხოლ. რიცხვი

ვართაშნული		ნიჭური	
ოდენობითი	რიგითი	ოდენობითი	რიგითი
1. სახ. სა აღამარ	ჯონ ჯომეჯი კოჯ	ჯო ღარ	ჯოჯეჯი ღარ
2. ერგატ. სა აღამარენ	ჯონ ჯომეჯი კოჯენ	ჯო ღარენ	ჯოჯეჯი ღარენ
3. ნათეს. სა აღამარი	ჯონ ჯომეჯი კოჯინ	ჯო ღარი	ჯოჯეჯი ღარი
4. მიც. I. სა აღამარა	ჯონ ჯომეჯი კუა	ჯო ღარა	ჯოჯეჯი ღარა
5. მიც. II. სა აღამარახ	ჯონ ჯომეჯი კუახ	ჯო ღარა ღარახ	ჯოჯეჯი ღარა ღარახ

მაგალითად:

ხი ბუმეჯი ღი ხეყუქალი ბელ-ღე-ესა მე ოინ. R 10₁₆ — „მე სა მე დღეს წყლის მყლაპავის თაგზეც მოხდა ეს ოინი“.

ბიპუმეჯი ღი კუა მანნესტა რუსტამ. R 10₁₇ — „მე ოთხე დღეს შინ რჩება რუსტამი“.

სიჭტინ სსს ჭერე ბაჭაენინახუნ. N — „პირველი ხვა გამოვიდა მერცხლისაგან“.

პაოჯიმეჯი სსს ჭერე ბილბილახუნ. N — „მე ორე ხვა გამოვიდა ბულბულისაგან“.

ბიპიმეჯი მაღლ ჩოვალხოხუნ. N — „მე ოთხე სიმღერა ბელურათაგან“.

ჯოჯიმეჯი მაღლ ჭაჭინახუნ. N — „მე, ხუთე სიმღერა შაშვი-საგან“.

რიცხვითი სახელი სუბსტანტივის ფუნქციით.

	ოდენობითი	რიგითი
ვართაშნული	1. სახელ. ხიბო	ჯონო ჯომეჯიო
ლი კილო	2. ერგატ. ხიბტინ ხიბოტინ	ჯონტინ ჯომეჯიტინ ჯომეჯიოტინ
მხოლ.	3. ნათეს. ხიბტაე ხიბოტაე	ჯონტაე ჯომეჯიტაე ჯომეჯიოტაე
რიცხვი	4. მიც. I. ხიბტუ ხიბოტუ	ჯონტუ ჯომეჯიტუ ჯომეჯიოტუ
	5. მიც. II. ხიბტუხ ხიბოტუხ	ჯონტუხ ჯომეჯიტუხ ჯომეჯიოტუხ

მაგალითად:

აჩნე სუჭტუენო ვაფინე. ლკ. 19, 16 — „მოვიდა პირველი და უთხრა“.

სუტტანტინ ანეყე ჩუბუხ, პურინე, შავლ ნუთ ბართი. ლკ. 20, 29—„პირველმა მოიყვანა ცოლი, მოკვდა, შვილი არ დაჩა“.

ანეყი ტე ჩუბლახ პაჰუმჯიტინ. ლკ. 20, 30—„აიყვანა [შეირთო] ის ქალი მეორემ“.

ანეყი შოტუხ ხიბუმჯიტინ. ლკ. 20, 31—„აიყვანა [შეირთო] ის მესამემ“.

პაჰეიმჯიტო-ჟ-ალ ლანეხსა იზ თორაჰა. N — „მეორესაც დებს თავის ჩანთაში“.

§ 56. სხვა რიცხვითი სახელები (სემანტიკური ჯგუფები). რიცხვითი სახელის სხვა სემანტიკური ჯგუფებია: წილადი, ჯერადი, კრებადი და წყვილობითი რიცხვითი სახელები.

ა. წილადი რიცხვითი სახელი იწარმოება აღწერიითად. ვართა-შნულში გამოყენებულია თითქოს თავად — „წილი“ (?) სიტყვა, რომელიც ემატება რიცხვით სახელს, შემდგომ დაისმის დაშორებითს ბრუნვაში და ქმნის მნიშვნელს: *ხიბ-თაჰ-ე ხიბ-თ ხო — „მესამედი“. მრიცხველად იქნება აღენობითი რიცხვითი სახელი, რომელიც მნიშვნელის შემდეგ დაისმის.

ზოგჯერ შეიძლება პირდაპირ რიცხვითი სახელის დაშორებითი ბრუნვა გეჟონდეს: ბაჩნუხო სა — 1/100...

მრიცხველს ზოგჯერ შეიძლება დაემატოს კიდევ ბარ — „წილი“ — სიტყვა: ბიპთხო პაჰ-ბარ — „2/4“, ხიბ ყა ჯოთხო ხიბბარ — „3 და 3/5“...

ნიჯურში დასტურდება სხვაგვარი წარმოება. მნიშვნელის საწარმოებლად აქ გამოყენებულია -არ სუფიქს დართული რიცხვითი სახელი, აგრეთვე დაშორებითის ფორმით. მრიცხველს ერთვის ფაჰ — „წილი“ სიტყვა:

ხიბარახუნ საფაჰ — 1/3, ხიბარახუნ პაჰფაჰ — 2/3...

ვიწარახუნ საფაჰ — 1/10, ვიწარახუნ პაჰფაჰ — 2/10...

ყარახუნ საფაჰ — 1/20, ყარახუნ პაჰფაჰ — 2/20...

ნახევრისათვის უღურშიც საკუთარი სიტყვაა: ჯი — 1/2, ასევე მეოთხედისათვის — ურუბ: სანჯი 1 1/2, პანჯი — 2 1/2, პაჰურუბ — 2/4, ხიბ ურუბ 3/4...

ნიჯ. ჯი — „ნახევარი“: სანჯი — 1, 1/2, პანჯი — 2 1/2...

მაგალითად:

ქატა ჯიოტუხ ბოტი, თოვდაჰინ, რჯურა კოჯ ბუვაყსა, სერბა. N — „მავის ნახევარს თუ მოსტეხ, გაჰყიდი, როგორი სახლიც გინდა — ააშენე“.

ამა ტეჯიოტაჲალ გიოტუხ ზა თადა N — „ხოლო იმ ნახევისა ც ნახევიარი მე მომეცა“

ბეზ მუღქნა გიოტუხ ზუ თაჲდო ქსიბლო. ლკ. 19, 8 — „ჩემი ქონების ნახევიარს მე მივეცემ ღარიბებს“.

b. ჯერადნი რიცხვითი სახელი იწარმოება „ქვარან“ სიტყვით: სა-ქვარან — „ერთხელ“, პაჲ-ქვარან — „ორჯერ“. ესენი წარმოადგენენ ჩვეულებრივ ზმნისართებს.

მაგალითად:

საქვარან ქარვანონ მეტუხ ხაბარ-რე-აყსა. R 18₁ — „ერთხელ დედაბერი მას ეკითხება“.

ვგანა შუხ-თე ბეჲქეჲ-ჴუ-ბე, ბიპ-ქვარან აბუჲ ჰორმთჴუბო. ლკ. 19, 8 — „თუ ვისმე ვაწყენინე, ოთხჯერ მეტს ვუზამ“.

პარადამარ საქვარან ბიჲალღე. — „ყოველი ადამიანი ერთხელ მოკვდება“.

c. კრებადი რიცხვითი სახელი იწარმოება ვართ. — ალენ ფორმანტი: პაჲლენ — *პაჲალენ || პაჲლენ ო — „ორივე“, ხიბ-ალენ || ხიბალენო || ხიბალინ || ხიბალონ || ხიბალუნ — „სამივე“.

ნიჯურში -ალენ || -ალინ ფორმანტიც დადასტურებულია, ხოლო პარალელურად გვხვდება მეორე მაწარმოებელიც: -არან.

ნიჯ. ხიბ-არან — „სამივე“, Втроем, ბიპ-არან — „ოთხივე“. გარდა ამისა ორივე გამოიხატება აგრეთვე პურან სიტყვითაც.

აღსანიშნავია, რომ ვართაშულში გვხვდება მეორეული წარმოება სამიდან და შემდგომ. სახელდობრ, -ალენ-ის მაგივრად დაერთვის -პალენ და გვაქვს: ხიბპალენ — *ხიბ-პალენ — „სამივე“, ბიპ-პალენ — „ოთხივე“. ეს რიცხვითი სახელი იბრუნვის ნაცვალსაჩულო ბრუნებით:

მხოლ. რ.

მრავლ. რ.

ვართ. 1. სახ.	პალენო — „ორივე	პალენო
2. ერგ.	პალენტინ	პალენტლონ
3. ნათეს.	პალენტაჲ	პალენტლოჲ
4. მიც. I.	პალენტუ	პალენტლო
5. მიც. II.	პალენტუხ	პალენტლოხ

მაგალითად:

მონორ პაჲლენ-ალ თაყუნა. R 9₁₁ — „ისინი ორნივე მიდან“.

მონორ ხიბპალონ-ყა-ყუნ-ბათი. — „ისინი სამივე დაიღუპონ“.

მორტოლონ ხიბპალუნტოლონ შუვე-ყუნ-ბესბე. — „მათ სამთავე დათვი მოკლეს“.

თაყუნსა ბიპპალენ-ალ, ბაყუნფესა. — „მიდიან ოთხნივე, მიალ-
წევნ“.

შიპყუნბაქსა, ნანან პაალენ-ტუხ ბასკესნესტა განუ. — „გაჩუმდე-
ბიან, დედა ორივეს აწვენს ლოგინში“.

ქატლო პაალენ-ტუხ-ალ თურმელო ზინჯილენ ლაშნანკოლ. —
„მაგათ ორივეს ფეხები ჯაჭვით შეუჯარით“.

ჲო აველ-ტუხ-ბაქაოჲ, ჲოალღნ ლარ. — „ხუთი შვილი ჰყავდა,
ხუთივე ვაჟი“.

მოროხ ხიბალენ გვრბაქი სუნა, თატუნსა ყეარაზ ფათქალა.
N— „ისინი სამივე შეგროვდნენ, მიდიან სხვა სამეფოში“.

ჯან პაააალინ (|| პურანან) უჲაჲანლი ჩაჲ. N— „ჩვენ ორი-
ვემ დავლიეთ ჩაი“.

d. წყვილობითი რიცხვითი სახელი ორსავე კილოში იწარ-
მოება ქართულის მსგავსად ფუძის გაორკეცებით:

ვართ. პაჲ-პაჲ || პოჲ-პოჲ || ჩუთ-ჩუთ — „ორ-ორი“,

ხიბ-ხიბ || ხიბო-ხიბო — „სამ-სამი“,

ვიწო-ვიწო — „ათ-ათი“ და ა. შ.

წყვილობითი რიცხვითი სახელის ბრუნება და ხმარება ისეთივეა,
როგორც ოდენობითი რიცხვითი სახელისა.

სახელთა წარმოება

§ 57. არსებითი სახელის წარმოება.⁴⁵ უღურის ორივე კილო
იჩენს ერთგვარობას სიტყვაწარმოების თვალსაზრისით (არსებობს ზოგი
ფონეტიკური ხასიათის სხვაობა, რაც წარმოების პრინციპს არ სცვლის).

არსებითი სახელის საწარმოებელი ფორმანტებია: -ლ ულ, -ჩი, -ო,
-უნ...

a.-ლულ წარმოადგენს აზერბაიჯანული ენიდან ნასესხებ ფორმანტს:
იგი აწარმოებს სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ განყენებულ ცნე-
ბებს, კრებით სახელებს, დანიშნულებების სახელებს, ადგილს,
სადაც რამეა და სხვა...

ვართაშნ.

მაწილულ — „სითეთრე“: მაწი — „თეთრი“

ვიჩილულ — „ძმობა“: ვიჩი — „ძმა“

ცაცლულ — „ეკლნარი“: ცაც — „ეკალი“

ხოდლულ — „ბალი, ხენარი“: ხოდ — „ხე“

⁴⁵ ნაცვალსახელთა და რიცხვით სახელთა წარმოება განხილულა ზემოთ
(ნაცვალსახელი—§ 41 შმდ., რიცხვითი სახელი—§ 54 შმდ.).

მაგალითად:

ვახ ბაქალღე ვენკენა მუჟღლუღ ვაჲ შადლუღ. ლკ. 1, 14 — „და იქმნება შენთვის სიხარული და მხიარულება“.

აჲზალღე ხალხ ხალხნა-ლახო ვაჲ ფასკადლუღ-ალ ფასკადლუღუნ -ლახო. ლკ. 21, 10—„აღდგება ხალხი ხალხსა ზედა და სამეფო სამეფოსა ზედა“.

ხინარენ ეხნე, თე უნ ზა მე შელლულა ბენუ. R 12₃—„ქალი ეუბნება, რომ შენ მე ეს სიკეთე მიყავ...“

ამა კი წკელულახო მონო გრლრ ზორრუ-ნე-ბაქსა. R 7₇—„მაგრამ პატარაობითგან ეს ძალიან ღონიერი ხდება“.

ყოღლულენ ბინეყი შოტუხ ვაჲ ბუთუნტლოხ. ლკ. 5, 9—„შიშმა [„შიშობამ“] შეიპყრო იგი და ყველანი“.

b. -ჩი. აგრეთვე აზერბაიჯანული წარმოშობის სუფიქსია. ძირითადად აწარმოებს ხელობის აღმნიშვნელ სიტყვებს: ნახჯრჩი—„მენახირე“: ნახჯრ—„ნახირი“, ყორუხ-ჩი—„მეველე“: ყორუხ—„მინდორ-ველი“.

მაგალითად:

ფასკადუნ ტოლოღ გრლრ შრზჩიუხ-ნე-ესაჲ. R 7₁₁—„მეფესთან ბევრი მომჩივანი მოდიოდა“.

ჩობანჩინენ ეხნე, ქი:—თოზლუ ბზგინა სურუ-ნე.—„მწყემსი ეუბნება, რომ:—თოზლუ ბევის ჯოგია (აქ -ჩი ზედმეტია: ჩობან—„მწყემსი“...).

ნიკოლაჲ ნახჯრჩი-ნე, სერგი-გენა ყორუხჩი. Sd 57₂.—„ნიკოლოზი მენახირეა, სურვი კი—მეველე“.

ვაჲ მასლაჰათ-ყუნ-ბი, გრლრ-გზრ თანგვ-ყუნ-თადი ყარაულჩი-ლო. მთ. 28, 12—„და მოისაუბრეს, საკმაოდ ბევრი ფული მისცნ დარაჯებს“.

c. -ო სუფიქსი რამდენადმე განხილული იყო მორფოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებით. იგი დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს და მათ აძლევს სუბსტანტივის მნიშვნელობას. პირველ ყოვლისა იგი გვხვდება ნაცვალსახელებში—სახელობით ბრუნვაში (§ 41), შემდეგ მისი მიხედვით ზედსართავსა და რიცხვით სახელებში (§§ 51. 54). ამასთან -ო ფორმანტი ივართოებს ფუნქციას და ყველა ბრუნვაში გვევლინება.

გენეტურად იგი უნდა იყოს განყენებული ცნებების (მაწარმოებელი სუფიქსი (შღრ. ქართ. -ობ-ა,-ებ-ა...)) და შეიძლება უკავშირდებოდეს ლეზ-

გიურში დადასტურებულს ამგვარი ფუნქციის მქონე -ჟ ა ლ სუფიქსს⁴⁶.

მაგალითად:

ლუზგ. ჰისენ-ჟ ა ლ — „სიკეთე“: ჰისენ — „კარგი“, „კეთილი“.

d. საყურადღებოა ერთი ფორმანტი, რომელიც თითქოს ნაშთის სახით შემოგვრჩენია ზოგიერთ ნაზმნარ სახელში. ეს ფორმანტია -უნ სუფიქსი, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს (§ 68) და ვილებთ არსებით სახელს. ამ სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები თითზე ჩამოსათვლელია:

1. ბიტუნ — „ნათესი“, „нацев“, ჭპრპშ ბიტუნ — „საადრე ნათესი“: მასდ. ბიტუნ ← *ბიტ-ეს-უნ — „ჩაგდება“, „თესვა“.

2. ბოკუნ — „[და]ნამწვი“, „пожар“, „ожог“: მასდ. ბოკუნ — „წვა“.

3. ყაყაფუნ — „ერბოკვერცხი“: მასდ. ყაყაფუნ — „მოხრობა“ (?).

4. ააზაპუნ — „ერთი ხელი წონა“, „ОДИН ВЗВЕС“: მასდ. ააზაფუნ — „აწონვა“.

5. ბოტუნ — „გამონაჭერი“, „выкройка“: მასდ. ბოსტუნ ← *ბოტესუნ — „ჭრა“, „გამოჭრა“.

6. ებუნ — „საკერავი“: მასდ. ებსუნ — „კერვა“.

7. ჭეფუნ — „გამონაყარი“: ჭეფსუნ — „გამოყრა“.

8. ხურუფუნ — „ნამცეცი“: ხურუფსუნ — „დამსხვრევა“, „დანამცეცება“.

9. კაჭკუნ — „კევი“: მასდ. კაჭფესუნ — „ლეჭვა“.

10. ქიშფუნ — „ბურბუშელა“: მასდ. ქიშფესუნ — „ვაშალაშინება“ და სხვა.

ეს სიტყვები იბრუნვიან მასდარის მსგავსად:

ვართ.

მხოლ. რიცხვი

შდრ. მასდარი (§ 79)

- | | |
|----------------------|-------------------|
| 1. სახ. ბიტუნ | ცამფესუნ — „წერა“ |
| 2. ერგატ. ბიტუნ-ენ | ცამფესუნ-ენ |
| 3. ნათეს. ბიტუნ-უნ | ცამფესუნ-უნ |
| 4. მიც. I. ბიტუნ-ა | ცამფესუნ-ა |
| 5. მიც. II. ბიტუნ-ახ | ცამფესუნ-ახ |

მაგალითად:

ტე ვახტა ისუს ჭენებაქსაა შამატ ლენა ბიტუნუნ ლუზურლოხო.
მთ. 12.1 — „მაშინ იესო მიდიოდა [განვლიდა] ნათესების მინდვრებით“,

⁴⁶ 3. უსლარი, Кюр. яз., § 64, გვ. 49.

ლე ბეზი ბუნე ბოტუნ ყა ეიბუნ.—„დღეს მე მაქვს ჭრა და კერვა“.

ზუ ყაყა ფუნ-ზუ-სერბესა.—„მე ერბოკვერცხს ვაკეთებ“.

ე ყაყა ფუნუნ ტამ ბეზ ჭოჭილ თე-ნე-ესა—„ამ ერბოკვერცხის გემო არ მომწონს“.

შონო ყაყა ფუნუნახო აზარამიშ-ნე-ბაქე.—„ის ერბოკვერცხისაგან აუად გახდა“.

შონო შელ ბიტუნ-ნე—„ის კარგი ნათესია“.

მე ბიტუნენ მახ მუჟ-ნე-დე.—„ამ ნათესმა ჩვენ გავგახარა“.

ბიტუნუნ ჭოტ ტიგე ტია-ნე.—„ნათესის ნაპირი ავე იქარის“.

მან თაჰანსა, ბიტუნახ ბელსან.—„ჩვენ მივიღვართ, ნათესს დაეხელოთ [სანახავად]“.

ბიტუნახოლსა გალა ჩარჰანკე [ჩხარჰანკე] ყეჰრი აშურლოხ.—„ნათესთან ერთად გავათავეთ სხვა სამუშაოებიც“.

ზუ გოლორ ელმუხ-ზუ-ლახე [ზაჰმანთ-ზუ-ზაფე] მე ბიტუნენქ.—„მე დიდი შრომა გავწიე ამ ნათესისათვის“.

აჰზე ბოკუნ-ე-ბაქი. N—„სოფელში ხანძარი იყო“.

მსგავსი -უნ ფორმანტი დასტუოდება მაწარმოებლად გაუერცობელმას დარშიც (§ 79).

§ 58. ზედსართავი სახელის წარმოება. ზედსართავის ხარისხები. ზედსართავი სახელის საწარმოებლად უღერში დასტურდება შემდეგი სუფიქსები: -ლა, -პა, -ლუ, -მიშ, -ზა, -სუზ || -სგზ, -ნუთ || ქამ-, -ა, აგრეთვე: -ამა, -გზრ, -კენა, -ჯა.

ა. -ლა (ასიმილაციით -რა, -და, -ნა, -ტა) და -ბა ორივე გამოხატავს რაიმე თვისების ან ნიშნის ქონებას (შეესატყვისება ქართ.-იან || -ოვან სუფიქსს). შეინიშნება ოდნავი განსხვავება მათ მნიშვნელობაში: -ლა გამოხატავს თითქოს საგნის შინაგან თვისებას, -ბა კი გარეგნულ კუთვნილებას.

-ლა: უკ-ლა—„გულადი“ [„გულიანი“]: უკ—„გული“.

ჰასო-ლა—„მოდრუბლული“: ჰასო—„ღრუბელი“.

კუჰნ-ლა—„გაკვამლული“, „გამჭვარტლული“: კუჰნ—
„კვამლი“.

დუჰთუმ-ლა—„მსხვილძირიანი“: დუჰ—„მსხვილი“,
თუმ—„ძირი“.

ფუთტა←*ფუთლა—„ფუთიანი“: ფუთ—„ფუთი“.

ფოფლა—„ბეწვიანი, ბანჯგელიანი“: ფოფ—„თმა“.

მაგალითად:

რუსტამენ ჩინესჩა პააწწე-ფუთტა თავარახ. R 83—„რუსტამი [ამო]იღებს თორმეტ-ფუთიან ცულს“.

ვაა ევახ-თე აჭარენება, მა ბაქა, ეთარ-თე პაა ჩოლოარ. მთ. 6,5—„და როდესაც ლოკულობ, ნუ იქნები, ვითარცა ორპირნი [ორ პირიანები]“.

ვაა ეყუნჩერი შოტუხ გოლგოფუნ გალა, ეკა ფესუნა: კოდახლა გა. მრკ. 15, 22—„და მიიყვანეს იგი გოლგოთაზე [ადგილზე], რაც ნიშნავს სასჯელი ადგილი“.

მე ააუ გელე იჟლანე. N.—„ეს გზა ძალიან თოვლიანი“.

-ბა: ად-ბა—„სუნიანი“, „მყრალი“: ად—„სუნი“:

კუჟნ-ბა—„მხრჩოლაი“, „აკვამლებული“: კუჟნ—„კვამლი“.

ფოფ-ბა—„ბალნიანი“, „ВОЛОСАТЫЙ“: ფოფ—„თმა“, ბეწვი“.

ეყ-ბა—„ხორცოვანი“, „МЯСИСТЫЙ“: ეყ—„ხორცი“.

მაგალითად:

შოტუ ლამანწედი პაა ჯინბაორ, მანორ-თე ქერიყუნ გვარმ-ზულოხო. მთ. 8, 28—„მას შეხვდა ორი ავსუელიანი [ეშმაკეული], რომელნიც გამოსულიყვნენ სასაფლაოდან“.

ევახ-თე ბანეჟი ბიას, შეტა ტოალოლ ეყუნჩერი გოლორ ჯინბატ-ლოხ. მთ. 8. 16—„როდესაც შელამდა, მასთან მოიყვანეს ბევრი ეშმაკეული [ავსუელიანი]“.

გარდა ამისა, ეს -ბა გვხვდება კომპოზიტებში (§ 60).

b. -ლა || -ბა-ს მსგავსი ფუნქციისაა -ლუ (ასიმილაციით: -რუ, -დუ, -ნუ, -ტუ...) სუფიქსი, იგიც აღნიშნავს აგრეთვე რისამე ქონებას, თვისებას.

აზარ-რუ←*აზარ-ლუ—„ავამდყოფი“: აზარ—„ავამდყოფობა“.

პაყულ-ლუ—„ქვიანი“: პაყულ—„ქკუა“.

დრვლანთ-ლუ←*დრვლანთ-ლუ—„ქონებიანი“, „მდიდარი“:

დრვლანთ—„ქონება“.

მაგალითად:

ლარი-ზ-ბო პაყულ-ლუ იშე. მთ. 7, 24—„დაეამსგავსებ ქვიანი ადამიანს“.

ეკან-უნ ზახ ეხა ირჰჰმლუ? შეკალ ირჰჰმლუ თე-ნე, თჰჰსა ბიხაჟლ. ლკ. 18, 19—„რად მიწოდებ შენ მე სახიერს, არა-გინაა სახიერი, მხოლოდ ერთი ღმერთი“.

შეტინ-გენა ბეაღი, ატუჟი დრვლანთ-ლუ ტლოხ. ლკ. 21, 1—„მან კი შეხვდა, დაინახა მდიდარი [ქონებიანი]“.

ამა კიწკელულახო მონო გროლო ზორორუ-ნე-ბაქსა. R 7: — „მაგრამ პატარაობითგან ეს ძალიან დონიერი [ძლიერი] ხდება“.

ძარათმიშბანან ლაჯლლუ ბუჰპარ დაყა-ესუნა. მთ. 3. 8 — „შექმენით შესაფერისი [მსგავსი] ნაყოფი მონანიებისა“.

თე-ტუ-ბაქო ბაშეეს შეტა შეჟურლო, აგან სუტტა ნა-ინ-ლაჩკო ზორორუტუხ. მრკ. 3, 27 — „არ შეუძლია მოიპაროს მისი ნივთები, თუ პირველად არ შეკრავს დონიერს [ძლიერს]“.

ბეანეხსა, ქი უქალა შეჟ თე-ნე-ბუ, შონო თოგიხლუ შეჟ-ნე. — „ხედავს, რომ საქმელი [საგანი] არაა, ის ძვირფასი [ფასიანი] ნივთია“.

ე.-მიშ ჩვეულებრივ გეხვდება ზმნის შედგენილი ფუძეების სახელურ ნიწილში. ვანსაკუთრებით გავრცელებულია ნიჯურ კილოში. ნიჯურში ეს სუფიქსი იცვლება ფონეტიკურად: გვაქვს -ჟინშ. ავი აზერ-ბაიჯანულიდან შეთვისებული ჩანს.⁴⁷

მაგალითად:

აზარამიშ-ბაქსუნ: აზარამიშ — დაავადებული: ნიჯ. აზარა-ჟინშ-ბაქსუნ — „ავად ყოფნა“.

რგმიშ-ბესუნ — „ქება“ ...

მაგალითად:

არი, ფაქტად აზარამიშ-ნე-ბაქსა, — „მოხდა [მოვიდა], მეფე ავად გახდება“.

ქატინ გროლო-ნე-აშბე, არი, ყოჯალმიშ-ნე-ბაქსა. — „იმან ბევრი იმუშავა, მოვიდა დრო, ბერდება“.

შუ-ტუ-ბაქო ბალიშლამიშ-ბეს გუნაჰლო სა ბიხლოხო-ჯოკ. მრკ. 2, 7 — „ვის შეუძლია მიუტევეოს ცოდვები, გარდა ერთი ღმერთისა“.

ძარათმიშ-ბანან ლაჯლლუ ბუჰპარ დაყა-ესუნა. მთ. 3, 8 — „შექმენით შესაფერისი ნაყოფი მონანიებისა“.

ბუჰრმიშ-ნე-ბი [შაგირდო], უზმიშ-ბაყუნ ტე ჩოუნ ქოტელ. მთ. 8, 18 — „უბრძანა [მოწაფეებს], გადაიყვანონ მეორე ნაპირს“.

ბოაყენ ხოროლდაჟნ-ნე-ბესა. N — „ლორი ღრუტუნებს“.

დ.-ზა, -ნ ეთ, -ს უხ || -ს ჯ, ქამ- || ქამ — აფიქსები აწარმოებენ უქონლობის აღმნიშვნელ სიტყვებს (შესატყვისებიან ქართ. „უ—ო“ — აფიქსებს).

ა. -ზა დადასტურებულია მხოლოდ ერთ სიტყვაში: ხენეზა — „უწყლო“, „მწყურვალი“: ხე ← *ხენ — „წყალი“.

⁴⁷ შდრ. А. Кононов, Грамм., § 293 და შმდ.

ბ. -ნუთ—*ნუ-თე || -ნუტ იხმარება უარყოფის ნაწილაკად ზმნის ფორმებთან (§ 73). მაგრამ იგი გამოყენებულა სახელთა სიტყვაწარმოებაშიც:

ჰასო-ნუთ—„ულრუბლო“: ჰასო—„ლრუბელი“.

თოგ-ნუთ—„უფასი“, „ძვირფასი“: თოგ—„ფასი“, „ლირებულეა“-
ბახტ-ნუთ—„უბედო“, „უბედური“: ბახტ—„ბედი“...

მაგალითად:

ჰასონუთ ღიმხოხ სა-ალ თე-ნე-ბაქი.—„ულრუბლო დღეები ერთიც არ იყო“.

ბეზი სა შეგ-ნე-ბუ: ელმუხნუთ-ტე, იჩენ-გენა ადამარახო ათ-ტეხა.—„მე ერთი საგანი მაქვს: უსულოა, თვითონ კი ადამიანს ელაპარაკება“

ვახ შინ-თუ აყალღე გუწნჳჰნუტტუხ გუწნჳჰნუტტა წიალა, აყალღე ფეშქაშ გუწნჳჰნუტტაჲ. მთ. 10, 41—„და ვინც მიიღებს უცოდველს უცოდველის სახელზე, მიიღებს საჩუქარს უცოდველისას“.

ზუ თე-ზ-არე გუწნჳჰნუტტუდოხ კალფესან, ამმა გუწნჳჰჰჳ-რდოხ ჯაყა-ესუნა. მთ. 9, 13—„მე მოვედ არა მოვეუწოდო უცოდველთ, არამედ მოვაქციო ცოდვილი“.

ვახ თჳქსო-ალ შოტლოხო ბითალ-თე-ნე ოჩალალ ეჩ ბაბა იხტიარ-ნუტ. მთ. 10, 29—„და ერთიც მათგანი არ დაეცემა მიწაზე მამათქვენის უნებართვოდ“.

შეტაბახტინ-თე ეხყუნი: შეტა-ბოშ თჳმიზნუტ ელმუხ-ნე. მრკ. 3, 30—„რადგანაც ამბობდნენ: მასში უწმინდური სულია“.

ესევე -ნუთ გვხვდება უარყოფით მიმღობაშიც, ოღონდ აქ ის წარმოადგენს პრეფიქსს: ნუთ-ეჩალო—„არ მომტანი“, ნუთ-აკეცი—„უნახავი“.

მაგალითად:

ჰარ ხოდ შელ ბუჰჰარ ნუტეჩალტუხ ბოტი, ბოყუნსესა არლობოშ. მთ. 3, 10—„ყოველ ხეს, კარგი ნაყოფის არ მომცემს, სჭრიან, აგდებენ ცეცხლში“.

ფეშჩახ, მია სა გალა სა ხინწრ-ჩე-ბუ, სა შავატ ნუთაკეცი ხინწრ. ДГр 95₅—„მეფეო, აქ ერთ ადგილას ერთი ქალიშვილია, ლამაზი უნახავი ქალიშვილი“.

ახრახ თაცი, ბელსანე სა ოსტავარ დავრაზინ-ბოშ არცინე ნუთაკეცი შავატ ხინწრ. R 127—„ბოლოს მიდის, ხედავს ერთი მაგარი ალყაფის კარს შიგნით ზის უნახავი ლამაზი ქალი“.

გ. ქ ა მ- || ქ მ-პრეფიქსი იხმარება -ნ უ თ ფორმანტის პარალელურად. ნიჯურში იგი უფრო გავრცელებულია ქ მ-ის სახით: ქ მ-ბ ა ხ თ — „უბედლო“, „უბედური“: ბ ა ხ თ — „ბედი“.

მაგალითად:

ქ მ-ბ ა ხ თ თარანი მუჟღულენ სა საპადახუნ ავგზ თე-ნე-ზაფი. N—„უბედური თარანის სიხარულმა ერთ საათზე მეტს არ გასტანა“.

დ.-ს უ ზ || -ს გ ზ აგრეთვე აღნიშნავს რისამე უქონლობას; იგი უფრო ხშირია ნიჯურში: ფ უ ლ-ს უ ზ — „უფულო“, სონქ-ს გ ზ N—„უშვილო“, იშყარს გ ზ N—„ქვრივი“, [უქმრო], ჯანს გ ზ N—„უძალღონო“, „დასუსტებული“ და ა. შ.

მაგალითად:

ს ო ნ ქ ს უ ზ ამდარ ყ გ რ ჩ ი-ნე-ბაქსა. N—„უშვილო კაცი ძუნწი ხდება“.

ე. საყურადღებოა -ა სუფიქსი, რომელიც ვამოყენებულია აწმყო-მყოფადის მიმღობის წარმოებისას (§ 80). იგი დაერთვის ძირითად -ა ლ ფორმანტს და თითქოს უპირისპირდება -ო მასუბსტანტივებელ სუფიქსს და ამდენად ადრე ქტივობის ფუნქციას ამჟღავნებს. ამის შესაბამისად დასტურდება ასეთი შეპირისპირება: ზმნიდან: ა ა ზ ა პ ს უ ნ — „აწონა“ („აწონების“) მიმღობა იქნება: ა ა ზ ა პ ე ლ-ა ლ-ა — „ასაწონი“, აქიდან სუბსტანტიურად: ა ა ზ ა პ ე ლ-ა ლ-ა — „ასაწონი“

ჩვეულებრივ ადრე ქტიურად ამჟამად უფრო გავრცელებულია -ა მოკვეცილი ფორმა, თუმცა გვხვდება -ა-ნიანი ფორმებიც (უფრო ხშირია ნიჯურში, ვიდრე ვაჩთაშნულში).

ფ. ზედსართავთა ხარისხების საწარმოებლად უღურში ცალკე ფორმანტი აჩ დასტურდება. ხარისხების წარმოებაში მონაწილეობას იღებს და შორებითი ბრუნვა (§ 36). სახელდობრ, შესაძარებელ სახელთაგან ერთი დაისმის სახელობითში, მეორე დაშორებითში, ხოლო ზედსართავი უცვლელია.

მაგალითად:

მე ხ ო ლ ტ ე ხ ო დ ა ხ ო (დაშორ.) ქალა-ნე.—„ეს ხე იმ ხეზე [ხისაგან] დიდია“

ვაა ევახ-თე მონო თამნებაქსა, ბენანსა შოტუხ გეენუნ ღარ პაჟქარან ექაახო აბუზ. მთ. 23, 15—„და როდესაც ეს მოხდება, ჰქმნით მას გეპენის შვილად, ოჯეჩ თქვენზე მეტად [უმეტეს]“.

აღმატებითი ხარისხისათვის კი გამოყენებულია დამხმარე სიტყვა ლ ა ფ — „მოლად“, „ყველაზე“:

მე ხ ო ლ ლ ა ფ ა ლ ა ლ უ ხ ო ლ-დ ე — „ეს ხე ყველაზე მაღალი ხეა, უმაღლესი ხეა“...

გ. საყურადღებოა რამდენიმე მონაცემი, რომლებიც თითქმის ახალ მოვლენას წარმოადგენენ და რომლებიც ახლად ივითარებენ სიტყვა-წარმოების ფუნქციებს. იმავე დროს ისინი გამოყენებული არიან სხვა (თანდებულის, ნაწილაკის...) ფუნქციითაც.

ამ ფორმანტებს თითქმის ერთგვარი შინაარსი აქვთ. მათი მცირე ხმარებულების გამო ამ შინაარსის დაზუსტება ამჟამად ძნელია.

ასეთებად უნდა მივიჩნიოთ:

ა. ამა—„ოდენ“, „ებრ“.

მაგალითად:

უნ ეკალ ქამა გოლორ შუა ბუაურმიშ-ბე?—„შენ რაზე მაგოდენი ბეერი რამ უბრძანე?“.

ხინარი-ალ, ვაზირუნ-ალ ქალა თიქა იმულომა [*იმუხ-ამა] ბაქამა ეაქურლო შაპუნედოლ.—„ქალისაც, ვიზირისაც თავი ლუკმად ყურისოდენ გახდომამდე ცხენებმა ათრიეს“.

ბ. კენა—„ებრ“, „ვით“.

მაგალითად:

რუსტამენ სალ ბიყი, შორ-თე-ა ყაფტესა, დრვ ხაშხაშკენა ფასნებასქა. R 9₂—„რუსტამმა ერთიც მოკიდა ხელი, ისე დაანარცხა, დევი ხაშხაშისებრ იფანტება“.

რუსტამ ბაქსანე პურიკენა. R 18₁₁—„რუსტამი ხდება მკედრი ისებრ“.

ვგანა მე ბაბოჩალახ ჩიჩაყუნ, ზუ ფალაზკენა-ზ-ბაქო. R 18₈—„თუ ამ ბეჭედს წამაძრობენ, მე ჩვარისებრ შევიქნები“.

ბეხსანე, სა თულქი მივილა ხალო-ბეშ ვულლაკენა ენესა.—„ხედავს, მელა ავერ ძალლების წინ ტყვიასავით მოდის“.

გ. გვრ—„მო-ო“, „ოდენ“

მაგალითად:

ვაშ მასლაპათყუნბი, გოლორ გვრ თანგვ-ყუნ-თადი ყარაულჩილო. მთ. 28, 12—„და მოილაპარაკეს, მობევრო [ბევრ-ოდენი] ფული მისცენ დარაჯებს“.

საკიწი ჭმაგვრ თორუხ ზაპუნყო—„ცოტა მოგვიანებით [გვიან-ოდენ] ბადეს მოსწევენ [მოიზიდავენ]“.

საკიწიგვრ მანნესტა, სა დრვ-ნე-ესა—„ცოტაოდენი რჩება, ერთი დევი მოდის“.

არცესანე საკიწიგვრ, აანესა, თალალე კუა—„ჯდება ცოტაოდენ, დგება, მიდის შინ“.

დ. ჯა— „-იან“.

მაგალითად:

ე ყი ხ ბ ა ჯ ა - ნ ა ნ ვ ა ნ კ ი წ ი ვ ა ხ ბ ა ჯ ა ლ ო რ ? მ თ . 8, 26 — „ რ ა მ შ ი - შ ა რ ა [შ ი შ ი ა ნ ი] ხ ა რ თ თ ე ე ნ , მ ც ი რ ე დ მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ო ? “

მე დაყა ბ ა ჯ ი ჯ ა ი ა ე - ე . N — „ ა მ გ ზ ა ზ ე თ ხ ე ლ ი თ ო ვ ლ ი ა “ .

§ 59. ბრუნვათა ფორმების გამოყენება სიტყვაწარმოებისათვის. ზედსართავ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია აგრეთვე ორი—ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმა.

ა. ნათესაობითის მეწვეობით იწარმოება ჩვეულებრივი ნაგენტივარი მსაზღვრელი, ზედსართავი, რომელიც გამოხატავს კუთვნილებას, რისამე ქონებას, მასალას, წარმომავლობას. ასეთი სიტყვები დამოუკიდებლად ხმაურებისას იბრუნვიან ნაცვალსახელური ბრუნვებით (§ 42).

ა ა ზ ო ნ — „ ს ო ფ ლ ე ლ ი “ [„ ს ო ფ ლ ის ა “] : ა ა ზ — „ ს ო ფ ე ლ ი “ .

ზ ი დ ო ნ ო უ ნ — „ რ კ ი ნ ის ა “ : ზ ი დ ო — „ რ კ ი ნ ა “ .

დ უ რ უ ტ უ ნ — „ ხ ის ა “ . დ უ რ უ თ — „ ხ ე “ [მ ა ს ა ლ ა] : დ უ რ უ ტ უ ნ კ ო ჯ - ნ ე — „ ხ ის ს ა ზ ლ ი ა “ .

ქ ე ნ ე ა — „ ქ ე ის ა “ : ქ ე — „ ქ ე ა “ .

ხ ე ნ ე ა — „ წ ყ ლ ის ა “ : ხ ე — „ წ ყ ა ლ ი “ : ხ ე ნ ე [ხ ე ნ ე ა] ქ რ ო მ ხ - ნ ე — „ წ ყ ლ ის წ ის ქ ე ლ ი ა “ .

მაგალითად:

ბ ე ნ ე ლ ა , თ ე ს ა ზ ი დ ო ნ ო უ ნ დ ა ვ რ ა ზ ა - ნ ე - ბ უ . R 11₁₅ — „ ხ ე ლ ა ვ ს , რ ო მ ე რ თ ი რ კ ი ნ ის კ ა რ ი ა “ .

ნ უ ტ უ ი ლ ა ი ლ ო ზ უ ტ უ ლ ლ ა ბ უ ჰ კ ა რ ა ხ ო ბ ი ხ ო ლ ო ფ ა ს ჯ ო ლ ლ უ ლ ე ლ ა მ ა . ლ კ . 22, 18 — „ ა რ დ ა ვ ლ ე ვ ყ უ რ ძ ნ ის ნ ა ყ ო ფ ის ა გ ა ნ ღ ე თ ის მ ე უ ფ ე ბ ის მ ო ს ე ლ ა მ დ ე “ .

ვ ა ა ჯ ა ბ უ ნ უ ხ ბ ა რ ა ლ ყ უ ნ გ რ გ ი ხ ო ვ ა ა ზ ო რ გ რ გ ნ ა ა გ ა ლ კ ა ლ ღ ე . მ რ კ . 13, 25 — „ დ ა ვ ა რ ს კ ე ლ ა ე ნ ი ჩ ა მ ო ს ც ე ვ ი ა ნ ც ი დ ა ნ დ ა ძ ა ლ ა ც ის ა შ ე ი რ ყ ე ვ ა “ .

შ ე ტ ბ ა ხ ტ ი ნ - თ ე დ ა მ ნ უ ნ ო ო ი ჩ ე ნ ჯ ა ჭ ა ზ ა პ ა კ ა ლ ღ ე ო ი - ბ ა ხ ტ ი ნ . მ თ . 6, 34 — „ რ ა დ გ ა ნ ა ყ ხ ე ა ლ ის ა [ღ ღ ე] თ ვ ი თ ო ნ ი ზ რ უ ნ ე ბ ს თ ა ვ ის - თ ვ ის “ .

ვ ა ნ - გ ე ნ ა ს ე რ რ ა ნ ბ ე შ ო ტ უ ხ ბ ი ნ ა ა ბ ა ზ ა კ ლ ო ა . მ თ . 21, 13 — „ თ ე ე ნ კ ი შ ე ჰ მ ე ნ ი თ ის ბ ი ნ ა დ ა ე ა ზ ა კ თ ა “ .

ბ ა რ თ ა ბ უ თ ო უ ნ პ ი დ ო ღ რ ი ტ ღ ო ა ა რ ი ა ნ ე ჭ - ლ ა ხ ო , მ ა ნ ო - თ ე ბ ა რ ე ნ ო ჩ ო ლ ა ლ . მ თ . 23, 35 — „ დ ა ე , მ თ ე ლ ი ს ის ხ ლ ი მ ა რ თ ა ლ თ ა მ ო ვ ი - დ ე ს თ ე ე ნ ო ზ ე , რ ო მ ე ლ ი ც კ ი დ ა ი ქ ა მ ი წ ა ზ ე “ .

ვა ხაშნესტა ბუთუნ კოჯინტლოხ. მთ. 5,15—„ღა უნათებს ყველა შინაურთ [სახლისანთ]“.

თადანან კესარევიტუხ კესარა, ბიხოლოეტუხ-გენა— ბიხოლო. მრკ. 12, 17—„მეცით კეისრისა კეისარს, ღმრთისა კი— ღმერთს“.

გარდა ამისა უნდა მოვიგონოთ, რომ ნათესაობითი ბრუნვა აწარმოებს კუთვნილებით ნაცვალსახელს (§ 44).

b. მოქმედებითი ბრუნვის ფორმა აწარმოებს აგრეთვე რაიმე თვისების, საგნის ნიშნის გამომხატველ ზედსართავ სახელს:

ტამენ—„გემზიელი“, „გემოიანი“: ტამ—„გემო“.

იოჟენ—„ზამთარი“ [„თოვლიანი“], „თოვლითი“: იოჟ—„თოვლი“; შღრ. იოჟ-ლა—„თოვლიანი“...

იყენ—„ნაცრიანი“ [„ნაცრითი“]: იყ—„ნაცარი“; შღრ. იყლა—„ნაცრიანი“.

ფოსენ || ფოსლა—„ნაგვიანი“: ფოს—„ნაგვი“.

უჟყენენ || უჟყენლა—„ძვლიანი“: უჟყენ—„ძვალი“.

უნდა აღანიშნოს აგრეთვე, რომ ზოგი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია ზმნისართებში, თანდებულებში (§§ 82, 83).

§ 60. კომპოზიციის წარმოება. უღურში რთულ ფუძეებს განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ზმნაში. სახელებში კომპოზიტი შედარებით ნაკლებად გვხვდება.

a. პირველ რიგში გვხვდება ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტები: ხური-ხური—„წვრილ-წვრილი“: ხური—„წვრილი“; ქალ-ქალა—„დიდი“: ქალა—„დიდი“; კორიმორი—„მიხვეულ-მოხვეული“: კორი—„მრუდე“.

ზოგჯერ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში შემაერთებელ ნაწილად გვხვდება -ბა-:

ჯურბაჯურ—„სხვადასხვაგვარი“: ჯურბა—„გვარი“.

ჩობაჩო—„პირისპირი“: ჩო—„პირი“, „სახე“.

უსენბაუსენ—„წლითიწლად“: უსენ—„წელი“.

ხაშბახაშ—„თვეობითი“: ხაშ—„თვე“.

შჰპარბაშჰპარ—„ქალაქ-ქალაქი“: შჰპარ—„ქალაქი“.

b. ნაიფუქიან კომპოზიტებში დასტურდება როგორც ლიტონი ფუძეების შეერთება, ისე ბრუნვის ფორმების გამოყენება.

a. *Composita copulativa* იწარმოება მარტივად ფუძეების დართვით ვარეშე კავშირისა: ბაბა-ნანა—„ღედმაბა“: ბაბა—„მამა“, ნანა—„ღელა“

აორღან-ღრშაგ—„საბან-ღეიბი“: აორღან—„საბანი“, ღრშაგ—„ღეიბი“.

მაგალითად:

ვაა ააზალყუნ აააღუახ ბაბა-ნანა-ლახო ვაა ბესბალყუნ შოტლოხ.
მთ. 10, 21—„და აღღვებიან შეილნი დედმამასა ზედა და დახოცენ მათ“.

ააზა, აყა ვი აარღან-ღრშეგეხ ვაა თაქე ვი კუა! მთ. 9, 6—
„აღღეგ, აიღე შენი საბან-ლოგინი და წადი შენ სახლში“.

ბ. Composita determinativa-ს პირველი წევრი, როგორც ცნობი-
ლია, წარმოადგენს მსაზღვრელს. უღურში იგი ჩვეულებრივ ნათესაობით
ბრუნვაშია, თუმცა შეიძლება სხვა ბრუნვაშიც შეგვხვდეს:

უყნახოდ—„ნიგვზის ხე“: უყ—„ნიგოზი“, ხოდ—„ხე“

ქენეელ—„ქემარილი“: ქენე—„ქვა“: ელ—„მარილი“.

ჭანახუპ—„ერბოს ფლავი“: ჭან—„ერბო“, ხუპ—„ფლავი“.

ფახლახუპ—„ლობოს ფლავი“: ფახლა—„ლობო“.

პააჩოლა—„ორპირი“: პაა—„ორი“, ჩოლა—„პირიანი“.

მაგალითად:

მატინ-თე ქებ უყნახოდახ ბიყი, ეხბალონკ ხოჯი-ნე-ბესა.
R 9₇—„რომელმაც თავის ხელში ნიგვზის ხე დაიჭირა[რა], მხენელებს
უჩრდილებს“.

სა იშენ იჩ თურმულაღ ლაყენე პაა ყომოყენახ. R 9₁₂—
„ერთმა კაცმა თავის ფეხებზე წამოიყვანა ორი წისქვილის ქვა“.

ვაა ექენე ქაღზაბაორ ვაა ჭარისიღუხ. პააჩოლაორ. მთ. 23, 23—
„ვაი თქვენ[თვის], მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორპირნო“.

გ. განსაკუთრებით გავრცელებულია მიმღეობის მონაწილეობით
შედგენილი კომპოზიტები, რომლის წინა წევრი იმ ბრუნვაშია, რომელ-
საც მოითხოვს შესატყვისი ზმნა (ჩვეულებრივ სახელობითში ან
მიცემითში).

ხეყუქკალო—„წყლის მყლაპავი“: ხე—„წყალი“, ყუქკალო—
„მყლაპავი“

ქრომობერხალო—„მეწისქვილე“: ქრომო—„წისქვილი“, ბერ-
ხალო—„მჭველი“

ბეღქელალო—„აღმოსავლეთი“: ბეღ—„მზე“, ქელალო—
„აღმოსავალი“

ბეაშაპკალო—„წინამძღოლი“: ბეაშ—„წინ“, შაპკალო—
„გამწევი“, გაბრეკი“.

მაგალითად:

ხიბუმჯი ლი ხეყუქკალი ბელ-ღე-ესა მე ოინ. R 10₁₆—„მესამე
ღღეს წყლისმყლაპავის თავზე ხდება [მოყის] ეს ამბავი“.

ოშენ ღი უომოხბერხალო-ნე-მანდესა. R 10₁₅—„მეორე დღეს მეწისქვილე რჩება“.

უყნახოდეჭალტუხ ქანდირენ სურუკ-ყუნ-ბესა. R 11₈— „კაკლისხისმკერს თოკით [ჩა]კვიდებენ“.

ტე ვახტა ეყუნსა ისუსი-ტოლოლო ერუსალიმუნ ქალზაბაორ. მთ. 15, 1—„მაშინ მოდიან იესოსთან იერუსალიმის მწიგნობარნი“.

არიყუნ ერუსალიმა ბილიჯიუხ ბედქედალ ამეხხო ვაა ფიყუნ. მთ. 2,1—„მოვიდნენ იერუსალიმს ბრძენნი აღმოსავლეთის მხრიდან და თქვეს“.

ვაა ეჭენკ, კაჭიტლობ ბეშ-ზაკკალორ. მთ. 23,16—„ვაი თქვენ[თვის], ბრმათა წინამძღვარნო“.

ვაა ბურჯალღე ტაპსახ იჩ ღოლდაშლოს ვაა უქალღე ვაა უღაღალღე ჭინახობაქალტლოხოლ. მთ. 24, 49.—„და დაიწყებს ცემას თავისი ამხანაგებისას და კამს და სემს ლოთებთან ერთად“.

დაყკებაქალ-ზუ-ბაქე, ვაან-ალ ყონალ-ნან-ბე ზახ. მთ. 25,35— „მგზავრი ვიყავ, თქვენც სტუმრად მიმიღეთ მე“.

გარდა ზემოხსენებულისა კომპოზიტები გვხვდება აგრეთვე მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა წარმოებაში: რიცხვით სახელებში, ნაცვალ-სახელებში, უცვლელ სიტყვებში.

ზ მ ნ ა

პირი და რიცხვი

§ 61. პირისა და რიცხვის კატეგორია უღურ ზმნაში. უღურ ზმნას არ მოეპოვება ზოგი კატეგორია (მაგალითად, ქცევა, უსრულ-სრული ასპექტი, პოტენციისი, გრამატიკული კლას-კატეგორია, საგარემოებო ფორმები და სხვა).

იმვე დროს უღურში დასტურდება პირის ნიშანთა ჩამოყალიბებული სისტემა. იბერიულ-კავკასიურ ენებში ამ მხრივ სხვადასხვა ვითარებაა: ზოგ ენაში ზმნა იცვლება კლას-კატეგორიის მიხედვით, ზოგში წარმოდგენილია პირის ნიშანთა ჩასახვის პროცესი, ზოგან ზმნა აცვლება არც გრამატიკური კლას-კატეგორიისა და არც პირის მიხედვით; უღურ ენაში დასტურდება ზმნის ცვლებადობა პირების მიხედვით და სათანადო პირებისათვის შესატყვისი პირის აფიქსები: უღურში ჩამოყალიბებულია ზმნის უღვლილება პირთა მიხედვით¹.

უღურ ზმნაში აღინიშნება მხოლოდ ერთი პირი, სახელდობრ, რეალური სუბიექტის პირი. ეს რეალური სუბიექტი უნდა ვივარაუდოთ იმვე დროს გრამატიკულ სუბიექტადაც. ამ მხრივ უღური იჩენს გარკვეულ თავისებურებას: რამდენადაც გათვალისწინებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორია როგორც კლას-კატეგორიის, ისე პირის კატეგორიის თვალსაზრისით, ივარაუდება, რომ კავკასიურ ენათათვის უპირატესი და პირველადი უნდა იყოს ობიექტის ასახვა გარდამავალი ზმნის ფორმაში².

უღური ზმნის ფორმაში ობიექტი არ აღინიშნება. როგორ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა? უნდა ვიფიქროთ, რომ პირის კატეგორიის ჩასახვა და პირის ნიშანთა სისტემის ჩამოყალიბებაც უღურში ხდებოდა მოგვიანო პერიოდში, ენობრივი ცნობიერების იმ საფეხურზე, როდესაც უპირატესობა უკვე რეალურმა სუბიექტმა მოიპოვა, იმ მომენტში, როდესაც გრამატ. კლასის კატეგორია და სათანადო ფორმებიც უკვე დაკარგული იყო. რომ ობიექტი ასახული უნდა ყოფილიყო უღურ ენაშიც და მას

¹ ა. შიფნერსი, Versuch, § 99 შმდ.; ა. დირსი, Грамм., გვ. 48 შმდ.

² არნ. ჩიქობავა, პოლო. ხუნძ., გვ. 67 შმდ.

უპირატესობაც უნდა ჰქონოდა სუბიექტზე, ამაზე მიგვითითებს მიცემით-სუბიექტიანი ზმნების უღვლილება (§ 63).

რეალური სუბიექტი უღურში შესაძლებელია ზმნაში აღინიშნოს სამგვარად იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნის კონსტრუქცია, რომელ ბრუნვაში მოითხოვს ზმნა მასთან დასმულ რეალურ სუბიექტს. ამის მიხედვით დასტურდება ზმნათა სამი ჯგუფი: I ჯგუფში შედის აბსოლუტურ-ტური უმრავლესობა ზმნებისა: ეს ზმნები სუბიექტს მოითხოვენ სახელობითსა ან ერგატივში (§ 62); II ჯგუფს განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც რეალურ სუბიექტს მოითხოვენ მიცემით ბრუნვაში (§ 63); III ჯგუფს არსებითად ერთი ზმნა (ბუ—„ყოფნა“) ეკუთვნის: ეს ზმნა რეალურ სუბიექტს მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში (§ 64).

ზმნათა ასეთი დაყოფა ძირითადად დამახასიათებელია ვართაშენლი კილოსათვის. რაც შეეხება ნიჯურს, ეს სისტემა აქ დატული აღარაა სრულად. კერძოდ შეზღუდულია მიცემით-სუბიექტიანი ზმნის უღვლილება, ხოლო ნათესაობით-სუბიექტიანი ზმნა მისდევს მიცემით-სუბიექტიან უღვლილებას.

პირის ნიშნებად პირველსა და მეორე პირში გამოყენებულია იგივე პირის ნაცვალსახელები (ისინი ზოგჯერ ფონეტიკურად სახეს იცვლიან, ზოგჯერ კი უცვლელად შედიან ზმნის ფორმაში).

პირის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უღურ ზმნაში თავისებურია რიცხვის (resp. მრავლობითი რიცხვის) გამოხატვა. პირველ და მეორე პირში პირის აფიქსები მრავლობითს რიცხვში აგრეთვე სათანადო ნაცვალსახელს წარმოადგენენ. მესამე პირში დასტურდება ერთგვარი თავისებურება (იხ. ქვემოთ)³.

უღვლილების ზოგადი პრინციპი და პირის აღნიშვნა არსებითად ერთგვარად არის წარმოდგენილი უღურის ორსავე კილოში: გვხვდება უმთავრესად ფონეტიკური ხასიათის განსხვავებანი.

§ 62. სახელობით-ერგატივიანი სუბიექტის პირის ნიშნები. როდესაც ზმნა გრამატიკულ სუბიექტს მოითხოვს სახელობითსა და ერგატივში, პირის ნიშანი წარმოდგენილია ერთგვარად. გარჩევა სუბიექტის ბრუნვათა შორის გამოწვეულია ზმნის გარდამავლობით: გარდამავალი ზმნა მოითხოვს სუბიექტს ერგატივში, გარდაუვალი ზმნა—სახელობითში (§§ 74, 75)⁴.

ერგატივისა და სახელობითის სუბიექტისათვის უღურში დასტურდება შემდეგი პირის ნიშნები:

³ ჩვენ: მრავლ. რ. 3 პირის აფიქსები, გვ. 75.

⁴ ბრუნვათა მახედათ განსხვავება, ძალიან მესამე პირში, როდესაც 1 და 2 პ. ნაცვალსახელა საზოგადოდ არ განარჩევს სახელობითსა და ერგატივს (§ 41).

ვართ. კილო:

პირი	მზლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
1 პ.	-ჭუ- -ჭ. -სუ- -ს-	-მან-
2 პ.	-ნუ- (-რუ-, -ლუ-, -დუ-, -ტუ-), -ნ- (-რ-, -ლ-, -დ-, -ტ-)...	-ნან- (-რან-, -ლან-, -დან-, -ტან-)
3 პ.	-ნე-(-რე-, -ლე-, -დე-, -ტე-)...	-ყუნ-

ამის შესაბამისად ზმნის ფორმათა ცვლა პირის მიხედვით ამგვარად წარმოგვიდგება ვართაშნულში:

კაპბეს-უნ — „დამალვა, დაქრობა“ (გარდამ.)

კაპბაქს-უნ — „დამალვა, დაქრობა“ (გარდაუვ.)

ა წ მ ყ ო

ზუ	კაპ-ჭუ-ბსა — „მე ვმალავ“
უნ	კაპ-ნუ-ბსა — „შენ ჰმალავ“
შეტინ	კაპ-ნე-ბსა — „ის მალავს“
მან	კაპ-მან-ბესა — „ჩვენ ვმალავთ“
ვან	კაპ-ნან-ბესა — „თქვენ ჰმალავთ“
შოტლონ	კაპ-ყუნ-ბესა — „ისინი მალავენ“
ზუ	კაპ-ჭუ-ბაქსა — „მე ვიმალეობ“
უნ	კაპ-ნუ-ბაქსა — „შენ იმალეობ“
შონო	კაპ-ნე-ბაქსა — „ის იმალეობ“
მან	კაპ-მან-ბაქსა — „ჩვენ ვიმალეობთ“
ვან	კაპ-ნან-ბაქსა — „თქვენ იმალეობთ“
შონორ	კაპ-ყუნ-ბაქსა — „ისინი იმალეობიან“

ქარხეს-უნ — „ცხოვრება“ (გარდაუვ.)

ა წ მ ყ ო

ზუ	ქარ-ჭუ-ხსა — „მე ვცხოვრობ“ და ა. შ.
უნ	ქარ-რუ-ხსა ← *ქარ-ნუ-ხსანა
შონო	ქარ-რე-ხსა ← *ქარ-ნე-ხსა
მან	ქარ-მან-ხესა
ვან	ქარ-რან-ხესა ← *ქარ-ნან-ხესა
შონორ	ქარ-ყუნ-ხესა

მ ყ ო ბ ა დ ი

ზუ	ქარხალ-ჭუ — „მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.
უნ	ქარხალ-ლუ ← *ქარხალ-ნუ
შონო	ქარხალ-ლე ← *ქარხალ-ნე

ძან	ქარხალ-ძან
ვან	ქარხალ-ლან ←*-ნან
შონორ	ქარხალ-ყუნ

როგორც ჩანს ზემოყვანილი პარადიგმებიდან, პირის ნიშნად დასტურდება ერთი ძირითადი აფიქსი, ხოლო ფონეტიკური პროცესების საფუძველზე ვიღებთ ვარიანტებს.

a. რედუქციის (resp. შეკვეცის) საფუძველზე 1 და 2 პირში პირის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი შეიძლება შეიკვეცოს და რჩება ოდენ თანხმოვანი: -ზუ- → -ზ-, -ნუ → -ნ-: ზუ თა-ზ-ცი (*თა-ზუ-ცი) — „მე წავედი“, უნ თა-ნ-ცი (*თა-ნუ-ცი) — „შენ წახვედი“.

რედუქცია (|| შეკვეცა) ჩვეულებრივ არ მოსდის 3 პირის -ნე-ს, ალბათ, იმის გამო, რომ მესამე პირის ფორმა მაშინ დაემთხვევა 2 პირისას, რაც, ცხადია, გამოიწვევდა ამ ორი პირის აღრევას (გარკვეულ შემთხვევებში ეს დამთხვევა მაინც დასტურდება): მაგალითად: უნ თა-ნ-ცი — „შენ წახვედი“, მაგრამ: შონო თა-ნე-ცი — „ის წავიდა“...

b. 1 პირის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი წინამავალ ან მომდევნო ყრუ თანხმოვანთან ასიმილაციით ჩვეულებრივად ყრუვდება: -ზუ- → → -სუ-, -ზ- → -ს-: მაგალითად, იხმარება: თა-ზ-ცი და თა-ს-ცი — „მე წავედი“.

c. 1, 2 და 3 პირის ნიშნები თუ ისეთ გარემოში მოხვდებიან, რომ მათს შემდეგ ხმოვნით დაწყებული ფუძის ნაწილია, მაშინ ორი ხმოვნოდან — ერთი იკვეცება (ჩვეულებრივ მეორე) ანდა ხდება მათი შერწყმა ერთ ხმოვნად: (უ+ე→უ, ე+ე→ე):

ზუ ცამ-ზუ-ხა ←*ცამ-ზუ-ეხა, უნ ცამ-ნუ-ხა ←*ცამ-ნუ-ეხა, შეტინ ცამ-ნე-ხა ←*ცამ-ნე-ეხა...

d. თუ პირის ნიშანი იწყება ნ- თანხმოვნით და იგი მოხვდება წინამავალი რ, ლ, ღ, თ || ტ თანხმოვნების უშუალო მეზობლობაში, განიცდის სრულ რეგრესიულ ასიმილაციას (იხ. § 23). მივიღებთ:

მხოლ. რ. 2 პ. -ნუ- → -რუ- || -ლუ- || -ღუ- || -ტუ-...

3 პ. -ნე- → -რე- || -ლე- || -ღე- || -ტე-...

მრავლ. რ. 2 პ. -ნან- → -რან- || -ლან- || -ღან- || -ტან-...

მხოლ. რ. 1 პ. ზუ ქარ-ზუ-ხსა — „მე ვცხოვრობ“

2 პ. უნ ქარ-რუ-ხსა ←*ქარ-ნუ-ხსა — „შენ სცხოვრობ“

3 პ. შონო ქარ-რე-ხსა ←*ქარ-ნე-ხსა — „ის სცხოვრობს“

მრავლ. რ. 2 პ. ვან ქარ-რან-ხესა ←*ქარ-ნან-ხესა — „თქვენ სცხოვრობთ“

- მხოლ. რ. 1 პ. ზუ ათ-ზუ-ება — „მე ვლაპარაკობ“
 2 პ. უნ ათ-ტუ-ება ← ათ-ნუ-ება — „შენ ლაპარაკობ“
 3 პ. შეტინ ათ-ტე-ბა ← ათ-ნე-ება — „ის ლაპარაკობს“...

- მხოლ. რ. 1 პ. ზუ ცამკალ-ზუ — „მე დავწერ“
 2 პ. უნ ცამკალ-ლუ — „შენ დასწერ“
 3 პ. შეტინ ცამკალ-ლე — „ის დაწერს“

მრავლ. რ. 3 პ. ვაინ ცამკალ-ლან — „თქვენ დასწერთ“...

პრინციპულად ვართაშნულის მსგავსად არის წარმოდგენილი პირის ნიშნები სახელობითე-რგატივიანი სუბიექტისათვის ნიჭურ კილოშიც:

პირი	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
[1 პ.	-ზუ-, -ზ-, -უზ-, -უნ-, -ს-	-ჯან-
2 პ.	-ნუ-, -ნ-, -უნ-, -უნ-	-ნან-
3 პ.	-ნე-, -ე-	-ტუნ-

ამის შესაბამისად ზმნის ფორმათა ცვლა პირის მიხედვით ამგვარად წარმოგვიდგება ნიჭურში:

ქარხესუნ — „ცხოვრება“ (გარდაუვ.)

ქარხესტუნ (← *ქარხესდესუნ) — „ცხოვრება“ (გარდამ.)

ა წ მ ყ ო

ზუ ქარხესა — „მე ვცხოვრობ“ და ა. შ.

ჰუნ ქარგნხსა

შონო || შოო ქარგნხსა

ჯან ქაჯანხსა

ვან ქარნანხსა

შოროხ ქარტუნხსა

ა წ მ ყ ო

ზუ ქარხესესტა — „მე ვაცხოვრებ“ და ა. შ.

ჰუნ ქარხესესტა

შოტინ ქარხესესტა

ჯან ქარხესაჯანსტა

ვან ქარხესნანსტა

შოტლონ ქარხესტუნსტა

ა ო რ ის ტ ი I.

ზუ ქარგზხი — „მე ვიცხოვრე“ და ა. შ.

ჰუნ ქარგნხე

შოლ ქარეხი
ძან ქარაძანი
ვაან ქარანანი
შორობ ქარტუნნი

აორისტი I.

ზუ ქარხესგზდი — „მე ვაცხოვრე“ და ა. შ.
ჰუნ ქარხესგზდი
შოტინ ქარხესგდი
ძან ქარხესაძანი
ვაან ქარხესნანი
შოტლონ ქარხესტუნდი

მყოფადი II.

ზუ ქარხალზუ — „მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.
ჰუნ ქარხალნუ.
შოლ ქარხალე
ძან ქარხალაძან
ვაან ქარხალნან
შორობ ქარხალტუნ

მყოფადი II.

ზუ ქარხესტალზუ — „მე ვაცხოვრებ“ და ა. შ.
ჰუნ ქარხესტალნუ
შოტინ ქარხესტალე
ძან ქარხესტალაძან
ვაან ქარხესტალნან
შოტლონ ქარხესტალტუნ

როგორც ირკვევა, შეინიშნება ზოგი თავისებურება:

ა. მხოლ. რიცხვის 1 და 2 პირის ნიშნებში ხმოვნითი ელემენტის შეკვეცა ნიჯურშიც ხდება — ზუ → ზ, -ნუ → -ნ. შემდეგ კი ხმოვნის შეკვეცის გამო თავს იყრის რამდენიმე თანხმოვანა, რის გამოც პირის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტის წინ ჩნდება თანხმოვანგასაყარი -ჯ, რომელიც შემდეგ შეიძლება ხმოვნადაც გადაიქცეს: ზუ → ზ → ჯ || უზ...; ნუ → ნ → ჯ → || უნ... ზუ ქარჯხსა — „მე ვცხოვრობ“, უნ ქარჯხსა — „შენ სცხოვრობ“, ზუ ზომ-უზ-ბაქსა — „მე ვსწავლობ“...

ბ. თანხმოვანთა რეგრესიული ასიმილაცია, რომელიც ვართაშნულში საყოველთაოდაა მხოლ. რ. 1 და 2 პირში და მრავლ. რ. 2 პირში (§ 23), ნიჯურში არ დასტურდება: ვან ქარანანსა — „თქვენ სცხოვრობთ“, ვან ქარხალნან — „თქვენ იცხოვრებთ“...

c. მხოლ. რიცხვის 3 პირში ვართაშნულ -ნე-ს ნიჯურში შეესატყვი-
სება ორი ფორმანტი: ნე- || -ე-. მათი ხმარება შეპირობებულია ფუძით:
-ნე- დაერთვის ხმოვნით გათავებულ ფუძეს (ან მის ნაწილს), -ე- კი—თან-
ხმოვნით გათავებულს. მაგალითად: შოტინ ლაჩპენე—„მან დააბა“... შო-
ტინ ლაჩკალ-ე—„ის დააბამს“...

d. მრავლ. რ. 3 პირში ნიჯურში დასტურდება ახალი ფორმანტი:
ვართ. -ყუნ- || ნიჯ. -ტუნ-... მაგალითად: შოროხ ქარტუნხსა—„ისინი
ცხოვრობენ“, შოტროლონ აკალტუნ—„ისინი დაინახვენ“.

§ 63. მიცემითიანი სუბიექტის პირის ნიშნები. იბერიულ-კავკასიურ
ზმნათა ერთი ჯგუფი სხვა ზმნებს უპირისპირდება იმით, რომ რეალურ
სუბიექტს მოითხოვენ მიცემითს ბრუნვაში. ეს მოვლენა
ჯერ კიდევ 1856 წელს ბაცბური ენისათვის აღნიშნა ა. შიფნერმა.
იგი ამბობდა: „ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომელნიც აღნიშნავენ არა რაიმე
მოქმედებას, არამედ გამოხატავენ უფრო აღქმას, გრძნობას, სურ-
ვილს, საჭიროებას, შესაძლებლობას, სიყვარულს, და
მათგან ნაწარმოებნი ანდა მათგან მიღებული რთული ზმნები (შედგენილი
ზმნები) უკავშირდებიან მიცემითს ბრუნვას“⁵. მანვე პირველად გამოჰყო
ამ ტიპის ზმნები უღერო ენისათვისაც⁶.

უღეროში ეს ზმნები გვიჩვენებენ იმ თავისებურებას, რომ მათში დას-
ტურდება საკუთარი პირის ნიშნები (განსხვავებულად სახელობით-ერგატი-
ვიანი სუბიექტისაგან), რუმელნიც უკავშირდებიან პირის ნაცვალსახელის
მიცემით ბრუნვას.

ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა უღეროში მისდევს სახელობით-
ერგატივიანი უღვლილების სისტემას, მიცემით-სუბიექტიანი უღვლილების
სისტემას კი მისდევს ზმნათა ერთი ჯგუფი⁷:

1. აბაბაქსუნ—„ცოდნა“, 2. აქსუნ—„ხედვა“, 3. ანდახბე-
სუნ (მთ. 7,3)—„გრძნობა“ („გვგრძნობ“), 4. ბაქსუნ—„შეძლება“ („შე-
მიძლია“), 5. ბუყსუნ—„ყვარება“, „ნდობა“, 6. იბაქსუნ—„მოსმენა“
(„მესმის“), 7. ილარიბსუნ—„ცივება“ („მაცივებს“), 8. იხბესუნ—
„მოგონება“, „გახსენება“, 9. მერბსუნ—„ცივება“ („მცივია“),
10. ოტბესუნ—„დარცხვენა“ („მარცხვენია“), 11. ქეჭილლაქტე-
სუნ—„წყენა“, 12. ყიხბსუნ—„შინება“ („მეშინია“), 13. ჩალხე-
სუნ—„ცნობა“ („ვიცნობ“)...

ამ ზმნათა უღვლილების პროცესში რეალური სუბიექტის პირის

⁵ ა. შიფნერი, Thusch-Sprache, § 247, გვ. 75.

⁶ ა. შიფნერი, Versuch, § 100, გვ. 26.

⁷ შდრ. ა. შიფნერი, Versuch, § 100, გვ. 26; ა. დირი, Грамм., გვ. 48.

ნიშნები წარმოდგენილია შესატყვის ნაცვალსახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმით.

უნდა აღინიშნოს ოღონდ, რომ თვითონ სუბიექტი ამჟამად შეიძლება აღარ იყოს მიცემითში.

პირის ნიშნები მიცემით-სუბიექტთან ზნაში

რაცხეი	პ ი რ ი	პირის ნაცვალსახელი მიცემით I-ში	პირის ნიშნები	პირის ნიშნები ფაქულტატურად
მხოლ. რ.	1 პ.	ზა—„მე“	-ზა- -ზ-	-ზახ-
	2 პ.	ვა—„შენ“	-ვა- -ვ-	-ვახ-
	3 პ.	შეტუ შოტუ—„მას“	-ტუ-	-ტუხ-
მრავლ. რ.	1 პ.	და—„ჩვენ“	-და-	-დახ-
	2 პ.	ვახ—„თქვენ“	-ვახ- ვა-ნან	-ვაახ-
	3 პ.	შოტრლო შოტლო —„მათ“	-ყო-	-ყოხ-

ვართ.

ა წ მ ყ ო:

ზა	ზუ	ბუზაყსა	—„მე მიყვარს“, „მსურს“ და ა. შ.
ვა	უნ	ზუვაყსა	
შეტუ	შეტინ	ბუტუყსა	
და	დან	ბუდაყსა	
ვახ	ვახნ	ბუვაყსა ბუვაყსანან	
შოტრლო	შოტრლონ	ბუყოყსა	

ა ო რ ი ს ტ ი II:

ზა	ზუ	ბუზაყე	—„მე შევიყვარე“, „ვისურვე“ და ა. შ.
ვა	უნ	ბუვაყე	
შეტუ	შეტინ	ბუტუყე	
და	დან	ბუდაყე	
ვახ	ვახნ	ბუვაყე ბუვაყენან	
შოტრლო	შოტრლონ	ბუყოყე	

ა წ მ ყ ო:

ზა	ზუ	ყიოზაბსა—„მე შეშინია“ და ა. შ.
ვა	უნ	ყიოვაბსა
შეტუ	შეტინ	ყიოტუბსა
და	დან	ყიოდაბსა
ვახ	ვახნ	ყიოვაბსა ყიოვაბსანან
შოტრლო	შოტრლონ	ყიოყობსა

ზა	ზუ	ყოზაბე—„მე შემეშინდა“ და ა. შ.
ვა	უნ	ყოვაბე
შეტუ	შეტინ	ყოტუბე
ჯა	ჯან	ყოჯაბე
ვაჰ	ვაჰნ	ყოვაჰბე ყოვაჰენან
შოტრლო	შოტრლონ	ყოყობე

მაგალითად:

ზუ ვახო ხაბარჯუაყსა, შეტაბახტინ-თე ეკალ თე-ზა-აბა. *Д Гр 63₁₃*— „მე შენგან გამოვიკითხავ, რადგანაც არა ვიცო რა“...

ტე ვაღინალ-ცირიკ, მანო ვაღინახო აბა-ტუ-ბაქე ბილიჯილოხო. *მთ. 2,16*— „იმ დრომდის, რა დროითგან შეიტყო (გაიგო) ბრძენ-თაგან“...

ვაჰ თე-ტუ-აბაჰ შეტუხ, ეთჳრ ახრახ შეტინ ბინეხი იჩ ბეშუმჯი ღარახ. *მთ. 1,25*— „და არ იცოდა იგი, თუ მან როგორ შობა ბოლოს თავისი პირველი შვილი“...

ადამარენ ფულმულონ ა-ტუ-კსა. *Д Гр 50₁₇*— „ადამიანი თვა-ლებით ხედავს“...

ტელან ტერო თაცი, ა-ტუ-კი შოტუ ყეარი პაჰ ვიჩიმულხო. *მთ. 4,21*— „იქიდან იმ მხარეს წავიდა, და ინახა მან სხვა ორი ძმა“...

ტე ვახტა რუსა ანდახ-ტუ-ბი იჩენ იჩ-ბოშ, თე ქერიჩე იჩხო ზორ. *მრკ. 5,30*— „მაშინ იესომ იგარძნო თავის თავში, რომ მისი ძალა გამოსვლია (წართმევია)“.

შუკალა-ალ თე-ტუ-ბაქო ფეს. *Д Гр 54₁₈*— „არავეისაც არ შეუძ-ლია თქმა“...

შეტაბახტინ-თე თე-ვა-ბაქო სა ფოფნუხ-ყან ე მაწიბეს, ე მაჰ-ინბეს. *მთ. 5,36*— „რადგანაც [რომ] არ შეგიძლია ერთი ბეწვისაც არც გათეთრება, არც გაშაფება“...

ზა გროლო ბუ-ზა-ყსა ბეზ აილოლოხო. *Д Гр 50₂₆*— „მე ძალიან მი-ყვარს ჩემი შვილები“...

ქატინ ბუ-ტუ-ყსა, ვახსა აწ უკანე. *Д Гр 54₁₅*— „მაგას სურს, შენ რაღაც [ერთი საქმე] გითხარას“...

ნაჰინე ზუ კალჯუეხაი ჟაჰნ თე-ვაჰ-იბაქი. *Д Гр 63₂₈*— „გუშინ მე გიძახდით, მაგრამ თქვენ არ გაიკონეთ“...

ი-ტუ-ბაქი, თე არხელაენ ფასჩალეულენბესა იუღუნ კულლუ. *მთ. 2,22*— „ესმა [გაიგონა], რომ არქელაოზ მეფობს იუდეულთა ქვეყანაში [„მიწაზე“]“...

იოსიქ, ღარ დავიდილი მა-ყა-ვა-ყიხბიხ მაჰრამახ ვი ჩუბლოხ აყ-

სუნა. მთ. 1,20— „იოსებ, ძეო დავითისაო! ნუ გე შინია მარამის, შენი ცოლის, მოყვანა“...

ყი-ტუ-ბი ტია თაჲსუნა. მთ. 2,22— „შეე შინ და იქ წასვლა“. ფასქალენ ეხნე ეტინ-ვა-ჩალხესა? R 14₁₄— „მეფე ეუბნება:— რით სცნობ?“.

ჰამეთარ იჩლო ბუჰარლოხო ჩალ-ვა-ხო იჩლოხ. მთ. 7,20— „ამგვარად მათ ნაყოფთაგან შეიციანი ისინი“.

დორიდან ეხჴუ ექაახ: თე-ჯა-ჩალხესა ევაახ (sic). მთ. 25,12— „ნამდვილად გეტყვი თქვენ: არ გიცნობ თქვენ“.

ამ ზმნათა პირის ნიშნები წარმოადგენენ სათანადო ნაცვალსახელთა მიცემით ბრუნვას, რაც უეჭველობით ჩანს 1 და 2 პირისათვის, ხოლო ჩამდენადმე ნათელია აგრეთვე მესამე პირისათვისაც.

მხოლოდობის მესამე პირში პირის ნიშნად გამოყენებულია -ტუ-ფორმანტი, რომელიც შედის დეტერმინანტად შესატყვისი ნაცვალსახელის მიცემითის ფორმაშიც (§ 42).

გასარკვევი რჩება მრავლ. რიცხვის მესამე პირის -ყო- ელემენტი⁸, რომელიც შესატყვისის ნაცვალსახელს უშუალოდ თითქოს არ უკავშირდება: უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც ამოსავალია მიცემითი ბრუნვა.

ამგვარი სინტაქსური ურთიერთობა თინამედროვე უღღრში მტკიცედ აღარ დასტურდება. თვითონ სუბიექტი ჩვეულებრივ დანისმის არა მიცემითს ბრუნვაში, არამედ ერგატივიში, დასტურდება პარალელური ფორმები. ამის საფუძველზე შეიძლება პირის ნიშნებიც შეიცვალოს ზოგჯერ.

სისტემატურად იცვლება პირის ნიშანი მრავლობითის მეორე პირში. სახელდობრ, განსხვავება მხოლოდობითსა და მრავლობითს შორის მყარდება ხმოვნის მიხედვით: მხოლ. -ვა-, მრავლ. -ვაა-: მრავლობითში ძმაგარშემართვიანი ხმოვანი იცვლება: ვაა→ვა: მრავლობითის ფორმა ემსგავსება მხოლოდობითისას. ამიტომ განსხვავების აღსადგენად დამატებით ერთვის ჩვეულებრივი პირის ნიშანი: -ნან-: ბუ-ვაა-ყსა→ბუ-ყა-ყსა→ბუ-ვა-ყსა-ნან— „გოყვართ“.

ამ ერთი შემთხვევის გამოკლებით, ამგვარი უღღრლეა უფრო მკვიდრად დაცულია დღეს-დღეობით ვართაშნულ კილოში: მაშინაც კი, რო-

⁸ იხ. ჩვენი: მრავლობითი რ. მესამე პირის აფიქსები -ყუნ- || -ყო უღღრ ენაში, გვ. 75. ა. შიფნერის საერთოდ ამ ნიშნებნა და, კერძოდ, ყო-ს შესახებ ამბობდა: „Die Zeitwörter, welche den Dativ der Person erfordern, fügen das Personalpronomen ზა, ვა und für die dritte Person ტუ, im Plural aber აა, ვაა und für die dritte Person ყო (ყოა § 11) entweder ein ober lassen nachfolgen“, Versuch, § 100, გვ. 26.

დესაც სუბიექტი დაისმის ერგატივში, პირის ნიშნები წარმოდგენილია მაინც მიცემითის სახით. თავისებური ვითარებაა ნიჭურ კილოში (იხ. ქვემოთ).

ოღონდ მიცემით-სუბიექტიან ზმნათა უღვლილების სისტემაში ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ზოგჯერ მიცემითი I-ის ადგილს იჭერს მიცემითი II. ცოცხალ მეტყველებაში დასტურდება შემდეგი ფორმები:

ვართ.

აწმყო			ნამყო უწყვეტელი		
ზა	აბაზახ	— „მე ვიცი“	ზა	აბაზახი	— „მე ვიცო- დი“ და ა. შ.
ვა	აბავახ	— „შენ იცი“	ვა	აბავახი	
შოტუ	აბატუხ	— „იმან იცის“	შოტუ	აბატუჲ აბატუხი	
ჯა	აბაჯახ	— „ჩვენ ვიცით“	ჯა	აბაჯახი	
ვაჲ	აბავაჲხ	— „თქვენ იცით“	ვაჲ	აბავაჲხი	
შოტრლო	აბაყოხ	— „მათ იციან“	შოტრლო	აბაყოჲ აბაყოხი	

ზუ თე-ზა-ბუყსაჲ, თე ილარიბაზახი— „მე არ მსურდა, რომ მაცივებდეს“. (ე. ი. ეცივებინა) და ა. შ.

ზუ თე-ზა-ბუყსაჲ, თე უნ ილარიბავახი
 „ თე შოტუ ილარიბატუჲ
 „ თე ჯა ილარიბაჯახი
 „ თე ვაჲ ილარიბავაჲხი
 „ თე შოტლო ილარიბაყოჲ

მაგალითად:

ა ბ ა ვ ა ზ ზაკონლოხ: მა ყაპპალოლ ბაი მრკ. 10,19— „იცი კანონები: არა ისიძვიო!..“

ვაჲ ფულმულონ-ალ ბეჲლალან, ვაჲ ნუტ აკალ ვაჲხ. მთ. 13,14— „თვალეზითაც უყურებთ (შეხედავთ) და ვერ დაინახავთ“...

ჩობანენ ეხნე:— თე, ზუ ბაქალ-თე-ზახ — „მწყემსი ამბობს:— არა, მე ვერ შევძლებ“...

ილარილოხ აშბეს ბაქალ-თე-ზახ (ბაქალ-თე-ზა)— „სიცხეში მუშაობას ვერ შევძლებ“...

ეს პარალელური ფორმები მნიშვნელობის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ორივე თანაბრად იხმარება: ა ბ ა ვ ა || ა ბ ა ვ ა ხ — „შენ იცი“⁹...

მიცემით -სუბიექტიან ზმნათა უღვლილება ნიჯურ კილოში შეზღუდულია: ზმნა ნიჯურში საზოგადოდ სახელობით-ერგატივ სუბიექტიან უღვლილებას მისდევს (§ 62) და მათ უერთდება მიცემით-სუბიექტიანი ზმნებიც. ამდენად, ნიჯურში მომხლარა პირის ნიშანთა უნიფიკაცია. ამის საფუძველი კი ის არის, რომ ეს ზმნები სუბიექტს აღარ მოითხოვენ მიცემით ბრუნვაში. ამის მიხედვით ნიჯურში დასტურდება:

ა წ მ ყ ო:

ზუ	ავაზუ — „მე ვიცი“ და ა. შ.
ჰუნ	ავანუ
შოტინ	ავანე
ჟან	ავაჟან
ვან	ავანან
შოტრლონ	ავატუნ

ა წ მ ყ ო:

ზუ	იზბაქსა — „მე მესმის“, „ვისმენ“ და ა. შ.
ჰუნ	ინბაქსა
შოტინ	ინებაქსა
ჟან	იჟანბაქსა
ვან	ინანბაქსა
შოტრლონ	იტუნბაქსა

მაგალითად:

შოტინ შაატ-ე-ავა უდინ მუზა. — „მან კარგად იცის უღური ენა“...

შოტინ ყიხ-ნე-ფსა თაჟსუნა. — „იგი შიშობს წასვლას“.

შოტინ ავა-თე-ნე უდინ მუზა. — „მან არ იცის უღური ენა“.

შოტინ ბა-ნე-ქო აკესტეს. — „მას შეუძლია ჩვენება (დანახვება)“.

შოტინ აკე-ნე კოჟ. — „მან დაინახა სახლი“.

⁹ როდესაც ამგვარ ფორმებზე ყურადღება მივაქცევინეთ თვით უღურ ენაზე მოლაპარაკეთ, ისინი შეეკადნენ ერთგვარი დიფერენციაცია დამყარებინათ მათ შორის. სახელდობრ, ივ. სილიკაშვილი (სოფ. ოქტომბერი) აღნიშნავდა: „აბაზახ“ და მსგავსი ფორმები მაშინ არის საჭირო, როცა დამტკიცებით, დაბეჭობით გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი-ო: „აბაზა“ ნიშნავს—„ვიცი საერთოდ“, ხოლო „აბაზახ“—„ვიცი ნამდვილად, დაბეჭობით“.

მაგრამ ნიჭურში ნაშთის სახით შემორჩენილია მიცემით-სუბექტიანი ზმნის უღვლილება, სახელდობრ, „ქონება || ყოლა“ ზმნაში, რომელიც ვართაშნულში იუღვლება ნათესაობით-სუბიექტიანი უღვლილების მიხედვით (§ 64). ნიჭურში ეს ფუძე იუღვლება შემდეგნაირად:

ა წ მ ყ ო:

ბეზი	კოყ-ზახ-პუ (←*ზახ-ბუ) — „მე სახლი მაქვს“ და
ვი	კოყ-ვახ-პუ
შოტაჲ	კოყ-ტუხ-პუ
ბეში	კოყ-ჯახ-პუ
ეფი	კოყ-ვაახ-პუ
შოტრლოჲ შოტლოჲ	კოყ-ტუახ-პუ

ა წ მ ყ ო:

ბეზი	ვანუნ	აჲითზახპუ — „მე შენთან სიტყვა მაქვს“,
ვი	ზახუნ	აჲითბუჯახ — „შენ ჩემთან სიტყვა გაქვს“,
შოტაჲ	ვანუნ	აჲითტუხპუ — „მას შენთან სიტყვა აქვს“,
ბეში	ვაახუნ	აჲითვაახპუ — „ჩვენ თქვენთან სიტყვა გვაქვს“,
ეფი ეფჲ	ვაახუნ	აჲითვაახპუ — „თქვენ ჩვენთან სიტყვა გაქვთ“,
შოტრლოჲ შოტლოჲ	ვაახუნ	აჲითტოჯოახპუ — „მათ თქვენთან სიტყვა აქვთ“...

ა წ მ ყ ო:

ბეზი	იმაყ-ი-ზახ-პუ იმაყ-ინებუ — „მე მამითადი მყავს“ და
	ა. შ.
ვი	იმაყ-ი-ვახ-პუ იმაყ-ინებუ
შოტაჲ	იმაყ-ი-ტუხ-პუ
ბეში	იმაყ-ი-ჯახ-პუ
ეფი	იმაყ-ი-ვაახ-პუ
შოტრლოჲ შოტლოჲ	იმაყ-ი-ტოჯოახ-პუ

ა წ მ ყ ო:

შდრ. ვართ.	ბეზი	იმაჯი-ბეზ-ბუ — „მე მამითადი მყავს“ და
	ვი	იმაჯი-ვი-ბუ
	შეტაჲ	იმაჯი-ტა-ბუ
	ბეში	იმაჯი-ბეშ-ბუ
	ეფი	იმაჯი-ეფჲ-ბუ
შოტრლოჲ შოტლოჲ		იმაჯი-ყო-ბუ

მაგალითად:

ნიჯური:

ზაქარაჲ ბუ-ტუხ-ი-სა ჩუტუხ, იზ წი აეთარ — „ზაქარას ჰყავდა ცოლი, მისი სახელი ეთერი“.

შოტად პოეტიკა თახელ თე - ტ უ ხ - პ უ — „მას საკმარისი მოსავალი (სარჩო) აა აქვს“...

ვი გრქმამ ჩო მ ე უ რ - ვ ა ხ - პ უ — „შენ მშვენიერი სახე გაქვს“...

წარმოდგენილ ფორმებში პირის ნიშნებად გამოიყოფა: -ზახ-, -ვახ-, -ტუხ-, -ახ-, -ვახ-, -ტუახ- || -ტოაოახ-...

საყურადღებოა, რომ პირის ნიშნები აქ დასტურდება ნაცვალსახელის მიცემითი II-ის ფორმით, სწორედ იმგვარადვე, როგორც ეს გვხვდება ვართაშნულში მიცემით-სუბიექტიან ზმნათა პარალელურ ფორმებში (აქვე, გვ. 141). შესატყვისი ნაცვალსახელი კი ნათესაობით ბრუნვაშია მსგავსად ვართაშნულისა (§ 64). მიცემითი II ნიჭურში იშვიათად იხმარება, შემორჩენილია ნაცვალსახელში.

პირის ნიშნები მიცემით-სუბიექტიან ზმნაში

	პირის ნაცვალს ხელა მიცემით ი		პირის ნაშანი	
	ვართაშნულა	ნიჭური	ვართაშნული	ნიჭური
პირი	ზა ზახ	ზა ზახ	ზა ზახ	ზახ
პირი	ვა ვახ	ვა ვახ	ვა ვახ	ვახ
პირი	ტეტუ ტეტუხ	შოტუ შოტუხ	ტუ ტუხ	ტუხ
პირი	მა მახ	მა მახ	მა მახ	მახ
პირი	ვახ ვაახ	ვახ ვაახ	ვახ ვაახ	ვაახ
პირი	შოტლო შოტლოხ	შოტლო შოტლოხ	ყო ყოახ	ტუახ ტოაოახ ტოახ

როგორც ზემოთაც ვაქვით, რეალური სუბიექტის მიცემითში დასმად დასტურდება ზმნათა გარკვეულ ჯგუფში, რომლის წევრებიც ერთობლიობას წარმოადგენენ თავისი შინაარსის, მნიშვნელობის მიხედვით. ესაა მეტწილად ე. წ. verba sentier.di.

უღუ რშიც ამ ზმნებთან დასტურდება მიცემითით გადმოცემული რეალური სუბიექტი. უღუ რის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ეს ვითარება თავის მორფოლოგიურ ასახვას პოულობს ზმნაში: უღურში ამგვარი რეალური სუბიექტისათვის ჩამოყალიბებულია პირის ნიშანთა სპეციფიკური სისტემა. ჯერ კიდევ ა. შიფნერმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აღნიშნა: „ის ზმნები, რომელნიც პირის მიცემით ბრუნვას თხოულობენ, ირთავენ წინ ან ბოლოში პირის ნაცვალსახელებს (ზაზი ჩვენია. ვ. ფ.) ზა, ვა და მესამე პირისათვის ტუ-ს, მრავლობითნი კი მა, ვა და მესამე პირისათვის ყო (ყოა § 11)-ს; მავა-

ლითად, ბუყსუნ — „ყვარება“, მხოლ. აწმყო: 1 ბუზაყსა, 2. ბუვაყსა, 3. ბუტუყსა, მრავლ. 1. ბუღაყსა, 2. ბუეაყსა, 3. ბუყოყსა¹⁰.

ა. შიფნერმა მართებულად გამოყო ეს მორფოლოგიური ელემენტები (-ზა, -ვა, -ტუ, -ჟა, ვაა, -ყო), მაგრამ მას ისინი თითქოს არ მიაჩნია პირის ნიშნებად: ის მათ სთვლის „პირის ნაცვალსახელებად“ („Personalpronomen“).

ა. შიფნერი ამ ზმნებს ითვალისწინებდა მხოლოდ ვართაშნული კილოს მიხედვით და ისიც რამდენადმე არა სრულად; მას არ ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა ნიჭური კილოს ვითარების შესახებ. ნიჭური კილოს მონაცემები კი საყურადღებოა როგორც ამ ზმნათა ისტორიის გასათვალისწინებლად, ისე სხვა ენებში მსგავსი მოვლენების შესასწავლადაც.

უღური ენის ამ ზმნების თავისებურებას ყურადღება მიაქციეს სხვა მკვლევრებმაც: ჰ. შუხარდტმა, ა. დირმა, ი. მეშჩანანოვმა, ივ. ჭავჭავიძემ და სხვა. ეს მკვლევრები ამ ზმნათა აგებულების შესახებ წარმოგვიდგენენ საყურადღებო თეორიულ მოსაზრებებს, მაგრამ მათ განხილვას და მათ კრიტიკულ შეფასებას წარმოვადგენთ სხვა ადგილას.

აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ერთი საყურადღებო გარემოება. ჯერ კიდევ ჰ. შუხარდტმა მიაქცია ყურადღება ა. შიფნერის მიერ დადასტურებულ ფორმას აკსუნ — „ხედავ“ ზმნისას, რომელშიც პირის ნიშანი წარმოდგენილია ანა მიცემითი ბუნების, არამედ სახელობით-ერთგვარის შესატყვისის ფორმით; ჰ. შუხარდტს იგი მიაჩნია რეალური ობიექტის ნიშნად. იგი ამბობს: „მეტად საოცარია განსაკუთრებით: ბეზ ფეზ ეკალ თე-ნე-აკესა — „ჩემს თვალში მე არაფერს ვხედავ“, შიფ. 49, სადაც რეალური ობიექტი კონიუქტიურ ნაცვალსახელშიც გამოჩნდება, ხოლო სუბიექტის მიცემითის მაგივრად აფექტივი გვეკვლინება“¹¹. მსგავსი ფორმები შესაძლებელია შეგვივხდეს სხვაგანაც.

მაგალითად:

ბელსაყუნ, თე ქურ გროლ ბულალუ-ნე, ეკალ თე-ნე-აკესა. R 11,7 — „ხედავენ, რომ ორმო ძალიან დიდა, არაფერი არ იხედავება [ჩანს]“.

ევას თე შეტინ ჭიქირაგები მოტუბ, მე ბიხოლო ჭპორინტა აკნეციი შეტუ ნეპე-ბომ ვაა ფენე. შთ. 1,20 — „როცა მან იფიქრა ეს, ეს ღვთის ანგელოზი გამოუჩნდა [ეჩვენა] მას ძილში და უთხრა“...

აკნეციი იოან ბეჯენ განუ ხაშტესინ ვაა ქაროზთასტინ. შრკ. 1,4 — „გამოჩნდა იოანე უდაბნოში ნათლისცემით და ქადაგებდა“...

ვაა აკნეციი შორლო ილია მოდსეიანოლ ვია მასლაპათ-ყუნ-ბესაჲ ისუსახოლ. შრკ. 9,4 — „და გამოუჩნდა მათ ილია მოდსესთანა და ესაუბრებოდნენ იესოს“.

¹⁰ ა. შიფნერი, Versu-h, § 100, გვ. 26.

¹¹ ჰ. შუხარდტი, Ueber d. pass., გვ. 33.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბაქსუნ ზმნაც ორგვარ ფორმას იძლევა ამ ზმნის ორი მნიშვნელობის შესაბამისად: როცა ეს ზმნა აღნიშნავს — „წეძლება“ — ს, მაშინ მისდევს მიცემით-სუბიექტიან უღვლილებას (§ 63), ხოლო როცა ამ ზმნას აქვს თავისი პირველადი მნიშვნელობა — „ყოფნა“, „გახდომა“, „მოხდენა“, — მაშინ ჩვეულებრივს.

ამრიგად — პირის ნიშანი ორსავე შემთხვევაში წარმოდგენილია სახელობით-ერგატივიანი სუბიექტის შესატყვისად: — ა-კ-ნ-ე-ცი — „ეჩვენა“, „გამოუჩინა“, ბა-ნ-ე-ქე — „იყო“. მოსალოდნელი კი იყო მიცემითიანი სუბიექტის შესაბამისად: ა-ტ-უ-კი, ბა-ტ-უ-ქო... თვითონ სუბიექტიც ყველაგან სახელობით ბრუნვაშია. არაა სწორი პ. შუხარდტის მოსაზრება, თითქოს უდურ ზმნაში აისახებოდეს ობიექტი. მის მიერ მოყვანილ მაგალითშიც ასახულია ოდენ სუბიექტი (ეკალ — „არაფერი“), მაგრამ არა მიცემით ბრუნვაში, არამედ სახელობით ში. რაც შეეხება აფექტივის ფორმას (ე. ი. მიცემით II-ს) ბეზ ფეხ — „ჩემ თვალსში“, რომელიც სუბიექტის ბრუნვად არის მიჩნეული, აგი ნამდვილად გარემოებას წარმოადგენს (მიცემითი ბრუნვით გადმოცემულს).

მიუხედავად ამგვარი ახსნისა, მაინც რჩება ერთი და იმავე ფუძის ორი ფორმა და ამ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ მიცემით-სუბიექტიან ზმნათა აგებულების გასათვალისწინებლად. ეს ზმნა გვიჩვენებს უდურის განვითარების იმ საფეხურს, როცა იწყებოდა ზმნის უღვლილების დაფერენციაცია, პირის ნიშანთა სხვადასხვაგვარი აღნიშვნა. ეს დაფერენციაცია, როგორც წესი, ჩატარდა ზმნათა ფუძეების მიხედვით: დღევანდელს უდურში ერთი ზმნა მხოლოდ სახელობითს ან ერგატივს იკუთვნებს, ხოლო მეორე — მიცემითს (გვაქვს პირის ნიშანთა სათანადო გამოსატყავი). მაგრამ შესაძლებელი იყო პირის ნიშანთა ასეთი გარჩევა ერთსა და იმავე ზმნაშიც მომხდარიყო. მაშინ, საფიქრებელია, დაფერენციაცია წარიმართებოდა სუბიექტური და ობიექტური უღვლილების ჩამოყალიბების გზით, რაც თავის მხრივ მოგვეცემა ზმნის ორ პირიანობას (ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქართული და ქართველური ზმნის ვითარების გათვალისწინება). უდურში ეს პროცესი დასაწყის სტადიაზე შეჩერდა. ამჟამად კი ნიჭურ კილოში საპირისპირო პროცესი დასტურდება: მიცემით-სუბიექტიანი ზმნების უღვლილება ემორჩილება საერთო სისტემას.

§ 64. პირის ნიშანი ნათესაობით-სუბიექტიან ზმნაში. უდურში წარმოდგენილია უღვლილების მესამე სისტემა: სახელდობრ „ქონება II ყოლა“ ზმნის შინაარსის გადმოცემი ფუძე „ბუ“ რეალურ სუბიექტს მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში და პირის ნიშნებსაც წარმოადგენს ნათესაობითის ფორმით. სახელდობრ:

პირის ნიშნები ნათესაობით-სუბიექტიან ზმნაში

ვ ა რ თ ა შ ნ უ ლ ი

რიცხვი	პირი	პირის ნაცვალსახელა ნათესაობითში (§ 41)	პირის ნიშნები
მხოლ. რ.	1 პ.	ბეზა	-ბეზ-
	2 პ.	ვი	-ვი-
	3 პ.	ზეტაჲ	ტაჲ- -ტა-
მრავლ. რ.	1 პ.	ბეში	-ბეშ-
	2 პ.	ეიფი	-ეიფ-
	3 პ.	შოტლოჲ	-ყოჲ- -ყო-

ჩვეულებრივ -ბუ- აღნიშნავს „არის“ და მისდევს სახელობით-ეგრ-გატავიან უღვლილებას, „ქონა || ყოლა“-ს მნიშვნელობით კი იგი გამო-აელენს თავისებურ ფორმებს.

ა წ მ ყ ო

ვართ. ბეზი უმუღ-ბეზ-ბუ || უმუღ-ბუ-ნე — „მე იმედი მაქვს“ და ა. შ.
 ვი უმუღ-ვი-ბუ || უმუღ-ბუ-ნე
 შეტაჲ უმუღ-ტაჲ-ბუ || უმუღ-ტა-ბუ || უმუღ-ბუ-ნე
 ბეში უმუღ-ბეშ-ბუ || უმუღ-ბუ-ნე
 ეიფი უმუღ-ეიფ-ბუ || უმუღ-ბუ-ნე
 შოტლოჲ უმუღ-ყო-ბუ || უმუღ-ბუ-ნე..

მაგალითად:

მე ჩობანი ბა-ტა-ქეჲ სა ჩუბუხ, სა ლარ, იჩ წი რუსტამ. R 7₂ — „ამ მწყემს ჰყავდა ერთი ცოლი, ერთი შვილი, მისი სახელი — როსტომ“...

ქარვანონ მეტუხ ხაბარ-რე-აყსა: „ვი იშე ზორ მანო განუ-ტაჲ?“ R 18₂ — „დედაბერი მას ჰყითხავს [ეკითხება]: „ნენ ქმარს ძალა რა აღ-გილს აქვს?“

იოანი იჩი ბუ-ტაჲ ფართალ ბუშე ფოფნუხო. მთ. 3,4 — „იოჰანეს თვითონ ჰქონდა ტანისამოსი აქლემის ბეწვისაგან“...

ტეთარ-ალ ეფი ისა ბუ-ეფ დარდ. იოჰ. 16, 22 — „იმგვარადვე თქვენ ახლა გ'აქვთ მწუხარება“.

შეტაბახტინ-თე შოტლოჲ ბუ-ყოჲ გრგნზ ფასჩალლულ. მთ. 5,10 — „რადგანაც მათ აქვთ ცის მეუფება“...

თაქე, ბუთუნ, ეკა-თე ბუვი, თოვდა ვაი ბარბა ქნსიბლო ვაი ბა-ვიქო ღრვლუთ გრგილ. მრკ. 10, 21 — „წადი, ყველაფერი, რაც გაქვს, გაყიდე და დაურიგე ღარიბებს და გექნება ქონება ცაზე“.

ამ ფორმებთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი შედგენილი ზმნა:

ა ო რ ი ს ტ ი II:

ვართ. ქებ-ბეზ-მანდე — „ხელთ შემრჩა“ და ა. შ.
ქებ-ვი-მანდე
ქებ-ტა-მანდე
ქებ-ბეზ-მანდე
ქებ-ეაფ-მანდე
ქებ-ყო-მანდე

§ 65. პირის ნიშნის ადგილისათვის ზმნის ფორმაში. პირის ნიშნის გამოტოვება. პირის ნიშანი უღერ ზმნაში გვხვდება ფუძეში სხვადასხვა ადგილას. ჩვეულებრივად იგი ი ნ ფ ი ქ ს ს წარმოადგენს.

ა ო რ ი ს ტ ი I:

ვართ. ზუ ცამ-ზუ-ფი — „მე დავწერე“
და ა. შ.

ა წ ყ მ ო

ზა || ზუ ბუ-ზა-ყსა — „მე მიყვარს“ და ა. შ.

უნ ცამ-ნუ-ფი
შეტინ ცამ ნე-ფი
ძან ცამ-ძან-ფი
ვან ცამ-ნან-ფი
შოტლონ ცამ-ყუნ-ფი

ვა || უნ ბუ-ვა-ყსა
შოტუ || შეტინ ბუ-ტუ-ყსა
ძა || ძან ბუ-ძა-ყსა
ვა || ვან ბუ-ვა-ყსა
შოტლო || შოტლონ ბუ-ყო-ყსა

ზმნის ზოგიერთ ფორმაში პირის ნიშანი წარმოადგენს ს უ ფ ი ქ ს ს.

კ ა ვ შ. I:

ზუ ქარ-ხა-ზ(←*ქარ-ხა-ზუ) — „მე ვიცხოვრო“ და ა. შ.
უნ ქარ-ხა-ნ(←*ქარ-ხა-ნუ)
შონო ქარ-ხა-ნე
ძან ქარ-ხა-ძან
ვან ქარ-ხა-ნან
შონორ ქარ-ხა-ყუნ

მ ყ ო ფ ა დ ი II:

ზუ ქარხალ-ზუ — „მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.
უნ ქარხალ-ლუ(←*ქარხალ-ნუ)
შონო ქარხალ-ლე(←*ქარხალ-ნე)
ძან ქარხალ-ძან
ვან ქარხალ-ლან(←*ქარხალ-ნან)
შონორ ქარხალ-ყუნ

ხშირად პირის ნიშანი სცილდება ფუძეს და ენკლიტიკურად მიერთვის წინა სიტყვას: იგი თითქოს წარმოადგენს პ რ ე ფ ი ქ ს ს.

აორისტი I:

ზე თე-ზ-ცამფი—„მე არ დავწერე“ ზუ გოლო-ზ-ცამფი—„მე ბევრი
და ა. შ. დავწერე“ და ა. შ.

უნ თე-ნ-ცამფი	უნ გოლო-ნ-ცამფი
შეტინ თე-ნე-ცამფი	შეტინ გოლო-ნე-ცამფი
ჯან თე-ჯან-ცამფი	ჯან გოლო-ჯან-ცამფი
ვაან თე-ნან-ცამფი	ვაან გოლო-ნან-ცამფი
შოტლონ თე-ყუნ-ცამფი	შოტლონ გოლო-ყუნ-ცამფი

მაგალითად:

ეხნე, თე ქულან განუ მაწი დ რე-ნე-ქარ ხესა. R 8₈—„ეუბნება, რომ ამადაამ ადგილას თეთრი დევი ცხოვრობს“.

სუნსუნახ შეთარ ბიყუნყესა, შეთარ პეტყუნბესა, თე პალენ-ალ გოგოლ-ყუნ-ლაჯსა. R 8₁₃—„ერთმანეთს ისე სტაცეს ხელი, ისე მოუ-ჭირეს, რომ ორივე ცაზე აღის“.

პურიტლო აჯესუნუნ-ბახტინ თე-ნან-კალ ფე ვან ბიხოლონ ფიტუხ ეჭახხ? მთ. 22, 31—„მკვდრეთით აღდგომისათვის არ წაიკითხეთ თქვენ ლეთისაგან ნათქვამი თქვენთვის“.

კუა ნანაჯ ბოხეცი დადალ-ტა-ბაქსა. R 8₁₄—„შინ დედას მოხარული მამალი აქეს“.

ზოგჯერ პირის ნიშანი ზმნის ფუძეს შორდება რამდენიმე სიტყვი-თაც კი.

მაგალითად:

საემა ვახტ ქენებაქსა, სა ყოჯა ქაჭტარ-რე (←ნე) ფასკალუნ-ტოა-ლოალ ესა. R 8₇—„რამდენიმე ხანი გადის, ერთი მოხუცი დედაბერი მეფესთან მოღის“: უნდა ყოფილიყო: „სა ყოჯა ქაჭტარ ფასკალუნ-ტოალოალ ენესა“.

შინ უსინ აათკაან, შოტინ-ყა-ან რქუზა ხე თადი. N—„ვინც ადრე დაილაპარაკოს, მან ხარს წყალი დააღევინოს: უნდა ყოფი-ლიყო:—„შოტინ რქუზა ხე თა-ყა-ან-დი“.

საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც ზმნის ფორმაში პირის ნი-შანი მოსალოდნელია, მაგრამ იგი არ დასტურდება. ასეთი მოვლენა სისტემატურად გვხვდება 3 პირში კითხვით წინადადებაში, როცა კით-ხვითი სიტყვა (კითხვითი ნაწილაკი) არის მასში.

მაგალითად:

ჟე შინ-ა-თადე ვა მე იხტიარა? ლჯ. 20, 2—„ან ვინ მოგცა შენ ეს ხელისუფლება?“

შგანა ელენ არესბაი-ნ იჩ ზორარუხ, ეტინ-ა ბაქო სერბეს შოტუხ?

ლკ. 14, 34—„თუ მარილი დაჰკარგავს თავის ძალას, რით შეიძლება მისი გამოკეთება?“.

ვა ეხყუნი სუნსუნა-ბომ: შინ თარა დალა-ა ენკენა ეენახ გვრამზინ ჩროზხოზ? მრკ. 16,3—„და უზნობდნენ ერთმანეთში: ვინ გადაგვიგორებს ქეას საფლავის კარიდან?“.

პილატენ ფინე შოტლო: ე ფისლულა-ა ბე ქატიინ? მრკ. 15, 14—„პილატემ უთხრა მათ: რა სიავე ქმნა მაგან?“.

§ 66. პირის ნიშანთა გენეზისისათვის უღურში. უღური ენის მკვლევრები იმთავითვე აღნიშნავენ პირის ნიშანთა კავშირს პირის ნაცვალსახელწიან¹². ოლონდ ეს კავშირი კონკრეტულად დასაბუთებული არ ყოფილა: პირველი და მეორე პირისთვის ეს თითქოს არცაა საჭირო, რადგანაც კავშირი თვალსაჩინოა (იხ. ტაბულები).

პირის ნაცვალსახელის ბრუნება

ბოუნეები	1 პირისა		2 პირისა		3 პირისა	
	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
სახელ.	ზუ	იან	უნ პუნ	ვან ეფიან	შონო	შონორ
ერგატ.	ზუ	იან	უნ პუნ	ვან	შეტინ	შოტლონ
ნათეს.	ბეზი	ბეში	ვი	ეფი ¹³	შეტაი	შოტლოი
მატ. I.	ზა	ია	ვა	ვა	შეტუ	შოტლო
მიტ. II.	ზახ	იახ	ვახ	ევახ	შეტუხ	შოტლოხ

პირის ნიშნება უღურში (ძირითადი ფორმანტება):

პირი და რიცხვი	სახელობით-ერგატული- ან სუბიექტური ზნაში		მიცემით-სუბიექტური ზნაში		ნათესაობით-სუბი- ექტური ზნაში
	ვართ.	ნიჭ.	ვართ.	ნიჭ.	ვართ. ¹⁴
მხოლ. რ.	1 პ.	ზუ ზ	ზუ ზ	ზა ზახ	ბეზ
	2 პ.	ნუ ნ	ნუ ნ	ვა ვახ	ვი
	3 პ.	ნე	ნე ე	ტუ ტუხ	ტაი ტა
მრავლ. რ.	1 პ.	იან	იან	ია იახ	ბეშ
	2 პ.	იან	იან	ეა ეახ	ეაი
	3 პ.	ეუნ	ტუნ	ეო ეოხ	ეოი ეო
				ეაბ ტუახ	
				ტოიოხ	

¹² ანუ ზახვასით მოუთხოვს ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ი: Notes, გვ. 155 შმდ.

¹³ ეფი—*ეფი (?).

¹⁴ ნიჭი რა მასდეს მაცემით-სუბიექტური ზნის უღვლალუბას (აქვე, გვ. 143 შმდ.)

ამ ტაბულათა განხალვა გვიჩვენებს, რომ პირველსა და მეორე პირში დაიხვეწა არსებითა. მცირეოდენი დაშორებაა მეორე პირში სახელობით-ეზგატივი-სუბიექტიან ზმნებში: უნ→უნუ, ვაან→ნან... რთული ვითარებაა მესამე პირში, მაგრამ, ვფიქრობთ, ფონეტიკურ ნიადაგზე ეს პირის ნიშნებიც აიხსნება: პირის ნიშნებად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაცუალსახელთა მეორე ნაწილი ფონეტიკურად სახეცვლილი. სახელდობრ:

a. სახელობით-ეზგატივი-სუბიექტიან ზმნაში მხოლ. რიცხვში: შო-ნო←შ ე-ნ ე-ო-ს ნ ე ელემენტი (§ 67). მრავლობით რიცხვში: შო ტ ღო ნ←შე-ტოღ-ონ-ის ტოღონ ნაწილი, სადაც *ტოღონ→*ტღონ→*ტღუნ→ყუნ: მკვეთრი ტ გადააქვევს ღ-ს ყ-დ ვართაშნულში. ნიჭურში კი პირობით დ იკარგება: *ტღუნ→ტუნ...

b. მიცეით-სუბიექტიან ზმნაშიც მხოლ. რიცხვში—ტუჲ || ტუჲ წარმოადგენს შე-ტუჲ || შე-ტუჲ—ფორმის მეორე ნაწილს, მრავლ. რიცხვში ანალოგიურად შოტღო || შოტღო-ის მეორე ნაწილი იძლევა ვართაშნულში: ტღო || ტღოხ→ყო || ყოხ, ნიჭურში *ტღოხ—ტოახ || ტუახ; || ტოღოხ→ტოაოახ.

c. ნათესაობით-სუბიექტიან ზმნებში: მხოლ. რიცხვში—ტაჲ || ტა მიღებულია შე-ტაჲ ფორმის მეორე ნაწილისაგან, მრავლ. რიცხვში კი შო-ტღოჲ-საგან: *ტღოჲ→ყოჲ→ყო...

დრო-კილოთა წარმოება უფრო ახალი

§ 67. ზოგადი შენიშვნა. უღურში დასტურდება 14 დრო-კილოს ფორმა; მათ შორის შედარებით ჭარბადაა წარმოდგენილი კავშირებითი და პირობით-ნატურითი კილოს ფორმები. პრინციპული მნიშვნელობისაა ის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში დრო-კილოთა წარმოებას ზოგჯერ კავშირი აქვს მიმდებარის resp. აბსოლუტივის ფორმებთან. განსაკუთრებით შეეხება ეს ნაშყოს. უღურში დადასტურებულ დრო-კილოთა უმრავლესობა თითქოს აგრეთვე უკავშირდება მიმდებარის (იყენებს მის მაწარმოებლებს), თუმცა ასეთი კავშირი ზოგჯერ ისე ცხადი არაა.

დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ უღურ ზმნას არ აქვს გრამატიკული კლას-კატეგორია. სამავაეროდ, უღურ ზმნაში წარმოდგენილია პირის აღნიშვნის ჩამოყალიბებული სისტემა.

დრო-კილოთა წარმოებაში უღური გვიჩვენებს სიახლოვეს ქართულსა და ქართველურ ენებთან... ეს სიახლოვე ზოგჯერ შეეხება ფორმათა აგებულების პრინციპს, სტრუქტურას, ზოგჯერ კი შეიძლება მიგვითითებდეს მარჯოლოგიურ ელემენტთა ენეტურ ერთიანობაზეც.

უღერი ენის დრო კალოთა ძირითადი ფორმები უკვე აღნიშნა და ასე თუ ისე დაახასიათა უღერის პირველმა მკვლევარმა ა. შიფნერმა, მანვე ძირითადად გაარკვია მათი ფუნქციები¹⁵. ა. შიფნერის მიერ წარმოდგენილ სქემას და ფაქტობრივ ვითარებას არსებითად იმეორებს ა. ღირი; მან თავის მხრივ მცირეოდენი დაზუსტება შეიტანა დრო-კალოთა წარმოებისა და მნიშვნელობის საკითხებში და შეავსო საილუსტრაციო მასალა¹⁶. უღერი ენის გრამატიკის ამ თავში ამდენად არსებითად ახალი მომენტების აღნიშვნა ფაქტობრივი ვითარების მხრივ მოსალოდნელი არ არის. საქმე შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ზოგიერთ საკითხს დრო-კალოთა წარმოებისას. ამ მხრივ ზოგჯერ გვხვდება არასწორი მოსაზრებანი და შეცდომებიც ორივე ავტორის ნაშრომში. ეს შეცდომები ზოგჯერ პრინციპული ხასიათის საკითხებსაც შეეხება. კერძოდ ორივე ავტორი ნათლად ვერ ითვალისწინებს დრო-კალოთა წარმოების ზოგად პრინციპს უღერში.

§ 68. ამოსავალი დრო-კალოთა საწარმოებლად. ამოსავალს დრო-კალოთა წარმოებისათვის უღერში წარმოადგენს ფუძე იმ ფორმისა, რომელიც მიჩნეული იყო ინფინიტივად (იქვე, § 79): ბ ე ს უ ნ — „კეთება“, ფ ე ს უ ნ — „თქმა“, ც ა მ ფ ე ს უ ნ — „წერა“, ქ ა რ ხ ე ს უ ნ — „ცხოვრება“, მ ა ნ დ ე ს უ ნ — „დარჩენა“, ბ უ ყ ს უ ნ — „ყვარება“... როგორია ამ ოდენობის შედგენილობა. ჭერ კიდევ ა. შიფნერი შეეცადა, გაერკვია ეს საკითხი. იგი ამბობს: „ინფინიტივი არის ზმნური სახელი, რომელიც ს უ ნ-ზე ბოლოვდება და რომელიც შეიძლება ვაბრუნოთ; დაბოლოება უ ნ-ის ჩამოცილებით ჩვენ მივიღებთ კომპოზიტებში გამოყენებულ ინფინიტივის ფუძეს“¹⁷... არსებითად ამასვე იმეორებს ა. ღირიც: „ს უ ნ არის ყველა უღერი ზმნის დაბოლოება განუსაზღვრელობით კალოში, იქნებიან ეს ზმნები პირვანდელნი, თუ ნაწარმოებნი“¹⁸.

როგორც ირკვევა, ორივე ავტორი ამ ფორმის დაბოლოებად გამოჰყოფს „ს უ ნ“ ელემენტს. ნამდვილად კი მის ფორმანტად უნდა მივიჩნიოთ „-უნ“ სუფიქსი: ბ ე ს -უნ — „კეთება“, ქ ა რ ხ ე ს -უნ — „ცხოვრება“. მ ა ნ დ ე ს -უნ — „დარჩენა“. ქ ა რ ხ ე ს -, მ ა ნ დ ე ს - და ა. შ. კვლავ იშლება, გამოიყოფა - ეს სუფიქსი. ცალკე მორფოლოგიურ და სინტაქსურ ოდენობად რჩება: ქარხ-ეს, მანდ-ეს და ა. შ. იგი წარმოადგენს სახელს.

¹⁵ ა. შიფნერი, Versuch, §§ 97—115 და §§ 174—180.

¹⁶ ა. ღირი, Грамм., გვ. 52 შპდ.

¹⁷ ა. შიფნერი, Versuch, § 91.

¹⁸ ა. ღირი, Грамм., გვ. 39.

მაგალითად:

ზუ ფალაზენა-ზ-ბაქო, თურელ-ალ ა ზ ე ს ბაქალ-თე-ზა. R 10, — „მე ფალასის მსგავსად შევიქნები, ფეხზე ადგომა ცკი არ შემეძლება“.

შეტაბახტინ-თე თე-ვა-ბაქო სა ფოფნუხ-ყა-ნ ე მაწიბეს ე მა-ინბეს. შთ. 5, 36 — „რადვანაც ვერ შესძლებ ერთი თმის ბეწვის გათეთრებას ან გაშავებას“.

ამგვარად ირკვევა, რომ დრო-კილოთა საწარმოებლად ამოსავალი ფორმა რთული შედგენილობისაა: მასში გამოიყოფა ორი -უნ და -ეს ფორმანტი. მაგრამ რას წარმოადგენს თვითონ ზმნის ფუძე უღურში?

უპირველეს ყოვლისა ყველა უღური ზმნა შეიძლება განვიხილოთ როგორც რთული, თხზული ფუძე. ამ ზმნებში გამოიყოფა საერთო ელემენტები, რომლებაც უნდა მივიჩნიოთ მეშველ ზმნებად. პირველ რიგში გამოიყოფა ამგვარი ფუნქციის ოთხი ფუძე, რომელნიც დამოუკიდებელი მნიშვნელობით იხმარებიან ცალკეც. ესენია: ბესუნ — „კეთება“, „делать“, ფესუნ — „თქმა“, „сказать“, ესუნ — „მოსვლა“, „прийти“, ბაქსუნ ← *ბაქესუნ — „გახდომა“ || „ყოფნა“, „сделаться“ || „быть“.

ეს ზმნები ახალი ზმნების საწარმოებლად დაერთვის ხან დამოუკიდებელი სემანტიკის მქონე ფუძეს, ხან კი ეტიმოლოგიურად ამჟამად გაუაზრებელ ოდენობას: აშ-ბესუნ — „მუშაობა, საქმობა“: აწ — „საქმე“; ხარჯ-ბესუნ — „ხარჯვა“: ხარჯ — „ხარჯი“; მა-ღ-ფესუნ — „მღერა“: მა-ღ — „სიმღერა“

ზოგ რთულ ფუძეში შემავალი ელემენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობით არ დასტურდება. მაგალითად:

კოწ?; კოწ-ბესუნ — „ვლუნაე“, „ვხრი“-; კალ?: კალ-ფესუნ — „უქძახი“, „ვეითხულობ“, „ესწავლობ“...

აღსანიშნავია, რომ უღვლილების პროცესში პირის ნიშნები დაისმის, როგორც წესი, ამ ბესუნ, ფესუნ. ესუნ, ბაქსუნ და ა. შ. მეშველი ზმნების წინ (§ 65).

აშ-ბესუნ:

ზუ აშ-ზუ-ბსა — „მე ვმუშაობ“

უნ აშ-ნუ-ბსა — „შენ მუშაობ“

შეტინ აშ-ნე-ბსა — „ის მუშაობს“

ჟან აშ-ჟან-ბესა — „ჩვენ ვმუშაობთ“

ეჟან აშ-ჟან-ბესა — „თქვენ მუშაობთ“

შოტლონ აშ-ყუნ-ბესა — „ისინი მუშაობენ“...

ზემოსხენებული მეშველი ზმნების ფუნქციით დასტურდება სხვა ფუძეებიც, რომელთაც დამოუკიდებელი სემანტიკა არ აქვთ. ასეთებია:

*ესუნ, *პესუნ, *დესუნ, *ტესუნ, *კესუნ, *ქესუნ, *ღესუნ, *ყესუნ, *გესუნ.

მაგალითად:

ზაპესუნ — „გაწევა“, „მოწევა“, უღესუნ — „სვამს“

კუწ-დესუნ — „მიაყუდებს“, „ღამს“, ქარ-ხესუნ —

„ცხოვრობს“

ქაჭ-ტესუნ — „მოახვედრა“, *ბი-ყესუნ (! ბი-ყსუნ) — „იჭერს“

ცივ-კესუნ — „ჩამომყავს“, ბურ-ჯესუნ — „იწყებს“

ეს გამოყოფილი ოდენობები გვიჩვენებენ: ბესუნ, ფესუნ... მეშველ ზმნათა ფუნქციას და უღვლილების პროცესში პირის ნიშნები ამ შემთხვევაშიც დაისმის მათ წინ:

ზუ კუწ-ზუ-სტა (*კუწ-ზუ-დესა) — „მე ვღამ“, „ვყაყუდებ“, „მე კუწ-მან-დესა — „ჩვენ ვღამთ“; ზუ ქარ-ზუ-ხსა ← *ქარ-ზუ-ხესა) — „მე ვცხოვრობ“, „მე ქარ-მან-ხესა — „ჩვენ ვცხოვრობთ“ და ა. შ.

ფონეტიკური თვალსაზრისით ამ «მეშველი ზმნების» დაჯგუფება თითქოს ხერხდება ამგვარად: I. ბ-ეს-უნ, ფ-ეს-უნ, პ-ეს-უნ, II. დ-ეს-უნ, ტ-ეს-უნ, III. კ-ეს-უნ, ქ-ეს-უნ, ხ-ეს-უნ, IV. ყ-ეს-უნ, გ-ეს-უნ.

ამგვარადვე ბაქსუნ თითქოს იშლება: ბაქ-ეს-უნ (შდრ. ბა-ნე-ქსა — „არის“).

თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს ესუნ მეშველი ზმნა. მეშველ ზმნათა ანალიზი თითქოს გვაგვარაულებინებს, რომ მათში ყველგან შედის *ეს-უნ ფუძე: ბ-ეს-უნ, ფ-ეს-უნ, დ-ეს-უნ და ა. შ. იმავე დროს „ესუნ“ — „მოსვლა“ იხმარება დამოუკიდებელი სემანტიკითაც. გასარკვევია მათი მიმართება.

უნდა აღანიშნოს, რომ ეს «მეშველი» ზმნები განაწილებულია გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის. ბაქსუნ და ესუნ აწარმოებენ გარდაუვალ ზმნებს, ხოლო დანარჩენი ფუძეები გარდამავალ ზმნებს. თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება ამ მეშველი ზმნების საწინააღმდეგო მნიშვნელობით ხმარებაც.¹⁹

§ 69. დრო-კილოთა წარმოების ძირითადი პრინციპები. უღური ზმნა ამჟღავნებს დრო-კილოთა ფუძეების წარმოების რამდენადმე ისეთ-

¹⁹ საყურადღებოა, რას წარმოადგენენ თანხმობითი ელემენტები ამ მეშველ ზმნებში, აგრეთვე როგორია სემანტიკა იმ ზმნების ფუძეებისა, რომელნიც დამოუკიდებელ ოდენობას არ წარმოადგენენ ამჟამად. ამ საკითხების გარკვევა, ალბათ, შესაძლებელი გახდება მონათესავე ლეზგიური ენების მონაცემების გათვალისწინების შემდეგ.

სავე პრინციპს, როგორც დამახასიათებელია ქართულური ენების ზმნისათვის. უღუღრში დადასტურებული დრო-კილოთა თოთხმეტი ფორმა²⁰ ფუძის აგებულების მიხედვით ჰქმნის სამ ჯგუფს: თითოეული ჯგუფისათვის განკუთვნილია საკუთარი ფუძე იმგვარადვე, როგორც ეს ხდება ქართულურ ენებში.²¹

დრო-კილოთა დაჯგუფება ზოგადად ნათელია შემდეგი ტაბულით (ანალიზი იხ. ქვემოთ). ტაბულაში უღური ზმნის ყველა დრო-კილოთა განაწილებულია სამი ჯგუფის მიხედვით.

ქ ა რ ხ ე ს უ ნ — „ცხოვრება“.

დრო -კილოთა დასახელება ²²	ზმნის ფორმა	ნიშანი
I. დრო-კილოთა I ჯგუფი:		
1. აწმყო	ქარ-ზუ-ბ-ს-ა	-ა
2. ნამყო უსრული	ქარ-ზუ-ხ-ს-ა-ა	-ო—-ა
II. დრო-კილოთა II ჯგუფი:		
3. აორისტი I.	ქარ-ზუ-ხ-ი	-ი
4. ნაწლაკოვანი კავშირებით	ქარ-ყა-ზ-ხ-ი	ნაწლაკი -ყა
5. აორისტი II.	ქარ-ზუ-ხ-ე	-ე
6. ნამყო წინარეწარსული	ქარ-ზუ-ხ-ე-ა	-ი—-ა
7. პირობით-ნატურიითი ნაწილაკოვანი	გი-ზ-ქარ-ხ-ე-ა	ნაწილაკი -გი
8. კავშირებითი I.	ქარ-ხ-ა-ზ	-ა-
9. კავშირებითი II.	ქარ-ხ-ა-ზუ-ა	-ი—-ა
10. ბრძანებითი კილო 2 პირისა	ქარ-ხ-ა	იმეორებს კავშირ. I-ს (პირის ნიშნის გარეშე). -ო
11. მყოფადი I.	ქარ-ზუ-ხ-ო	-ო
12. პირობით-ნატურიითი I.	ქარ-ზუ-ხ-ო-ა	-ი—-ა
III. დრო-კილოთა III ჯგუფი		
13. მყოფადი II.	ქარ-ხ-ა-ლ-ზუ	-ა-ლ-(აწმყო-მყოფადის მიმღობით)
14. პირობით-ნატურიითი II.	ქარ-ხ-ა-ლ-ზუ-ა	-ი—-ა

I. დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია ზმნის გავრცობილი ფუძე: ქარ-ხ-ეს-; გასავერცობ ელემენტს წარმოადგენს -ეს სუფიქსი. დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებში ფუძე

²⁰ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 25 წმდ.; ა. დირო, Грамм., გვ. 52 წმდ.

²¹ ა. შანძე, ქართ. გრამ. საფ., გვ. 208 წმდ.; ვ. თოფური, სეან. ენა, გვ. 72 წმდ.; არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალ., გვ. 130 წმდ.

²² ოლონდ ვითარება ქართულურ ენებში გაცილებით უფრო რთულია და ფუძის აგებულების საკითხიც იქ სხვაგვარად ისმის. დრო-კილოთა კვალიფიკაცია და ტერმინოლოგია რამდენადმე პირობითია: ვეყრდნობით ქართული ენის ვითარებას და მას მიხედვით განესაზღვრავთ დრო-კილოთა ფუნქციას. ფორმა მოკემულია პირველ პირში: პირის ნიშანი: -ზუ-—-ზ-.

წარმოდგენილია ამ -ეს ელემენტის გარეშე: ქარ-ხ. III ჯგუფის დრო-კილოების ფუძედ კი გვევლინება აწმყო-მყოფადის მიმდებობა, რომლის საწარმოებელი ელემენტია -ალ სუფიქსი: ქარხ-ალ—„მცხოვრები“ (§ 80). საყურადღებოა ფუძის გასავრცობი -ეს ელემენტი, რომელიც თავისი ფუნქციით თითქოს ეთანაბრება ქართული ზმნის თემის ნიშნებს.

2. თითოეულ დრო-კილოს აქვს თავისი საკუთარი მორფოლოგიური ნიშანი, ყველგან სუფიქსი და ყველგან ხმოვანი. იმავე დროს ზოგიერთი დრო-კილოს ფორმას ახასიათებს მრჩობლი წარმოება: ფორმა ემყარება დროს ან კილოს მთლიან ფორმას (არა ფუძეს).

დრო-კილოთა საწარმოებელ ელემენტებად გამოიყოფა: სუფიქსი -ა: აწმყოში და კავშირებით I-ში (განირჩევიან ფუძის შედგენილობით); სუფიქსი -ი: I აორისტში (დამოუკიდებლად) და სხვა ფორმაზე დართვით: ნამყო უსრულში, ნამყო წინარეწარსულში, კავშირებით II-ში, პირობით-ნატვრით II-ში; სუფიქსი -ე: აორისტში; სუფიქსი -ო: I მყოფადში.

თავისებური წარმოებაა ნაწილაკოვან კავშირებითსა (გვ. 161) და ნაწილაკოვან პირობით-ნატვრითში (გვ. 164): ამ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია ნაწილაკები -ყა და -გი. მყოფადი II იწარმოება მიმდებობის ფორმიდან ოდენ პირის ნიშნის დართვით (სავარაუდოა, რომ აქ ჩამოცილებულია მეშველი ზმნა ბუ—„არს“).

3. პირის ნიშნებად წარმოდგენილი ფორმანტები გენეტურად უკავშირდებათ სათანადო ნაცვალსახელებს. პირის ნიშნის ადგილმდებარეობა ფორმაში არაა მკვიდრი: იგი შეიძლება მოგვევლინოს სუფიქსად, ინფიქსად და შეიძლება ენკლიტიკურად მიერთოს ზმნის ფუძის წინ მოთავსებულ სიტყვას. ასეთი ვითარება უნდა აინსებოდეს იმით, რომ უდურში ჩვენ ვხვდებით ენობრივი განვითარების ისეთ საფეხურს, როცა პირის კატეგორიის გამოხატვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი სავსებით არ დასრულებულა.

§ 70. დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ფორმები. დრო-კილოთა პირველ ჯგუფში შედის ორი ფორმა: თხრობითი კილოს აწმყო და ნამყო უწყვეტელი. ძირითადია აწმყო, ხოლო მისგან იწარმოება ნამყო უწყვეტელი.

1. თხრობითი კილოს აწმყოს მაწარმოებელია -ა—სუფიქსი როგორც ვართაშნულში, ისე ნიჭურში.

ვართ. მხოლ. რ.

ზუ ქარ-ზუ-ხს-ა←*ქარ-ზუ-ჩ-ეს-ა—„მე ვცხოვრობ“ და ა. შ.

უნ ქარ-რუ-ხს-ა←*ქარ-ნუ-ხ-ეს-ა

შონო ქარ-რე-ხს-ა←*ქარ-ნე-ხ-ეს-ა

მრავლ. რ. მან ქარ-მან-ხეს-ა

ვან ქარ-რან-ხეს-ა←*ქარ-ნან-ხ-ეს-ა

შონორ ქარ-ყუნ-ხეს-ა...

მაგალითად;

ფასქალ ქენესა, ბენელსა, აყენესა. R 8₆—„მეფე გამოდის, ზედავის, ჰევირდება [უკვირს]“...

შეტაბახტინ-თე იროდენ ბუტუყსა ალაახ ჭურუკანე. მთ. 2,13—„რადვანაც იროდს ჰსურს, ბავშვი მოსძებნოს“.

ხელლებსა ჰარ დრვნუხ საყათირუნ-ლახო. R 8₄—„ტეცარ-თავს ყოველ დევს თითო ვირზე“.

ა. შიფნერი აწმყოს მაწარმოებლად უმართებულად გამოჰყო „სა II ესა“, იგი ამბობს: „აწმყოს ნიშანია სა, რომელიც ესა-სგან არის მიღებული“²³. ნამდვილად „ეს-“ დრო-კილოთა I ჯგუფის ფუძის საწარმოებელია, აწმყოს სუფიქსი კი „-ა“ არის. ა. დირი გამოჰყოფს სწორ ფორმანტს, მაგრამ ფუძის საკითხი მასაც ნათლად არა აქვს გათვალისწინებული²⁴.

სუფიქსი -ა იწვევს რედუქციას ფუძის ბოლო მარცვალში იმ შემთხვევაში, როცა „-ეს-“ ელემენტის წინ მხოლოდ ერთი თანხმოვანია და ის ხურავს წინა მარცვალს. ამ რედუქციის წმდგე გარკვეულ ფუძეებში ხდება ბეგრათა გადასმაც: თოგ დესუნ—„გაყიდვა“: *თოგ-ზუ-დესა→თოგ-ზუ-დს-ა→თოგ-ზუ-სტ-ა...

აწმყო

მხ. რ. ზუ თოგ-ზუ-სტ-ა—„მე ყყიდი“ ა. შ.

უნ თოგ-ნუ-სტ-ა

შეტინ თოგ-ნე-სტ-ა

მრ. რ. მან თოგ-მან-დეს-ა

ვან თოგ-ნან-დეს-ა

შოტრლონ თოგ-ყუნ-დეს-ა

ზუ მან-ზუ-სტ-ა—„მე ვრჩბი“ და ა. შ.

უნ მან-ნუ-სტ-ა

შონო მან-ნე-სტ-ა

²³ ა. შიფნერი, Versuch, § 101.

²⁴ შდრ. ა. დირი, Грамм., გვ. 52: „ა—характер настоящего времени. Он приставляется к глаголу, лишённому окончания-и“. აქვე რადეე მსკელოან სხვა მკვლევრებაც: მაგალათად, ე. დიუმეზილი, Intro., გვ. 121.

ჟან მან-ჟან-ღეს-ა

ეჟან მან-ნან-ღეს-ა

შონორ მან-ყუნ-ღეს-ა

ერთი რაგი ზმნათა, რომელთა შედგენილობაში შედის „ფესუნ“, აწმყოში ფუძეს იცვლის:

კალ ფესუნ — „წაკეთება“, „დაძახება“:

მხ. რ. ზუ კალ-ზუ-ეხ-ა — „მე ვკიობხლობ“ და ა. შ.

უნ კალ-ლუ-ეხ-ა ← კალ-ნუ-ეხ-ა

შეტინ კალ-ლეხ-ა ← კალ-ნე-ეხ-ა

მრ. რ. ჟან კალ-ჟან-ეხ-ა

ეჟან კალ-ღან-ეხ-ა ← *კალ-ნან-ეხ-ა

შოტლონ კალ-ყუნ-ეხ-ა

ნიჯურში შეინიშნება ზოგი თავისებურება, რაც აწმყოს წარმოების პრინციპს არ სცვლის.

ნიჯ. მხ. რ. ზუ ქარ-გზ-ხს-ა ← *ქარ-ზუ-ეხ-ა — „მე ვცხოვრობ“

და ა. შ.

ჰუნ ქარ-გნ-ხს-ა

შონო || შოო ქარ-ე-ხს-ა

მრ. რ. ჟან ქარ-ჟან-ხს-ა

ეჟან ქარ-ნან-ხს-ა

შოროხ ქარ-ტუნ-ხს-ა

თავისებური ფორმებს იძლევა ნიჯურში აგრეთვე ფესუნ ზმნა.

კალ-ფესუნ — „დაძახება“, ფესუნ — „თქმა“

მხ. რ. ზუ კალ-გზ-ნე — „მე ვუძახი“ და ა. შ.

ჰუნ კალ-გნ-ნე

შოტინ კალ-ე-ნე

მრ. რ. ჟან კალ-ჟან-ნე

ეჟან კალ-ნან-ნე

შოტროლონ კალ-ტუნ-ნე || კალ-ე-ნე

მხ. რ. ზუ-ნეხ-ზუ — „მე ვეუბნები“

ჰუნ ნეხ-ნუ

შოტინ ნეხ-ე

მრ. რ. ჟან ნეხ-ჟან

ეჟან ნეხ-ნან

შოტროლონ ნეხ-ტუნ

მაგალითად:

ზამან არესტა ქარნუჟ-ტოალოალო, ბურტუნჯსა უქსა. N — „ზამანი ჯდება ღედაპრის გვერდით. იწყებენ ქამას“.

სიჭტინტო ლანეხსა იზ თორაჟა. N — „თავდაპირველად დებს თავის ჩანთას[ში]“.

ხუნჩენ ბეანეხსა, ვიჩი თე-ნე-ციოეისა. N—„და ხედავს, ძმა არ ჩამოდის“.

ბიძას ხეიარ, ან ნანა—ნეხე ზამანენ. N—„სალამო მშვიდობისა, დედავე!—ეუბნება ზამანი“.

2. ნამყო უწყვეტელი იწარმოება აწმყოს ფორმიდან: მისი მაწარმოებელია -ი→-ე სუფიქსი. ა. შიფნერი და ა. დირიცი მხოლოდ მარცვლოვან „ი“-ს აღნიშნავენ.

ნამყო უწყვეტელი

მხოლ. რ. ზუ ქარ-ზუ-ხს-ა-ე ← *ქარ-ზუ-ხეს-ა-ი—„მე ვცხოვრობ-
დი“ და ა. შ.

უნ ქარ-რუ-ხს-ა-ე ← *ქარ-რუ-ხეს-ა-ი

შონო ქარ-რე-ხს-ა-ე ← *ქარ-რე-ხეს-ა-ი

მრავლ. რ. დან ქარ-დან-ხს-ა-ე

ვან ქარ-რან-ხს-ა-ე ← *ქარ-რან-ხეს-ა-ი

შონო ქარ-ყუნ-ხს-ა-ე

მხოლ. რ. ზუ *კალ-ზუ-ეხ-ა-ე → კალზუხა — „მე ვუძახდარ“ და ა. შ.

უნ *კალ-ნუ-ეხ-ა-ე → კალლუხა

შეტინ *კალ-ნე-ეხ-ა-ე → კალლეხა

მრავლ. რ. დან კალ-იან-ეხ-ა-ე

ვან კალ-ლან-ეხ-ა-ე

შოტლონ კალ-ყუნ-ეხ-ა-ე

მაგალითად:

ვართ.: ვა ე ყ უ ნ ჩ ე ს ა ე შეტა-ტოლოლ ბჷთჷნ აზარულოხ. მთ. 4, 24 —
„და მოჰყავდათ მასთან ყველა ავადმყოფი“.

ბჷთჷნ იორდანუნ ჰანდავარმულოხო ჰე ყ უ ნ ს ა ე შეტა-ტოლოლ.
მთ. 3, 5 — „მთელი იორდანეს მიდამოთაგან გამოდისოდნენ
მასთან“.

შეტაბახტინ-თე შონო ბ უ ყ უ ნ ი ჩალიბიყალუხ. მთ. 4, 18 — „რად-
განაც ისინი იყვენენ მეთევზენი“.

კოკოცენ ლენახ სა გოგლა-ნე-ლახსაე. ДГр 64, — „ქათამი
დღეში ერთ კვერცხს დებდა“.

ნამყო უწყვეტელი ნიჯურშიცი იწარმოება -ი→-ე სუფიქსით:

მხოლ. რ. ზუ ქარ-გუ-ხს-ა-ე

ჰუნ ქარ-გნ-ხს-ა-ე

შო ქარ-ე-ხს-ა-ე

მრავლ. რ. დან ქარ-დან-ხს-ა-ე

ვან ქარ-ნან-ხს-ა-ე

შოროხ ქან-ტუნ-ხს-ა-ე

მაგალითად:

მე ბახტავარ ააზე ქარ-ე-ხ ს-აა სა დრვლპტუ ქულჰპთ. N—
„ამ ბედნიერ სოფელში ცხოვრობდა ერთი შეძლებული ოჯახი“.

სა ბიასინ არცეტუნია, შუმ-ტუნ-უქსაა. N—„ერთ საღამოს
ისხდნენ, პურს ქამდნენ“.

შოტინ ენეჰსაა ყვრხ ჩუტუხ. N—„ის ინახავდა [ჰყავდა]
ორმოც ცოლს“.

§ 71 დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფორმები. ამ ჯგუფის ფორმებში
გამოყენებულია „-ეხ“ ელემენტით შეკვეცილი ფუძე: I ჯგუფის
ფუძე: ქარ-ხ-ეს-, ბიყ-ეს-; მეორე ჯგუფში იქნება: ქარ-ხ-, ბიყ-
ფუძე. მეორე ჯგუფში ოთხი წრე გამოიყოფა: თვითოეულს საფუძვლად
უდევს ერთი ძირითადი ფორმა, დანარჩენებს აქვთ ორმაგი საწარ-
მოებელი. მთელი ჯგუფისათვის ძირითადად უნდა მივიჩნიოთ აორი-
სტი I: მისი მაწარმოებელი -ი გვხვდება სხვა დრო-კილოების შედგენი-
ლ ფორმანტებშიც. დრო-კილოთა II ჯგუფში შემდეგი ფორმები
დასტურდება:

1. აორისტი I. მისი საწარმოებელია ორივე კილოში „-ი“, რომე-
ლიც უშუალოდ ერთვის ფუძეს. ნიჭურში შეინიშნება ოლონდ ის თავი-
სებურება, რომ აუსლაუტში -ი-ს ზოგჯერ მოსდევს -ა.

ქარ-ხ-ეს- უნ: ფუძე: ქარ-ხ-
ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ჴუ-ხ-ი—„მე ვიცხოვრე“ და ა. შ.

უნ ქარ-რუ-ხ-ი←*ქარ-ნუ-ხ-ი
შონო ქარ-რე-ხ-ი←*ქარ-ნე-ხ-ი

მრავლ. რ. ხან ქარ-ჴან-ხ-ი
ვან ქარ-რან-ხ-ი←*ქარ-ნან-ხ-ი
შონორ ქარ-ყუნ-ხ-ი

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-გჴ-ხ-ი || ქარ-გჴ-ხ-ია
ჰუნ ქარ-გნ-ხ-ი || ქარ-გნ-ხ-ია
შოო || შონო ქარ-ე-ხ-ი || ქარ-ე-ხ-ია

მრავლ. რ. ხან ქარ-ჴან-ხ-ი || ქარ-ჴან-ხ-ია
ვან ქარ-ნან-ხ-ი || ქარ-ნან-ხ-ია
შონორ ქარ-ტუნ-ხ-ი || ქარ-ტუნ-ხ-ია

მაგალითად:

ვართ.

ვაბუნახ აკესხოლან შონორ მუტყუუნ-ბაქი. მთ. 2,40—„ვარ-
სკვლავის დანახვისთანავე მათ გაეხარდათ“.

შეტინ ჰაშეთარ წილინება: ბოჯკი ჩიყუნჩესა. R 11₁₁—„იგი ისე
ყვირის: დავიწვი ამოჰყავთ“.

ბოშნედი კიოტოხო-ოყა სა ქერა-ბოშ, თე ბუთუნტინ ჩუ-
ყანდი იჩ ჩ'რელ. ДГр 91₁—„ჩაფლა ნახევარზე ქვემოთ ორმოში, რომ
ყველამ შეაფურთხოს მის სახეზე“.

არიყუნ ერუსალიმა ბილიჯიუხ ზეიდ-ქელალ ამეხო. მთ. 2,1—
„მოვიდნენ იერუსალიმს ბრძენნი [მოგვნი] აღმოსაველეთის მხრითგან“.
ნიჯ'

ჩულონ კალეფი ზა, მულურ-გ ზ-ბ აქი. N—„ცოლმა დამი-
ძახა მე, გავიღვიძე“.

აზლოლონ ჩარკეტუნიე იჩაე პარსა აშლა N—„სოფლელებმა
გაათავეს თავისი ყოველი საქმე“.

ზაქარან იზ-ტოლოლო არცეს-ე-დი იზ ეზნა მინასა. N—„ზაქა-
რამ თავისთან დაისვა მისი სიძე მინასი“.

ბეაინშენ ყა იზბაშინენ თაზაჯა ეხტილათა ბურკეტუნიე, დარ-
ვაზინახუნ კალტუნიე. N—„მღვდელმა და მამასახლისმა ახალი ამბის
თხრობა დაიწყეს, კართან დაიძახეს“.

ბეშ ექურლონ თაფიე ბიე, ბესტუნბი ამდარხო. N—„ჩვენმა
ცხენებმა ჩაწიხლეს, დახოცეს ხალხი“.

აორისტი I-ის წარმოება ა. შიფნერს საზოგადოდ სწორად აქვს
გაგებული. არაა ნათელი ოლონდ, თუ რას გულისხმობს იგი, როცა
ამბობს, რომ „-ი“ ფუძის ბოლო ხმოვანს ჰკვეცსო... მოყვანილი მაგა-
ლითები: ბესუნ—„კეთება“: აორ. I: ბ-ი, დესუნ—„კეთება“: აორ. I:
დ-ი... ამ დებულების დასამტკიცებლად არ გამოდგება. როგორც ჩანს,
თანხმოვნის მომდევნო „ე“ (ბე-) ა. შიფნერს ფუძის კუთვნილებად
მიაჩნია. ნამდვილად კი—იგი „-ე“-„ელემენტის ნაწილია და დრო-კილოთა
მეორე ჯგუფში -ე-ს მთლიანად იკვეცება.

2. ნაწილაკოვანი კავშირებითი უშუალოდ იწარმოება
აორისტი I-ისაგან, მას საკუთარი ფორმანტი არა აქვს. იგი იყენებს
აორისტი I-ის ფორმას, რომელსაც დაერთვის „ყა“ ნაწილაკი²⁵. წარ-
მოების პრინციპით და მნიშვნელობით ეს ფორმა ემსგავსება ძვ. ქარ-
თულში დადასტურებულ ფორმას მცა ნაწილაკით²⁶.

ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ყა-ზ-ხ-ი—„მე ვიცხოვრე-მცა“ და ა. შ.

უნ ქარ-ყა-ნ-ხ-ი

შონო ქარ-ყა-ნ-ხ-ი

მრავლ. რ. ღან ქარ-ყა-ღან-ხ-ი

ვან ქარ-ყა-ნან-ხ-ი

შონორ ქარ-ყა-ყუნ-ხ-ი

²⁵ „ყა“ გვხვდება ცალკეც კავშირი „და“-ს მნიშვნელობით (§ 84): ბეზლ ყა ზაშ...
—„მზე და მთვარი“

²⁶ ჩვენი: ნაწილ. კავშირ. უღურ ენაში, «საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე», ტ. III
(1942), №8.

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ყა-ზ-ხ-ი || ქარ-ყა-ზ-ხ-ი ჟ

ჰუნ ქას-ყა-ნ-ხ-ი

შოო ქარ-ყა-ნ-ხ-ი

მრავლ. რ. ჟან ქარ-ყა-ჯან-ხ-ი

ჯან ქარ-ყა-ნან-ხ-ი

შოროხ ქარ-ყა-ტუნ-ხ-ი

მაგალითად:

ვართ.

შონორ იჩლო მურადა-ყა-ყ უ ნ-ბ ა ფ ი, ჟან-ალ ბეშ მურადა. **ДГР** 86— „მათ თავიანთ სურვილს მი აღ წ ი ო ნ [მი აღ წ ი ე ს-მცა], ჩვენ--- ჩვენს სურვილს“.

ბართა მეთარ ხა შყ ა ნ ბ ი ე ჟ ხა შე ნ ხა ლხ ნ ა-ბეშ, შეტბახტინ-თე შოტლო-ალ ე ჟ შე ლ ა შ ლ ა ხ ა კ ი ო გ მ ი შ-ყ ა-ყ უ ნ-ბ ი ე ჟ გ ო გ ნ ა ბ ა ბ ა ხ. შთ. 5, 16— „დაე, ასე ანათოს თქვენმა ნათელმა ხალხის წინაშე, რათა მათაც ნახონ კარგი საქმე და აღიღონ თქვენი ციური მამა“.

ნიჯ.

ყანბან ნეხე ჟეზნა:— ლ ა ლ-ყ ა-ნ-ბ ა ქ ი ვ ი მ უ ზ... N— „სიმამრი ეუბნება სიძეს:— დამუნჯდეს [დამუნჯდა-მცა] შენი ენა“...

ჯანბან-ყა-ნ-პური ვი რქუზ-ალ, ჰუნ-ალ იზ-ლოხოლ. N— „ჯანბან-მას მოკვდეს შენი ხარიც, შენც მას ზედა“.

ხეჯირ-ყა-მ-ბაქი ჟე მი ჟა ე ჟ ს უ ნ. N— „კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა“.

3. ა ო რ ი ს ტ ი II. მას აწარმოებს „-ე“ სუფიქსი. მისი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა აორისტი I-ის მნიშვნელობას. თუმცა ცდილობენ ამ ორი დროის გარჩევას და მათ შორის ფუნქციების განაწილებას, მაგრამ დღევანდელს უღურში ეს დიფერენციაცია აღარ შეინიშნება. ორივე ეს ფორმა გავრცელებულია ჩვეულებრივ და ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. დასტურდება ფორმები:

ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ზუ-ხ-ე— „მე-ვიცხოვრე“ და ა. შ.

უნ ქარ-რუ-ხ-ე

შონო ქარ-რე-ხ-ე

მრავ. რ. ჟან ქარ-ჯან-ხ-ე

ჯან ქარ-რან-ხ-ე

შონორ ქარ-ყუნ-ხ-ე

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ე²⁷— „მე ვიცხოვრე“ და ა. შ.

ჰუნ ქარ-ხ-ე-ნ

შოო ქარ-ხ-ე-ნე

²⁷ პირი ნიშნები ჩვეულებრივ დასტურდება ბოლოში; შეიძლება გვქონდეს: ქარ-ჯუ-ხ-ე და ა. შ.

მრავლ. რ. იან ქარ-ხ-ე-ჯან || ქარ-ხ-ი-ჯან
ჯან ქარ-ხ-ე-ნან
შორობ ქარ-ხ-ე-ტუნ

მაგალითად:

ვართაშნული:

ეგიპტანო კალსუფე ზუ ბეზ ღარახ. მთ. 2, 15— „ეგვიპტით მო-
ვეუწოდე მე ჩემს ძეს“.

ვახ მე გაბუნ-ალ, მატუხ-თე აყოკე შოტლო ბეღ-ქელალაქ, თა-
ნესაჲ შოტლოხო-ბეშ“. მთ. 2, 9— „და ეს ვარსკვლავიც, რომელიც დაი-
ნახეს მათ აღმოსავლეთისაკენ, მიდიოდა მათ წინ“.

ჲა აჯაკე შეტა გაბუნახ ბეღ-ქელალაქ ვახ არეჯან შოტუ
ბულკოწბესან. მთ. 2, 2— „ჩვენ დავინახეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავ-
ლეთისაკენ და მოვედით მისთვის თაყვანის საცემად“.

ნიჯური:

ხაბარ პანეჲსა პარსა გალა, ქი აიზინ აქდაპინა ბესპენე ზამა-
ნენ. N— „ამბავი აღწევს ყველგან, რომ სოფლის ავი სული მოჰკლა
ზამანმა“.

...ქი ბეზ ნანან ზა თე-ნე-ბარ-ე მე აყენ თაჲსა. N— „რომ დედა-
ჩემმა არ გამიშვა ამ გზით წასვლა“.

ბეზ კოყინ ქქლჭაჲთ ბჷთჷმ თარგ-ნაქენე, მანდეჲ ჰამე აი-
ლინ უმუდინა. N— „ჩემი ოჯახის წევრები მთლად დაიღუპნენ, და-
ვრჩი აი ამ ბავშვის იმედზე“.

იზ-ბოშ ბაქალა თანგინა-ალ თა შერენე, პურუმ თე-ჲ-აჲთპიჲო.
N— „მასში მყოფი ფულიც წაიღო, კვლავ არ დავილაპარაკეო“.

ჲ. ნამყო წინარეწარსული. ნამყო წინარეწარსული იწარ-
მოება აორისტი II-ის ფორმისაგან -ი→ჲ სუფიქსის დართვით.

ვართ. მწოლ. რ. ზუ ქარ-ჲუ-ხ-ე-ჲ — „მე ვიცხოვრე (მიცხოვრია)“ და ა. შ.

უნ ქარ-რუ-ხ-ე-ჲ

შონო ქარ-რე-ხ-ე-ჲ

მრავლ. რ. ჲან ქარ-ჯან-ხ-ე-ჲ

ვან ქარ-რან-ხ-ე-ჲ

შონორო ქარ-ყუნ-ხ-ე-ჲ

ნიჯ. მწოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ე-ჲუ-ჲ — „მე ვიცხოვრე“ და ა. შ.

ჰუნ ქარ-ხ-ე-ნუ-ჲ

შოო ქარ-ხ-ე-ნე-ჲ

მრავლ. რ. ჲან ქარ-ხ-ე-ჯან-იჲ

ვან-ქარ-ხ-ე-ნან-იჲ

შორობ ქარ-ხ-ე-ტუნ-იჲ

მაგალითად:

ვართაშნული

აბთ-ყუნ-თა დეა — „[Sie] hatten das Wort gegeben“, შფნ., გვ. 27.

ზუ ბეზ წიას ჭაპაზუბეა, შეტინ ნა-გი-ნ-ფეა — „მე ჩემ სახელს დავმალავდი, მას რომ არ ეთქვა“.

ნიჯური:

ბოყოღინ გუნდლოღა-ტოლოღა არ ცენეა, სოღო-სოღო ყუჭენეა — „ცომის გუნდათა გვერდით მიმჭდარა, თითო-თითო გაღა-უყლაპავს“.

პაო უსენ-ე, შოტო ზუ შაიი-შაიი, მანეთ-მანეთ გირბეზუა. N — „ორი წელია, ის მე შაურ-შაურობით, მანეთ-მანეთობით [მო]მიგრავებია“.

5. პირობით-ნატვრითი ნაწილაკოვანი. პირობითი და ნატვრითი კილო უღურში ერთმანეთისაგან მკვეთრად არაა გამიჯნული: შესატყვისი ფორმები იძლევიან ორივე კილოს გაგებას, საკუთრივ ნატვრითი და პირობითი კილოსათვის დასტურდება სამი ფორმა (ამავე შინაარსით კავშირებითის ფორმებიც იხმარება). ამ ფორმებში ორს აქვს ორგანული წარმოება, ერთი კი იწარმოება „გი“ ნაწილაკის საშუალებით, რომელიც დაერთვის ნამყო წინარეწარსულის სრულ ფორმას. ნაწილაკი „გი“, განსაკუთრებით ნიჯურ კილოში, შეიძლება ფონეტიკურადაც იცვალოს: გი→ღი→ჟი. ეს ნაწილაკი დამოუკიდებლად დღევანდელს უღურში აღარ დასტურდება. საექვოა, რომ იგი დამოუკიდებლად არსებულებით ა. შიფნერის დროსაც, თუმცა იგი მას მიიჩნევს ცალკე კავშირად და თარგმნის: „გი—Wenn, §§ 114, 139.“²⁸

ამ გარემობასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ აქა-იქ გვხვდება ამ ნაწილაკის გამოყენება სხვა ფუნქციითაც.

მაგალითად:

ბახტავარ ბაქალღე სოღომუნ ვაა გომორუნ კულლუ ღუვანუნ ღენატე შაპპარაზო-გინ. შთ. 10, 15 — „ბედნიერი იქმნება სოღომისა და გომორის მიწა განკითხვის დღეს იმ ქალაქზე [ვიდრე ის ქალაქი]“.

ამმა ეხზუ ეჭაახ: ბახტავარ ბაქალღე ტირრაჟ ყან სიღონუნ-ბახტინ ღუვანუნ ღენა ვაახო-გინ. შთ. 11, 22 — „მაგრამ გუბნები თქვენ: ტირისა და სიღონისათვის უფრო იქნება ბედნიერება განკითხვის დღეს, ვიდრე თქვენთვის“...

²⁸ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 27.

გი-ნ ამ მაგალითებში მართლაც გამოდის კავშირად (resp. თანდებულად), ოღონდ სხვა მნიშვნელობით.

ეს ფორმები იწარმოება ამგვარად: გი ნაწილაკს დაერთვის პირის ნიშანი (გი-ჴ, გი-ნ...) და შემდეგ მთლიანად ერთვის ნამყო წინარეწარსულის ფორმას. ადგილის მიხედვით ჩვეულებრივ დაისმის წინ, ზოგჯერ კი ფუძის შიგნითაც. უფრო სშირად იხმარება მისი უარყოფითი ფორმები.

ვართ. მხოლ. რ. ზუ გი-ჴ-ქარ-ხ-ეჲ
უნ გი-ნ-ქარ-ხ-ეჲ
შონო გი-ნ-ქარ-ხ-ეჲ

მრავლ. რ. ძან გი-ჴან-ქარ-ხ-ეჲ
ეან გი-ნან-ქარ-ხ-ეჲ
შონორ გი-ყუნ-ქარ-ხ-ეჲ

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ი-ჲი-ჴუ-ჲ ← *ქარხე-გი-ზუ-ი
ჰუნ ქარხი-ჲი-ნუ-ჲ
შოო ქარხი-ჲი-ნე-ჲ

მრავლ. რ. ძან ქარხი-ჴან-იჲ
ეან ქარხი-ჲი-ნან-იჲ
შოროხ ქარხი-ჲი-ტუნ-იჲ

მაგალითად:

ვართამნული:

განან რუშვატ თა-გ ი-ნ-დეჲ, ზუ ვენკენა ცამჴუკოჲ. ДГр 67₁₅ — „თუ რომ გასამრჯელოს მომცემდი, მე შენთვის დავწერიდი“.

ყუშენ ეხნე, თე უნ ზახო გრლრ ქოჯ ყულლულ-ნუ-ბესსა; განან ზუ ჯაჰილ-გი-ზ-ბაქეჲ, ოხარი-ნეჲ. R 15₁₀ — „ფრინველი ეუბნება, რომ შენ ჩემგან ძალიან ძნელ სამსახურს ითხოვ; თუ [რომ] ახალგაზრდა გყოფილიყავი, ადვილი იქნებოდა“,

შელ-ლე-ბაქოჲ, უნ მან-გი-ნ-დეჲ. — „კარგი იქნებოდა, შენ [რომ] დარჩენილიყავი“.

უნ განან ნან-გი-ნ-თადეჲ, თე-ბე-ჴ-ბაქოჲ. — „შენ [რომ] არ მოგეცა, არ მექნებოდა“.

ნიჯური:

ჰანრ ზუ ლამანდი-ჲი-ჴუჲ შოტო, ზუ შოტო თანგინა თაჴ-ლოჲ. N — „მე მას რომ შევხვედროდი, მე მას ფულს მივცემდი“.

შოტინ ყოლაჲ ბი-ჲი-ნ-იჲ, შაატ-ე-ბაქოჲ. N — „ის რომ მოარჩინდეს, კარგი იქნებოდა“.

6. მყოფადი I. მყოფადი უღურში ორია: პირველი განეკუთვნება დრო-კილოთა მეორე გვუფს, მეორე კი—მესამეს. მყოფადი I იწარმოება -ო სუფიქსით, რომელიც უშუალოდ ფუძეს დაერთვის. ხშირად ეს მყოფადი იძლევა აწმყოს გაგებას.

საყურადღებოა ზოგი ფუძის ვითარება. ფეს-უნ, ეს-უნ ზმნების მყოფადში და მასთან დაკავშირებულ ფორმებში ხდება ფუძის შენაცვლება: ფ-ეს, ეს-: მყოფ. I: -კ-ო, ელ-ო
ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ზუ-ხ-ო—„მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.

უნ ქარ-რუ-ხ-ო
შონო ქარ-რე-ხ-ო

მრავლ. რ. ჯან ქარ-ჯან-ხ-ო
ვაინ ქარ-რან-ხ-ო
შონორ ქარ-ყუნ-ხ-ო

ნიკ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ჯუ-ხ-ო || ქარხ-ო-ჯ—„მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.

ჰუნ ქარ-ენ-ხ-ო || ქარ-ხ-ო-ნ
შოო ქარ-ე-ხ-ო || ქარბ-ო-ნე

მრავლ. რ. ჯან ქარ-ჯან-ხ-ო || ქარხ-ო-ჯან
ვაინ ქარ-ნან-ხ-ო || ქარხ-ო-ნან
შორახ ქარ-ტუნ-ხ-ო || ქარხ-ო-ტუნ

მაგალითად:

ვართაშნული:

ზუ სა ქობლინ ბოშ ხუ ფ-ზუ-ბოხო, ბუთუნი ვი ყოშინენ უნ ე-კო. ДГр 90₈—„მე ერთ კვერცხში ფლავს მოვხარაშავ, მთელი შენი ჯარი შექამს [ე. ი. ეყოფა]“.

დულანან ვაა ჯაყუნკო ეჭენკ. მთ. 7,7—„დაარტყით და გააღებენ თქვენთვის“.

ესზუ ვაახ:—ბიხოლო ბატუქო მე ჟერხოხო იარათმიშბანე ახლუხ ავრაამენკ. მთ. 3, 9—„გეტყვით თქვენ:—ღმერთს შეუძლია [შესქლბს] ამ ქებადან შექმნას ბავშვები აბრაამისათვის“.

ბანანქო ღარმუხ გოგნაა ბაბა ეჭი. მთ. 5, 45—„იქნებით ძენი ციური მამისა თქვენისა“.

ბუზაყო, თაზდო, ნაზა-ბუყო, თე. —„მოვინდომებ, მოგცემ, თუ არ მოვინდომებ—არა“.

ნიკურნი:

სა ხაშინ ადლენ ბოყოდინ გუნდოლო ჰეთარ-ა ყუქკო? N—„ერთი თვის ბავშვი ცომის გუნდებს როგორ გადაყლაპავს?“.

ჩუღონ ქრშტან უამუხე-ე-ლახო. N—„ქალი გარედან ყურს დაუგლებს“.

ბანექო, ქი ყვზღლ თე-ნე-ბაქო: ჰაჴყო, თა შოშოკოჲა, ბეზ-ლო-ხოლ ახ შუმტუნკო. N.—„შეძლება [რომ] ოქრო არ იქნება [იყოს]: ვიყიდი, წავიღებ შან, ჩემზე გაიცინებენ [დამცინებენ]“.

7. პირობით-ნატვრითი I. მყოფადი I-ის ფორმისაგან იწარ-მოება პირობით-ნატვრითი I. საწარმოებლად გამოყენებულია -ი || -ა სუ-ფიქსი:

ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ჴუ-ხ-ო-ა—„მე ვიცხოვრებდი“ და ა. შ.
უნ ქარ-რუ-ხ-ო-ა
შონო ქარ-რე-ხ-ო-ა

მრავლ. რ. ღან ქარ-ღან-ხ-ო-ა
ვან ქარ-რან-ხ-ო-ა
შონორ ქარ-ყუნ-ხ-ო-ა

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-გჴ-ხ-ო-ა—„მე ვიცხოვრებდი“ და ა. შ.
ჰუნ ქარ-გნ-ხ-ო-ა
შოო ქარ-ე-ხ-ო-ა

მრავლ. რ. ღან ქარ-ღან-ხ-ო-ა
ვან ქარ-ნან-ხ-ო-ა
შორონ ქარ-ტუნ-ხ-ო-ა

მაგალითად:

ვართაშნული:

გგანან რუშეატ თაგინდე, ზუ ვენკენა ცამჴუქოჲ. Д Гр 67₁₅ — „თუ გასამრჯელოს მომცემდი, მე შენთვის დავწერდი“.

შეტინ ეხნე, თე ჰაპჴუბოჲ, შოტრლონ ნან-გი-ყუნ-ბეჲდე. — „ის ამბობს, რომ დავმალავდი, მათ რომ არ დავენახე“.

ვანდ ბაგინქე, მაჲალჴუქოჲ. — „დრო რომ იყოს, ვიმღერებდი“.

ნიჯური:

— შამკალჴუ!... ჰარი ყონადენ თე-ნე-ბარკოჲ. N—„დავკლავ!...“

მოსული სტუმარი არ დაანებებდა“.

ზუ უჴქოჲ უქა, ჰამა თე-ნე-თადიჲ. N—„მე შევექამდი თაფლს, მაგრამ არ მომცა“.

მჲარ ზუ ჩურფიჲიჴ, შაჰატ-ე-ბაქოჲ. N—„რომ მე დავრჩენი-ლიყავ, კარგი იქნებოდა“.

8. კავშირებითი I. ნაწილაკოვანი კავშირებითისაგან კავშირე-ბითი I იმით განსხვავდება, რომ მას საკუთარი ფორმანტი აქვს. ეს

არის სუფიქსი -ა, რომელიც უშუალოდ მიერთვის ფუძეს. სუპლექტიურ ზმნებში გამოყენებულია მყოფადი I-ის ფუძე.

ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ა-ზ←*ქარ-ხ-ა-ზუ—„მე ვიცხოვრო“ და ა. შ.

უნ ქარ-ხ-ა-ნ←*ქარ-ხ-ა-ნუ

შონო ქარ-ხ-ა-ნე

მრავლ. რ. მან ქარ-ხ-ა-მან

ვამნ ქარ-ხ-ა-მან

შონორ ქარ-ხ-ა-ყუნ...

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ა-ზ—„მე ვიცხოვრო და ა. შ.

ჰუნ ქარ-ხ-ა-ნ

შოო ქარ-ხ-ა-ნე

მრავლ. რ. მან ქარ-ხ-ა-მან

ვამნ ქარ-ხ-ა-მან

შოროხ ქარ-ხ-ა-ტუნ

მაგალითად:

ვართაშნული:

ეხყუნ:—გარაგ ვახ უქა მან. დღე 89, —„ეუბნებიან:—უნდა შენ შეგკამოთ!“

შუმ თე-ნე-ბუ, თე თაღანე. დღე 88, —„პური არ არის, რომ მიეცა [მისცეს]“.

ბართა, ბეზ ოლქინახ თაღაზ, ჭურ უქაზ. დღე 67₃₁—„ღამაცა, ჩემ ქვეყანაში წავიდე, მოვძებნო“.

შეტაბახტინ-თე იროდენ ბუტუყსა, ალაბ ჭურ უქანე. მთ. 2, 13—„რადგანაც პეროდეს ჰსურს, ყრმა მოსძებნოს“.

ნიჯური:

ჰუნ ბეზ ყურთ-წირიკა ხე თანდგსა, ზუ ვი ოქუზა ხე თაღაზ? N—„შენ ჩემ კრუხ-წიწილას წყალს აძლევ, რომ მე შენს ხარს წყალი მიეცე[ვასეა]?“.

ხავარ-ე-ჰაყსა:—თაშაზ, ახ ხაჩან? N—„ეკითხება:წავილო ხაჩან?“

მინასენ ჩურესა, თაღანე, ზაქარან თე-ნე-ბარე. N—„მინასს უნდა წავიდე, ზაქარამ არ გაუშვა“.

ზუ უქაზ, ვამნ იბაქანან, ვამნ უფანან, ზუ იბაქაზ. N—„მე გითხრათ, თქვენ გაიგონეთ, თქვენ თქვით, მე გავიგონო“.

0. კავშირებითი II. კავშირებითი მეორე იწარმოება კავშირებითი I-ის ფორმისაგან -ი || -ჰ სუფიქსის დართვით: „-ი“ || -ჰ დაერთვის

ან უშუალოდ-აკავშირებითის მაწარმოებელს, ანდა მთლიანად ფორმას ბოლოში (პირის ნიშნიანს), ნიჭურში გვხვდება ფორმანტი -**ოა** || -**აო**.

ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხა-ზუ-ა || ქარ-ხ-ა-ზ-“მე მეცხოვროს“ და ა. შ.

უნ ქარ-ხ-ა-ნუ-ა || ქარ-ხ-ა-ნ-...

შონო ქარ-ხ-ა-ნე-ა || ქარ-ხ-ა-ნე

მრავლ. რ. მან ქარ-ხ-ა-მან-ი || ქარ-ხ-ა-ი-მან

ვან ქარ-ხ-ა-ნან-ი || ქარ-ხ-ა-ნან

შონორ ქარ-ხ-ა-ყუნ-ი || ქარ-ხ-ა-ყუნ

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ა-ზუ-ა || ქარხა-ა-ი-ზ-“მე მეცხოვროს და ა. შ.

ჰუნ ქარ-ხ-ა-ნუ-ა || ქარხა-ა-ი-ნ

შოო ქარ-ხ-ა-ნე-ა || ქარხა-ა-ი-ნ

მრავლ. რ. მან ქარხ-ხ-ა-მან-ი || ქარხა-ა-ი-მან

ვან ქარხ-ა-ნან-ი || ქარხა-ა-ი-ნან

შოროხ ქარხ-ა-ტუნ-ი || ქარხა-ა-ი-ტუნ

მაგალითად:

ვართაშნული:

საე გოლო ტულ ბაქანე, ეკა შელ ბაქო! — „ცოტა მეტი ყურ-ძენი ყოფილიყო, რა კარგი იქნებოდა!“

ფაშჩალუნ ხინარენ-ალ დუზ ჰოვუზუნ-ტოლოლ-ლე-არე, თე ჩრო წკანე. ДГр 87₈—„მეფის ასულიც პირდაპირ აუზის პირას მივიდა, რომ პირი დაებანოს“.

ვაე ე უსკუნენ უსკანან, ტეშარ-ალ ვაე ეჭაახ უსკალ-ყუნ. მთ. 7,2—„და რა საწყაულით მიუწყოთ, იმგვარადვე თქვენ მოგიწყავენ“.

ვგანა შინ-თე ბარკაინ იჩ ჩუბლობ, ბართა თა-ყა-ნ-ლი შოტუ ჯოკბაქსუნუნ ქალზ. მთ. 5, 31—„თუ ვინმე გაუშვას თავისი ცოლი, დაე, მისცეს მას განყოფის ბარათი“.

ნიჯური:

შოო გარნე ქარხანე ნიჯე, ჰამა თენეჩორფი. N—„მას უნდა ეცხოვრა ნიჯში, მაგრამ არ დარჩა“.

ჰუნ ქი ვი ბუთუმ ქარგანა-ალ თადაინ, ზუ ქოტლო ვახ თე-თადო, —„შენ რომ შენი მთელი ქარავანი მომცე, მე ამათ შენ არ მოგცემ“.

ჰეყყადარ აახილახუნ კალკაინ, რადიო-კინაქ იტუმბაქსაე, ტე-საპათ პატუმპსაე. N—„რამდენადაც შორიდან დაეძახოს, რადიოსა-ვით გაიგონებდნენ, იმ წუთში მოაღწევდნენ“.

10. ბრძანებითი კილო. ბრძანებით კილოს საკუთარი ფორმა არ გააჩნია: იცნებს კავშირებითი I-ის ფორმებს, მხოლოდ მათ სხვადასხვაგვარად ეპყრობა: აეორე პირში მხ. რ. პირის ნიშანი არ არის საჭირო; მრავლობითის მეორე პირი იმეორებს კავშ. I-ის ფორმას პირის ნიშნიანად. მრავლ. I პირში თავისებური ვითარებაა: გამოყენებული უნდა იყოს აქაც კავშ. I., მაგრამ გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით. მესამე პირში გამოყენებულია ჩვეულებრივი კავშ. I.

რაც შეეხება უარყოფით ბრძანებითს, ის იწარმოება მა ან ნ უ უარყოფის ნაწილაკის დათვით წართქმითი ბრძანებითის ფორმაზე (იხ. ქვემოთ, § 73).

ვართ. მხოლ. რ. 1ბ.

2ბ. ქარ-ხ-ა-ი — „იცხოვრე!“

2ბ. ქარ-ხ-ა-ნე! — „იცხოვროს!“

მრავლ. რ. ქარ-ხ-ენ! — „ვიცხოვროთ!“

ქარ-ხ-ა-ნან! — „იცხოვრეთ!“

ქარ-ხ-ა-ყუნ! — „იცხოვრონ!“

ნიჯ. მხოლ. რ. 1ბ.

2ბ. ქარ-ხ-ა-ი — „იცხოვრე!“

2ბ. ქარ-ხ-ა-ნე! — „იცხოვროს!“

მრავლ. რ. ქარ-ხ-ენ! — „ვიცხოვროთ!“

ქარ-ხ-ა-ნან — „იცხოვრეთ!“

ქარ-ხ-ა-ტუნ — „იცხოვრონ!“

ზოგჯერ ბრძანებითი გამოავლენს სხვა ფუძეს, ვადრე კავშირებით I-შია. ეს შეეხება ეს უნ და ფესუნ ზმნებს.

კავშ. I.

ბრძანებითი

ზუ ელ-ა-ზ — „მოვიდე“

ექე ← *ექე-ა — „მოდი“,

უნ ელ-ა-ნ — „მოხვიდე“

ექენან! — „მოდი!“

ზუ ჩურკ-ა-ზ — „დავრჩე“

ჩურფა — „დარჩი“,

უნ ჩურკ-ა-ნ — „დარჩე“

ჩურფანან! — „დარჩით!“

მაგალითად:

ვართაშნული:

ვახო ბესალტუ თადა ვაზ ბორჯაყალტუ-ალ ვახო ჩოეხ მა თარადა! მთ. 5, 42 — „შენგან მთხოვნელს მიეც და შენგან ვალის ამღებს პირს ნუ შეუბრუნებ!“.

ში ფაშა ქმეენ-ნე-ბაქო, შეტუხ უქენ! ДГр 83₃ — „ვისი შარდი ქაფს იზანს, ის შეეკამოთ!“.

ექენან ბეზ ჯოშტან, ზუ-ალ ეჭახხ ბაზ ადამარბიყალ. მთ. 4, 19
— „იარეთ ჩემს უკან, მეც თქვენ შეგქმნით ადამიანის დამქერთ“.

მა ჭიქირბანან, თე ზუ არეუ ფასბესან ზაკონლოხ! მთ. 5, 17
— „არ იფიქროთ, რომ მე მოველ დასარღვევად კანონთა!“.

ნიჯური:

პაყა ქო ვი ბალა, ირზი ბაქა ზახუნ! N— „აიყვანე ეგ შენი
შვილი, მადლობელი იყავ ჩემგან!“.

ციქი (?) ოყა, თაღენ კოა! N— „ჩამოდი ძირს, წავიდეთ
შინ!“.

უსუმ ბა, შუმა ბაღა, ბეზ თორაია ლახა! N— „ჩქარა ქენი,
პური გამოაცხვე, ჩემ ჩანთაში ჩადე!“

თაქი, არხაინ თარაფა ვა ოთარ მიშბა ვი ელელინ სურჭლო!
N— „წადი, მშვიდად ატარე და აძოვე შენი ცხვრის ფარა!“.

ბრძანებითი კილოს წარმოებას ა. შიფნერი სპეციალურად არ
განიხილავს. ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ „მრავალ შემთხვევაში ჩვენ
ვხედავთ კონიუნქტივის ბრძანებითის მაგურად...“²⁹. ა. დირი ჩერდება
ამ კილოს წარმოებაზე და მისთვის გამოჰყოფს ცალკე ფორმანტებს. იგი
აღნიშნავს: „-ა, -ანან, -ენ— ბრძანებითი კილოს სუფიქსე-
ბია“³⁰. ამის მიხედვით შეიძლება ვაჯარაულოთ, რომ ა. დირს ეს აფიქ-
სები დამოუკიდებელ ფორმანტებად მიაჩნია. ნამდვილად, -ა აქ კავშ. I-ის
სუფიქსია, ასევე -ანან-ში -ა კავშირებითის ნიშანია, -ნან კი 2 პირის ნიშანი
მრავლ. რიცხვში.

ცალკე გასარკვევია მრავლ. რიცხვის 1 პირის ფორმა: ქარ-ხ-ენ—
„ვიცხოვროთ“. შესაძლებელია აქაც ვივარაუდოთ კავშირ. I-ის ფორმა,
კავშირ. I-ში ამ შემთხვევაში დასტურდება: ქარ-ხ-ა-ან— „ვიცხოვროთ“,
საიდანაც მიღებული უნდა იყოს ქარ-ხ-ენ: *ქარ-ხ-ა-ან→*ქარხანენ→
*ქარ-ხანენ→ქარხენი (?).

ა. დირი გამოჰყოფს დამატებით სუფიქსებსაც ბრძანებითი კილო-
სათვის. იგი ამბობს: „-ქე, -ქენან, -ქენ სუფიქსებია იმ ზმნებისა, რომ-
ლებიც ბოლოვდებიან ესუნ და ისუნ-ზე“³¹. იგულისხმება: ექე!— „მოდი!
ექენან!— „მოდიოთ“, ექენ!— „მოვიდეთ!“ და ა. შ. მაგრამ აქ წარ-
მოდგენილია ჩვეულებრივი ფორმანტები, ფონეტიკურად ცვლილი: -ა→
-ენ, -ანან→-ენან, -ანან→-ენ... „ქ“ თანხმოვნით გართულებულნი. ეს
„ქ“ კი ფუძის კუთვნილებაა.

§ 72. დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები. ამ ჯგუფში ორი ფორ-
მაა: მყოფადი II და პირობით-ნატვრითი II. მესამე ჯგუფში ფუძე წარ-

²⁹ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 44, § 130.

³⁰ ა. დირი, Грамм., გვ. 45.

³¹ ა. დირი, იქვე, გვ. 46.

მოადგენს აწმყო-მყოფადის მიმღობის ფორმას „-ალ“ სუფიქსით (§ 80). მესამე ჯგუფის ფუძის მისაღებად ზმნის შეკვეცილ ფუძეს ემატება „-ალ“ მიმღობის სუფიქსი. განვიხილოთ ცალკე ეს დრო-კილოები.

1. მყოფადი II. მყოფად II-ს ვიღებთ, თუ ფუძეს (resp. მიმღობის ფორმას) პირდაპირ მიემატება პირის ნიშნები. სხვა სპეციფიკური მაწარმოებელი ამ დროს არა აქვს.

ვართ. ქარ-ხ-ეს-უნ...

მიმღობა: ქარ-ხ-ალ — „მცხოვრები“, „საცხოვრებელი“.

მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ალ-ზუ — „მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.

უნ ქარ-ხ-ალ-ლუ ← *ქარხალ-ნუ

შონო ქარ-ხ-ალ-ლუ ← *ქარხალ-ნე

მრავლ. რ. ძან ქარ-ხ-ალ-ძან

ვან ქარ-ხ-ალ-ლან ← *ქარხალ-ნან

შონორ ქარ-ხ-ალ-ყუნ...

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ქარ-ხ-ალ-ზუ — „მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.

ჰუნ ქარ-ხ-ალ-ნუ

შოო ქარ-ხ-ალ-ე

მრავლ. რ. ძან ქარ-ხ-ალ-ძან

ვან ქარ-ხ-ალ-ნან

შოროს ქარ-ხ-ალ-ტუნ...

მაგალითად:

ვართაშნული:

ვაა შეტინ-ალ თამიზბალლე იჩ ექნუ, გირბალლე იჩ არუმახ. მთ. 3, 12 — „და ისიც გაასუფთავებს თავის კალოს, შეაგროვებს თავის ხორბალს“.

ქინ-ლახო თაშალყუნ ვახ, ტეთჳრ-თე ვი თურ ნუ ლამანდა-ნე ეენალ. მთ. 4, 6 — „ხელით წაგიყვანენ შენ, ისე რომ შენი ფეხი არა მოხვდეს ქვას [ზე]“.

ბართა, თამ-ყან-ბაქი ფეხამბარენ ფიო, თე შონო ნაზორეჲ კალელალლე. მთ. 2, 23 — „დაე, აღსრულდეს წინასწარმეტყველის ნათქვამი, რომ იგი ნაზარეველად იწოდება [დაერქმევა]“.

ნიჯური:

ჰუნ ჰეტუხუნ-გნ-ავა, ზუ სა ბალა ბიხალ-ზუ — „შენ საიდან იცი, მე ერთ შვილს დავბადებ“.

სა უსენინ ბაქატან, ძახალ ყუჰკალლე. — „ერთი წლის შესრულებისას ჩვენც გადაგვყლაპავს“.

აე ელელ! ვა შამკალ ზუ მე ბეზ მუჰა გეზნანა. — „აი ცხვარო! შენ დაგკლავ ამ ჩემი ტბილი სიძისათვის“.

სა მედალ-ალ იზ დრშებუნ ს უ რ უ კ ბ ა ლ ზ უ.—„მედალსაც მის მკერდზე ჩამოვკიდებ“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მყოფადის წარმოებისას საზოგადოდ სხვა ენებშიც ჩვეულებრივია მიძღვობის გამოყენება, რომელსაც ერთვის მეშველი ზმნა, შეიძლება უღღრშიც დავეშვათ ამგვარი ვითარება. დღეს რომ მარტო პირის ნიშნებია წარმოდგენილი, ისტორიულად ეგების მეშველი ზმნაც იყო. ამას მხარს უჭერს ბუ—„ყოფნა“ მეშველი ზმნის უღვლილება: ამ ზმნის მაგივრობას ჩვეულებრივ პირის ნიშნები სწევენ:

მაგალითად:

ზუ ბუ-ზუ || ზუ-ზუ—„მე ვარ“

შონო ბუ-ნე || შონო-ნე—„ის არის“ და ა. შ.

ანალოგიური წარმოებისა უნდა იყვნენ მყოფადის ფორმებიც: ზუ ქარხალ-ბუ-ზუ→ზუ ქარხალ-ზუ... და ა. შ.

მნიშვნელობის მიხედვით ორი მყოფადი: მყოფ. I: ცამზუკო—„დავწერ“, მყოფ. II: ცამკალ ზუ—„დავწერ“ დღეს, როგორც ჩანს, ზუსტად აღარ განიორჩევა ერთმანეთისაგან. ამის გამო დასტურდება საყურადღებო მოვლენები. პირველყოვლისა ნიჭურში ზოგ შემთხვევაში ეს ორი ფორმა ნაწილდება: პირველი პირისათვის ჩვეულებრივ გამოყენებულია მყოფ. I, ხოლო დანარჩენ პირებში მყოფ. II (ეს მოვლენა სისტემატურად გვხვდებოდა ზოგიერთი ინფორმატორის მეტყველებაში).

ნიჯ. მხოლ. რ. ზუ ათკოოზ—„ვიტყვი“ და ა. შ.

ჰუნ. ათკალნუ

შეტინ ათკალე

მრავლ. რ.

ძან ათკალძან

ეან ათკალნან

შოტლონ ათკალტუნ...

მხოლ. რ.

ქარხოოზ—„ვიცხოვრებ“ და ა. შ.

ქარხალნუ

შონო ქარხალე

მრავლ. რ.

ქარხალძან

ქარხალნან

შოროხ ქარხალტუნ...

მეორე მხრივ სოფ. ვართაშენში დასტურდება ერთგვარი კონტრამინაციური ფორმები, რომელნიც ამ ორი -ო და -ალ ფორმანტის შერწყმით უნდა მიღებულყო.

მხოლ. რ. ზუ ქარზუნოლ—„მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.

უნ ქარრუნოლ

შონო ქარრუნოლ

მრავლ. რ. ღიან ქარჯანხოლ
ვაან ქარჯანხოლ
შორახ ქარჯუნხოლ

2. პირობითი-ნატვრითი II. ეს კილო იწარმოება მყოფადი II-ის ფორმიდან -ი || -აი- || → -იჲ-ს დართვით:
ვართ. მხოლ. რ. ზუ ქარხ-ალ-ზუ-ჲ—„მე ვიცხოვრებდი“ და ა. შ.

უნ ქარხ-ალ-ლუ-ჲ
შონო ქარხ-ალ-ლე-ჲ

მრავლ. რ. ღან ქარხ-ალ-ჯან-ი
ვაან ქარხ-ალ-ლან-ი
შონორ ქარხ-ალ-ყუნ-ი

ნიკუ. მხოლ. რ. ზუ ქარხალ-ზუ-ჲ—„მე ვიცხოვრებდი“
ჰუნ ქარხალ-ნუ-ჲ
შოო ქარხალ-ე-ჲ

მრავლ. რ. ღან ქარხალ-ჯან-იჲ და ა. შ.
ვაან ქარხალ-ნან-იჲ
შორახ ქარხალ-ტუნ-იჲ

მაგალითად:

ვართაშნული:

ნაინე ზუ ცამკალ ზუ ჲ, ენეხ თე-ნე-ბაქი. ДГр 67₁₄ — „გუშინ მე და გწერდი, მაგრამ ვერ შევეძელი“.

ნიკურთ:

სა ღინასტა ბოყოჲ-ე-შარფიჲო, შუმ ბადალეჲ—„ერთ დღეს დედამ ცომი მოამზდა [მოზილა]. [რომ] პური გამოეცხოს“.

§ 73. უარყოფითი ფორმები ზმნის უღვლილებაში. ზმნის უარყოფითი ფორმები უღურში მარტივად იწარმოება: დადებით ფორმებს ერთვის უარყოფითი ნაწილაკები. ასეთი ნაწილაკებია: თე—„არ“, მა—„არ“, „ნუ—„ნუ“, ნუთ || ნუტ—„ნუ“, „არ“, ნჲ—„არ“, „ნუ“... ამათგან თე იხმარება თხრობითი კილოს ფორმებთან, მა, ნუ || ნუტ, ნჲ—კი სხვა კილოს ფორმებთან. უარყოფითი ნაწილაკი უშუალოდ ერთვის პირის ნიშანს და ჩვეულებრივ პირის ნიშნიანად თავსდება ფუძის წინ, ზოგჯერ კი ფუძის შიგნით და ფუძის ბოლოსაც.

ვართაშნულს:

თაჲსუნ—„წასვლა“,

ცამფესუნ—„წერა“

1. აწმყო:

მხოლ. რ. ზუ თე-ზ-თაჲსა—„მე არ მივდივარ“ და ა. შ.
უნ თე-ნ-თაჲსა
შონო თე-ნე-თაჲსა

მრავლ. რ. ღან თე-ღან-თაღსა
ვან თე-ნან-თაღსა
შონორ თე-ჟუნ-თაღსა
ზუ თე-ზ-ცამეხა— „მე არ ვწერ“ და ა. შ.
უნ თე-ნ-ცამეხა
ღან თე-ღან-ცამეხა
შოტლონ თე-ჟუნ-ცამეხა...

2. აორისტი I:

მხოლ. რ. ზუ თე-ზ-ლაცი— „არ წავედი“ და ა. შ.
უნ თე-ნ-თაცი
შონო თე-ნე-თაცი

მრავლ. რ. ღან თე-ღან-თაცი
ვან თე-ნან-თაცი
შონორ თე-ჟუნ-თაცი

მხოლ. რ. ზუ თე-ზ-ცამფი— „არ დავწერ“ და ა. შ.
უნ თე-ნ-ცამფი
შეტინ თე-ნე-ცამცი

მრავლ. რ. ღან თე-ღან-ცამფი
ვან თე-ნან-ცამფი
შოტლონ თე-ჟუნ-ცამფი

3. კავშირებითი ნაწილაკოვანი:

მხოლ. რ. ზუ მა-ყა-ზ-თაცი— „მე არ წავიდე“ და ა. შ.
უნ მა-ყა-ნ-თაცი
შონო მა-ყა-ნ-თაცი

მრავლ. რ. ღან მა-ყა-ღან-თაცი
ვან მა-ყა-ნან-თაცი
შონორ მა-ყა-ჟუნ-თაცი

მხოლ. რ. ზუ მა-ყა-ზ-ცამფი
შეტინ მა-ყა-ნ-ცამფი

მრავლ. რ. ღან მა-ყა-ღან-ცამფი
ვან მა-ყა-ნან-ცამფი
შოტლონ მა-ყა-ჟუნ-ცამფი

4. აორისტი II: (3 პირი):

შონო თე-ნ(ე)-თაცი შეტინ თე-ნ(ე)-ცამფე
შონორ თე-ჟუნ-თაცი შოტლონ თე-ჟუნ-ცამფე

5. ნამყო წინარეწარსული:

შონო თე-ნ(ე)-თაციჲ შეტინ თე-ნ(ე)-ცამფეჲ
შონორ თე-ჟუნ-თეციჲ შოტლონ თე-ჟუნ-ცამფეჲ

6. პირობით-ნატვრითი ნაწილაკოვანი:

შონო ნ-გი-ნ-თაცე — „ის რომ არ წასულიყო“...
შეტინ ნ-გი-ნ-ცამფე — „მას რომ არ დაეწერა“...

7. კავშირებითი I:

შონო მა || ნუ თაღანე — „ის ნუ (არ) წავიდეს“
შეტინ მა || ნუ ცამკანე — „მან ნუ (არ) დაწეროს“

8. კავშირებითი II:

შონო მა || ნუ თაღანე — „ის ნუ (არ) წასულიყო“
შეტინ მა || ნუ ცამკანე — „მას ნუ (არ) დაეწერა“

9. ბრძანებითი:

მა თაქე! — „ნუ წახვალ!“, „არ წახვიდე!“
მა ცამფა! — „ნუ სწერ!“, „არ დაწერო!“

10. მყოფადი I:

შონო თე-ნ(ე)-თალო — „ის არ წავა“
შეტინ თე-ნ(ე)-ცამკო — „ის არ დაწერს“

11. პირობით-ნატვრითი I:

შონო თე-ნ(ე)-თალო — „ის რომ არ წასულიყო“
შეტინ თე-ნ(ე)-ცამკო — „მას რომ არ დაეწერა“

12. მყოფადი II:

შონო თაღალ-თე-ნე — „ის არ წავა“
შეტინ ცამკალ-თე-ნე — „ის არ დაწერს“

13. პირობით-ნატვრითი II:

შონო თაღალ-თე-ნე-ე — „ის რომ არ წავიდოდეს“.
შეტინ ცამკალ-თე-ნე-ე — „ის რომ არ დაწერდეს“.

მაგალითად:

ვ ა რ თ ა შ ნ უ ლ ი:

ენნე, თე ვანანხ თე-ზ-აბაე, ევან ბონაზუე.

R 10₁₄ — ეუბნება, რომ დრო არ ვიცოდო, როდის მომხარშა.

მე შვატ ხინარ აეკალ თე-ტუ-აბაბაქსა. R 18₁₇ — ამ მშენიერმა ქალწულმა არაფერი არ იცის.

ვა ფანე შოტუ: შუკალა ეკალ მა უფა! მრკ. 1, 44 — „და უთხრა მას: არაფის არაფერი უთხრა! (ნუ ეტყვი)“.

მელან ტლა მუკალენ ვაბო მა-ყა-ნ-ქა ბუპარ სალ. მრკ. 11, 14 — „აქედან მოყოლებულა მღვან ვერავინ (ნუბავნ) ნუ შექამოს ნაყოფი ვერასოდეს!“.

ისუენ ჯუღაბნები: ვი თე-ვი-ბაქოა, ეკალ იხტიარ ბეზ-ლახო, აგანა ნა-გი-ნ-თად ეცეა ვა ალახო. იოვ. 19, 11—„იესომ უბასუხა: შენ არ გექნებოდა არავითარი უფლება ჩემზე, თუ რომ არ (ნუ) მოგცემოდა ზემოთგან“.

ბართა მა-ყა-ყო-აკი ფულმულონ ვაა მა-ყა-ყო-ი ბაქი იმ-ხონ ვაა მა-ყა-ყუნ-ყამი შბაქი უკინ ვაა ნუ ჯაა ბაქაყუნ, თე ზუ შელ-ბაზ შოტლობ. მთ. 13, 15—„დაე, ნუ დაინახავენ თვალთ, და ნუ გაიგონებენ ყურით და ნუ გაიგებენ [შეიგნებენ] გულით და ნუ მომმართავენ, რომ გავამრთელო [გავაჯანსაღო] ისინი“.

შეტაბახტინ-თე ეხზუ ეჭახ, შუკალენ ტე კალფიტლობო ნუთ უქალღე ბეზ ბიასუნუნ შუმახო. ლკ. 14, 24—„რადგანაც ვეტყვი თქვენ, არავინ (ვერავინ) იმ მოწვეულთაგან არ შექამს (შექამოს) ჩემი ვახშმისაგან“.

ბ ა რ დ ა მ ა მ ლ ო ბ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა უ დ შ რ შ ი

§ 74. გარდაუვალი ზმნა. გარდამავლობის კატეგორიასთან არსებითად არის დაკავშირებული გვარის კატეგორია. უდურშიც ჩამოყალიბებული არაა გვარის კატეგორია: ზმნა უდურში მორფოლოგიურად არ იძლევა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის გაცემას. გარდამავლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით კი უდურში წარმოდგენილია სამგვარი ზმნა: ა. გარდაუვალი, ბ. გარდამავალი და ც. კაუზატივები. ზმნათა ამ ტიპებს ძარითადად არკვევს ზმნის ფუძის მნიშვნელობა.³²

მნიშვნელობითს მომენტს ჩვეულებრივ ერთევის მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები. მორფოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპს განარჩევს მათთვის განკუთვნილი მეშველი ზმნები (გვ. 178 შმდ.). თვითონ ძირითადი ფუძე კი თავისთავად თითქოს არ იძლევა რაიმე განსხვავებას გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით. რაც შეეხება სინტაქსურ მხარეს, ამ მხრივ უდური ზმნები მხოლოდ ორ ჯგუფს ჰქმნიან: გარდამავალი ზმნები და კაუზატივები სინტაქსურად ერთსა და იმავე კონსტრუქციას გვიჩვენებენ.

თავისებურია მიცემით-სუბიექტიანი (§ 63) და ნათესაობით-სუბიექტიანი (§ 64) ზმნების ვითარება.

გარდაუვალი ზმნა უდურში შეესატყვისება ქართულ გარდაუვალ ზმნას (როგორც ვნებითი, ისე საშუალო გვარისას) და შეიძლება მხო-

³² ამ მნიშვნელობის განსაზღვრა ზოგჯერ თავისებურია უდურისათვის: რაც, მაგალითად, ქართულში გარდამავალი შინაარსის მატარებელია, უდურში შეიძლება გარდაუვალი შინაარსისა იყოს და პირუკუ.

ლოდ ერთპირიანი იყოს. ეს ზმნები უდურში ჩვეულებრივ იწარმოება -ესუნ-, ბაქსუნ მეშველი ზმნებით, რომელთაც გარკვეულ კონტექსტში დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვთ: ესუნ— „მოსვლა“, ბაქსუნ— „გახდომა“, „ყოფნა“.

მაგალითად:

ესუნ— „მოსვლა“: შონო ე-ნ ე-სა— „ის მოდის“; თაქსუნ←*თა-ესუნ— „წასვლა“: შონო თა ნ ე-სა— „ის მიდის“.

გირ-ესუნ— „შეკრება“: შონო: გირ-ყუნ-ე-სა— „ისინი იკრიბებიან“.

მანდაკ-ბაქსუნ— „დალა“: შონო მანდაკ-ნ ე-ბაქი— „ის დაილა“.

ამათგან პირველად მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ ესუნ, რამდენადაც იგი დასტურდება ისეთ გარდაუვალ ზმნებში, რომელთა საკორელაციო გარდამავალი ზმნები უფრო კაუზატიურობის პატარებელნი არიან (§ 76). ესუნ-ით ნაწარმოები გარდაუვალი ზმნები პირველადნი უნდა იყვნენ და მათგან იწარმოება შესატყვისი გარდამავალი ზმნები.

მაგალითად:

გარდაუვ. ჰექსუნ— „გასვლა“: გარდამ. ჩიჩჰუნ←*ჩიჩქსუნ— „გაყვანა“.

გარდაუვ. ესუნ— „მოსვლა“: გარდამ. ეჩჰუნ ო ეჩსუნ— „მოყვანა“.

გარდაუვ. ცისუნ←ციესუნ— „ჩამოსვლა“.

გარდამ. ცივკესუნ— „ჩამოყვანა“ და სხვა ამგვარი...

ესუნ-ის საპირისპიროდ ბაქსუნ-ის გამოყენება ამ ფუნქციით უნდა იყოს მეორეული: ამ შემთხვევაში პირველადია გარდამავალი ზმნა და მისგან იწარმოება გარდაუვალი ზმნა.

მაგალითად:

გარდამ. მანდაკბესუნ— „ვლი“: გარდაუვ. მანდაკბაქსუნ— „ვიღლები“, „დადლილ ვხდები“.

გარდამ. მოლორბესუნ— „ვალვიძებ“: გარდაუვ. მოლორბაქსუნ— „ვიღვიძებ“.

ესუნ— ზმნა უღვლილების პროცესში დრო-კილოთა მიხედვით იცვლის ფუძეს (§ 77), ბაქსუნ ზმნა კი მისდევს უღვლილების ჩვეულებრივ სისტემას.

გამონაკლისის სახით გარდაუვალი ზმნა შეიძლება აწარმოოს გარდამავალი ზმნის მეშველმა ზმნამაც: მაგალითად: ჩურფესუნ— „შეფდები“, მანდესუნ— „ვრჩები“... ამ შემთხვევაში ზმნის ხასიათს განსაზღვრავს სემანტიკური მხარე.

სინტაქსურად გარდაუვალ ზმნას არა აქვს ნივთის ობიექტი, სოლო სუბიექტი მასთან ყველა დრო-კილოში დაისმის სახელობით ბრუნვაში.

მაგალითად: შონო (სახელ.) თანესა კუა—„ის მიდის შინ“

რაც შეეხება ისეთ გარდაუვალ ზმნათა უღვლილებას, რომელთა ფუძესაც აწარმოებს ბაქსუნ, ანდა გარდამავალი ზმნის მეშველი ზმნები: ფესუნ, დესუნ..., მათი უღვლილება ჩვეულებრივ წესს მისდევს (§ 75).

მაგალითად:

ზართა თამ-ყა-ნ-ბაქი ფეხამბარენ ფიო, თე შონო ნაზორეჲ კალე-ღალღე. მთ. 2, 23—„დაე, შესრულდეს მოციქულის მიერ თქმული, რომ იგი ნაზორეველ იწოდება“.

ვაჲ მე გაბუნ-ალ, მატუხ-თე აყოკე შოტლო ბეღქელალაქ, თანესაჲ შოტლოხო-ბეშ მთ. 2, 9—„და ეს ვარსკვლავიც, რომელიც დაინახეს აღმოსავლეთისაკენ, მიდიოდა მათ წინ“.

ბანანქო ღარმუხ გრგნაჲ ბაბა ეჭი. მთ. 5, 45—„და იქნებით შეილნი ცისა მამა-თქვენისა“.

ზუ გვრგუ ზაშ-ე ღაზ ვახო. მთ. 3, 14—„მე უნდა მოვიინათლო შენგან“.

შინ ბესბაინ, ბაძტალღე დუევანა. მთ. 5, 21—„ვინც მოკლავს, მოხვდება [ჩავარდება] სასამართლოში“.

...ტეთარ, თე ვი თურ ნუ ღამან და ნე უენალ. მთ. 4, 6—„...ისე, რომ შენი ფეხი არ მოხვდეს ქვაზე“.

სა ქარვანო ენესა ფასქალუნ ჩომოლ. R 7₁₃—„ერთი დედაბერი მოღის მეფესთან“.

რუსტამ ქალა-ნე-ბაქსა ფასქალუნ ჩომოლ. R 7₆—„რუსტამი დიდი ხდება მეფის კარზე“.

§ 75. გარდამავალი ზმნა. ცნობილია, გარდამავალი ზმნები მნიშვნელობის თვალსაზრისით გამოხატავენ მოქმედების გადასვლას ერთი საგნიდან მეორეზე. უღურში გარდამავალი ზმნა ყოველთვის ერთპირიანია.

გარდამავალი ზმნის ფუძეს აწარმოებს რამდენიმე მეშველი ზმნა, რომელთგან ზოგი დამოუკიდებლად იხმარება საკუთარი მნიშვნელობით, ზოგი კი ამჟამად ეტიმოლოგიურად არ აზრიანდება. ეს მეშველი ზმნებია: ბესუნ (ბსუნ || ფსუნ)—„კეთება“, ფესუნ (ფსუნ)—„თქმა“, დესუნ || ტესუნ, კესუნ (კსუნ), ქესუნ, ხესუნ..., *ესუნ (?):

გარდაუვ. გირ-ესუნ—„იკრიბება“, „გროვდება“,

გარდამ. გირ-ბესუნ—„კრებს“, „აგროვებს“.

ზმნის ძირი resp. ფუძე ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს დამოუკიდებელ სრულმნიშვნელოვან სიტყვას, ანდა ამჟამად სემანტიკურად გაუაზრიანებელ ოდენობას.

მაგალითად:

ა შ-ბ ე ს უ ნ — „მუშაობა“, „საქმობა“: ა შ — „საქმე“.

ა მ წ ი-ბ ე ს უ ნ — „დაცარიელება“: ა მ წ ი — „ცარიელი“.

გ ი რ-ბ ე ს უ ნ — „შეკრება“, „შეგროვება“: გ ი რ — ?

კ ა ლ-ფ ე ს უ ნ — „წაკითხვა“, „დაძახება“: კ ა ლ — ?

სინტაქსურად ამ ტიპის ზმნებს აქვთ ნივთის ობიექტი, რომელიც ზმნაში პირს არ აჩენს; სუბიექტი ასეთ ზმნებთან ყველა დრო-კილოში ერგატივში გვევლინება.

მაგალითად:

კოკოწიკი (ერგატ.) ღენახსა ჯოჯლა-ნე-ლახსაჲ — „ქათამი [„ქათამმა“] ღღეში ერთ კვერცხს სდებდა“...

შეტინ (ერგატ.) ბინეხე ღარ — „მან შობა ვაჟიშვილი“.

ზემოხსენებულთაგან ზოგიერთმა მეშველმა ზმნამ შესაძლებელია ვერ მოგვეცეს გარდამავლობის გაგება: ზმნა მაინც გარდაუვალი დარჩეს³³.

მაგალითად:

ბასკსუნ (←ბას-კეს-უნ) — „დაწოლა“ („წვება“).

შონო (სახელ.) ბასნეჟსა — „ის წვება“.

ქარ-ხესუნ — „ცხოვრება“: შონო (სახელ.) ქარჩესა (←*ქარ-ნე-ხსა) — „ის ცხოვრობს“.

მან-დესუნ — „დარჩენა“: შონო (სახელ.) მანნედი — „ის დარჩა“.

საკუთრადღებოა ერთი რიგი გარდამავალი ზმნების წარმოება, სახელ-დობრ იმითი, რომლებიც ჩვენ მიერ პირველად მიჩნეულ გარდაუვალ ზმნათაგანაა ნაწარმოები. თავისებურება აქ იმით გამოიხატება, რომ გარდამავალ ზმნათათვის ახალი ფუძე ჩნდება, უღვლილების პროცესი და სინტაქსური ვითარება კი ჩვეულებრივია. ასეთი ზმნებია:

გარდაუვ.

ესუნ — „მოსვლა“: შონო ენესა — „ის მოდის“

გარდამ.

ეჭკჳუნ ← *ეჩ-ესუნ — „მოყვანა“: შეტინ ენეჭკჳ ← *ენეჩესა — „მას მოჰყავს“.

გარდაუვ.

თახსუნ — „წასვლა“: შონო თანესა — „ის მიდის“

³³ ამ მოვლენას უწოდებენ მიაქციაჰ. შუხარდტმა: „In: თარაუნ ბასნე-კსაი — 'von der Faulen wurde g=legen'... spielt weniger die Form des Verbs (ბასკესუნ: კეს-უნ — 'machen') mit, als seine Bedeutung“: Ueber d. pass.. გვ. 30.

გარდამ.

თ ა შ შ უ ნ ← *თაშ-ესუნ — „წაყვანა“: შეტინ თ ა ნ ე შ შ ა ← *თანეშსა — „მას მიჰყავს“

გარდაუვ.

ბ ა ა ს უ ნ — „შესვლა“: შონო ბ ა ა ნ ე ს ა — „ის შედის“

გარდამ.

ბ ა ა ჩ ე ს უ ნ — „შეყვანა“: შეტინ ბ ა ა ნ ე კ ჰ ა ← *ბაანეჩსა — „მას შეჰყავს“.

გარდაუვ.

ჰ ე ს უ ნ — „გასვლა“: შონო ჰ ე ნ ე ს ა — „ის გადის“

გარდამ.

ჩ ი ჩ ჰ უ ნ ← *ჩიჩესუნ — „გაყვანა“: შეტინ ჩ ი ნ ე კ ჰ ა ← *ჩინეჩსა — „მას გაჰყავს“

გარდაუვ.

მ ა ნ დ ე ს უ ნ — „დარჩენა“: შონო მ ა ნ ნ ე ს ტ ა — „ის რჩება“

გარდამ.

ბ ა რ თ ე ს უ ნ — „დატოვება“: შეტინ ბ ა რ რ ე ხ ა — „ის სტოვებს“
და ა. შ.

მაგალითად:

რუსტამენ ჩინესჩა პააწწე ფუთტა თავარახ ყან კირონახ, კაწ ნეხა დრვეურლობ, ხელ-ლევ-ბსა პარ დრვენუხ სა ყათირუნ ლახო. R 8₉ — „რუსტამი ამოიღებს თორმეტფუთთან ცულს და კიროს, აკუწავს დევებს, ტვირთავს თითო დევს თითო სახედარზე“.

ფასქალენ ტე ჩობანი ჩუბლობ თანეშსა იჩ კუა. R 7₅ — „მეფეს იმ მწყემსის ცოლი მიჰყავს თავის სახლში“.

ბართა მეთარ ხაშ-ყა-ნ-ბი ეჰ ხაშენ ხალხნა-ბეშ. მთ. 5.16 — „დაე, ამგვარად ანათოს თქვენმა ნათელმა ხალხის წინაშე“.

ვგანა შინ-თე ბარკაინ იჩ ჩუბლობ, ბართა თაყანდი შოტუ ჯოკბაქსუნუნ ქალზ. მთ. 5, 31 — „[თუ] ვინც გაუშვას თავისი ცოლი, დაე მისცეს მას განყოფის ბარათი“.

ეგიპტანო კალწუფე ზუ ბეზ ლარახ. მთ. 2, 15 — „ეგვიპტიდან მოვუწოდე მე ჩემს ძეს“.

ვგანა ელენ აჩესბაინ იჩ ზორრუს, ტევახტა ეტინ-ნუ-ელენ-ბო შოტუხ? მთ. 5, 13 — „თუ მარილმა დაკარგოს თავისი ძალა, მაშინ რით დაამარილებ მას?“

ზუ სა ნოკლინ-ბოშ ხუფ-წუ-ბოსო, ბუთუნ ვი ყოშინენ უნექო. ДГр 90₈ — „მე ერთ კვერცხში ფლავს მოვხარშავ, მთელი შენი ჯარი შექამს“ [ე. ი. ეყოფა].

შეტაბახტინ-თე იროდენ ბუტუყსა აჲლახ ჭურუჲკანე. მთ. 2, 13—
„რადგანაც ჰეროდეს სურს, ბავშვი მოძებნოს“.

ვაე შეტინ-ალ თჳმიზბალღე იჩეკნუ, გირბალღე იჩ
არუმახ. მთ. 3, 12—„და იგიც გაწმენდს თავის კალოს, შეაგრო-
ვებს თავის ხორბალს“.

§ 76. კაუზატივის წარმოება უღურში. ეს ზმნები იწარმოებიან
ჩვეულებრივი გარდამავალი ზმნების საწყისი ფუძიდან დესუნ ოტე-
სუნ მეშველ ზმნათა დართვით.

გარდაუვ. კაწესუნ—„კვდება“, „წყდება“.

გარდამ. კაწფესუნ—„ხოცავს“, „წყვეტს“

კაუზატ. კაწფეს-ტესუნ—„დაახოცვინა“, „გააწყვეტინა“.

სინტაქსურად კაუზატივი არ განსხვავდება გარდამავალი ზმნისაგან:
სუბიექტი ამ შემთხვევაშიც ყველა დრო-კილოში წარმოდგენილია ერ-
გატივში (უღვლილება იხ. § 62).

მაგალითად:

...ტესაპატ ტეღარენ ნანახ ჭურარუხო ჩიჩესნედი, ოწკალ-
ფესნედი, ლაფესნედი შელ ფართალღოხ. ДГр 96₄—„იმ წამსვე
[სათში] იმ ყმაწვილმა დედა ორმოდან ამოაყვანინა, გააბანინა,
კარგი ტანისამოსი ჩააცმევინა“...

ზუტე ჩუბღოხ მიაესხო, უნსა შეთჳრ სანდულ სერბესტაი
R 17₁₀—„მე იმ ქალს აქ მოვიყვან, შენ ერთი ისეთი კიღობანი გააკეთ-
ებინე“.

ფასკალენ ეხნე: ზუ უნ უკალ სანდულახ სერბესჴულღო. R 17₁₃
—„მეფე ეუბნება: მე შენგან ნათქვამ კიღობანს გაეაკეთებინებ“.

ზორინ უქესნესტა, ამა საკუტორ თე აყი, იჩ ჟომო-ნე-ლახსა,
ტესაპათ ჰაესაყნება. R 8₁₄—„ძალით აკმევს, მაგრამ ერთი ლუკმა
რომ აიღო, პარში იღებს, მაშინვე აღებინებს“.

რუსტამენ ეხნე: ქანო ეფეშაგა აშბესნუსტა. R 9₁₀—„რუსტა-
მი ეუბნება: მაგას რა ხელობას მისდევ [ამუშავებინებ]?“

რუსტამენ ბეს ჩუქი, ბონესსა; ხინწრახ ჩიხარკესნესტა. R 12₃—
„რუსტამმა თავი მოსწყვიტა, აგდებს; ქალიშვილს ათავისუფლები-
ნებს“.

ტეხობ ხინწრახ სო-სო ლაჩფი, ალა ჩიჩესნესტა. R 12₁₂—
„ის სამი ქალიშვილი თითო-თითო მიაბა, ზევით ააყვანინებს“.

ხინწრენ აკესნესტა ბაჰანებ, მა-თე იჩ ქინ პინენ მუჰურ-რე-
დულე. R 14₁₅—„ქალიშვილი აჩვენებს ბექს, სადაც თავისი ხელით
სისხლანა ბეჭედი დაარტყა [ნიშანი დაადო]“.

ყუმენ ხენახ, ეყუნ ანეყსა, რუსტამახ იჩ-ლახო არცენესტა.
R 15₁₄—„ფრინველი წყალს, ხორცს აიღებს, რუსტამს თავის [თავ]ზე
შეისვამს“.

მაგრამ უღურში დასტურდება თავისებური წარმობაც კაუზატი-
ჩის ფორმებისა. სახელდობრ, კაუზატივის საწარმობლად გვევლინება
-ევ || -ვ ფორმანტი, რომელიც ფუნქციით ემთხვევა -დესუნ || -ტესუნ
მაწარმობელს.

ამგვარი ზმნებია (თარგმანი მოცემულია პირის ფორმით, რომ მნიშვნე-
ლობა ზუსტად იყოს გადმოცემული):

1. ბათესუნ ← *ბათესუნ — „იღუბება“: ბათ-ევ-კესუნ — „ღუ-
პავს“:

მაგალითად:

ვახ ბუთუნ ბოაყე სურუ შარაპნეცი ყანახო ღარიანუნ-ბოშ ვახ
ბათესუნკი ხენე-ბოშ. მთ. 8, 32 — „და მთელი ღორის ჯოგი გადაეშვა
კლდიდან ზღვაში და დაიღუპა წყალში“...

ფასკალ ლაფ ბეზარებაქე, თეტუბა, ეთარ-ყა-ნ-მეტუხ-ბათე-
კი. R 7₁₂ — „მეფე მთლად გაბეზრდა, არ იცის, იგი როგორ დაღუპოს“.

საემო-ალ ბინეთი ქოლლა ყათი ვახ ქოლ ქალაბაქი, ბათე-ევ-
კი შოტუხ. მთ. 13, 7 — „ზოგიც ჩაეარდა ბალახ-ბულახში, და ბალახ-ბუ-
ლახი გაიზარდა და დაღუპა იგი“...

2. ბოშესუნ — „ძღება“: ბოშ-ევ-კესუნ — „აძღებს“.

მაგალითად:

ვახ ქაყუნ ბუთუნტინ ვახ ბოყუნში. მთ. 15, 37 — „და ქამეს
ყველამ და გაძღენ“...

ბაფესხოლან ხორაგუნ აღენ იჩუხ ბოშე-ევ-კესა — „შესვლისთანავე
საკმლის სუნმა თვით გააძღო“...

მალინ-მან-აყო მან მე ბეფან განუ ტემა შუმ, თე ბოშე-ევ-კა-
მან მემადამარლობ? მთ. 15, 33 — „საიდან ვიშოვოთ ჩვენ ამ უღაბნო ად-
გილას იმდენი პური, რომ ამდენი ადამიანი გავაძღოთ?“...

3. ზერ-ესუნ — „ვირთვები“, „კლამაზღები“: ზერ-ევ-კესუნ —
„ერთავ“, „ვალამაზებ“, ДГр 6₂₃.

4. ლახესუნ — „აღის“ [მაღლა]: ლა-ევ-კესუნ — „აღებს“, „მოი-
ღებს“, „იკვამს“.

მაგალითად:

ბეაყუნღესა, თესა იშენ იჩ თურმულოლ ლავ-კენ-
ვაჟრომუენახ. R 9₁₁ — „ხედავენ, რომ ერთ კაცს თავის ფეხებზე წამოუტევა მსოფლიოს
წისკვილის ქვა“...

ბაბონალაბ ჰოუზუნ თუმეხო ბოლანებსა, ეჩერი, ი ჩ ქ ე ლ ლ ა ე ყ უ ნ-
კ ე ს ა. R 19₃—„ბეკედს აუზის ძირიდან ილებს, მოიტანა, ხელზე აცვა-
მენ,“...

5. ც ი ს უ ნ ← *ცი-ეს უ ნ — „ჩამოდის“: ც ი-ფ ს უ ნ — „აგდებს“,
„ყრის [ძირს]“: ც ი რ-ე ვ-კ ე ს უ ნ — „ჩამოჰყავს“, „ჩამოსვამს“, „ჩამო-
აგდებს“.

მაგალითად:

თაცი, სა ქარვანო კუა ც ი ნ ე ს ა. R 13₁₄—„წავიდა, ერთი დედაბ-
რის სახლს შევიდა“...

ბიპ ყათირახ-ალ ხელლებსა უშენ, ენეჩსა, ფასქალუნ ჩომოლ ც ი-
ნ ე ხ ა. R 5₃—„ოთხ სახედარსაც ტვირთავს შეშით, მოაქვს, მეფის ეზო-
ში ჰყრის“.

ყუშ თე ბანეფსა აღუნ დუნიანი, ღარახ ც ი რ ე ვ ნ ე კ ს ა. R 16₂—
„ფრინველი რომ ზემო ქვეყანას აღწევს, ყმაწვილს [ძირს] ჩ ა მ ო ს ვ ა მ ს“

6. ქ ე ა ხ უ ნ — „გადის“, „გამოდის“: ქ ე-ვ-კ ს უ ნ — „გაჰყავს“,
„გამოჰყავს“, „გააქვს“.

მაგალითად:

ევახ-თე ქ ე რ ი ნ ე ბ ე ა ლ, შერენებაქი. მთ. 18,6—„როდესაც გა-
მ ო ვ ი დ ა მ ზ ე, [იგი] გახმა“...

ევახ-თე ადამარლობს ქ ე ე ყ უ ნ კ ი, შონო ბააცი... მთ. 9, 25—„რო-
დესაც ხალხი გაიყვანეს, ის შევიდა“...

7. ჩ ა ხ-ე ს უ ნ — „ცვივლები“: ჩ ა ხ-ე ვ-კ ე ს უ ნ — „ვაცივებ“ (შიფნ.,
§ 92).

აღნიშნული სუფიქსი შენიშნა ჯერ კიდევ ა. შ ი ფ ნ ე რ მ ა, რომე-
ლიც ამბობს: „ხშირად ხმოვნების წინ ჩვენ ვხვდებით კიდევ ვ-ს, რომ-
ლის წარმოშობის შესახებ ამჟამად სახელდახელოდ არაფრის თქმა შემი-
ძლია“...³⁴

არა ჩანს, ამ „ვ“-ს ჩართვას მორფოლოგიურ მოვლენად სთვლიდა
შ ი ფ ნ ე რ ი თუ არა. ამასთან -ვ←-ევ.

ამგვარადვე მიუთითებდა ა. დ ი რ ი: „ჩანართი -ვ- გვხვდება ზოგიერ-
თი ზმნის ძირსა და დაბოლოებას შორის, როგორცაა: ზ ე რ ე ვ კ ე ს უ ნ —
„ერთავ“, „ვალამაზებ“ (მიღებულია: ზ ე რ ე ს უ ნ — „ვირთვები“, „ვლამაზ-
ლები“), ქ ე ვ კ ე ს უ ნ — „გამოღება“, მიღებულია: ქ ე ს უ ნ — „გამოსვლა“³⁵.
იქვე იგი ურთავს შენიშვნას: „საფიქრებელია, რომ ამ ვ-ს საშუალებით

³⁴ ა. შ ი ფ ნ ე რ ი, Versuch, § 92.

³⁵ ა. დ ი რ ი, Грамм., გვ. 6.

იწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნები. მისი წარმოშობა ჩემთვის უცნობია. შდრ. შიფნერი, გვ. 24, § 92“.

ეს მითითება ა. დირს შემდგომ არ გამოუყენებია. როდესაც იგი არჩევს ამ ჩანართი „-ვ“ (←-ევ)-ს საკითხს, ურთავს მოზრდილ შენიშენას რომელშიც მოცემულია სხვა გვარი (და მცდარი) ახსნა ამ ფორმანტისა: „ეს „ვ“, ალბათ, წარმოადგენს ძველს, ასე ვთქვათ, გაქვა ვებულ ნაცვალსახელოვან ელემენტს. როგორც ასეთი, ის გვხვდება ბევრ დაღესტნურ ენაში (ავარულში, კიურულში, ჰიურკილურში, თაბასარანულში და ა. შ.) და მიუთითებს, თუ ის შედის ზმნის შედგენილობაში, ქვემდებარის ან დამატების გრამატიკულ სქესზე. უღური ენა, ექვს გარეშეა, კავკასიურ ენათა აღმოსავლური ჯგუფის ერთერთი წევრია, და ამიტომ გასაკვირი არაა, თუ მასში შემორჩენილია წინანდელი გრამატიკული სქესების კვალი“³⁶.

რასაკვირველია, სავარაუდოა, რომ უღურში ძველად გვექონოდა გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნები და მათი ნაშთი გაქვავებული სახით შეიძლება სადმე შეგვხვდეს. მაგრამ ამგვარი მონაცემი უნდა გააზრიანდეს, მისი ფუნქცია დასაბუთდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ეს „-ვ || -ევ“ აფიქსი უნდა წარმოადგენდეს გარდამავლობის აფიქსს გარდაუვალი ზმნებისათვის, ხოლო ზოგჯერ იგი აწარმოებს კატეგორიულ ფორმებს.

³⁶ ა. დირი, იქვე, გვ. 42, შნშ.

უღვლილეების თავისებურებანი უღურში

§ 77. თავისებური ზმნები უღურში. ზმნის ფუძეს საზოგადოდ აწარმოებენ გარკვეული მეშველი ზმნები, რომელთა უღვლილებაც მარტივ სისტემას წარმოგვიდგენს. ამის გამო თავისებურებანი უღვლილებაში მცირე შემთხვევაში დასტურდება. ეს თავისებურებები შეეხება უმთავრესად ამ მეშველ ზმნათა ფუძის მონაცვლეობას დრო-კილოთა მიხედვით, ასეთი თავისებურება ახასიათებს: ეს უნ, ფეს უნ, ბართეს უნ, უქს უნ, ბაპს უნ... ღა ბუ—„ყოფნა“ მეშველ ზმნებს.

1. ეს უნ—„მოსვლა“—სხვადასხვა ფუძეს გვიჩვენებს დრო-კილოთა მიხედვით: აწმყოში: -ეს← || *-ეი-ეს←*ელ-ეს;

აორასტი I და II-ში (და მათგან ნაწარმოები ფორმებში):-არ- || -ერ- || -ეც-; ბრძანებითი: ექ-, დანარჩენ დრო-კილოში: -ელ-...

ეს-უნ—„მოსვლა“, აფ-ეს-უნ—„ადგომა“, თაფს-უნ (*თა-ეს-უნ) — „წასვლა“.

აწმყო: შონო ე-ნე-ს-ა, აფ-ნე-სსა←*აი-ნე-ზ-ეს-ა, თა-ნე-სა (*თა-ნე-ეს-ა)

აორ. I: არ-ი-ნე, აფ-ნე-ზ-ერ-ი, თა-ნე-ც-ი (*თა-ნე-ეც-ი)

ბრძ. 2 პ. ექ-ე←*ექ-ა! აფ-ა! თაქ-ე!←*თა-ექ-ა!

კავშ. I. ელ-ა-ნე, აფ-ა-ნე, თა-ლ-ა-ნე (*თა-ელ-ა-ნე)

მყოფ. I: ე-ნე-ლ-ო, აფ-ნე-ზო, თა-ნე-ლ-ო (*თა-ნე-ელ-ო)

მყოფ. II: ელ-ალ-ლე, აფ-ელ-ალ-ლე, თა-ლ-ალ-ლე (*თა-ელ-ალ-ლე)

მაგალითად:

სა ქარავნო ენესა ფასქალუნ-ტოალოალ. R 7 13 — „ერთი დედაბერი მოდის მეფესთან“.

არ იყოფნ ერუსალიმა ბილიჯიუხ ბეილ-ქედალ ამეფხო. მთ. 2, 1— „მოვიდნენ ერუსალიმს ბრძენნი აღმოსავლეთის მხრიდან“.

შონორ თაყუნცე, აყოვე ტოეშანუხ ვაზ ბესყუნბე.—„ისინი წავიდნენ, დაინახეს კურდღელი და მოკლეს“.

ზე ვპრპე ხაშელაზ ვახო. მთ. 3, 14—„მე უნდა მოვიწათლო შენგან“.

ექენან ბეზ-ტოშტან, ზუ-ალ ეჭაახ ბაზ ადამარბიყალ. მთ. 4, 19—„იარეთ ჩემს უკან, მე კი თქვენ გაგზავნი ადამიანთა დამკერს“.

ბართა თამყანბაქი ფეხამბარენ ფიო, თე შონო ნაზორეჲ კალელაღღე. მთ. 2, 23—„დაე განსრულდეს მოციქულის ნათქვამი, რომ იგი ნაზორეველ იწოდება“.

2. ფესუნ—„თქმა“—სხვა ფუძესთან ერთად (შედგენილ ზმნებში) შემდეგ სახეებს წარმოგვიდგენს:

ფ-ეს-

აწმყო: ეხ-:

აორისტი I და II: -ფ:

ბრძან.: -ფ-:

სხვაგან:-კ-: კავშ. I:

მყოფ: I:

ცამ-ფეს-უნ—„წერა“

ცამ-ზუ-ენ-ა—„ვეწერ“

ცამ-ზუ-ფ-ი—„დავეწერე“

ცამფა !—„წერე!“

ცამ-ზუ-კ-ო—„დავეწერ“...

ცამ-კ-ა-ზ—„დავეწერო“

თუ „ფესუნ“ დამოუკიდებლად იხმარება, მაშინ აწმყოში დროის ნიშანი არ ჩანს: აწმყო: ეხ-ზუ←*ენ-ზუ-ა || *ენ-ა-ზუ.

თავისებური ფუძეები უჩნდება მას აგრეთვე ბრძანებითში: 2 3. მხ. რ. უფ-ა! მრ. რ. უფ-ა-ნან!

იმ ფორმებში კი, სადაც კ გვაქვს, მას წინ ექნება ხმოვანი -უ, ვიღებთ უკ-ფუძეს... კავშ. I: უკ-ა-ზ—„ვეთქვა“... მყოფ. I: უკ-ო-ზ || უ-ზ-კ-ო—„ვიტყვი“ და ა. შ.

მაგალითად:

იჩიოლდამშელოხოლ თე ჩილნგ-ნე-ა ჩიეხა. R 7₈—„თავის ამხანაგებთან რომ ჩილიკა-ჯოხს თამაშობს“.

ფასჰალენ კალღეხა რუსტამბ, ეხნე. R 7₁₅—„მეფე უძახის რუსტამს, ეუბნება“.

ევიპტახო კალზუფე ზუ ბეზ ღარახ. მთ. 2, 15—„ევიპტიდან მოვეუწოდე მე ჩემს ძეს“.

ვაზ ფინე შოტუ: შუკალა ეკალ მა უფა! მრკ. 1, 44—„და უთხრა მას: არაგის არაფერი არ უთხრა“.

ქატინ ბუტყუსა ვახ სააშ უკანე. დღრ 67₂₅—„მას სურს შენ ერთი რამ გითხრას“.

ბუზაყსაჲ, ცამკაზუჲ, ნეპენ თანეშერი. დღრ 67₁₂—„მინდოდა, დამეწერა, ძილმა წამილო“.

შეტაბახტინ-თე იროდენ ბუტუყსა, აელახ ჭუ რ უ კ ა ნ ე. მთ. 2, 13—
„არადგანაც ჰეროდეს სურს, ყრმა მოსძებნოს“.

ნიჯურში აწმყოში ეხ ფუძეს ერთვის თავში ნ, ხოლო ზოგჯერ იკარ-
გება ბოლო ხ თანმთვანი.

ზუ ნ ე ხ-ზუ←*ნეხ-ზუ-ა—„მე ვამბობ“.

ზუ ა მ თ-გ ზ-ნ ე←*ა მ თ-გ ზ-ნ ე ხ ა—„მე ვლაპარაკობ“...

მაგალითად:

ბიძას ხეიორ, ად ნანა|—ნე ხ ე ზამან. N—„სალამო მშვიდობისა,
დღეაჲ!—ე უ ბ ნ ე ბ ა ზამანი“.

ზუ სა ჯეთუმ ამდარ-ზუ: კოენუთ, კონჯუხნუთ, ჰამეთარ თ არ ა-
ზ-ნე. N—„მე ერთი თბოლი კაცი ვარ: უსახლკარო, უპატრონო,
ამგვარად დავხეტიალობ“ (შდრ. თ არ ა ფ ს უ ნ—„აქეთ-იქით სი-
არული“).

ხურჯინახ ტესაჰათ ყუ ჰ ე ნ ე, ენესა, ბანესა კოდა, ნ ე ხ ე ვიჩა.
N—„ხურჯინს იმწამსვე ყლაპავს, მოდის, შედის სახლში, ე უ ბ ნ ე-
ბ ა ძმას“.

3. ბ არ თ-ეს უ ნ—„გაშვება“, „თავის დანებება“: ზმნის ფუძეა
„ბ არ-თ“, რომლის მეორე ნაწილი „თ“ აწმყოში ინაცვლებს -ე ხ-ს,
გარკვეულ დრო-კილოებში კი -კ-ს:

აწმყო: ბარ-ზუ-ეხ-ა—„ვეუშვებ“,

აორისტი I: ბარ-ზუ-თ-ი—„გავუშვი“

ბრძანებითი: ბარ-თ-ა|—„გაუშვი!“

კავშირებითი I: ბარ-კ-ა-ზ—„გავუშვა“

მყოფადი I: ბარ-ზუ-კ-ო—„გავუშვებ“

მყოფადი II: ბარ-კ-ალ-ზუ...—„გავუშვებ“.

მაგალითად:

ფასქალ ირაჰმბაჰი მე ნოქჰარი-ლახო, ბ არ რ ე თ ი შოტუხ. მთ.
18, 27—„მეფეს შეეცოდა ეს მონა [მსახური], გაუშვა ის“.

ბ არ თ ა, ბეზ ოლქინახ თალაზ. Д Гр 67з.—„გამიშვი, ჩემს ქვეყა-
ნაში წავიდე“.

ვგანწ შინ-თე ბ არ კ ა ი ნ იჩ ჩუბლობ... მთ. 5, 31—„თუ ვინმე
გაუშვებს თავის ცოლს“...

შეტუ ბუტუყსაჲ თალანე, ამა ბაბან თე-ნე-ბ არ თ ი—„მას სურდა
წასულიყო, მაგრამ მამამ არ გაუშვა“.

4. უ ქ-ს უ ნ—„ჰამა“—ფუძეს აორისტი I-ში ეკარგება ხმოვანი უ:

აწმყო: უ-ნე-ქ-სა—„ჰამს“

აორისტი I: ქამ-ნე || ქამი-ნე—„შეჰამა“

ბრძანებითი: უქ-ა|—„ჭამეა“
მყოფალი I: უ-ნე-ქ-ო—„შეკამს“
მყოფალი II: უქ-ალ-ლე—„შეკამს“

მაგალითად:

რუსტამენ ხუპახ უ ნ ე ქ ს ა, დიზიკახ ბ ე ნ ე ლ ს ა. R 14, — „რუსტამი ფლავს ჭამს, ღვეს უცდის [უყურებს]“.

ენხე: „ადამარი ადღესა. გოლრ ვახტ-ტე, ადამარი ეყ თე-ზ-ქ-ქ-ე. R 12₂—„ამბობს: ადამიანის სუნი მოდის. ბევრი ხანია, ადამიანის ხორცი არ მიკვამია“.

მელან ტალა შუკალენ ვახო მა-ყა-ნ-ქ-ქ-ე ბუპარ სალ. მრკ. 11, 14— „აქიდან მოყოლებული ვერავინ შენგან ნუ შექამოს ნაყოფი ვერასოდეს“.

პახსა დრე ააზალ, ვახ უქალლე. R 12₁—„ახლა ღვეი ადგება, შენ შეგჭამს“.

5. ბაპსუნ—„მიღწევა“, ზაპსუნ—„წვევა“, „მოწევა“, „გაწევა“, ააზაპ-სუნ—„აწონვა“... ზმნები იშლება ამგვარად: ბაპ-ე-ს-უნ, ზაპ-ე-ს-უნ ააზაპ-ე-ს-უნ. მაგრამ სხვა დრო-კილოები გვიჩვენებს. რომ მეორე ნაწილში უნდა იყოს ფ-ეს-უნ დაბოლოება: ფ დაკარგულია: *ზაპ-ფ-ს-უნ→ ზაპსუნ.

აწმყო: ზაპ-ნე-ხ-ა←*ზაპ-ნე-ე-ხ-ა—„ეწევა“

აორისტი I: ზაპ-ნე-ფ-ი—„მოსწია“

ბრძანებითი I: ზაპ-კ-ა-ნე—„მოსწიოს“

მყოფალი I: ზაპ-ნე-ქ-ო—„მოსწევს“

მყოფალი II: ზაპ-კ-ალ-ლე—„მოსწევს“

მაგალითად:

ბანეპსა ქურრა ოშეხ, ბენელსა... R 11₈—„[მი]აღწევს ორმოს ძირს, ხედავს“.

მეტაბასტინ გოგან ფასქალულ ლარინე ფასქალალ, მატუ-თე ბუტუყე, ესაბახ ზაპკანე იჩ ყულურლოხო. მთ. 18, 23—„ამიტომ ცის მეუფება მსგავსია მეფისა, რომელმაც მოისურვა, ანგარიში გაეწორებინა [გაეწია] თავისი მსახურებისათვის“.

შონორ იჩლო მურადა-ყა-ყუნ-ბაფი, აან-ალ ბემ მურადა. R 86₁₁—„მათ თავიანთ სურვილს მიაღწიონ, ჩვენც—ჩვენ სურვილს“.

§ 78. მეშველი ზმნები «ბუ» და «ბაქსუნ». მეშველი ზმნა ბუ— „ყოფნა“ || „ქონება“ || „ყოლა“ დასტურდება მხოლოდ აწმყოსა და ნამყო უწყვეტელში, სხვა დრო-კილოებში და მასდარში მას ენაცვლება ბაქ-სუნ—„გახდომა“, „ყოფნა“ ზმნა. აწმყოში მას დროის სუფიქსები არა

აქვს. ჩვეულებრივ ბუ-ც აღარ ჩანს და მის ფუნქციას ასრულებენ პირის ნიშნები. მთლიანად ბუ და ბაქსუნ ამგვარად იღვლევა:

აწმყო:

ზუ *ბუ-ზუ→ზუ-ზუ—„მე ვარ“
უნ *ბუ-ნუ→უნ-ნუ—„შენ ხარ“
შონო *ბუ-ნე→შონო-ნე—„ის არის“
ჯან *ბუ-ჯან→ჯან-ჯან—„ჩვენ ვართ“
ვაან *ბუ-ნან→ვაან-ნან—„თქვენ ხართ“
შონორ *ბუ-ყუნ→შონორ-ყუნ—„ისინი არიან“

ნამყო უწყვეტელი: (3 პირი):

შონო ბუ-ნეჟ→შონო-ნეჟ—„ის იყო“...
შონორ ბუ-ყუნ-ი→შონორ-ყუნ-ი—„ისინი იყვნენ“

აორისტი I:

ზუ ბაჭი—„მე ვიყავ“ ჯან ბაჯაქი—„ჩვენ ვიყავით“
უნ ბანქი—„შენ იყავ“ ვაან ბანანქი—„თქვენ იყავით“
შონო ბანექი—„ის იყო“ შონორ ბაყუნქი—„ისინი იყვნენ“

აორისტი II (3 პირი):

შონო ბანექე—„ის იყო“
შონორ ბაყუნქე—„ისინი იყვნენ“ /

კავშირებითი I (3 პირი):

შონო ბაქ-ა-ნე—„ის იყოს“
შონორ ბაქ-ა-ყუნ—„ისინი იყვნენ“

მყოფალი I:

ზუ ბაჭქო—„მე ვიქნები“
უნ ბანქო—„შენ იქნები“
შონო ბანექო—„ის იქნება“ და ა. შ.

მყოფალი II (3 პირი):

შონო ბაქა-ლ-ლე←ბაქალ-ნე—„ის იქნება“
შონორ ბაქა-ლ-ყუნ—„ისინი იქნებიან“

ბუ და ბაქსუნ გადმოგვცემენ „ქონება ოცოლა“ სემანტიკასაც. მაშინ დასტურდება ფორმა, რომელშიც პირის ნიშნები წარმოდგენილია ნათესაობით-სუბიექტიანი უღვლილების მიხედვით (§ 64).

აწმყო:

ბეზი ბეზ-ბუ ო ბუ-ბეზ — „მე მაქვს“ ო „მყავს“
ვი ვი-ბუ — „შენ გაქვს“ ო „გყავს“
შეტაჟ ტა-ბუ ო ბუ-ტაჟ — „მას აქვს“ ო „ჰყავს“

ბეში ბეშ-ბუ- — „ჩვენ გვაქვს“ || „გვყავს“
 ეაჭი ეაჭ-ბუ — „თქვენ გვაქვს“ || „გყავსთ“
 შოტრლოა ყო-ბუ || ბუ-ყო — „მათ აქვს“ || „პყავს“

აორისტი I:

ბეზი კოჯ-ბეშ-ბაქი || კოჯ ბა-ბეშ-ქი — „მე სახლი გქონდა“
 ვი კოჯ-ვი-ბაქი — „შენ სახლი გქონდა“
 შეტაა კოჯ-ბა ტაქი (|| ბატაა-ქი) — „მას სახლი ჰქონდა“
 ბეში კოჯ-ბეშ-ბაქი — „ჩვენ სახლი გქონდა“
 ეაჭ კოჯ-ეაჭ-ბაქი — „თქვენ სახლი გქონდათ“
 შოტრლოა კოჯ-ყო-ბაქი — „მათ სახლი ჰქონდათ“

მაგალითად:

ბახტავარუ-ყუნ ქსიბორ ელმულონ, შეტაბახტინ-თე შოტლოა ბუ-ნე გოგნა ფასხალ. მთ. 5, 3 — „ნეტარ არიან ღარიბნი სულითა, რადგანაც მათი არის ცის მეუფება“.

შოტულონ ეხყუნ: უნ ბასკი თე-ნუ-ა, პური-ნუ-ა. R 19₃ — ისინი ეუბნებიან: „შენ დაძინებული არ იყავ, მკვდარი იყავ“.

შეტაბახტინ-თე შონორ ბუ ყუნი ჩხლიბიყალუხ. მთ. 4, 18 — „რადგანაც ისინი იყვნენ მეთევზენა [თევზის დამჭერნი]“.

შელ ხე თე-ბეშ-ბუ, ბეშ ორედნა სა დიზიკ-ნე-ბუ. R 13₁₇ — „კარგი წყალი არა გვაქვს, ჩვენ წყაროზე ერთი გველშაპი არის“.

ამმა შეტინ ლანხი ბუთუნ იჩ ქარხესუნ. ეკა-თე ბუ ტაა. ლკ. 21, 4 — „მან კი დაღო მთელი თავისი ქონება, რაც ჰქონდა“.

ისუსენ ჭულანები: ვი თე-ვი-ბაქოა ეკალ იხტარ ბეზ-ლახო, აგანა ნ-გი-ნ-თადეცეა ვა ალახო. იოპ. 19, 11 — „იესომ უპასუხა: „შენ არ გექნებოდა არაერთარი უფლება ჩემზე, რომ არ მოგცემოდა ზემოთგან“.

შეტაბახტინ-თე შოტლოა ბუყო გოგნა ფასხალულ. მთ. 5, 10 — „რადგანაც მათი არის ცის მეუფება“.

ში-თე ბუ ტაა იმხოხ იბაქსუნენკ, იმუხ-ყა-ნ-ლახი. მთ. 11, 15 — „ვისაც აქვს ყურნი სასმენელად, ისმინოს“.

ბუთუნ, ეკა-თე ბუ ვი, თოვდა ვა ბარბა ქსიბლო, ვა ბავილო დრვლით გოგილ... ლკ. 18, 22 — „ყველაფერი, რაცა გვაქვს. გაყიდე და გაუნაწილე ღარიბებს და გექნება ქონება ცაზე“.

ნიკურში ბუ ძირითადი მნიშვნელობით ჩვეულებრივად იუღვლება. ქონება || ყოლა-ს მნიშვნელობით კი ის იუღვლება მიცემით-სუბიექტიანი ზმნების მსგავსად: პირის ნიშნები წარმოდგენილია მიცემითი II-ის ფორმით, ლოგიკური სუბიექტი კი ნათესაობითი ბრუნვით (§ 63):

აწმყო:

ბეზი ზახ-პუ←ზახ-ბუ—„მე მაქვს“
ვი ვახ-პუ←ვახ-ბუ—„შენ გაქვს“
შოტაძე ტუხ-პუ←ტუხ-ბუ—„მას აქვს“
ბეში დახ-პუ←დახ-ბუ—„ჩვენ გვაქვს“
ეაჭი ვაახ-პუ←ვაახ-ბუ—„თქვენ გაქვთ“
შოტროლო ტუახ-პუ || ←ტუახ-ბუ
|| ტოაოახ-პუ—„მათ აქვთ“

მაგალითად:

ბეზ ვახუნ ვ ა ი თ ზახპუ—„მე შენთან ს ი ტ ყ ვ ა მაქვს“.

ვი გოჭნა ჩოჯურ ვახ-პუ—„შენ მშვენიერი სახე გაქვს“.

შოტაძე პოეფალა თახგლ თე-ტუხ-პუ—„მას სამყოფი მოსავალი [სარჩო] არ აქვს“.

შოტინ გელე-ნე-აშბგსა, ჰამა პოეფალა თახგლ თეტახ-ბუ. Sd 59, N.—„ის ბევრს მუშაობს, მაგრამ სამყოფი მოსავალი არ აქვს“.

ზაქარაძე ბუ-ტუხ-ი სა ჩუტუხ, იზ წი ეთარ. N—„ზაქარას ჰყავდა ცოლი, მისი სახელი ეთერი“.

ბეზი ტე ვახტ ბუ ზახ ი სა ვიჩი. N—„მე მაშინ მყავდა ერთი ძმა“.

შოტაძე ბუ ტუხ ი კოაა სა არაბა. N—„მას აქვს შინ ერთი ურემი“.

მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება ამ ზმნაშიც იშლება და პირის ნიშნები დასტურდება სახელობით-ერგატივიანი უღვლილების მიხედვით.

მაგალითად:

ბეში სა ყანჯღ ხ ა ხ-ნ ე-ბუ ა —„ჩვენ ერთი ბებერი ძალი გყავდა“.

ბ ა ქ ს უ ნ ზმნა ზოჯერ წარმოდგენილია მიცემით-სუბიექტიანი უღვლილებით და მაშინ ის გამოხატავს „შე ი ძ ლ ე ბ ა“-ს სემანტიკას. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ გამოყენებულია მყოფადის ფორმა, რომელსაც ენიჭება აწმყო ს მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა:

ზა ბაჯაქო—„მე შემიძლია“ და ბაჯაქო—„ჩვენ შეგვიძლია“

ვა ბავაქო—„შენ შეგიძლია“ ვაა ბავაქო—„თქვენ შეგიძლია“

შოტუ ბატუქო—„მას შეუძლია“ შოტლო ბაყოქო—„მათ შეუძლია“

„შოტუ ბატუქო“ პირდაპირ ნიშნავს: „მას ექნება“, სემანტიკური ცვლილებით კი—„მას შეუძლია“.

მაგალითად:

ტე ვახტ ჯოლდაშმულო ბაყოქო, ქრმზა თაჯეს. R 17₂—„მაშინ ამხანაგებს შეეძლოთ დასანმარებლად წასვლა“.

ტეთრ-თე ისუსა თე-ტუ-ბ ა ქ ს ა ა შპქარ ბაეს შპქარ. მრკ. 1, 45 —„ისე რომ იესოს არ შეეძლო გამოჩენით შესვლა ქალაქში“.

თე-ტუ-ბ ა ქ ო ჰაპბაქეს შპქარ, მანო-თე ჩურფინე ბურლო-ლახო. მთ. 5, 14—„არ შეუძლია დაიმალოს [იმ] ქალაქს, რომელიც დგას მთაზე“.

ნაზმნარი სახელი უპირში

უღურ ენაში დასტურდება შემდეგი ნაზმნარი სახელები: მ ა ს დ ა რ ი, მიმღობა და აბსოლუტივი.

§ 79. მასდარის წარმოება და ფუნქცია. ინფინიტივის საკითხისათვის უღურ ენაში. მასდარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხი უღურ ენაში დაკავშირებულია ინფინიტივის პრობლემასთან. ინფინიტივის წარმოება და გენეზისი კი იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილისათვის საყურადღებო პრობლემას წარმოადგენს³⁷. ცნობილია, მაგალითად, რომ ქართველურ ენებში ინფინიტივი (modus infinitivus) არაა³⁸. იმავე დროს სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ამ გრამატიკულ კატეგორიას გამოჰყოფენ.

უღური ენის მკვლევართა (ა. შიფნერის, ა. დირის) მიერ ინფინიტივად მიჩნეული ფორმა წარმოადგენს ამოსავალს დრო-კილოთა საწარმოებლად (§ 68). იგი სახელ-ზმნური ფუძეა. ჯერ კიდევ ა. შიფნერი შეეცადა, ამ ფორმის შედგენილობა გაერკვია. იგი ამბობს: „ინფინიტივი არის ზმნური სახელი, რომელიც -სუნ-ზე ბოლოვდება და რომელიც შეიძლება ვაბრუნოთ... დაბოლოება -უნ-ის ჩამოცილებით ჩვენ მივიღებთ კომპოზიტებში გამოყენებული ინფინიტივის ფუძეს“...³⁹. ამგვარადვე მსჯელობს ა. დირიც: „-სუნ არის ყველა უღური ზმნის დაბოლოება განუსაზღვრელობით კილოში, იქნებიან ეს ზმნები პირვანდელნი თუ ნაწარმოებნი“⁴⁰.

ა. შიფნერიც და ა. დირიც ზუსტად ვერ ითვალისწინებენ ამ ფორმის შედგენილობას. ამ ნაკეთის ფორმანტად ნაცვლად -სუნ აფიქსისა უნდა მივიჩნიოთ -უნ სუფიქსი და ეს ფორმები ამგვარად დაიშლება: ბეს-უნ — „კე-

³⁷ იხ. ჩენა: «ინფინიტივის» ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უღურ ენაში. «აკად. მოამბე», ტ. III, № 2 და № 4 (1942).

³⁸ თუმცა თველ ქართულში, როგორც ეს მითითებულია, იყო ტენდენცია ამ კატეგორიის ჩასახვისა: არნ. ჩიქობავა, ინფინ. დიალ. კვარ. ზუნძ., გვ. 89.

³⁹ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 28.

⁴⁰ ა. დირი, Грамм., გვ. 39.

თება“, ქარხეს-უნ— „ცხოვრება“, მანდეს-უნ— „დარჩენა“, აყს-უნ— „აღე-
 ბა“, „ყიღვა“, ცამფეს-უნ— „წერა“ და ა. შ. ამას გვავარაუდებინებს ის,
 რომ -უნ ფორმანტი ჩამოშორებული ფუძე (ქარხეს-, მანდეს-...) გამო-
 ყენებულია როგორც ცალკე მორფოლოგიური და სინტაქსური
 ოდენობა (აქვე, გვ. 195).

იოკვევა ისიც, რომ ეს მეორე ფუძეც შეიცავს თავის მხრივ -ეს
 სუფიქსს, რომელიც გარკვეული დანიშნულებით იბმარება დრო-კილოთა
 წარმოების დროს. სახელდობრ, მხოლოდ -უნ ჩამოშორებული ფუძე გამო-
 ყენებულია დრო-კილოთა I ჯგუფის საწარმოებლად, ხოლო -ეს სუფიქსი
 ჩამოშორდება დრო-კილოთა II და III ჯგუფებში გამოყენებულ ფუძეს
 (§ 69). ცხადია, რომ -ეს ფორმანტი არ შეიძლება შეუერთდეს -უნ აფიქსს,
 ის დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს.

ამდენად გამოიყოფა ორი ოდენობა -ეს და -უნ ფორმანტებით: ცამ-
 ფ-ეს— „წერა“, ცამფ-ეს-უნ— „წერა“. მათი ფუნქცია პრინციპულად
 ერთგვარია.

პირველი, -უნ სუფიქსიანი, ფორმა წარმოადგენს არსებითს სა-
 ხელს, რომელიც იბრუნვის და მცირე გამონაკლისს გარდა გვიჩვენებს
 სხვა სახელთა მსგავს ბრუნვის ფორმებს. იგი გვხვდება მხოლოდ მხო-
 ლობით რიცხვში:

მხოლ. რიცხვი (ძირითადი ბრუნვები):

I. სახელ.	ქარხესუნ	შდრ.	ადამარ— „ადამიანი“
ერგატ.	ქარხესუნ-ენ		ადამარ-ენ
ნათეს.	ქარხესუნ-უნ		ადამარ-ი
მიც. I.	ქარხესუნ-ა		ადამარ-ა
მიც. II.	ქარხესუნ-ახ		ადამარ-ახ

მაგალითად:

ტა ბაქალღე ოხნეფსუნ (სახელ.) ვაჰ ულხო ყრაქიღესუნ
 (სახელ.). მთ. 8, 12 — „იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრქენა“.

ტე ვახტა იროდენ ბილიჯროხ ქაპკინ კალფი, აბატუბაქი შოტლოხო
 ჯაბუნ აკესუნ-უნ (ნათეს.) ვჰდინახ. მთ. 2, 7 — „მაშინ იროდმა საი-
 ღუმლოდ მოხიმო მოგვნი, შეიტყო მათგან ვარსკვლავის გამოჩენის დრო“.

შეტაბანტინ-თე იროდენ ბუტუყსა ალახ ჭურუჟანე ბათევეკეს-
 უნ-უნ- (ნათეს.) ბახტინ შოტუხ. მთ. 2, 13 — „რადგანაც იროდს სურს,
 მოსძებნოს ბავშვი მის დასადუჰავად [დალუპვისათვის]“.

იოსიჰ, ღარ დავიდი! მა ყავაყიბი მაჰრამახ ვი ჩუბლოხ აყსუნა
 (მიც. I). მთ. 1, 20 — „იოსებ, ძეო დავითისაო! ნუ შევეშინდება შენი
 მეუღლის, მარიამის მიღება [თხოვა]“

ვაჲ დუნიანი მოლორედესუნ-ახო (დაშორ.). მთ. 18, 7—
„ვაი ქვეყანას ცთუნებისაგან“...

ფასბესან თე-ზ-არე ზუ, აჲმა თამბესუნ-ენკ (განკუთვნ.) მთ.
5, 17—„დასარღვევად არ მოვსულვარ მე, არამედ აღსრულე ბისა-
თვის“.

ანალოგიური სინტაქსური ფუნქციითვე გამოყენებულია -უნ მოკვე-
ცილი ფუძეც: იგიც წარმოადგენს დამოუკიდებელს არსებობის სა-
ხელს, იბრუნვის კიდევაც. სახელდობრ:

მხოლ. რიცხვი (ძირითადი ბრუნვები):

1. სახელ.	ქარხეს— „ცხოვრება“	ბიყეს— „დაქერა“
ერგატ.	ქარხეს-ინ	ბიყეს-ინ ბიყს-ინ
ნათეს.	ქარხს-აჲ←*ქარხეს-აი	ბიყს-აჲ
მიც. I.	ქარხს-ა←*ქარხეს-ა	ბიყს-ა
მიც. II.	ქარხს-ახ←*ქარხეს-ახ	ბიყს-ახ...

მაგალითად:

ზუ ფალაზკენა-ზ-ბაქო, თურელ-ალ აჲ ზეს (სახელ.) ბაქალ-თე-ზა.
R 18₇—„მე ფალასის [ჩერის] მსგავსად გავხდები, ფეხზე ადგომა ცკი
არ შემეძლება“.

ტე ვახტ ჯოლდაშმულო ბაყოქო ქრმზგა თაჲეს (სახელ.). R 17₂—
„მაშინ ამხანაგებს შეეძლებათ დასახმარებლად წასვლა“.

ვაჲ ევაზ -თე ჯინუნ ჰევენეკი, ლალენ ბურრევი აით ფესახ (მიც. II).
მთ. 9, 33—„დაროდესაც ავი სული განაძევა, მუნჯმა დაიწყო ლაპარაკი“.

ვაჲ ბურყუნტი სუმბულლოხ ჩუქსახ (მიც. II) ვაჲ უქსახ (მიც.
II). მთ. 12, 1—„და დაიწყეს თავთავის მოწყვეტა და ქამა“.

მე აქლაჲინ ბულ ტუნკური ფს-ინ (მოქმედ.) თაციწე, საქურრუ
ბითი. R 11₂—„ამ ავი სულის თავი ტრიალით წავიდა, ერთ ორმოში
ჩაჲარდა“.

ვაჲ კუა ბაესხოლან (თანაობ.) აყოკი აჲლახ მაჲრამახოლ.
მთ. 2, 11—„და შინ შესვლის თანავე დაინახა ბაჲშვი მარიამთან“.

ა. შიფნერს და ა. დირს ეს ფორმაც მიაჩნიათ ინფინიტივად.
ა. დირი მას უწოდებს „ძირეულ ინფინიტივს“ (infinitiv radical). იგი
ამბობს: „განუსაზღვრელობითი კილო—ძირი (inf. radical) წარმოადგენს
არსებითად შეკვეცილს განუსაზღვრელობით კილოს. რომ ეს ფორმა ვა-
წარმოთ, საჭიროა მოვაცილოთ -უნ პირველადს (primitif) განუსაზღვრე-
ლობითს კილოს და აღვადგინოთ საბოლოო განუსაზღვრელობით კილოში
(infin. terminaison) ხმოვანი ე, ამოღებული სრულ ფორმაში“⁴¹.

⁴¹ ა. დირი, ГРАММ., გვ. 43.

ამრავალ ამ ფორმების წარმოება საზოგადოდ სწორად არის აღნიშნული. გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება მათი კვალიფიკაციის საკითხი. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ მეორე ფორმაც უნდა წარმოადგენდეს სახელს: იგი თავისი ფუნქციით უახლოვდება ქართულ მასდარს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ა. დირი ინფინიტივის ცალკე ფორმებად გამოჰყოფდა კიდევ სამ ნაკეთს, თუმცა თვითონვე მიუთითებდა ამ ფორმათა კაჟირს „შეკვეცილი ინფინიტივის“ ფორმასთან, რამდენადაც ორი მათგანი (მიც. II: ბიყსახ, მოქმ.: ბიყსინ) გარკვეულად ბრუნვის ფორმებს წარმოადგენენ.

ა. დირს ინფინიტივად მიაჩნია აგრეთვე ფორმა, რომლის მაწარმოებელია -ან სუფუქსი (§ 81): ბიყს-ან — „რათა დაიჭიროს“ || „დასაჭერად“, ცამფეს-ან — „რათა დაწეროს“ || „დასაწერად“, აკს-ან — „რათა დაინახოს“ || „დასანახავად“.

მაგალითად:

მანორ-თე ეყუნსა შეტა-ტოლოლ ხაჩესან. მთ. 3, 7 — „რომელნიც მოდიან მასთან მოსანათლავად“.

ჰარლი სო მანნედესა კუა ხორაგბოხსან. R 10₄ — „ყოველდღე ერთი რჩება შინ საკმლის მოსახარშავად“.

ეს ფორმა ცალკე გარკვევას მოითხოვს და მას ჩვენ ქვემოთ შევხებით (§ 81).

ამგვარია ამ ორი ოდენობის მორფოლოგიური რაობა. ისმება საკითხი: რას წარმოადგენენ ნამდვილად ეს ფორმები? რამდენად მართებულია მათი ინფინიტივად მიჩნევა? ეს საკითხი საყურადღებო უნდა იყოს სხვა იბერულ-კავკასიური ენებისათვისაც. ხომ არ იჩენს თავისებურებას ინფინიტივი ამ ენებში? ამ საკითხების გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ ანალოგიური ვითარება სხვა სტრუქტურის ენებში: რას წარმოადგენს, საერთოდ, ინფინიტივი და როგორია ამ გრამატიკული კატეგორიის გენეზისი საზოგადოდ?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ინფინიტივი, როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორია, ჩვეულებრივ მეორეული მოვლენაა: მისი ამოსავალია სახელი და არა ზმნა. სათანადო ლიტერატურაში ამგვარადაა განსაზღვრული ინფინიტივის ფუნქცია და, ნაწილობრივ, მისი გენეზისი: „ინფინიტივი არის სახელური ფორმა, რომლის არსებითი (ძირითადი) ფუნქციაა, მიუთითოს ზმნით გამოხატულ პროცესზე წმინდა და მარტივი სახით. რამდენადაც იგი სახელური მონაცემია, ინფინიტივი შეიძლება იყოს სუბსტანტივირებული (le manger, le boire); როგორც ზმნურს — მას შეიძლება ჰქონდეს დამატება (manger du pain);

გამონაკლისი სახით, ასეა ლათინურსა და ბერძნულში, მას შეუძლია გამოხატოს გვარი და დრო (აქტიური, პასიური, აწმყოს, ნამყოს, მყოფადის—ინფინიტივი), მაგრამ არა რიცხვი და პირი⁴².

ა. მეიე ინდოევროპულ ენათა შესახებ იძლევა ასეთ დასკვნას:

„ზმნური ფუძეების გვერდით ძირები გვაძლევენ ისეთ სახელურ ფუძეებსაც, რომელნიც არ არიან ნაწარმოებნი ზმნური ფუძისაგან, მაგრამ, შეადგენენ რა სიტყვათა იმავე ჯგუფის ნაწილს, ისინი [სახელური ფუძეები] მათ უახლოვდებიან მნიშვნელობით (по смыслу); ამ სახელურ ფუძეებს ამიტომ აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც შეიძინეს შემდგომში ზმნური ფუძეებისაგან ნაწარმოებმა სახელებმა, და ამგვარ ფუძეებს შეუძლიათ შეასრულონ იგივე როლი, რასაც სხვა შემთხვევაში ასრულებენ ნაზმნარი არსებითი სახელები ანდა ინფინიტივები“⁴³.

ერთ-ერთმა კლასიკურმა ენამ—ლათინურმა მოგვცა ინფინიტივის ჩამოყალიბებული კატეგორია. ს. სობოლევსკი ლათინური ინფინიტივის შემდეგ განსაზღვრებას იძლევა: „განუსაზღვრელობითი ფორმა, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ განუსაზღვრელობითს კილოს ანუ ინფინიტივს (modus infinitivus) ან მარტივად (infinitivus), თავისი ძირითადი მნიშვნელობით არის ნაზმნარი სახელი არსებითი, რომელიც იმავე დროს ინარჩუნებს ზმნის შინაარსსაც (смысл)“⁴⁴. ს. სობოლევსკი ლათინური ენის ინფინიტივისათვის შემდეგ ვითარებას ადგენს: **ა.** ინფინიტივი განარჩევს ფორმას დროისა და გვარის მიხედვით; **ბ.** დამატება ინფინიტივთან დაისმის იმავე ბრუნვაში, რაც მას აქვს ზმნის პირიელ ფორმასთან; **გ.** განსაზღვრებად მასთან გამოყენებულია ზმნისართი და არა ზედსართავი სახელი. **დ.** ქვემდებარე არ დაისმის ნათესაობით ბრუნვაში⁴⁵.

⁴² ი. მარუზო, Lexique, გვ. 100.

⁴³ ა. მეიე, Введение, გვ. 290: „Корни наряду с глагольными основами дают и основы именные, которые не произведены от глагольных основ, но, составляя часть той же группы слов, близки им по смыслу; эти именные основы имеют поэтому те же значение, какое приняли впоследствии имена, произведенные от глагольных основ, и могут играть ту же роль, какую играют в других случаях отглагольные существительные или инфинитивы“.

⁴⁴ ს. სობოლევსკი, Грамм. лат. яз., გვ. 290.

⁴⁵ იქვე, გვ. 291: „Глагольное значение инфинитива имеем в следующих отношениях:

ა. он имеет различные формы для выражения времени и залогов; б. дополнение его ставится в том же падеже, как и при других формах глагола (а не в genetivus objectivus, как при существительном): studere litteris (заниматься науками), но studium litterarum—занятие науками; в. определением

ასეთია ვითარება საზოგადოდ ინდოევროპულ ენებში, სადაც ინფინიტივის კატეგორია ჩამოყალიბებულია ყველაზე მკვეთრად.

უღურის განსახილველი ფორმები არ აღასტურებენ იმ ნიშნებს, რომლებიც აქვს, მაგალითად, ლათინურ ინფინიტივს. სახელდობრ: **a.** ეს ფორმები არ განარჩევენ დროსა და გვარს⁴⁶; **b.** განსაზღვრებად მათთან გამოყენებულია ზედსართავი (resp. ნაგენეტივარი) სახელი იმგვარადვე, როგორც ჩვეულებრივ სახელთან (§ 52); **c.** რაც მთავარია, ორივე ფორმა იბრუნვის და ავლენს სახელთა ჩვეულებრივ ბრუნვის ფორმებს (აქვე, გვ. 194 შმდ.),

იმავე დროს უღურის ამ ფორმებში ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ინფინიტივის ფორმის კვალიფიკაციისას საერთოდ. ამ ფორმებთან უღურში დასტურდება განსაკუთრებული კონსტრუქცია: პირდაპირი (ნივთის) დამატება მართულია ამ ფორმათა მიერ იმავე ბრუნვაში, რომელშიც მას მართავს ზმნის პირიელი ფორმა.

მაგალითად:

A. შეტაბანტინ-თე იროდენ ბუტუყსა აჲლახ ჭურუკუნე ბათევეკესუნუნ-ბანტინ შოტუხ (მიც. II). მთ. 2, 13—„არდგანაც ჰეროდესს ჰსურს ბავშვი მოძებნოს მისი“⁴⁷ დაღუპვისათვის“.

იოსიფ, ღარ დავიდი! მა-ყა-ვა-ყიიბი მაჲრამახ (მიც. II), ვიჩუბლოხ (მიც. II) აყსუნა. მთ. 1, 20—„იოსებ, ძეო დავითისაო! ნუ გეშინია მარამის, შენი ცოლის, წაყვანა [შერთვა]“.

შდრ. შეტინ ანეყსა იჩ ჩუბლოხ (მიც. II)—„მას მიჰყავს [ირთავს] თავისი ცოლი“.

B. ჯაბუნახ (მიც. II) აკეს-ხოლან შონორ მუაჯუღნბაქი გრლრ ქალა მუაჯლუდენ. მთ. 2, 10 —„ვარსკვლავის დანახვისთანავე მათ გაიხარეს ფრიად დიდი სიხარულით“.

შდრ. შოტუ ატუკსა ჯაბუნახ (მიც. II)— „იგი ხედავს ვარსკვლავს“.

его служит не прилагательное, а наречие: beate vivere (жить счастливо), но *vita beata*—счастливая жизнь; *d.* подлежащее действия, выражаемого инфинитивом, ставится не в *genetivus subjektivus*, как логическое подлежащее отглагольного существительного: *Herculis labores*—труды Геракулеса, но не *Herculis labore*“.

⁴⁶ რამდენადმე თავისებურია გვარის საკითხა, რადგანაც ეს კატეგორია საერთოდ არაა ჩამოყალიბებული უღურ ენაში. გარდამავლობა-გარდაუვლობას გამოხატავენ ცალკე მეშველა ზნება, რომელთა ინფინიტივად მიჩნეული ფორმებიც განსხვავებულია, მაგრამ აქ ერთი ძირის (resp. ფუძის) დაფერენიციაცა კი არა გვაქვს, არამედ—დამოუკიდებელი ძირები (resp. ფუძეები) და განსხვავებაც ამას ემყარება (§§ 74, 75).

⁴⁷ ქართულში მიც. II-ეს შეესატყვისება ნანათესაობითარი მსაზღვრელა.

ამ ფორმების მიერ სახელი აქ მართულია მიცემით II-ში-
როგორც ეს დასტურდება პირიელ ფორმასთანაც. მოსალოდნელი იყო
ნათესაობითი ბრუნვა, როგორც ეს დამახასიათებელია მსაზღვრელი-
სათვის. აღნიშნული მოვლენა საყურადღებოა, რამდენადაც ამ შემთხვე-
ვაში ყველაზე ძლიერად ჩანს ამ ფორმათა ზმნური თვისება, ზმნის
ფორმათა სისტემაში ჩართვა⁴⁸.

ამ ვითარებასთან დაკავშირებით უნდა დაისვას საკითხი: რა შემ-
თხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ ინფინიტივი? ირკვევა, რომ ინფინიტი-
ვის კატეგორიის გამოსაყოფად და დასადგენად მნიშვნელობა აქვს ორ
მომენტს. არსებითი მნიშვნელობისა, აქვს თუ არა ფორმას
სახელის მართვის ძალა, როგორც ეს პირიელ ფორმა-
სთან დასტურდება. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი
უნდა იყოს, აქვს თუ არა ამ ფორმას ბრუნების კატეგორია, ე. ი.
ჩამოშორდა იგი სახელის სისტემას თუ არა. ინფინიტივის კატეგორია
ივარაუდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფორმა უკვე ჩამოშორდა
სახელის სისტემას, აღარ იძლევა ყველა ბრუნვის ფორ-
მას (ჩვეულებრივ ინფინიტივი წარმოადგენს გაქვავებული სახით რომე-
ლიმე ბრუნვის ფორმას⁴⁹). იმავე დროს მას აქვს სახელის მართვის
უნარიც (ამასთან შეიძლება სხვა თვისებებიც განვივითაროს). თუ ეს
ნიშნები არა გვაქვს, მაშინ დასტურდება ე. წ. მასდარი, როგორც ეს
ქართველურ ენებშია⁵⁰.

რაც შეეხება უღურ ენას, აქ ჩვენ ვხვდებით თითქოს გარდამა-
ვალი ხასიათის ფორმებს: დასტურდება როგორც მათი ბრუნება
(ყველა ბრუნვის ფორმა), ისე მათ მიერ სახელის მართვა
ბრუნვაში.

მიუხედავად ამისა, უფრო დასაშვები ჩანს, რომ უღურში დასტურ-
დება მასდარი, ე. ი. მოქმედების აღმნიშვნელი სახელი. იგი იძლევა
ორ ფორმას: ერთ შემთხვევაში ფუძის სახით: ცამფეს—„წერა“,
ქარხეს—„ცხოვრება“; ამას ვუწოდებთ—I მასდარს; მეორე შემთხვევაში
-უნ ფორმანტის დართვით: ცამფესუნ, ქარხესუნ... მას ვუწოდებთ—
II მასდარს.

⁴⁸ უღურის სპეციალურ ლიტერატურაში ამ მოვლენას ყურადღება არ მიქცევა.

⁴⁹ მაგალითად, სლავურში, როგორც აღნიშნავენ, ის წარმოადგენს მიცემით ბრუნ-
ვას: გ. ილინსკი, К ист. инфин., გვ. 103; ლ. ბულახოვსკი, Истор. кум-
мент., გვ. 154 შმდ.

⁵⁰ მასდარის წარმოებისა და ფუნქციის შესახებ ქართველურ ენებში იხ. არნ.
ჩიქობავა, ჰან. გრამ. ანალ., გვ. 174—178; აკ. შანიძე, ქართ. გრამ., გვ. 184
შმდ.; ვ. თოფურია, სეან. ენა, გამოც. II, გვ. 216 შმდ.

მასდარის ორსავე ფორმას, როგორც ვნახეთ, აქვს ძალა სახელის მართვისა, მაგრამ ეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის შედეგს, რომ აქ ინფინიტივის კატეგორია განვითარდა. ამის საფუძველი უნდა იყოს უძველესი ვითარება, როდესაც სახელური და ზმნური ფუძე თანაბარ ძალას გვიჩვენებდა მართვის თვალსაზრისით⁵¹.

ბუნებრივად ისმება საკითხი: რით აიხსნება უღღრში ორი ფორმის არსებობა ერთგვარი ფუნქციით და როგორია -ეს და -უნ აფიქსების გენეზისი? ეს საკითხები მოითხოვს დამატებით კვლევას.

§ 80. მიმღეობის წარმოება და ფუნქციები უღღრში. უღღრ ენაში მარტივი ვითარება დასტურდება მიმღეობის ფორმების წარმოების მიხედვით: აქ წარმოდგენილია მხოლოდ ორი ძირითადი ფორმა: აწმყო-მყოფადისა და ნამყოს მიმღეობა. ზმნის კატეგორიათაგან მიმღეობაში გარკვეულად ჩნდება მხოლოდ დრო, სხვა კატეგორიები კი მკრთალად არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მიმღეობის ფუნქციებს, ამ ფორმას უღღრშიც აქვს სხვადასხვაგვარი გამოყენება. მიმღეობის წარმოება და ფუნქცია პრინციპულად ერთგვარია უღღრის ორსავე კილოში.

1. აწმყო-მყოფადის მიმღეობა. აწმყო-მყოფადის მიმღეობის ფორმას ა. შიფნერი ასე ახასიათებდა: „აწმყოს მიმღეობა იწარმოება -აღ (სუფიქსით), მაგალითად: აყალ — აყსუნ-ისგან — „აღება“... ო-ს დართვით აწმყოს მიმღეობა გადაიქცევა სუბსტანტივად (§ 35); თუ მასვე დაერთვის -ა, მაშინ იგი ადიექტურად იხმარება სახელის წინ“⁵². ამგვარადვე ახასიათებს ამ ფორმას ა. დირიცი: „აღ [არის] აწმყოს მიმღეობის სუფიქსი“⁵³.

ეს ფორმა, ამრიგად, მართებულად არის გამოყოფილი წარმოების თვალსაზრისით. უნდა დაემატოს ოღონდ შემდეგი: მიმღეობა იგუბებს მყოფადის ვაგებასაც. ამიტომ მას ვუწოდებთ აწმყო-მყოფადის მიმღეობას.

ა. შიფნერის დებულებას უნდა დაემატოს ისიც, რომ -ო სუფიქსი მსგავსი ფუნქციით დაერთვის სხვა მეტყველებების ნაწილებსაც. ცალკე დასაზუსტებელია ა. შიფნერის მიერ მითითებული -ა სუფიქსის რაობა; საქმე ისაა, რომ მიმღეობა ამ სუფიქსის გარეშე იკვეთება იხმარება ადიექტიური ფუნქციით.

აწმყო-მყოფადის მიმღეობა იწარმოება დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფუძიდან; ბ-ეს-უნ — „კეთება“, ქარხ-ეს-უნ — „ცხოვრება“, I ფუძე: ბ-ეს, ქარხ-ეს; II ფუძე: ბ-, ქარხ-; მიმღეობა: ბ-ალ — „საკეთებელი“, „მკეთებელი“, „გამკეთებელი“, ქარხ-ალ — „საცხოვრებელი“,

⁵¹ ანალოგიური ვითარებაა მიმღეობაში (§ 80) და აბსოლუტივში (§ 81).

⁵² ა. შიფნერი, Versuch, გვ. 281.

⁵³ ა. დირიცი, Грамм., გვ. 68.

„მცხოვრები“. მსაზღვრელად გამოყენებული მიმღეობა არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით.

ა შ ბ ე ს უ ნ — „საქმის კეთება“, „მუშაობა“

მიმღეობა: ა შ ბ ა ლ — „საქმის მკეთებელი“. „მუშა“.

მხოლ. რ. სახელ. ა შ ბ ა ლ ადამარ — „მომუშავე ადამიანი“.

ერგატ. ა შ ბ ა ლ ადამარ-ენ

ნათ. ა შ ბ ა ლ ადამარ-ი

მიც. I. ა შ ბ ა ლ ადამარ-ა

მიც. II. ა შ ბ ა ლ ადამარ-ახ

მრავლ. რ. სახელ. ა შ ბ ა ლ ადამარუხ

ერგატ. ა შ ბ ა ლ ადამარლონ

ნათ. ა შ ბ ა ლ ადამარლო

მიც. I. ა შ ბ ა ლ ადამარლო

მიც. II. ა შ ბ ა ლ ადამარლოხ

მაგალითად:

ბ ა პ ა ლ განუ ახრუნ ფუთტუხ ეყნა ბოსახუნ, ეყ თარაეხანგ.
R 15₁₇ — „მისაღწევ ადგილას უკანასკნელი ფუთი ხორცის [პირში] ჩადებისას ხორცი გადავარდა [ასცდა]“.

ზუ უნ უკალ სანდულახ სერბესზულო. R 17₁₃ — „მე შენგან თქმულ ყუთს დავამზადებინებ“.

ბართა ტია ვი ფეშქაშახ ყურბანეჩალ გალა! მთ. 5, 24 — „დასტოვე იქ შენი ძღვენი, შესაწირავის მისატან ადგილას“.

მანო-თე არცინე თრეჯი-გირბალ განუ. მთ. 9, 9 — „რომელიც იჯდა ბაჟის შესაკრებ ადგილას“.

მონო ბუნგ ბეზ ღარ ბუყალ. მთ. 3, 17 — „ეს არის ჩემი ძე საყვარელი“.

არიყუნ ერუსალიმა ბილიჯიუხ ბეაღქელალ ამეზო ვაფიყუნ. მთ. 2, 1 — „მოვიდნენ იერუსალიმს... მზის აღმოსავალი მხრიდან [„აღმოსავლეთიდან“] და თქვეს“.

სუბსტანტივის ფუნქციით მიმღეობა დაირთავს მასუბსტანტივებელ -ო დეტერმინანტს და მისდევს ნაცვალსახელურ ბრუნებას (§ 42 შმდ.).

ნაღლ ფესუნ — „ზღაპრის თქმა“; მიმღეობა: ნაღლ უკალო — „ზღაპრის მთქმელი“.

მხოლ. რ. სახ. ნაღლ უკალო

ერგ. ნაღლუკალ-ტ-ინ

ნათ. ნაღლუკალ-ტ-ა

მიც. I. ნაღლუკალ-ტუ

მიც. II. ნაღლუკალ-ტუხ

მოავლ. რ. სახ. ნაღვლუქალორ
ერგ. ნაღვლუქალ-ტ-ლონ
ნათ. ნაღვლუქალ-ტ-ლოჲ
მიც. I. ნაღვლუქალ-ტ-ლო
მიც. II. ნაღვლუქალ-ტ-ლოზ

მაგალითად:

ამმა ბეზ-გოშტან ეღალო ზახო ზორრუნე. მთ. 3, 11—„მაგრამ ჩემს შემდგომ მომავალი ჩემზე ძლიერია“.

ტე ღიმხო ენესა იოან ხაშტალო. მთ. 3, 1—„იმ დღეებში მოდის იოანე ნათლისმცემელი“.

სო ნაღვლუქალტენკ, სო იმუხლასალტულონკ. R19₁₂— „ერთი ზღაპრის მთქმელისათვის, ერთი მსმენელთათვის“.

შეტაბანტინ-თე ააღუნ ელმულოზ ჭურუქალორ პურეყუნ. მთ. 2, 20—„რადგანაც ბავშვის სულის მამებარნი დაიხოცნენ“.

პარხოდ, შელ ბუჰპარ ნუტეჩალტუხ, ბოტი, ბოყუნსესა არლო-ბოშ. მთ. 3, 10—„ყოველ ხეს, კარგი ნაყოფის არგამომღებს [მომტანს], სკრიან და აგდებენ ცეცხლში“.

შეტაბანტინ-თე შონორ ბუყუნი ჩალი-ბიყალუხ. მთ. 4, 18— „რადგანაც ისინი იყვნენ თევზის მჭერნი [მეთევზენი]“.

ვაა ატუყსა გარლულ ვაა ოანეკალტლოზ ვაა სჰსბალტლოზ ოსტავარ. მრკ. 5, 38—„და ხეუავს შეერთომას და მტირალთ და ხმამალა მგოდებელთ“.

შეტაბანტინ-თე ააჰკე შეტა ჯაბუნახ ბეაღ ქედალაჰ. მთ. 2, 2— „რადგანაც ჩვენ დავინახეთ მისი ვარსკვლავი შხის აღმოსავლისაკენ [„აღმოსავლეთისაკენ“].“

ცალკე აღსანიშნავია აწმყო-მყოფადის მიმღეობის ფორმა, როცა მას ერთვის -ა სუფიქსი.

მაგალითად:

ფიყუნ, თე ისა ზომბაქალა ვახტ თე-ნე. D Gr 72₁₈—„თქვეს, რომ ახლა სასწავლო დრო არაა“.

არლო-ზ-ბაქთე, აა ქედალა თე-ნე, აა მანდალა. D Gr 72₂₀— „გასაჭირში ვარ [ცეცხლში ჩავვარდი], არც გამოსავალია, არც დასარჩენი“.

ა. შიფნერს იგი მიაჩნია იმ შემთხვევისთვის საჭიროდ, როცა მიმღეობა ადრექტიურად არის გამოყენებული: იგი ამბობს: „ატრიბუტულად ხმარებისას მიმღეობას აქვს ჩვეულებრივ ა-ზე დაბლოებული ფორმა“⁵⁴.

⁵⁴ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 45.

ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, რომ ადიექტიურად ჩვეულებრივ გამოყენებულა მიმღეობა ამ ფორმანტის გარეშეც. ეს თავისებური ვითარება ცალკე განხილვას მოითხოვს.

2. ნ ა მ ყ ო ს მი მ ლ ე ო ბ ა. ნამყოს მიმღეობა იწარმოება ი-სუფიქსით. ეს ფორმაც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში: ა. შიფნერი ამბობს: „ნამყოს (წარსულის) მიმღეობა ბოლოვდება -ი-ზე; მაგალითად, ბი ბესუნ-ისაგან... ბრუნება წარმოებს ზედსართავთა მიხედვით“⁵⁵. ხოლო ა. დირი მას ასე ახასიათებს: „ი [არის] ნამყო დროის მიმღეობის სუფიქსი“⁵⁶.

ნამყოს მიმღეობაც იწარმოება დრო-კილოთა II ჯგუფის ფუძიდან: ქარხ-ეს-უნ—„ცხოვრება“: I ფუძე: ქარხ-ეს: II ფუძე: ქარხ-: ნამყოს მიმღეობა: ქ ა რ ხ-ი—„ნაცხოვრები“.

ნამყოს მიმღეობაც არ იცვლება, როცა ის მსაზღვრელს წარმოადგენს.

მხოლ. რ.

სახ.	ქ ა რ ხ - ი	ადამარ
ერგ.	ქარხი	ადამარ-ენ
ნათ.	ქარხი	ადამარ-ი
მიც. I.	ქარხი	ადამარ-ა
მიც. II.	ქარხი	ადამარ-ახ

მრავლ. რ.

ქარხი ადამარუხ
 ქარხი ადამარლონ
 ქარხი ადამარლოჲ
 ქარხი ადამარლო
 ქარხი ადამარლოხ

მაგალითად:

ატუკი... იოანახ, შეტა ვიჩეხ, კიწკე გმინნ არ ცი ზავედეიახოლ, იჩხო ბაბახოლ. მთ. 4, 21—„დაინახა... იოანე—მისი ძმა, პატარა ნაეში [ღამ] მჯდარი ზებედესთან, თავის მამასთან“.

ვაე ეყუნჩესაჲ შეტა-ტოალოლ ბუთუნ აზარულოხ, ბიყეცი ჯურ-ბეჯურ აზარლონ. მთ. 4, 24—„და მოჰყავდათ მასთან ყველა სნეული, სხვადასხვა სენით შეჰყრობილი“

კუა ნანაჲ ბოხეცი დადალ-ტა-ბაქსა. R 8₁₄—„სახლში დედას მობარშული მამალი აქვს“.

მე დან ეჩერი ხინარმულო-ლახო. ДГр 73₉₁—„ამ ჩვენ[გან] მოყვანილ ქალებზე“.

მახ უქალო ტე კაწფი დიზიკ-ნე. R 15₈—„ჩვენი მკამელი ის აჩეხილი გველია“.

⁵⁵ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 28.

⁵⁶ ა. დირი, Грамм., გვ. 70.

თუ მიმღეობა სუბსტანტიურადაა გამოყენებული, მაშინ მასაც დაერთვის დეტერმინანტი -ო და იბრუნვის ნაცვალსახელური ბრუნებით (§ 42):

- მზოლ. რ. სახ. ქარხ-ი-ო —
ერგ. ქარხ-ი-ტ-ინ || ქარხ-ი-ო-ტ-ინ⁵⁷
ნათ. ქარხ-ი-ტ-აჲ || ქარხ-ი-ო-ტ-აჲ
მიც. I. ქარხ-ი-ტ-უჲ || ქარხ-ი-ო-ტ-უჲ
მიც. II. ქარხ-ი-ტ-უხხ || ქარხ-ი-ო-ტ-უხხ
- მრავლ. რ. სახ. ქარხიორ
ერგ. ქარხიტლონ
ნათ. ქარხიტლოჲ
მიც. I. ქარხიტლო
მიც. II. ქარხიტლოხ

მაგალითად:

ეყუნჩერი შეტა-ტოლოლჲ ჰალიხო ბითიტუხ (მიცემ. II), იორ-დან-დოშგუნ-ლახო ლახი. მთ. 9, 2 — „მოიყვანეს მის წინაშე ძალისაგან და ცემული [დავაზდნილი], ლოგინზე და დებული“.

ტევანტა ეხნე ჰალიხო ბაქიტუ (მიც. I). მთ. 9, 6 — „მაშინ ეუბნება ძალისაგან და ცემულს [დავარდნილს]“.

ეთარ-ყა-ნ-თამბაქი ცამეციო. მთ. 26, 54 — „როგორ შესრულდეს ნაწერი [დაწერილი]“.

ბიყიტლონ გენა ისუსას თაყუნშერი შოტუხ. მთ. 26, 57 — „იესოს და მჭერთა კი წაიყვანეს იგი“.

მანდიორ გენა თაყუნსა ოხხაალა. R 10₅ — „დარჩენილი [დანარჩენი] კი მიდიან სანადიროდ“.

ყუშენ ეხნე: „ვახ ეჩერიო ზუ, მანდაკბაქალო უნ? R 16₄ — „ფრინველი ეუბნება: „შენი მომყვანი მე [ვარ], დალილი შენ [ხარ]?“

ქაიორ-გენა ბუყუნი ბიბ ჰაზარალ-ცირიკი. მრკ. 8, 9 — „მკამელნი კი იყვნენ ოთხი ათასამდე“.

ტევანტა თამნებაქი ერემია ფეხამბარენ ფიო. მთ. 8, 9 — „მაშინ შესრულდა იერემია წინასწარმეტყველის ნათქვამი“.

ბახტავარრუ-ყუნ ტაპეციორ დოლორილულენ-ბახტინ. მთ. 5, 10 — „ნეტარ არიან განდევნილი სიმართლისათვის“.

ვაარციტლოენკ ოლქინა ვაპურიტლო ხოჯინა ხაშნელი ხაშენ. მთ. 4, 16 — „და დამსხდართათვის ამა ქვეყნად და მკვდართა ჩრდილში აღმობრწყინდა ნათელი“.

3. მიმღეობის მეორეული ფუნქციები. მიმღეობის ფორმას აქვს მეორეული ფუნქციებიც. ამის გამო მიმღეობის ფორმათა ანალიზი ზოგჯერ რთულდებოდა. ა. დირი, მაგალითად, აღნიშნავდა: „Если мы на-

⁵⁷ -ო ამ შემთხვევაში გაგებულია უკვე ფუძის კუთვნილებად..

звали эти формы причастиями, то это только за неизменением термина с более широким значением, который выражал бы все их функции. Употребление причастий очень разнообразно; иногда это действительно причастия настоящего времени, иногда деепричастия, иногда обозначения *nomini agentis*; нельзя даже сказать, чтобы причастие прошедшего времени имело только значение прошедшего⁵⁸. ამგვარადვე მიუთითებდა ამ ფორმის სხვადასხვა ფუნქციას ა. შიფერიც⁵⁹.

ამ ფორმას მართლაც აქვს რამდენიმე ფუნქცია.

ა. მიმღეობა დროთა საწარმოებლად. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ მიმღეობის გამოყენება დროთა საწარმოებლად. სრულიად ნათელი სურათი დასტურდება აწმყო-მყოფადის მიმღეობის შემთხვევაში. ეს მიმღეობა აწარმოებს მეორე მყოფადს.

ქარხ-ეს-უნ—„ცხოვრება“: აწმყო-მყოფადის მიმღეობა: ქარხალ: მყოფადი II.

მხოლ. რ.	ზუ	ქარხალ-ზუ	— „მე ვიცხოვრებ“ და ა. შ.
	უნ	ქარხალ-ლუ	← *ქარხალ-ნუ
	შონო	ქარხალ-ლე	← *ქარხალ-ნე
მრავლ. რ.	ჟან	ქარხალ-ჟან	
	ვან	ქარხალ-ლან	
	შონორ	ქარხალ-ყუნ...	

მაგალითად:

შეტაბახტინ-თე თაზა ეახიო ჩუქელალღე ბისიტხო ვა დეშიკახ ბაქალღე საკიალ ფის. მთ. 9, 16—„ვინაიდან ახალი მიკერებული მოეგლჩება ძველისაგან და გამოხეული იქნება უფრო ცუდი“.

მყოფადი II-ის ფორმას თავის მხრივ ემყარება პირობით-ნატვრითი II (გვ. 174).

საყურადღებოა ნამყოს მიმღეობაც. იგიც თითქოს წარმოადგენს საფუძველს გარკვეული დროის საწარმოებლად, სახელდობრ, სუფიქსი -ი გამოყენებულია აორისტი I-ის საწარმოებლად, ხოლო შემდგომ სხვა დრო-კილოთა საწარმოებლად უკვე გარკვეულ ფორმებზე დართვით (§ 71). მიმღეობის ფორმისაგან აორისტის ფორმას ასხვავებს მხოლოდ პირის ნიშნები:

მან დესუნ—„დარჩენა“; მიმღეობა: მან-დ-ი—„დარჩენილი“:
აორისტი I.

მხოლ. რ.	ზუ	მან-ზუ-დ-ი	მრავლ. რ.	ჟან	მან-ჟან-დ-ი
	უნ	მან-ნუ-დ-ი		ვან	მან-ვან-დ-ი
	შონო	მან-ნე-დ-ი		შონორ	მან-ყუნ-დ-ი

⁵⁸ ა. დირი, Грамм., გვ. 71. ხაზი ჩვენია.

⁵⁹ ა. შიფერიც, Versuch, გვ. 45—46.

ბ. მიმღეობა აბსოლუტივის ფუნქციით. ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როცა მიმღეობა მიჩნეულია აბსოლუტივის ფორმად. ეს შეეხება მხოლოდ ნამყოს მიმღეობას. ავიღოთ ასეთი ფრაზა: ჰარ ამ აჟი, ეჩერი, კუახ ბუანებსა. ДГр 91₁₄ — „Всякий вещь в з я в, приносив, дом наполняет“ [ა. ღირის თარგმანი].

მკვლევრები ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებენ, რომ ასეთ შემთხვევაში გვაქვს აბსოლუტივი (რუს. деепричастие), ან, რაც უფრო ხშირია, ასეთი თვალსაზრისი თავს იჩენს თარგმნის დროს, კერძოდ, რუსულ ენაზე. მაგალითად, ა. შიფნერი ამბობს: „Das Partizip der Vergangenheit wird auch angewandt um das Gerundium der Vergangenheit zu ersetzen, indem die Postposition *ოშაა*— hinzugefügt wird; z. B. ტელინ არიტუხო *ოშაა*— nachdem man von dort gekommen. i war“⁶⁰.

ა. შიფნერი სიფრთხილით მიუთითებს ფუნქციის მონაცვლეობაზე. ა. შიფნერის მიერ მოყვანილი მაგალითი—*არიტუხო ოშაა*— „მოსვლის შემდეგ“ სხვაგვარად უნდა აიხსნას: ამ შემთხვევაში მიმღეობა ნახმარია სუბსტანტივად სათანადო ბრუნვაში თანდებულობით:

ტელინ არ ი-ტ-უ ხ ო ოშაა— „იქითგან მოსვლის [მოსვლის] შემდგომ“: არ ი-ტ-უ ხ ო (დაშორ.)— „მოსვლისაგან“, ოშაა (თანდ.)— „შემდგომ“.

უფრო ხშირია ამ ფორმის აბსოლუტივად მიჩნევა თარგმნის დროს. თუ ავიღებთ ზღაპარს „რუსტამ“-ს, რომელსაც ახლავს უდი მ. ბეჟანოვის თარგმანი, აგრეთვე უდურ ოთხ თავს, ანდა ა. ღირისა და ა. შიფნერის ნაშრომებს, ჩვენ შევხვდებით ასეთ ნიმუშებს:

თანგე თადი, მე ექახო სოო... იჩ-ბახტინ ანეყესა. ДГр 91₁₆ — „деньги отдавши, этот лошади из один... свой для берет“.

კიწკე ხინარენ ჰარ ღი თა ცი, ტელინ ენეჩესა. ДГр 89₁₅ — „маленький дочерью каждый день пошедши, оттуда приносят“.

რუსტამ, დრვუნხ ბეს ბი, ენესა კუა. R 9₄ — „Рустам, дива у б и в, идет домой“.

ისუსენ, ქებს ბოხო დი, ლაჭნედი შეტულ ვაა ფინე. მთ. 8, 3 — „Исус, простерши руку, коснулся его и сказал“.

ვაა შოტუ ბულ-კოწ ბი, ფინე. მთ. 8, 2 — „и кланяясь ему, сказал“.

მატლო-თე ბუყოყსა, მეჩითლო ვაა დაყნა ქუწხიმულო ჩურ ფი

⁶⁰ ა. შიფნერი, Versuch, გვ. 46: „წარსულის მიმღეობა იხმარება აგრეთვე წარსულის გერუნდის გადმოსაცემად, თანაც მიერთვის თანდებული ოშაა (შემდგომ); მაგალითად, ტელინ არიტუხო ოშაა— „იქიდან მოსვლას შემდგომ“...“

აჭრეფესაბ. მთ. 6, 5— „которые любят в синагогах и на углах улиц
Остановливаясь молиться“.

ვაა იჩენ-ალ, იჩ უომობ ჯაჲ ფი, ზომნები შოტლობ. მთ. 5, 2— „и
он, отверши уста свои, учил их“.

აღამარლობ აკი, შონო ლანგეცი ბურლოლ. მთ. 5, 1 „увидев
народ, он взошел на гору“.

ვაა ნაზორეთაბ ბართი, არი არეცი დბრიაუნ ქოტელ ბუ კაპერ-
ნაუმა. მთ. 4, 13— „и оставив Назарет, пришел и поселился
в Капернауме приморском“.

ვაა ბითი, ბულ-უნ-კოწბი შოტუ. მთ. 2, 11— „и падши, пок-
лонились ему“.

მეტუხ იბაქი, იროდ ფახალ ბირდნ სა განუხო-ნე-ბაქი. მთ. 2, 3—
უსაყსავ это, Ирод вдруг встревожился“.

მოყვანილი და მსგავსი მაგალითების ანალიზი რამდენადმე ძნელ-
დება, რადგანაც სათანადო განათლების (ჩვეულებრივ რუსულის) მქონე
პირები ამ ფორმას აღვილად აღიქვამენ აბსოლუტივად (დეეპრი-
частие-დ). იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა გვაქვს ჩვეულებრივი
მიმღეობა ზრუნვის ფორმით, ამ ფორმებს სხვაგვარი კვალიფიკაცია უნდა
მიეცეს. უნდა ვივარაუდოთ ზმნის პირიანი ფორმები აორისტ I-ში, რა-
მელშიც გამოტოვებულია პირის ნიშანი, რადგანაც პირის ნიშანი მოცე-
მულია მეორე ზმნაში (§ 66): იმას მაგივრად, რომ გვქონოდა, მაგალითად:
კიწკე ხინარენ ჰარ ღო თანეცი, ტელინ ენეჩსა—გვაქვს:
კიწკე ხინარენ თაცი, ტელინ ენეჩსა... ДГр 89,5— „უმცროსი ქალიშვილი
წავიდა, იქიდან მოაქვს“.

პირის ნიშნის ანალოგიური გამოტოვება სისტემატურად დასტურ-
დება იმ შემთხვევაშიც, როცა ზმნის 3 პირის ფორმასთან სუბიექტად
გვაქვს კითხვითი ნაწილაკი (§ 25): ნი ეეჟა თაჲსა?—„ვისი ცხენი
მიდის?“: უ. ყ. „თა-ნე-სა“.

ცხადია, ასეთი ახსნის შემთხვევაშიც რჩება საკითხი: აქვს თუ არა
მიმღეობის ფორმებს ამგვარ კონსტრუქციასი აბსოლუტივის ფუნქცია.

საყურადღებოა, რომ უდურში გვხვდება ფორმები, რომლებიც თით-
ქოს მომდინარეობენ აწმყო-მყოფადის მიწლებიდან და აგრეთვე აბსოლუ-
ტივის ფუნქციით იხმარებიან.

მაგალითად:

ქურკა-ქურკა ლანესა, განათ-გამათ ცინესა.— „ხვეულ-ხვე-
ულ აღის, ჩაფ-ჩაფად ჩამოდის“ (გამოცანა: ორშიმოს კვახი).

სილკა-სილკა ენესა კოჲა, თახტე-ლოხოლ ქონდალან ბინესტა.
N— „ქანაობა-ქანაობით მოდის შინ, ტახტზე გასწვრივ მიეგდება“.

ზამანენ ტუტტაჲ ქარკა ჭპლანგინ ბალოლო ოხშამიშბესინ ეღე-
ლინ სურინა თანეშტა კოჲა. N—„ზამანს სალაშურის დაკვრით, ვეფ-
ხვის ლეკვების მოფერებით ცხვრის ფარა მოჰყავს შინ“.

იზ აკიტო აკი, კერე კრშ, თანესა ნანა-ტალოლ ოხნეკა. N—
„თავისი ნახელი ნახარა, გამოვიდა გარეთ, მიდის დედასთან ტირი-
ლით“.

ამგეაოი ფორმები აქა-იქ გვხვდება და უფრო გავრცელებული ჩანს
ნიჭურში. მათი კვალიფიკაციისა და გენეზისის გარკვევა მოითხოვს დამა-
ტებითს მასალას.

გ. მიმღობა ნაწილაკის ფუნქციით. საყურადღებოა შემთხვევები,
როცა მიმღობის ფორმა თითქოს ნაწილაკს წარმოადგენს. ამგვარი გამო-
ყენება ჩვეულებრივ ახასიათებს სამი ზმნის: ეს უნ — „მოსვლა“, თ ა ხ ს უ ნ —
„წასვლა“. ა ხ ზ ე ს უ ნ — „აღვამა“ — მიმღობას: 1. ა რ ი — „მოსული“,
2. თ ა ც ი — „წასული“, 3. ა ხ ზ ე რ ი — „ამდგარი“.

მაგალითად:

თ ა ც ი. ბეჲლსანე: სა ხინარ არცინე. R 11₁₈ — „წავიდა, ხედავს:
ერთი ქალიშვილი დამჯდარია“.

ა რ ი. სა ვახტა მე ჩობან ბიესანე. R 7₂ — „მოვიდა, ერთ დროს
ეს მწყემსი კვდება“.

მონო აყნესა, ა ხ ზ ე რ ი, თანესა კუა... R 19₇ — „ეს კვირობს, ადგა,
მიდის სახლში“.

სავარაუდოა, რომ აქაც უნდა გვექონდეს ზმნის პირიანი ფორმები,
რომლებშიც გეაკლია პირის ნიშანი. შემდგომში, ამ ზმნათა სშირი
ხმარების გამო. ეს ფორმები ნაწილაკების ფუნქციას იღებენ. უნდა
გვექონოდა: თ ა ც ი ნ ე (resp. თანეცი), ბეჲლსანე: სა ხინარ არცინე — „წა-
ვიდა [მივიდა], ხედავს: ერთი ქალიშვილი დამჯდარა“ — ნაცვლად დადა-
სტურებულისა: „თაცი, ბეჲლსანე: სა ხინარ არცინე“⁶¹.

დ. მიმღობა მასდარის ფუნქციით. ცნობილია, რომ მიმღობა
შეიძლება გადაიქცეს სუბსტანტივად. ამის ნიმუში ბევრია ახალ ქართულში:
მწერალი, მატარებელი, მხატვარი⁶²... სუბსტანტივად გამოყენებულ მიმ-
ღობას უდურში დაერთვის -ო მასუბსტანტივებელი სუფიქსი (§ 57).

მაგრამ გარდა ზემოხსენებულისა უდურში დასტურდება შემთხვევები,
როცა მიმღობა თითქოს გამოდის მასდარის ფუნქციით: მიმღობა

⁶¹ გამოოცხელი არ არის სხვა ენის, კერძოდ სომხურის, გაელენა. აღსანიშნავია
მსგავსი პოეზია, რომელიც ნ. მარს დადასტურებული აქვს ძველი სომხურისათვის:
H. Марр. Физиолог. გვ. XXXII.

⁶² ან. ჩიჭობაეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 61 შმდ.

გამონათგავს მოქმედებას განყენებულად და არა თვისებას. მიმ
ლეობის ამგვარი გამოყენება დასტურდება ასეთ შემთხვევებში:

ხოლო ბოხი თე ჩინარეკსა, აქლავა ენესა. R10_გ — „საქმლის ხარ-
შევას რომ ამთავრებს, დევი მოდის...“

რუსტამენ ბეშ თენეხა, გოლო ხოიშბიტუხო-ოშა ენე.
R 18_გ — „რუსტამი ჯერ არ ამბობს, ბევრი თხოვნის შემდეგ ამბობს“.

იროდ კურიტხო-ოშა მე ჭპარიშტა ბიხოლო ნეპე-ბოშ აქნეცი
იოსიჭა. მთ. 2, 19 — „იროდის სიკედილის [პირდ. „მკედრის“]
შემდეგ ეს ღვთის ანგელოზი ძილში ეჩვენა იოსებს“.

მია სა-პაოლი მანდიტოხო-ოშა. ДГр 73_გ — „იქ ერთ-ორ
დღეს დარჩენის [პირდ. „დარჩენილის“] შემდეგ“....

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ვითარებაა ნიჭურშიც:

ბასკიტოხო-ოშა მე ქნღზუნ დუენა იზ ბელ კალფა! — „და-
ძინების [პირდ. „დაძინებულის“] შემდეგ ეს ქალაღის ლოცვა მის
თავზე წაიკითხე“.

შამფიტოხო-ოშა ნე: ირაზი-ჟუ. N — „დაკვლის [პირდ.
„დაკვლის“] შემდეგ ამბობს: თანახმა ვარ“.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მიმლეობას ეკისრება მასდარის
ფუნქცია. ასახსნელი რჩება ოლონდ, როგორ მყარდება ამგვარი მიმართება
მიმლეობასა და მასდარს შორის.

ე. სახელის მართვა მიმლეობის მიერ. მიმლეობაც გვიჩვენებს ერთ
საყურადღებო თვისებას: ის მართავს სახელს იმ ფორმაში, რო-
მელსაც მოითხოვს შესატყვისი ზმნის პირიელი ფორმა.
ამგვარი მართვა დასტურდება როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მიმართაც.
ქართული თარგმანი ამ შემთხვევებში იძლევა ნანათესაობითარ
მსაზღვრელს.

მაგალითად:

ტე ვანტა თამნებაქი ერემია ფეხამბარენ (ერგატ.) ფიო. მთ.
12, 17 — „მაშინ აღსრულდა იერემია წინასწარმეტყველის ნათქ-
ვამი“: სიტყვა-სიტყვით: „წინასწარმეტყველმა ნათქვამი“....

ბიციტლონ გენა ისუსახ (მიც. II) თაყუნშერი შოტუხ. მთ.
26, 57 — „ხოლო დამჭერთა იესოსი წაიყვანეს ის“: სიტყვა-სიტყვით:
„დამჭერთა იესოს (მიც. II)“.

აჭრეთანან ეჭაახ (მიც. II) ბიფარკალტლოხი მთ. 5, 44 —
„დალოცეთ თქვენი მამყუევარნი“.

ვაიხნებასაქი პეტრენ ისუსენ (ერგატ.) ფი ვითახ (მიც. II).
მრკ, 14, 72 — „ვაიხსენა პეტრემ იესოს მიერ ნათქვამი სიტ-
ყვა“: პირიელ ფორმასთან: ისუსენ ფინე ვა თახ — „იესომ თქვა სიტ-
ყვა“....

აწრეფანან ეხტაახ (მიც. II) მასყარაბალტლოხ ვაა შაპელა-
ლტლოხ ეტაახ! (მიც. II). მთ. 5, 44—„დალოცეთ თქვენნი მჩაგვ-
რელნი და მდევნელნი თქვენნი“.

§ 81. აბსოლუტივის წარმოება და ფუნქციები. ჯერ კიდევ უღუბრი
ენის პირველმა მკვლევარმა ა. შიფნერმა გამოჰყო უღღურში აბსოლუტივის
(რუს. *деепричастие*) კატეგორია. იგი მიუთითებს: „ამ ძირიდან (ე. ი.
ინფინიტივის ფუძიდან. ვ. ფ.) იწარმოება აგრეთვე სან-ზე დაბოლოე-
ბული სუპინი; მაგ. ბიესან ბიესუნ-ისგან („მოკვდომა“), აჩიფ-
სან აჩიფსუნ-ისგან („თამაშობა“), ცუხტესან ცუხტესუნ-ისგან („შერ-
კობა“)“⁶³ და შემდეგ: „მეორე სუპინი იწარმოება კონიუნქტივის ფუძიდან
მა-ს დართვით, რომელიც მოგვაგონებს ოსურს *ma (mä)*—„მდე“, „თან“
(იხ. Schögren, *Oss. Sprachlehre*, გვ. 54) და აგრეთვე გვაქვს სიტყვებში
ემა—„რამდენი“, ტემა—„იმდენი“: მაგ. ბოშეშამა—„გაძლომამდე“,
ელამა—„მოსვლამდე“, ბაქამა—„გახდომამდე“⁶⁴.

ამ ორი სუპინის დამატებით ა. შიფნერმა გამოჰყო ერთი ფორ-
მაც გერუნდიუმის სახელწოდებით, რომელიც მან მიიჩნია ნასესხებად.
იგი ამბობს: „ტან-ზე დაბოლოებული გერუნდიული ფორმა ემყარება სე-
სებას, მაგ. თაღატან—„მოსვლისას“, *im Gehen...*“⁶⁵. სინტაქსურ ნა-
წილში ა. შიფნერი ეხება ამ სამი ფორმის ფუნქციას, გამოყენების წე-
სებს⁶⁶.

ა. დირმა განიხილა ამ რიგის 7 ფორმა და სულ სხვაგვარი კვალი-
ფიკაცია მისცა მათ. სახელდობრ, ნაზმნარ სახელებში ინფინიტივისა და
მიმლობის გვერდით ა. დირმა გამოჰყო კიდევ «მეორეხარისხოვანი განუსა-
ზღვრელობითი კილო» და «მიმლობათა ნაწარმოები ფორმები». ა. შიფნე-
რის I სუპანი ა. დირმა შეიტანა პირველ კატეგორიაში, ხოლო II სუ-
პინი და გერუნდიუმი—მეორეში.

ა. დირმა ამგვარად წარმოიდგინა საქმის ვითარება: იგი ჯერ განი-
ხილავს ზმნის ფორმას, რომელსაც მაწარმოებლად -უნ აქვს და რომელიც
მიჩნეული იყო ინფინიტივად. უწოდებს მას «დაბოლოებიან განუსაზ-
ღვრელობითს კილოს» („*конечное неопределенное наклонение*“—*infini-
tif terminaison*“) და ამ ფორმის საპირისპიროდ გამოჰყოფს ოთხ ფორ-
მას—«მეორეხარისხოვანი განუსაზღვრ. კილოს» სახელწოდებით. ეს ფორ-
მებია:

ა. პირველი—*infim radical*, რომელსაც ასე განმარტავს: „*Неопре-
дет. наклон.—корень (inf. radical) представляется собственно*

⁶³ ა. შიფნერი, *Versuch*, § 117, გვ. 26.

⁶⁴ იქვე, § 118, გვ. 28.

⁶⁵ იქვე, § 121, გვ. 28.

⁶⁶ იქვე, § 184, 185 და 192.

сокращенным неопред. наклонением. Чтобы образовать эту форму, отбрасывают -უბ в первообразном (primitif) неопред. наклонении и и восстанавливают в конечном неопред. наклон. (inf. terminaison) гл. ვ, выброшенный в польной форме⁶⁷“.

b. მეორე — „Неопределенное наклон., оканчивающееся на -აბ (оно выражает намерение или цель), напр. აქსან — чтобы видеть, ბიყსან — чтобы схватить“...⁶⁸.

c. მესამე — „Неопред. наклонение оканчивающееся на -აბ — это винительный падеж коренного неопредел. наклонения, (inf radical), напр. ბიყსან — держать, აითფესან — говорить“⁶⁹.

d. მეოთხე — „Неопределенное наклонение, оканчивающееся на -სიბ, представляется мне творительным пад. (instrumentalis), имеющим значение деепричастия...“⁷⁰.

როგორც ჩანს, მოყვანილ ფორმებში მოხვედრილა ის ფორმაც, რომელიც ა. შიფერს მიჩნეული ჰქონდა I სუბინად: ბ ი ყ ს ა ნ — „რომ დაიჭიროს“, „დასაკერად“: იგი მიჩნეულია ინფინიტივის თავისებურ სახეობად. ამ ფორმათა ცალკეული ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი, აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ა. დირს საერთოდ არა აქვს დაზუსტებული იმ ცნებათა შინაარსი, რომელთაც ხმარობს და ამდენად არაა სწორი იმ ფორმათა კვალიფიკაცია, რომელთაც იგი არჩევს.

მეორე მხრივ ა. დირი განიხილავს მიმღეობათა წარმოებას უღღურში, მათ ფუნქციას და მათ გვერდით გამოჰყოფს ახალ კატეგორიას: «მიმღეობათა ნაწარმოებ ფორმებს»: „производные формы причастия“. იგი ამბობს: „Производные причастия на (ა)მა, ლუბი და ტაბ. Три суффикса ამა, ლუბი, ტაბი прибавляются к причастию настоящего времени, теряющему всегда свое ლ; напр.: თაღაღ: თაღატან, თაღაღუნ; ეღაღაღ: ეღაღუნ, ეღამა, ეღატან“⁷¹. ამრიგად ამ ფორმებში მოხვედრილია ა. შიფერის II სუბინი და გერუნდივი.

ამ ფორმების ზოგადი აღწერილობა და ხმარების წესები ლიტერატურაში წარმოდგენილია ასე თუ ისე სწორად. დაზუსტებას მოითხოვს ოღონდ ზოგიერთი საკითხი. მასალის ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ ვითარებას. აბსოლუტივის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პირველ რიგში ფორმა, რომლის საწარმოებელია -ან სუფიქსი და რომელსაც ა. დირი

⁶⁷ ა. დირი, Грамм., გვ. 43.

⁶⁸ იქვე, გვ. 44.

⁶⁹ იქვე, გვ. 44.

⁷⁰ იქვე, გვ. 44.

⁷¹ იქვე, გვ. 14.

განუსაზღვრელობით კილოდ მიიჩნევედა. ეს სწორედ ის ფორმაა, რომელსაც ა. შიფნერი I სუბინს უწოდებდა. აბსოლუტივის ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ აგრეთვე ა. დირის მიერ გამოყოფილი «მიმღეობის ნაწარმოები ფორმები» (-ამა,-ხუნ,-ტან ფორმანტიებით). მათ ნაწილობრივ ეხებოდა ა. შიფნერიც. როგორია მათი წარმოება და ფუნქციები?

1. განსახილველ ფორმათა შორის ყველაზე ნათელია წარმოება ფორმისა -ან სუფიქსით, რომელსაც პირობით ვუწოდებთ I აბსოლუტივს. იწარმოება ეს ფორმა ზმნის I სერიის ფუძიდან (§ 68) და გამოხატავს მოქმედების მიზანს: ქარხეს-უნ — „ცხოვრება“: აბსოლ. I. ქარხეს-ან — „საცხოვრებლად“, „ცხოვრებად“.

მაგალითად:

ამა შეტინ-გენა ყადაღანებესაჲ შოტლოხ ფესან, თე შოტლო აბაყო, თე შონო ბრისტოს-ნე. ლკ. 4, 41 — „მაგრამ ის კი უკრძალავდა მათ თქმად, რომ მათ იციან, რომ ის ქრისტე არის“.

იოანე ელატლო იჩ-ტოლოლოლ ხაჩესან ხალხნუ ფინე. ლკ. 3, 7 — „იოანემ მასთან მოსანათლავად მიმსვლელ ხალხს უთხრა“.

ვახ არეჲან შოტუ ბუღკოწბესან. მთ. 2. 2 — „და მოვედით, მის თაყყანისაცემად“.

მა ჭიქირბანან, თე ზუ არეჲ ფასბესან ზაკონლოხ ე ფეხამბარლოხ. მთ. 5, 17 — „ნუ იფიქრებთ, რომ მე მოველ დარღვევად [დასარღვევად] კანონთა ანდა მოციქულთა“.

რას წარმოადგენს -ან სუფიქსი? უშუალოდ იგი ბრუნვის ნიშნებს აღარ უკავშირდება. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ს. ვართაშენში დადასტურდა თავისებური ფორმები: -ან-ის პარალელურად იხმარება -ანქ.

მაგალითად:

შოტლო-ოშა-გენა თაყუნსა იხონენქ უქსანქ. — „ამის შემდეგ კი მიდიან თავისთან საჭმელად“.

ულ ყან შუეე თაყუნსა ლენნახ უჲ გირბესანქ იჲენენქ. — „მგელი და დათვი ყოველ დღე მიდიან კაკლის მოსაგროვებლად ზამთრისათვის“.

იშუ თანესა ჩალი ბიყსანქ. — „კაცი მიდის თევზის საჭერად“.

თუ აქ არა გვაქვს შემთხვევითი კონტამინაცია და ინდივიდუალური ფაქტი, მაშინ -ან || -ანქ დაუკავშირდება განკუთვნიების (§ 36), რომელიც გვაძლევს თვის თანდებულის სემანტიკას: აბსოლუტივი იქნება I მასდარის განკუთვნიებითი ბრუნვა, რომელსაც ეკარგება -ქ ელემენტი:

სახელ. ცამფეს — „წერა“: განკუთვნი. „ცამფეს-ანქ → ცამფესან — „წერისათვის“, „წერად“...

ნიჭურში I აბსოლუტივის შესატყვისად ჩვეულებრივ იხმარება განკუთვნიებითი ბრუნვა.

მაგალითად:

ჩოვალხო კჷკ თასტეანაკ დახტაკახუნ კაწფი ყუთი-ან-სერბიო. Sd N, 71₁ — „ბელურებისათვის საკენკის მისაცემად ფიცრისაგან გამოქრილი ყუთი გავაკეთეთ“.

შდრ. ვართაშული: ჩოვალხო კაკ თასტან სერანბე დახტაკახო კაწფი ყუთი. Sd, 71₁.

2. აბსოლუტივის მეორე -ამა სუფიქსი დახტურდება სხვადასხვა სახით: ვართაშულში: -ამა || -ამინ || -ტა-ამა (-ტამა) || -ტამინ; ნიჭურში: -ამა || -ამენ || -ამენ-ჯა... იწარმოება ეს ფორმა ზმნის მეორე ფუძიდან (§ 68) ჩვეულებრივ, ზოგჯერ კი ნამყოს მიმღობიდან (§ 80). მნიშვნელობით იგი ვალმოგვემს ძირითადად ქართ. -მღე თანდებულის სემანტიკას, ზოგჯერ კი ვიდრე, მანამ კავშირის სემანტიკას. მას ვუწოდებთ აბსოლუტივი II.

ვართაშული:

ქარხე-ს-უე — „ცხოვრება“: აბსოლუტივი II: ქარხ-ამა || ქარხ-ამინ || ქარხი-ამა || *ქარხი-ტა-ამა || ქარხი-ტამა || ქარხი-ტა-ამინ — „ცხოვრებამღე“, „ვიდრე ცხოვრობს“.

მაგალითად:

ან ჯაჭა-ან-ზათე ქამბაქამა ვაჲ ეკალ თე-ან-ბიყე. ლკ. 5, 5 — „ჩვენ ვიმუშავეთ გათენებამღე და ვერაფერი დავიჭირეთ“.

თე შოტუ ნუტ აკალტუ ბიესუნა ხრისტოს ბიხოდო აკამა. ლკ. 2. 26 — „რომ იგი ვერ იხილავს სიკვდილს [ე. ი. არ მოკვდება] ქრისტე ღმერთის ნახვამღე“

თაყუნდი შოტუ წი ისუს ჭპარიშტინენ ფიო შონო ბუქუნე ბაქამა. ლკ. 2, 21 — „მისცეს მას სახელი იესო, ანგელოზისაგან ნათქვამ ჩასახვამღე [ვიდრე ის ჩაისახებოდა]“.

ტია ბაქა ზუ ვახ უკამა! შთ. 2, 13 — „იქ იყავ ჩემ თქმამღე! [ე. ი ვიდრე მე გეტყვი]“.

შოტლონ სუნსუნახ ბესამა ვშკარ-რე-ბაქე, თე შეტაჲ ბუტაჲ ბუქუნე ივეალ ელმულხო. შთ. 1, 18 — „მათ ვართმანგისის შერთვამღე [ვიდრე შეირთეს] გამოირკვა, რომ მას მუცლად უვის წმინდა სულისაგან“.

ტია ბანეჟი იროდ ბიამა. შთ. 2, 15 — „იქ იყო ჰეროდეს სიკვდილამღე.“

ეყყარა-თე თე-ნე-ფასბაქო გოგ ყან ოჩალ, თაქსა იოტა ე ხაზ-ალ ნუტ ხარაბბაქალღე ზაკონახო ბუთუნ ნუტ თამბაქამა. შთ. 5, 18 — „როგორც არ დაირღვევა ცა და მიწა, კანონის ვრთი იოტი ან ხაზი არ დაირღვევა ყველაფრის განსრულებამღე“.

შელ-ლე ვენკენა, თე ბათკანე ვი ლაშაგუნ სა ბარ ბუთუნი ლაშაგ ვი ბაჭტამა გეენუნ არლო-ბოშ. მთ. ნ. 30—„კარგია შენთვის, რომ დაილუბოს შენი სხეულის ერთი წილი, მთელი შენი სხეულის შთავარდნამდე გეპენიის ცეცხლში“.

სა ლი ბიაბაქამინ უყუნქესა, ქეჩყუნქესა,—„ერთ დღეს დაღამებამდე ქამენ, ქეიფობენ“.

ყეფრიტუ თადამინ ზა თადაან, შონო შელ თე-ნე?—„ვიდრე სხვას მისცემდე, მე მომცე, კარგი არაა?“

უნ კალკამინ ზუ ჩხარჯუკო—„შენ დაძახებამდე მე გავათავებ“.

ბეზ ვიჩი ჭაიბაქი, ელამინ უნ კუა არცა —„ჩემი ძმის დაბრუნებამოსვლამდე შენ სახლში იჯექი“.

მე ქაღზახ ცამკამინ ზუ გარზგ ბაზ ყეფრი აშ—„ამ წერილის დაწერამდე მე უნდა გავაკეთო სხვა საქმე“.

ქარხიამა შაჰჰარე ელმულოზო დურჯუნებაქე—„Пока жив в городе был здоровым“ —„ქალაქს ცხოვრებამდე ჭანსადად იყო“.

თაციტამა ბეშ-ნე-თაქსა—„სანამ მიდის [სიარულამდე], წინ მიიწევს“ —„чем дальше идет, тем вперед идет“.

აჲლახ შელ უქესტიტაამა აჲელ შელ ბაქალღე—„სანამ ბავშვს კარგად აჭმევს [ჭმევამდე], ბავშვი კარგად იქნება“ —„ребенка сколько хорошо покармит, ребенок хорош (здоров) будет“.

ქარხიამა || ქარხიტაამა კუა აშ შელტათაცი — „пока он жив в доме. дела хорошо пошли для него“ —„ვიდრე შინ ცხოვრობდა [ცხოვრებამდე], საქმე კარგად მიუდიოდა“.

რაც შეეხება -ამა ფორმანტის გენეზისს, საფიქრებელია, მართალია ა. შიფნერი, როდესაც იგი მას უკავშირებს სიტყვებს მემა — „ამდენი“, ტემა — „*იმდენი“, ემა? — „რამდენი?“ ამ სიტყვებშიც უნდა გამოიყოფოდეს -*ამა: ემა ← *ე -ამა — „რა-ოდენ“ ტემა ← *ტე -ამა — „ის-ოდენ“... უნდა მოვიგონოთ ისიც, რომ -ამა თითქოს თანდებულადაც იხმარება და მიაზლოვებით გამოხატავს „მდე“-ს შინაარსს:

მაგალითად:

ვაშ შუ-ტუ-ენქახხო-ბაქო, ჭაფაზაფი, აბუზბანე იჩ ბოჯუნსა ჯოჯნიკუნ-ამა. მთ. ნ. 27 — „და თქვენგან ვის შეუძლია, დაშვრა რა, გადაამეტოს თავის სიმაღლეს ერთ წყრთამდე [ერთ წყრთაოდენ]“.

ამა-ს ვარიანტები მიღებული უნდა იყოს სხვადასხვა ვითარების მიხედვით: -ამინ || -ამგნ — ეგების წარმოადგენენ ნათესაობითში გაფორმებულს ოდენობას. ტამა-ს -ტა || -ტ ელემენტი უნდა წარმოადგენდეს დეტერმინანტს, რომელიც ამ შემთხვევაში გამართლებულია, რად-

განაც მიმღეობა გამოყენებულა სუბსტანტიურად (თავდაპირველად ნათესაობით ბრუნვაში): სახელ. ქარხი-თ: ნათეს. *ქარხი-ტა-ამა←*ქარხი-ტა-ამა...

ნიჭურის თავისებური ფორმანტი -ამგნჯა შედგება საერთო -ამინ→ -ამგნ ფორმანტისაგან, რომელსაც ერთვის -ჯა ელემენტი. ეს -ჯა დადასტურებულია ნიჭურში რიცხვითსა და ზედსართავ სახელებშიც და თითქოს აღნიშნავს ცალ-ს (§ 54, 55).

მაგალითად:

თოდრ, თატუნსტა დუქანჩინა ვო ბაჩ მანთ ბუჯ ბაქამგნ. N— „გაყიდა, აძლევენ მელდუქნეს ხუთასი მანეთის გასრულებამდე“.

მოტინ სოლო კოწბამგნ ზუ პოალო, ხიბო კოწგზბო. N— „მის შიერ ერთის მოხრამდე, მეორს, სამს მოვსრავ“.

ბიჯაბაქამგნ მოტლონ ეზ-ტუშ-ბგსა. N— „დაღამებამდე ისინი ხნავენ“.

ზუქარზ კოჯახუნ ქელამგნჯა ბეჟინშ იზ ტერაცუნახუნ მილა სეჯეა-ნე. N— „ზაქარას სახლიდან გამოსვლამდე მღვდელი მისი დიაკნით იქვე არის“.

თუქანჯვ ჰაყი, კოშ ქელამგნჯა ბეჟინშ ტინესტა დასნა განუხუნ N— „თოფა აიღო, გარეთ გასვლამდე მღვდელი გარბის საშიში ადგილიდან“.

ზუ ბეზ განუხუნ ჰაჯამგნჯა პარი, ბანეცი ბეზ ღოლდაშ ტაშ-დამირ. N— „ჩემი ადგილიდან ადგომამდე, შემოვიდა ჩემი ამხანაგი ტაშდამირი“.

ხუჯარ მუღეწე უსენგნ ბაქამგნჯა ჩურელალ გელენე. N— „ქალიშვილის თვრამეტა წლის გახდომამდე მსურველი ბევრია“.

3. III აბსოლუტივისათვის დასტურდება ერთი აფიქსი -ახუნ || -ხუნ. იგი იწარმოება დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფუძიდან და გამოხატავს მოქმედების თანაღროულობას: ინტილმბტესუნ— „საუბრობა“; III აბსოლ.: ინტილმბ ბახუნ— „საუბრისას“, „საუბრის დროს“.

აღსანიშნავია, რომ სუბლექტიურ ზმნებში (§ 77) გამოყენებულია მყოფადის ფუძე (§ 68).

მაგალითად:

ნიკო აჩიკახუნ ნიკონახ კუგი თადაყუნ, ააღულო ბეხ ჩუქი ნიკონუნ განუ ბონესა. R 7₁₀— „ბურთის თამაშისას, [თუ] ბურთს გვიან მისცემენ. ბავშვებს თავს აგლეჯს, ბურთის მაგიერად [გადა]აგდებს“.

ისა ზუ ფურკალაშუ; პარ სსსბახუნ სა ფუთ ხე, სა ფუთ ეყ ბეზ ჟომო-ნ-ბოსო. R 15₁₈— „ახლა მე გავფრინდები; ყოველი დაძახებებისას ერთ ფუთ წყალს, ერთ ფუთ ხორცს ჩემ პირს[ში] ჩამიდებ [ჩამომიდებ]“.

ბაპალ განუ ახრუნ ფუთუტუხ ეყნაჲ ბოსახუნ, ეყ თარაეხანგ.
R 15₇— „მისაღწევ ადგილას ხორცის უკანასკნელი ფუთის ჩაგდებისას ხორცი გადავარდა [ასცდა]“.

გალილუენ დარბიანხო იშა ქებაქახუნ შეტუ ატუჟი პაჲ ვიჩეხ.
მთ. 5, 18— „გალილეის ზღვის ახლოს გავლისას მან დაინახა ორი ძმა“.

ნიჭურში III აბსოლუტივის ფორმა არ დასტურდება.

რას უნდა წარმოადგენდეს -ახუნ || -ხუნ აფიქსი? ა. დირი ვარაუ-
დობდა, რომ იგი ბრუნვის ნიშნიდან უნდა მომდინარეობდესო და ამ ბრუნ-
ვის პოულობდა სიტყვაში ლენახუნ— „დლისით“, „ДЛЕМ“. ა. დირის
ვარაუდი სწორი უნდა იყოს?⁷²

4. IV აბსოლუტივი—თავისი სემანტიკით შეესატყვისება III აბსო-
ლუტივის: ესეც გამოხატავს მოქმედების თანადროულობას. სხვაობა თით-
ქოს ისაა, რომ III აბსოლუტივი ჰგულისხმობს აწყმოს, ხოლო IV
აბსოლუტივი—ნაწყოს. IV აბსოლუტივის მაწარმოებელია -ატან || -ტან
სუფიქსი. იწარმოება ორგვარად: დრო-კილოთა მეორე ფუძიდან (§ 68)
ანდა მიმლეობის ფორმიდან:

ჯაჲბაქსუნ— „დაბრუნება“: IV აბსოლუტივი: ჯაჲბაქ-ა-ტან—
„დაბრუნებისას“ || ჯაჲბაქ-ი-ტან— „დაბრუნების დროს“.

მაგალითად:

რუსტამენ ეხნე, თე ეყ ქამბაქიტან იჩ ბუდდუხო ზონეტე.
R 16₇— „რუსტამი ეუბნება, რომ ხორცის დაკლებებისას [გათავებისას]
თავისი ბარძაყიდან მოიჭრა“.

ბიასუნ გერგეცა თალატან ვი ვიჩიმულოხ ვახოლ თაშა. შფნ.
§ 192— „სალამოს საყდარში წასვლისას შენი ძმები შენთან წამოიყ-
ყვანე“.

თალატან საჲქა ვარ ხაჲ-ნე-ლამანდი ზალ. შფნ. § 191— „გავ-
ლისას დიდი ცოფიანი ძალლი მეცა“.

შოტუხ ჯაიდატან ძან ბუთუენ მუჲჯანბაქი. — „მისი დაბრუნე-
ბისას ჩვენ ყველამ გავიხარეთ“.

ბაბახ აკიტან ზუკუაჴუ. — „მამის დანახვისას მე შინ ვიყავ“.

შღრ. ბაბახ აკახუნ ზუტისტესა შეტა-ტოჲლოჲლ. — „მამის და-
ნახვისას მე გავრბივარ მასთან“.

ჰარაჲ ბაქიტან ბუთუენ კუა-ყუნ-ი. — „დაძახებისას ყველა
შინ იყო“.

⁷² ნიჭურში მართლაც არის ბრუნვის ასეთი ფორმა დაშორებითსა და თანაობითში:
დაშორ. ღარ-ახუნ— „გაყისაგან“, თანაობ. ღარ-ახუნ— „ეჯთან (ერთან)“ (იხ. აქვე-
§ 40). თანაობითის სემანტიკა ერთგვარად უდრება III აბსოლუტივის შინაარსს.

შდრ. ჰარაჲ ბაქახუნ ქექენან ტომ!—„დაძახებისას გამოდით გარეთ“.

ბეჲჲინშინ ჩუტუხ ბიჲატან გვრჲჲ ენე ჩუტუხ ნუ ჰაყანე. N— „მღვდლის ცოლის გარდაცვლისას კვლავ ცოლი არ უნდა მოიყვანოს [მღვდელმა]“

შოტჲჲ აეყა უქატან უაყენ იზ ყოყე ტაყყესა. N— „მისი ხორცის ჰამისას ძვალი ყელში ეჩხირება“.

თავაჲყა-ზ-ბესა ვახ, თაღატან ზა-ალ თაშშა. N— „გემუდარები შენ, წასვლისას მეც წამიყვანე“.

ბეზ ბავან-ალ იზ გორდინა ღვრჲჲნა ჰარკატან ღვრჲჲნენ ხე ბიჲჲენუნ ჯოგებაქსა. N— „მამაჩემის მიერ თავისი ხმლის ზღვაზე გაქნევისას ზღვის წყალი შუაზე იყოფა“.

სა უსინენ ბაქატან ახ-ალ ყუქკალე. N— „ერთი წლისა გახდომისას [ერთი წლისა რომ გახდება] ჩვენც გადაგვუაპავს“.

ფის აოლდაშინ ჩრომოლ თაღატან—ჩრომო ჰაფფი, კოჲჲ ბაღატან ბულა კოწპი, თყა-ნე-ბეჲოლო. N— „უღლი ამხანაგის კარზე მისვლისას, კარი გაიღო რა, შინ შესვლისას იგი თავს ხრის, ძირს იყურება“ [ე. ი. სტუმარი არ მოეწონება]...

ა. შიფნერმა -ტან ფორმანტი მიიჩნია თურქულიდან ნასესხებად⁷³ ეს აზრი გაიმეორა ა. დირმაც⁷⁴. დასაბუთება არც ერთს არ მოუცია. მისი გენეზისი არ ჩანს.

5. სხვა ნაზმნარი სახელის (მასდარისა და მიმღეობის) მსგავსად აბსოლუტივიც მართავს რეალურ სუბიექტსა და ობიექტს იმავე ბრუნვებში, რომლებსაც მოითხოვს ზმნის პირიელი ფორმა.

მაგალითად:

ზახ (მიც. II) ბეზ ბაბან (ერგატ.) უჯახო ჰე ბაქეს ტახუნ კიწკე ვიჩხე ულენ თანეშშა.— „მე ჩემმა მამამ მდინარიდან გამოყვანისას პატარა ძმა მგელს მიაქვს“.

ამ ფრაზაში „ზახ“ მიცემით II-შია, როგორც პირდაპირი ობიექტი, ხოლო „ბაბან“ ერგატივში, როგორც სუბიექტი (გარდამავალ ზმნასთან). პირიელი ფორმით რომ გამოთვებატა, სათანადო ნაწილი იქნებოდა ამგვარად: ზახ ბეზ ბაბან უჯახო ჰე ბაქეს ნე დი— „მე ჩემმა მამამ მდინარიდან გამოამიყვანა“. როდესაც კონსტრუქცია იცვლება და პირიელი „ჰე ბაქეს ნე დი“-ს მაგივრად გვექნება აბსოლუტივი „ჰე ბაქეს ტახუნ“— „გამოყვანისას“, სუბიექტი და ობიექტი ინარჩუნებენ იმ ბრუნვებს,

⁷³ ა. შიფნერი, Versuch, §. 121..

⁷⁴ ა. დირი, Грамм., გვ. 74..

რომლებაც იხმარება პირიელ ფორმასთან. ქართულში ასეთ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვა ანდა თანდებულიანი ბრუნვა.

სახელს მართავს ყველა აბსოლუტივი, რის საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითები:

მა ჭიჭირბანან, თე ზუ არეუ ფასბესან ზაკონლოს (მიც. II) ეფეხამბარლოს (მიც. II). მთ. 5, 17—„ნუ იფიქრებთ, რომ მე მოველ დარღვევად [დასარღვევად] კანონთა ანდა მოციქულთა“.

ვაი არეადნ შოტუ (მიც. I) ბულკოწბესან. მთ. 2, 2—„და მოვედით, მას თავი მოვუხაროთ [მოსახრულად]“.

ტა ბაქა ზუ ვახ (მიც. II) უკამა! მთ. 2, 13—„იქ იყავ, ვიდრე მე შენ გეტყვი! [|| ჩემ თქმამდე]“.

შოტლონ (ერგატ.) სუნსუნახ (მიც. II) ბესამა აშკარ-რე-ბაქე, თე შეტად ბუტად ბუქუნე იველ ელმულოხო. მთ. 1, 18—„მათ ერთმანეთო ვიდრე შეირთეს [შერთვამდე], გამოირკვა, რომ მას მუცლად ჰყავს წმინდა სულისგან“.

მე აშლახ (მიც. II) ჩხარკესტამინ შონო პურენე—„ამ საქმის გათავებად ის მოკვდა“.

ნანა იტუბაქსა, შეტლონ (ერგატ.) იხტილჷთ ბახუნ იჩენ ოანენება.—„ღედას ესმის, მათი საუბრისას თვითონ ტირის“.

შონო (სახელ.) ედახუნ მე აშლახ ჩხარჷუკსა.—„მისი მოსვლისას ამ საქმეს ვათავებდი“.

ბაბახ (მიც. II) აკიტან ზუ კუაჷუ.—„მამის დანახვისას მე შინ ვიყავ“.

შორ.ბაბახ (მიც. II) აკახუნ ზუ ტისტესა შეტა-ტოლოლოლ—„მამის დანახვისას მე ვავრბივარ მასთან“.

ბენ ბაენ-ალ იზ გორდინა (მიც. I) დორანა ფარკატან დორანან ზე ბიხეუნ ჯოხებაქსა. N—„მამაჩემის მიერ თავისი ხმლის ზღვაზე გაქნევისას ზღვის წყალი შუაზე იყოფა“.

ასეთთა უღურში იმ ფორმათა წარმოება, რომლებსაც სხვა ენებში შეესატყვისება აბსოლუტივის ფორმები⁷⁶. ცალკე საკვლევი, როგორი უნდა იყოს ამ ფორმათა კვალიფიკაცია თვით უღური ენის თვალსაზრისით: რამდენაღ შეიძლება მათი მიჩნევა აბსოლუტივის ფორმებად?

⁷⁶ ზოგჯერ აბსოლუტივის ფუნქციით თითქოს იხმარება მიქლონაც (§ 80).

შცვლელი სიტყვები და ნაწილაკი¹

§ 82. **ზმნისართი და ზმნისართისებრი სიტყვები.** უღურ ენაში ნაკლებადაა პირველადი ზმნისართი, უფრო ხშირია სხვა მეტყველების ნაწილიდან ნაწარმოები; ჩვეულებრივ ზმნისართი წარმოდგენილია ბრუნვის ფორმით: ხშირია ზმნისართისათვის საწარმოებლად მიცემითი I, მიცემითი II, აბლატივი და სხვა. გამოყენებულია აგრეთვე თანდებულისანი ბრუნვები. რაც შეეხება ზმნისათის წარმოებას ზედსართავიდან, ამ შემთხვევაში მას არ სჭირდება საკუთარი ფორმა: ზედსართავის ფუძე პირდაპირ შეიძლება ასრულებდეს ზმნისართის ფუნქციასაც. მაგალითად, შელ — ნიშნავს „ქარგი“ და „ქარგად“ — აც და სხვა.

ა. ადგილის ზმნისართებია:

მია ← *მე-ა — „აქ“: მე საერთო ფუძეა ჩვენებით ნაცვალსახელთან: მე — „ეს“;

მიხ — „აქ“: მიღებული უნდა იყოს მე-საგან, მიცემ. II-ის ფორმით: *მე-ახ → მიხ...

მელან — „აქიდან“: მელ — ზედაობ.: მე — „ესე“, -ან “ გასარკვევია;

მელა — „აქეთ“: მე — „ეს“, ლა — გასარკვევია;

მელ-ცირიკ — „აქამდე“: მელ — ზედაობ., მე — „ესე“, ცირიკ — „მდე“ თანდ.;

ტია ← *ტე-ა — „იქ“: ტე — ის“: ჩვენებით-ნაცვალსახელური ფუძეა;

ტელ-ან — „იქიდან“: ტელ — ზედაობ.: ტე — „ის“, ან — ?

ტალა — „იქით“; ტალა-მალა — „იქით-აქეთ“;

ტია-მია — „იქა-აქ“;

ტოხლოა — „ახლოს, გვერდით“: წარმოდგენს ზედაობ. ფუძისა ტოხლ — „მხარე“, „ნაპირი“, „გვერდი“:

*ტოხლ-ა — ტოხლ-ოლ → ტოხლ-ოხლ — „გვერდზე“;

¹ უფრო სიტყვები განეკუთვნება სინტაქსისა და ლექსიკის სფეროს. აქ მათ ვარჩევთ სემანტიკისა და შედგენილობის თვალსაზრისით.

ტელ-ცირიკ—„იქამდე“: ტელ-ზედაობ.: ტე — „ის“ ნაცვალსახ.,
ცირიკ—„მდე“ თანდ.;

ბოშ—„შიგნით“; ბოშტან—„შიგნითგან“: იგივე ბოშ, ტან—გა-
სარკვევია.

ტოშ—„გარეთ“; ტოშტან—„გარეთგან“ (შდრ. ბოშტან);

ალა — „ზემოთ“, „ზევით“; ალახო — „ზემოთგან“: დაშორებ-
ალა-დან;

ოყა—„ქვემოთ“, „ქვევით“; ოყახო—„ქვემოთგან“: დაშორებ-
ოყა-დან;

ბეშ — „წინ“; ბეშტან—„წინითგან“ (შდრ. ბოშტან...);

ჯოშ — „უკან“; ჯოშტან—„უკანითგან“ (შდრ. ბოშტან);

იოშ — „ახლოს“;

აახიხლ || ახილ — „შორს“; აახიხლახო — „შორითგან“: დაშორებ-
აახიხლ-იდან;

საგალა — „ერთად“, „ერთ ადგილზე“: სა — „ერთი“, გალა — ზე-
დაობ. გა — „ადგილი“ ფუძისა; საგალ-თე —
„არსად“;

პარგალა — „ყველგან“: პარ-ო — „ყოველი“, გალა — „ადგილზე“;

ჯოკ — „ცალკე“; ჯოკ-ჯოკ — „ცალ-ცალკე“;

ჩოზაჩო — „პირისპირ“: ჩო — „მხარე“, „პირი“, ბა — რთულ ფუ-
ძეთა შემაერთებული ელემენტი;

ბიპჩო — „გარშემო“: ბიპ — „ოთხი“, ჩო — „მხარე“;

ყათარენ — „გვერდით“, рядом: მოქმედებითი ბრუნვა ყათარ —
„რიგი“ — ფუძიდან;

მა? || მა-ა? — „სად?“... მაა-თე — „სადაც“ [„სად-რომ“];

მალ || მალლა — „საიდან“; მალინ — „საიდან“;

მა-კალ-თე — „არსად“; მა — „სად“, თე — „არა“, კალ — ?

მაგალითად:

ისუსა თე ატუჯი იჩ ბიპჩო გოლრო ადამარობ, ბურშიმ-ნე-ბი.
მთ. 8, 18 — „იესომ რომ დაინახა თავის გარშემო ბევრი ხალხი,
უბრძანა“.

უნ არენ მიხ ვადასუზ მახ ინჯიმიშ-ბესუნა. მთ. 8, 29 — „შენ მო-
ხველ აქ უდროოდ ჩვენ სატანჯველად“.

უჩიტელ, ზუ-ალ თალალ ზუვი ტოშტან, მაა-თე უნ თალინ.
მთ. 8, 19 — „მოდღვარო, მეც წამოვალ შენს უკან, სად-აც შენ წა-
ხვალ [უნდა წახვიდე]“.

ვახ მაგილა ტია ბუნეჲ ადამარ, მატაჲ-თე ქულ ყარა-ნეჲ. მთ. 12, 10
— „და აი იქ იყო კაცი, რომლის ხელი ხმელი იყო“.

მე ჩუბლოხ თანესშა დუზ ტია, მა-თე სანდულ ლახ-ნე. R 18₁₂— „ამ ქალს წაიყვანს პირდაპირ იქ, სადაც კიღობანი იდგა“.

ქააზუბაქო ბეზ კუა, მალინ-თე კერეზ ზუ. მთ. 12, 44— „დავბრუნდები ჩემ სახლში, საიდანაც გამოვივლ“.

აღა, შელ ცილ თე-ნ-ბიტეა ვი დუზი? მალინ-ა კერე ტია ილ? მთ. 13, 27— „უფალო. კარგი თესლი არ დასთესე შენ მიწოდორში? საიდან ამოვიდა იქ ბალახბულახი“.

შონორ აყუყუნესაა ვაა ეხყუნი: მა ლლა ქატაა მეთარ აბალულ ვაა ზორ? მთ. 13, 54— „იინი ჰკვირობდნენ და ამბობდნენ: საიდან არის მისი ასეთი ცოდნა და ძალა“.

ტია ბაქალლე ოანეფსუნ ვაა ულხო ყრაქიდესუნ. მთ. 8, 12— „იქ იქნება გოდება და კბილთა ხრქიალი“.

ვაა ევახ-თე ისუსენ ჩხარეკე მე მსწლილობ, თანეცი ტელან. მთ. 13, 53— „და როდესაც იესომ გაათავა ეს იგავები, წავიდა იქიდან“.

ისუს ტელან კებაქახუნ ატუკი ადამარახ. მთ. 9, 9— „იესომ იქიდან გამოსვლასას დაინახა ადამიანი“.

ამმა ბანეკსა ტოშ, ბეგვან გამზოხ. მრკ. 1, 45— „მაგრამ იყო გარეთ, უდაბურ ადგილებში“.

კენებაქი ტელან ზომბესახ ვაა ქაროზთასტახ. მთ. 11, 1— „გამოვიდა იქიდან სასწავლებლად და სამოციქულოდ“.

ამმა ისუსა თე აბატუბაქი, აახიოლ-ლე-ბაქი ტელან. მთ. 12, 14— „მაგრამ იესომ რომ შეიტყო, განშორდა [შორს იქმნა] იქიდან“.

ევახ-თე შონო არინე კუა, კაჭიორ იშ-ა-ყუნ-ბაქი შეტა-ტოლოლო. მთ. 9, 28— „როდესაც ის მოვიდა შინ, ბრმები მიასლოვდნენ [ახლოს იქმნენ] მასთან“.

მელან კერო, პურან თაცი, ბინეყესა. R 9₂— „აქიდან გავიდა, კვლავ წავიდა, იქერს“.

ხინარენ აკესნესტა ბაქანეხ, მა-თე იჩ ქინ პინენ მუჭურ-რე-დულე. R 14₁₅— „ქალი აჩვენებს ბექს, სადაც თავისი ხელით სისხლიანი ნიშანი დაასვა“.

ტე ჩო ბეზ ხუნჩი-ნე-ბუ დრვნა ქეხ. R 12₄— „იმ მხარეს ჩემი და არის დევის ხელთ“.

ტევანტა შონო... კენებაქი ტოშ ვაა არინე იჩ შპპარ. მთ. 9, 1— „მაშინ ის... გამოვიდა უკან და მოვიდა თავის ქალაქში“.

ბანეპსა ქურრა ოშეხ. R 11₁₆— „აღწევს ორმოს ძირს (ბოლოს)“.

ბ. დროის ზმნისართებია:

ევახ — „როდის?“ ე — რა? კითხვითი ნაცვალსახელი, ვახ ← ვახტ — „დრო“:

ტევანტა — „მაშინ“, „იმ დროს“: ტე — „ის“;

ვახტავახტ— „დროდადრო“;
 ბზვ ვახტა— „ზოგჯერ“: ბზვ—გასარკვევია;
 ისა || ისა— „ახლა“; ჰაჲსა←*ჰა-ისა— „ახლა“, „აი ახლა“, ჰა—
 „აი“;
 ოხშა— „შემდგომი“, „დაბოლოს“;
 ღე— „ღღეს“: ღი— „ღღე“;
 ნაჲჲნე— „გუშინ“: *ნაჲჲნე-ღე—?
 ბაჲღენა — „გუშინწინ“: ბაჲ — გასარკვევია, ღენა — „ღღეს“,
 მიც. I ღი-დან;
 ბაჲგვრღენა— „გუშინწინისწინ“: ბაჲგვრ—გასარკვევია;
 დამნუნ— „ხვალ“: ნათესაობითი ბრ. დამ— „დილა“—ფუძიდან
 (შდრ. დამ-დამ— „დილა“);
 სამეღენა— „ზეგ“: სამე— „ეგების“: სა— „ერთი“, მე— „ეს“,
 ღენა— „ღღეს“;
 სამიგირდა— „ზეგისწინ“:
 დამდამ— „დილით“: დამ— „დილა“—ფუძე გაორკვევული;
 დამდამახო— „დილით ადრე“, „დილითგანვე“: დაშორებ. დამ-
 დამ—ფუძისა;
 ბიასუნ— „სალამოს“, „ლამით“: ნათესაობითი ბრ. ბიას— „სალა-
 მო“—ფუძისა;
 იშოუნ— „ლამით“: ნათესაობითი შუ— „ლამე“—ფუძისა;
 ღენახუნ— „ღღისით“: გასარკვევია;
 შუნე-ბიჲღ— „შუალამეს“: შუ— „ლამე“, ბიჲღ— „შუა“;
 ბილზზვრუნ— „შუადღისას“;
 ღიბაღი— „ყოველღღიურად“ („ღღედაღღე“);
 ღენახოღენა— „ყოველღღიურად“, „ღღითიღღე“;
 ჰარღენა— „ყოველ ღღე“, „ყოველ ღღეს“: ჰარ— „ყოველი“,
 ღენა— „ღღეს“;
 ჰარღი— „ყოველ ღღე“;
 ჯოკღი— „სხვა დროს“ [სხვა ღღეს]: ჯოკ— „გარე“, ღი— „ღღე“;
 ხაშბახაშ— „ყოველთვიურად“, „თვედათვე“: გაორკვევული ხაშ
 — „თვე“—ფუძე;
 ხაშიხოხაში || ხაშ'იხიო ხაშციხ— „თვიდან თვე“;
 უსენნახ— „წლიურად“: მიცემითი II უსენ— „წელიწადი“—ფუ-
 ძისა;
 უსენბაუსენ— „წლიურად“: გაორკვევული უსენ— „წელი“;
 უსენახოუსენ— „წლითწლად“: უსენახო — „წლითგან“—და-
 შორებ.;
 ახრი || ახრახ— „ბოლოს“, „დაბოლოს“;
 სჯხ— „ხშირად“;

ჰმმშშ — „მუდამ“, „ყოველთვის“;
უსინ — „ჩქარა“; უსინ-უსინ — „ხშირხშირად“, „ჩქარ-ჩქარა“;
იხეენა — „ზამთრობით“: მიცემითი I იხეენა — „ზამთარი“ ფუძისა;
ყარიქოღლა — „ზაფხულობით“: მიც. I ყარიქოღულ — „ზაფ-
ხული“ ფუძისა;

ღმჯოღლა — „გაზაფხულობით“: მიც. I ღმჯოღულ — „გა-
ზაფხული“ ფუძისა;
ფაჯა — „შემოდგომაზე“: მიც. I ფაჯა — „შემოდგომა“ ფუძისა;
ბეჯანღენა — „კვირას“: ბეჯანღ — „უქმე“, „კვირა“, ღენა —
„ღღეს“;

საპორახო — „ცოტა ხნის შემდეგ“, „რამდენიმე ხნის შემდეგ“;
ბირღან || ბურღან — „უცბად“, „ერთბაშად“;
პურან || პურან-ალ — „კვლავ“, „კიდევ ერთხელ“, „კვლავაც“
(-ალ — „ცა“ ნაწილაკი);
საალ — „კიდევ ერთხელ“ (ერთიც): სა — „ერთი“, -ალ — „ცა“ ნა-
წილაკი.

საალ-თე — „არასოდეს“, „ერთიც არ“, „ერთხელაც არ“.

მაგალითად:

ჰარლი ნოვადენ სო მანდესა კუა ხორაგბოხსან. R 12₄ — „ყოველ
ღღე რიგით ერთი რჩებოდა შინ საკმლის მოსასარშავად“.

ღე ფასჰაღენ ხინარ ნოვად-ღე. R 13₁₉ — „ღღეს მეთის ქალწულის
ოგია“.

შეტინ აჯური, ანევი აღლახ ვაჲ იჩ ნანახ, იშოუნ თანეცი ეგობტა.
მთ. 2, 14 — „ის ადგა, აიყვანა ბავშვი და მისი ღედა, ღამით წავიდა
ეგვიბტელ“.

გარბღ ღენნახ სუნტინ ფეშქაშ თანანე, თე ხე თაღანე. R 13₁₉ —
„უნდა [ყოველ] დღიურად თათომ ძღვენი მიიტანოს, რომ წყალი
მისცეს“.

მატუხ-თე გარბღ ნუ ბაყუნ თამატ-ღენა. მთ. 12, 2 — „რომელ-
თაც არ უნდა ისაქმონ შაბათ-ღღეს“.

ვაჲ დამდამ, იშოუნნახო აჯური, ქერიწე ვაჲ ახილღღებაქი ბეჯ-
ვან გალა, ვაჲ ტია აჭრენეფი. მრკ. 1, 35 — „და დიღით, ღამითვე
ადგა, გავიდა და განშორდა უდაბნო ადგილას და იქ ილოცა“.

ხინარ ბეზი ისა ბიესანე. მთ. 9, 18 — „ქალიშვილი ჩემი ახლა
კვდება“.

ზუ ისა ღაჯუღო. R 13₂ — „მე ახლა ავალ“.

ჰაქსა დრე აჯალ, ვახ უქაღღე. R 12₁ — „აი ახლა ღვეი ადგე-
ბა, შენ შეგქამს“.

რუსტამენ ეხნე, თე გარაგ ბეშე უნ ლაჲლან, ოეშა ზუ. R 12₁₄— „რუსტამი ეუბნება, რომ უნდა შენ ახვიდე, შემდეგ—მე“.

ოშა ააზერი, ყაღალა-ნე-ბი მუშუროლო ვაე დანინი ვაე ბანეჟი ქალა დნჯლულ. მთ. 8, 26—„შემდეგომ ადგა, უბრძანა ქარებსა და ზღვას და იქნა დიდი სიმშვიდე“.

საჰორანო დიხეჟ ქენესა. R 14₇—„ცოტა ხნის შემდეგ გველი გამოდის“.

ახრი რუსტამენ ეხნე ხინარახ. R 12₁₈—„ბოლოს როსტომი ეუბნება ქალიშვილს“.

ახრახ თაცი, ბელსანე სა ოსტავარ დავრანინ-ბოშ არცინე ნუ-თაკეცი შავატ ხინარ. R 12₇—„ბოლოს წავიდა, ხედაეს, ერთ მაგარ კარიბჭეში დამჯდარა უნახავი ლამაზი ქალწული“.

ტესაჰათ ელაღლე სა მაწი ელელ. R 13₉—„იმ წამს [იმ საათს] მოვა ერთი თეთრი ცხვარი“.

ევახ-თე შონო ცირინე ბურღოხო. მთ. 8, 1—„როდესაც ის ჩამოვიდა მთიდან“.

ტე-ვახტა შეტა შავირდუხ იშა არი შეტა-ტოლოლო, მოლორ-ყუნბი შეტუ. მთ. 8, 25—„მაშინ [იმ დროს] მისი მოწაფეები ახლოს მივიდნენ მასთან, გააღვიძეს ის“.

ე. ვითარების ზმნისართებია:

ოსტავარ—„ძლიერ“, „მაგრა“;

უსინ—„ჩქარა“; უსინ-უსან—„ჩქარა-ჩქარა“;

ჟავაშ—„ნელა“; ჟავაშ-ჟავაშ—„ნელ-ნელა“;

შელ—„კარგად, უკეთ“ (ამგვარადვე ყოველი ზედსართავი სახელი სახელობით ბრუნვაში);

შელგარ—„კარგად“, „მაგისებურად“;

გოლო—„ძალიან“; გოლო შელ—„ძალიან კარგად“;

ბირდენ—„უცბად“, „ერთბაშად“, „მყის“;

პურან || პურან-ალ—„კვლავ“, „კიდევ ერთხელ“;

მეთარ || მერ←*მე-ორ—„ასე“, „ამგვარად“ (ორ—„გვარ“);

ჰამეთარ—„აი ასე“; ჰაშეთარ—„აი ისე“;

ქოთარ || ქორ←*ქა-ორ—„მაგრე“, „მაგგვარად“; ჰაქორ—„აი მაგრე“;

ქორ-გარ—„მაგვარად“, „მაგისებურად“;

ტეთარ—„ისე“, „იმგვარად“;

შორ—„ასე“, „იმგვარად“; ჰაშორ←*ჰა-შე-ორ—„აი ისე“;

სათჰჰარენ—„როგორმე“; „როგორც იქნა“;

ნაჰაყ—„ტყუილად“, „ტყუილ-უბრალოდ“;

დოღრიღან — „ნამღვილად“, „სწორედ“: დოღრ — „სწორი“,
ღან — აზერბაიჯანული სუფიქსი;
თზზდნნ || თაზადან — „ხელახლა“: თზზ — „ახალი“;
საზორინ — „ძლივს“; მოქმედ. ზორ — „ძალა“ — ფუძისა;
თქსპ — „მხოლოდ“, „მარტო“;
ენეხ — „უფრო“, „მეტად“.

მაგალითად:

მეღარენ ჰაშორ-რე-ბესა. R 15₁₇ — „ეს ვეფი ასეც შერება“. რუსტამენ საღ ბიყო, შორ-თე-ა ყაფტესა, დრე ხაშხაშკენა ფასნე-ბაქსა. R 9₂ — „რუსტამმა ერთიც სტაკა [ხელი], ისე დაანარცხა, დევი ხაშხაშვიით დაიპნა“.

ხინზრენ ეხნე: — შორ, ჰამენო-ნე, R 14₁₄ — „ქალიშვილი ეუბნება: ისე, სწორედ ეს არის“.

ხიბღი ჰამეთზრ ბითი-ნე-ბაქსა. R 13₉ — „სამი დღე აი ასე დადებული არის“.

ხეყუქკალენ-ალ ჰაშეთზრ-რე-ბესა. R. 11₁₁ — „წყლის მულაპავიც აი ასე [ამგვარად] შერება“.

სუნსუნახ შეთზრ ბიყუნყესა, შეთზრ პეტყუნბესა, თე ჰაღლენ-ალ გრგოღ-ყუნ-ღაჟსა. R 8₁₈ — „ერთმანეთს ისე სტაკებენ [ხელს], ისე მოუქერენ, რომ ორევე ცაზე აღის“.

შეტაბახტინ-თე ქათზრ-რე ვი ბაქე იხტიარ. მთ. 11, 26 — „რადგანაც მაგგვარი იყო შენი ნება“.

ამმა თზზ ჭინახ ბაყუნება თზზ ტიქნუ ვაჰაღლე-ნალ მანდესა შეღ. მთ. 9, 17 — „მაგრამ ახალ ღვინოს ასხამენ ახალ ტიკში და ორივე რჩება კარგად“.

მერ უყახუნ ჰამ ბულთა-ყუნ-დუხსა, ჰამ იხტიღვთ-ყუნ-ბესა. — „ამგვარად თქმისას თან სეირნობენ, თან საუბრობენ“.

მეთზრ ლულენ ვუღღ დავრაზა-ნე-ხახაჟება, ლაფ ბოშ-ნე-თაჟსა. R 11₁₇ — „ამგვარად შეიღ კარს სტესს, მთლად შინ შეღის“.

ბეზ ნოქპარ კუა ბასკინე, ჰალიხო ბითი ვაჰ ოსტავარ-ალ ჩზრჩზრ-ზნ-ნე-ბაქსა. მთ. 8, 6 — „ჩემი მსახური შინ წევს დავრდომილი და ძლიერად-აც იტანჯება“.

დოღრიღან ეხზუ ეჭახხ. მთ. 10, 15 — „ნამღვილად გეტყვი თქვენ“.

მეტინ საზორინ ბიღნუხ კაწნება, ბურღეყსა თზზდნნ ხორაგ ბოხსახ. R 10₁₁ — „მან ძლივს უღვაში გაღლიჯა, დაიწყო ხელახლა საკმლის ხარშეა“.

სთთჰჰრენ დავრაზინახ ხახაჟეფი, ბოშ ბაღნესა. R 12₉ — „როგორც იქნა, კარი შეამტერია, შიგ შეღის“.

მეტინ ბირდჷნ ყაჲლაჲმღოხ იხნებაქსა. R 13₁₀ — „ამან უცბად ფრთები მოიგონა [მოაგონდა]“.

ზუ ვახო, ფასკლა, ეკალ თე-ზა-ბუსა, თაქსა ზან ალუნ ღუნნიანი აყაბა. R 14₁₇ — „მე შენგან, მეფეო, არაფერი მიწდა, მსოლოდ ზემო ქვეყანაში გამამგზავრო“.

ევახ-თე შეტინ ჰურან ფინე ხალსნუქ. მთ. 12, 46 — „როდესაც მან კვლავ უთხრა ხალსს“.

ჭუქჭურ-რე-ბსა, თე ენეხ ღრვენ შეტუხ გურდალლე. R 21₃ — „ფიქრობს, რომ უფრო დევი წააქცევს მას“.

დ. მიზნისა და მიზეზის ზმნისართი:

უღურში გარჩეული არაა მიზნისა და მიზეზის ზმნისართი: ერთი და იგივე ზმნისართი შეიძლება ორივე მნიშვნელობით იხმარებოდეს. ასეთე-ბია: შეტაბახტინ || შეტაბახტინ-თე — „მიტომ“, „რადგანაც“; წარმოდება: ნათესაობით ბრუნვას (ნაცვალსახელისა შონო — „ის“) შეტაბახტინ-ს დართული აქვს ბახტინქ — „თვის“ (თანდ.). ასევე:

მეტაბახტინ — „ამიტომ“: მონო — ნაცვალსახელის ნათესაობითს მეტაბახტინ-ს ერთვის ბახტინქ;

ქატაბახტინ — „მაგიტომ“: ქანო — ნაცვალსახელის ნათესაობითს ქატაბახტინ-ს ერთვის ბახტინქ...

მაგალითად:

მეტაბახტინ ეხზუ ექაახ: ჰარსა გუნჷპ ვაჲ დიქამ ადამარლო ბალიშლამიშ-ნე-ბაქელო. მთ. 12, 31 — „ამიტომ გეუბნები თქვენ: ყოველი ცოდვა და გმობა ადამიანებს მიეტევება“...

ვაჲ უსინ ჰკირინე, შეტაბახტინ-თე ოჩალ ზოღაღლუ თენეჲ. მთ. 13, 5 — „და ჩქარა ამოვიდა, რადგანაც მიწა ღრმა არ იყო“.

შეტაბახტინ-თე უქ ბუჲბაქსუნახო შითტეხა ერომონ. მთ. 12, 34 — „რადგანაც გულის სისხვსით მეტყველებს ბაგე“.

ე. ზომისა და ოდენობის ზმნისართი:

ემა, ემა-თე — „რამდენი“, „რამდენიც“: ე — „რა“, ემა — „ოდენ“;

ტემა, ა-ტემა — „იმდენი“, „აი იმდენი“;

მემა, ა-მემა — „ამდენი“, „აი ამდენი“;

ქამა — „მაგდენი“: ← *ქა-გმა...

საკი ← *საკიწი? — „ცოტათი“, „ოდნავ“: სა — „ერთი“, კიწი — „პატარა“, „ცოტა“;

სა-ქვრწან — „ერთხელ“, ჰახ-ქვრწან — „ორჯერ“ (§ 56);

ბჷთჷმ — „მთლად“, „სულ ყველა“;

ეყარა || ეყყარა — „რამდენი“ (§ 56);

მაგალითად:

ამა იჩ ჩუბუხ ტემა შავატ-ტე-ბაქსა, თე ფასქაღენ აკესხოლან ბე-
ნესა. R 7₄—„მაგრამ მისი ცოლი ისე ლამაზდება, რომ მეფე დანახვის-
თანავე ირთავს“.

ფასქალ ლაფ ბეზარებდაქე. R 7₁₂—„მეფე მთლად გაბეზრდა“.

საკი თე სურუყუხუნბესა, მეტინ წილინება. R 11₉—„ცოტას რომ
უწევებენ [ჩაჰკიდებენ], ეს ყვირის“.

ეთარ გროტულონ ბურყუხუნე სერბესახ იხტლანბესუნახ ლაფ ვშ-
კარ ბუ ბეშ-ყათი აშურლონ. ლკ. 1, 1—„ეთარცა ბევრმა დაიწყო ქმნა
თხრობად ჩვენ შორის სრულიად ცხალი საქმეებისა“...

f. კითხვითი ზმნისართები:

მა-ა—„სად?“; „საით?“; მა—ფუძე, -ა კითხვითი ნაწილაკი;

მალინ-ა?—„საით-გან?“;

ევახ?—„როდის?“; ე—„რა“, ვახტ—„დრო“;

ეთარ—„როგორ?“; ე—„რა“, თარ—„გვარი?“; შდრ. მე-თარ—
„ამგვარად“;

ოშტე?—„რატომ?“←*ო-შეტენქ—„რა-მისთვის?“;

ეტე—„რატომ?“←*ეტენქ—„რის-თვის“...;

ეტა-ბახტინ?—„რისთვის?“; „რის გულისათვის?“; ე—„რა“, ბახ-
ტინქ—„თვის“;

ეკალ?—„რაზე“, „რისთვის?“; ეკა?—„რა“, კითხვითი ნაცვალსა-
ხელი (§ 43), -ალ ზედაობ. ფორმანტი;

ეკალუხ?—„რაზე“, „რისთვის“.

მაგალითად:

ეთარ შონო ბაჟნეცი ბიხლო კუა ვაჟანე ნიშყართლონ? მთ. 12, 4
—„როგორ შევიდა ის ღვთის სახლში და შეჭამა პური შესაწირავი?“

თე-ტუ-აბა, ეთარ-ყა-ნ მეტუხ ბათეკვი. R 7₁₂—„არ იცის, რო-
გორ დაღუპოს ის“.

მე ხინარენ ეხნე: აჟ ლარ! მია ეკალ-ნუ-არე? R 11₁₈—„ეს ქალწული
ეუბნება:—ეი ვაჟო! აქ რაზე მოსულხარ?“.

ვაჟ ფინე შოტუ:—კიწი ვაბაქალო! ეტენ უნ შქლანმიშბაქე? მთ. 14,
31—„და უთხრა მას: მცირედ მორწმუნე! რატომ შეეჭვდი შენ?“

ხაბარ-ყუნ-აყსა, ეტე ხორაგ ჰაზირ-თე-ა? R 10₁₃—„კითხულობენ,
რატომ არაა მზად საქმელი?“

ხაბარ-რე-აყსა, ეტე-ა კალაეხა? R 16₆—„ეკითხება: რატომ კოჭ-
ლობ?“

ფინე: ეტაბახტინ-ნან ვან ჭიქირბესა ფის აშ ეჭ უკესტა? მთ.

9, 4 — „უთხრა: — რისთვის ჰფიქრობთ ცულ საქმეს თქვენს გულში?“.

ფიქუნ შოტუნ: ეტაბახტინ-ნუ-ეხა ქატლოხ მასალიღონ მთ. 13,

10 — „უთხრა მას: რისთვის ელაპარაკები მაგათ იგავებით?“.

§ 83. თანდებული. როგორც სახელთა ბრუნების განხილვისას აღვნიშნეთ, სახელის გარკვეული ფორმები წარმოადგენენ თანდებულის ბრუნებს (§ 36). თანდებულის ბრუნები გამოხატავენ სწორედ სხვადასხვა მიმართებას საგნებსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის. ამ ფორმებში თანდებულები ამჟამად აღარ გამოიყოფა ცხადად.

ამიტომ პირველადი თანდებული ნაკლებად არის წარმოდგენილი უღურში. ჩვეულებრივია ზმნისართისეული თანდებული, ანდა სხვადასხვა ბრუნვის ფორმა — თანდებულის ფუნქციით.

ყველაზე ხშირად თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში. შემდეგ — დაშორებითში, ერთ შემთხვევაში კი — ზედაობითშიც.

ა. ნათესაობით ბრუნვაში სახელს მართავს შემდეგი თანდებულები:

ამა — „მდე“ (?), „ოღენ“ (?);

ბახტინ || ბახტინქ — „თვის“: ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან ბახტ — „ბედი“, დასმულია განკუთვ. ბრუნვაში: ბახტინქ — „ბედი-სათვის“, სემანტიკური ცვლილებით მიუღია მნიშვნელობა „თვის“ (შდრ. ქართული გულისთვის = თვის): კოჯინ-ბახტინქ — „სახლისათვის“...

ბეაშ — „წინ“: ზმნისართისეულია, წარმოადგენს ფუძეს: კოჯინ-ბეაშ — „სახლის წინ“;

ბიპჩო — „ირგვლივ“, „გარშემო“: წარმოადგენს რთულ ფუძეს: ბიპ — „ოთხი“, ჩო — „მხარე“, „კუთხე“: ბიპჩო — „ოთხ კუთხივ“; პარალელურად მას ენაცვლება ნასესხები სიტყვა ჰპრამინა — „გარშემო“; კოჯინ-ბიპჩო — „სახლის გარშემო“;

ბოშ — „ში“: ფაქნა-ბოშ — „ბაღში“, ჭვლავუნ-ბოშ — „ტყე-ში“, ვიჩიმლო-ბოშ — „ძმებში“, „ძმათა შორის“;

გალა — „მაგივრად“: ნაწარმოებია სახელისაგან გა — „ადგილი“, აღებულია ზედაობითში: გალა — „ადგილზე“: კოჯინ-გალა — „სახლის მაგივრად, ადგილზე“;

ლახო — „ზე“: ნაწარმოებია ალა || ლა ზმნისართ-თანდებულისაგან, დაშორებ. ფორმით: [ა] ლახო — „ზემოთგან“; კოჯინ-ლახო — „სახლზე“; ზედაობითში: ხოდ-ალ[ა] — „ხეზე“ (§ 36) შერწყმული უნდა იყოს ეს — ალა || -ლა.

ოაშეხო — „ბოლოდან“: ნაწარმოებია ზმნისართიდან ოაშა — „შემ-

დგე“, დაშორებ. ფორმით: ო ა შ ო — „შემდგომითგან“: კ ო ჯ ი ნ - ო ა შ ო — „სახლის ბოლოდან“: ფ ა ქ ნ ა - ო ა შ ო — „ბაღის ბოლოდან“; ო ყ ა — „ქვეშ“: ზმნისართისეული თანდებულია: კ ო ჯ ი ნ - ო ყ ა — „სახლის ქვეშ“;

ო ყ ა ხ ო — „ქვემოთგან“: ნაწარმოებია ო ყ ა -სგან: კ ო ჯ ი ნ - ო ყ ა ხ ო — „სახლის ქვემოდან“.

ტ ე რ ო — „იქით“: რთული ფუძეა: ტ ე — „ის“, რ ო — „მხარე“ ტ ე რ ო — „ის მხარე“, კ ო ჯ ი ნ - ტ ე რ ო — „სახლის იქით“;

ტ ე რ ო ხ ო — „იქითგან“: ნაწარმოებია ტ ე რ ო -სგან, დაშორებ. ფორმით: კ ო ჯ ი ნ - ტ ე რ ო ხ ო — „სახლის იქიდან“;

ტ ო ა ღ ო ა ლ — „თან“: ნაწარმოებია ფუძიდან *ტ ო ლ || *ტ ო ლ* || ტ ო ა ღ — „გვერდი“, „ნაპირი“, „მხარე“ (შდრ. ტ ო ლ - მ ა ლ ა — „იქით-აქეთ“). აღებულა ზედაობითის ფორმა: *ტ ო ა ღ - ა ლ → ტ ო ა ღ ო ლ → ტ ო ა ღ ო ა ლ — „გვერდზე“, „თან“: კ ო ჯ ი ნ - ტ ო ა ღ ო ა ლ — „სახლთან“;

ტ ო ა ღ ო ა ხ ო — „გვერდიდან“: იმავე ტ ო ა ღ ფუძიდან დაშორებ. ფორმით: *ტ ო ა ღ - ა ხ ო → ტ ო ა ღ ო ხ ო → ტ ო ა ღ ო ა ხ ო — „გვერდითგან“: კ ო ჯ ი ნ - ტ ო ა ღ ო ა ხ ო — „სახლის გვერდითგან, ახლოდან“;

ტ ო შ ტ ა ნ — „გარედან“: ნაწარმოები უნდა იყოს ფუძიდან ტ ო შ — „გარე“, „უზო“, აზერბაიჯანული სუფიქსით* - დ ა ნ — „გან“: ტ ო შ - დ ა ნ → ტ ო შ ტ ა ნ — „გარეთგან“: კ ო ჯ ი ნ - ტ ო შ ტ ა ნ — „სახლის გარედან“;

ყ ა თ ი — „შუა“, „ში“: კ ო ჯ ი ნ - ყ ა თ ი — „სახლის შუა“, „სახლში“; ტ ო შ - ტ ა ნ — „უკნიდან“: ტ ო შ — „უკან“ — ზმნისართი და აზერბაიჯანული* - დ ა ნ → ტ ა ნ ფიქსი: ი რ - ტ ო შ ტ ა ნ — „მისი უკნიდან“, „მის უკან“.

მაგალითად:

ჯ ა ფ ა ზ ა ფ ი ა ბ უ ზ ბ ა ნ ე ი რ ბ ო ა ნ უ ხ ს ა ტ ო ჯ ნ ი კ უ ნ - ა მ ა . მ თ . 6, 27 — „ცდილობს, გადაამეტოს თავისი სიმაღლე ერთ წყრთამდე“.

ვ ა ბ ა ქ ა ლ ლ ა ნ ბ უ თ თ ე ნ ტ ხ ო ფ ე ხ ო - ბ ი თ ი ბ ე ზ წ ი ე - ბ ა ხ ტ ი ნ . ლ კ . 21, 17 — „და იქნებით ყველასაგან მოძულებული ჩემი სახელი სათვის“.

ი რ ო დ ე ნ ბ უ ტ უ ყ ს ა ა ლ ა ს ქ უ რ უ კ ა ნ ე ბ ა თ ე ე კ ე ს უ ნ უ ნ - ბ ა ხ ტ ი ნ შ ო ტ უ ხ . მ თ . 2, 13 — „ჰეროდეს უნდოდა ბავშვი მოეძებნა და სასაღუპავად [დალუპვისათვის]“.

ვ ა მ ი გ ი ლ ა ბ უ თ თ ე ნ შ ა ჰ ა რ კ ე რ ი ნ ე ი ს უ ს ი - ბ ე შ ო მ თ . 8. 34 — „და აი მთელი ქალაქი გამოვიდა იესოს წინაშე“.

შ ო ტ უ თ ა ვ ა ხ ყ ა ბ ი , შ ე ტ ა - ბ ე შ ო ჩ ო ჭ ტ ი , ფ ი ნ ე . მ რ კ . 1. 40 — „მას თავყვანისცა, მის წინ დაიჩოქა, უთხრა“.

ვ ა ქ ა ლ ა ბ ე ი ნ შ უ რ ლ ო ნ გ უ ნ ა შ ა რ კ ე რ ი ნ ე ს ა შ ო ტ უ გ ო რ ო ა შ ო ლ უ ნ - ბ ო შ . მ რ კ . 15, 3 — „და მღვდელმთავრები მას ბრალს სდებენ ბევრსაქმეში“.

ვა ნეპე-ბოშ აყუნყი ბუჯრულ. მთ. 2, 12 — „და ძილში მიიღეს ბრძანება“.

უნ ბუნუ ბეზ ბუყალ ღარ, მატა-ბოშ-თე ბუნე ბეზ იხტიარ. მრკ. 1, 11 — „შენა ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელშიც არის ჩემი ნება“.

ვაჲ კენებაქი შეტა-ბოშტან. ლკ. 10, 6 — „და გამოვიდა მის შიგნიდან“.

ვაჲ ბუთუნ ბოყე სურტუ შარაპნეცი ყანახო დარიწნუნ-ბოშ ვაჲ ბათყუნყი ხენე-ბოშ, მთ. 8, 32 — „და მთელი ჯოგი გადაეშვა კლდიდან ზღვაში და დაიღუპა წყალში“.

ვაჲ, მაგილა, ბანეჲი ქალა ხენე ჟიკდესუნ დარიანუნ-ლახო. მთ. 8, 24 — „და აი იყო დიდი წყლის ლელვა ზღვაზე“.

...ვაჲ ელმულობ, ეთარ-თე გეგარ, შეტა-ლახო ცირი. მრკ. 1, 10 — „და სული, როგორც მტრედი, მასზე დაშვებული“.

შეტაბახტინ-თე ზუ-ალ ქინ-ოყა ბუ ადამარ-ზუ. მთ. 8, 9 — „რადვანაც მეც ხელქვეით მყოფი ადამიანი ვარ“.

ზუ ლაილ თე-ზ, უნ ბაღანუ ბეზ აფულუნ-ოყა. მთ. 8, 8 — „მე ღირსი არა ვარ, შენ შემოხვიდე ჩემს ქერს ქვეშ“.

ვაჲ ბუთუნ შაპარ გირჩეცი ჩომო ტოლოლო. მრკ. 1, 33 — „და მთელი ქალაქი შეიკრიბა კართან“.

